

No 6  
2011

644 / 3  
2011

საქართველო  
გაზეთების კავშირი

# სისეკი

ქართული  
სიფყვიერებითი  
ჟურნალი

მიძელ პატარიძე  
აკრძალული ლექსები

• ასი სამარცხვინო ლექსი

• ანზორ აბულაშვილი  
ვახტანგ ხარაილავა  
თორმეტი რჩეული ლექსი

• ვაჟა-ფშაველა – 150  
ვაჟას მოთხრობა  
დღევანდელობაზე...

• ოტია იოსელიანი  
ლექსები

• ზაირა არსენიშვილი  
მოთხრობა

• თაიგურაზ დოიაშვილი  
კრიტიკა

• ჩეკას პირველი თავმჯდომარის  
მოგონებები

• ის, რაც არასოდეს დაბეჭდილა





# ასი წელიწადი

რომელიც ზაპირად უნდა იცოდეს

# ქართულმა

დავით აღმაშენებელი

## გალოგანი სინანულიანი

და ან, მომდრეკელი მუჭლთა გულისათაჲ,  
 ვჯმობ, ვითარცა სხუაჲ მანასე:  
 მილხინე, ჰოჲ, მეუფეო, მილხინე  
 და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა,  
 და ნუ ივსენებ ძკრთა ჩემთა,  
 და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა,  
 რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ,  
 ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან.

.....  
 უამი რაჲ წულილთა და ჳმელთა აღმოფშენვათაჲ  
 წარმოდგეს,  
 ზარი მეფობისაჲ წარჯდეს და დიდებაჲ დაშრტეს,  
 შუებანი უქმ იქმნენ,  
 ყვავილოვნებაჲ დაჭნეს,  
 სხუამან მიილოს სკიპტრაჲ,  
 სხუასა შუედგენ სპანი,  
 მაშინ შემინყალე, მსაჯულო ჩემო!

გან-რაჲ-ელოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა  
 და მე ქედდარეკილი წარმოგიდგე განკითხვად,  
 მსაჯული მართალ სჯიდე,  
 მსახურთა რისხვაჲ ქროდის,  
 მართალნი ნეტარებდენ,  
 ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,  
 მაშინ შემინყალე, იესუ ჩემო!\*

\*იბეჭდება ფრაგმენტი



# ცისკარი

ქართული  
სივცყვიტვიტვი  
ქუტნალი

2011/6

რედაქტორ-გამომცემელი  
სერგი კაკალაშვილი

რედაქტორის მოადგილეები  
ანდრო ბუაჩიძე  
ელზა მეტრეველი

პოეზიის განყოფილების გამგე  
ბალათერ არაბული

მხატვარი  
გიორგი წერეთელი

---

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე  
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო  
ლაშა ბაქრაძე  
ანდრო ბედუკაძე  
ამირან გომართელი  
ლევან თაქთაქიშვილი  
თეონა იაშვილი  
როსტომ ჩხეიძე  
გიორგი ჭანტურია  
ედიშერ ჭელიძე

---

დამკავადონებელი  
თამუნა ტყაბლაძე

კორექტორები  
ირაკლი კალანდია  
ნანი ჭულუხაძე

დაარსებულია 1852 წელს  
გამოდის თვეში ერთხელ  
იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები

© „ცისკარი“, თბილისი, 2011  
მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ტელ.: 98-36-43, 98-47-62  
emciskari@gmail.com  
www.jurnaliciskari.ge

# სარჩევი



<b>ვაჟა-ფშაველა – 150</b>			
<i>ნარსული ანმყოში</i>			
ჩემიმოგზაურობა ერემ-სერემ-			
სურემიანეთში – მოთხრობა	3	<b>ლექსები</b>	
		ოტია იოსელიანი	74
		ალეკო გაბელაია	91
		რაულ ჩილაჩავა	97
		ირაკლი ციგროშვილი	109
		ზაზა ბიბილაშვილი	112
<b>მთგონებები</b>		<b>პოეზიის უსახელო უფლისციხელები</b>	
სანდრო რაზიკაშვილი –		გიორგი ქოლიკაური	115
ჩემი ძმა ვაჟა-ფშაველა	10		
		<b>პრიტიკა</b>	
<b>უჯრავი ჩაკატილი ლექსები</b>		თეიმურაზ დოიაშვილი – გივი ალხაზიშვილის	
<i>მწერლობის გადარჩენა</i>		ეროტიკულ-სექსუალური ლირიკა	120
მიქელ პატარიძე	29		
		<b>ლიტერატურის ისტორია</b>	
<b>ასი სამარცხვინო ლექსი</b>		ოლეგ გოლიაძე – სულთამარგებელი წიგნი	134
ფრიდონ ნაროშვილი	31		
		<b>მემშარები</b>	
<b>პროზა</b>		ჩეკას პირველი თავმჯდომარის	
ზაირა არსენიშვილი – მოთხრობა	33	მოგონებები	78
ლადო კილასონია – ნოველა	117		
		<b>ის, რატმ არასოდეს დაბეჭდილა</b>	
<b>პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი</b>		არჩილ გარსიაშვილი –	
ანზორ აბულაშვილი	48	ჩემი თაობის ნუთისოფელი	103
ვახტანგ ხარჩილავა	58		
		<b>ახალი თარგმანები</b>	
<b>ლიტერატურული პორტრეტი</b>		ტომას სტერნზ ელიოტი – ნობელის	
ლალი ავალიანი – ლია სტურუა	71	პრემიის მიღებისას წარმოთქმული სიტყვა	
		ინგლისურიდან თარგმნა გვანცა ჯობავამ	139

წარსული აწმყოში



# ვაჟა-ფშაველა

## ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში

(მოთხრობა)

I

ამ ქვეყნის სახელს თქვენ ვერც ერთს რუქაში ვერ იპოვით, რადგან თავის სახელიც კი, ნამდვილი სახელი, დაუკარგეს ჯადოქრებმა, ვითომც არც კი არსებობს. კაი ხერხია, თქვენ იტყვიან. ბევრი არაფერი, მე მოგახსენებთ. მე ესლა რაც უნდა სახელი დამარქვათ, მაინც ესა ვარ, რაცა ვარ; თუნდ ისიცა სთქვით, მოკვდა, აღარ არისო, მანამ ცოცხალი ვარ, მკვდრებში ჩასათვლელი არ ვიქნები... ამ ერემ-სერემ-სურემიანეთსაც სწორედ ისეთი საქმე დამართა, ვითომც აღარც კი სადმე ყოფილა ეს ქვეყანა. რუქის შემდგენელს ისე განუზრახავს და თავის რუქაზედაც ისე აღუნიშნია. ძალიან თავხედი ვინმე ყოფილა ის სულკურთხეულის შვილი, თუ თქვენც იტყვიან. მეტიდა ხერხი შიძლება კაცის, ადამიანიშვილის გასაბეჩავებლად მოგონილი: გადაეკიდო ცოცხალს ადამიანს და ეუბნებოდე, აღარა ხარ, მკვდარი ხარო?! ერემ-სერემ-სურემიანეთის საქმეც სწორედ ასეა... ეს ქვეყანა ჯერ ისევე გულუ-

ბრყვილო, მომთმენი ქვეყანაა, ამასთანავე დაუდევარი: დაე ვინც რა უნდა სთქვას, ნისქვილმა კი ჰფქვასო; მე ხომ ვარ და ვარო, არაფერი უშავს, იმათ მითხარონ ხარო-ვო...

მე, როგორც მოგზაურობის მოყვარულს, ჩემი თანამყოლი ანგელოზი მყავს, რომელიც გამომეცხადა და მითხრა: „ბიჭო, აქ რალაც იანლი-შობა, რალაც „ფალჩიობაა“-ო (ეს სიტყვა უყვარს იმას). ადექი და გასნი ჩქარა, მანამ არ გაუმტვერებიან სულ ერთიანად ის ქვეყანა, ვინძლო ასწერო, თუ დანვრილებით არა, ზოგადად მაინც, რომ მეცნიერებას ცოტა მაინც რამ ცნობა დაპრჩესო...“

მეზარებოდა იმ ჟამად გზაზე შადგომა, ან კი რა სასიამოვნოა აქეთ-იქით ხეტიალი, თქვენ მიბძანეთ. რით არა სჯობია შინ არხენინად ყოფნა – გაძეხი კარგად, გადაჰქარ წითელი ღვინო და გადაგორდი მუთაქაზე, დაისვენე სულითა და ხორციითა, სინჯე სამოთხის მსგავსი სიზმრები!!





მეტი ჩარა არ იყო, რაკი ანგელოზმა მიზრძანა, მოვიდე ზურგზე ჩემი გუდა-ნაბადი, ჩამოვიფხატე თავზე ჩაჩი, დავიჭირე ხელში კვერთხი და შევეუდექე ზვასა.

მშენიერი ქვეყანა ყოფილა ეს ერემ-სერემ-სურემიანეთი: მითა და ბართი შემკული, ვენახებით, სახნავით და სათესით, წყალი საღი, ჰავა მშენიერი: რა გინდა სულო და გულო, აქ არ იყოს.

- აი ერემ-სერემ-სურემიანეთიო, - მითხრა ჩემმა თანამყოლმა ანგელოზმა.

- მართლა ეს არის-მეთქი? მამ იმ თავხედს რუქის შემდგენელს როგორ დააინწყდა ეს ქვეყანა, როგორ არ შეჰრცხვა, რომ ამას თავისი საკუთარი სახელი ჩამოჰყარა-მეთქი.

- შენ არ იციო, - მიპასუხა მან: - აქ სხვა ამბავიაო. მერე გეტყვიო, - თან დაატანა.

საცა გავიარეთ, დაბად თუ სოფლად, სულ „პარალი-თარალალო“ და „დალა-დამალინე, სული ნუ დამალინეო“ გვესოდა.

- ეს რა ამბავიაო? - ვკითხე ჩემს ანგელოზს: - აქ სმა-ჭამის მეტი საქმე არა ჰქონიათ და სხვა არცა-რა სცოდნიათ!..

- შემოდგომა არისო, - მან მიპასუხა: - რაც პური და ღვინო მოუვიათ, სულ ერთბაშად გაათავებენ და მერე ცარიელზე სხედანო; ისეთი ჯილაგის ხალხია, შორს არ იცქირებიან, მარტო დღევანდელი დღისთვის ზრუნავენ, ნამდვილი ქრისტეს მცნების მიმდევარი ხალხიაო...

ცნობების შესაკრებად ერთს სოფელში რამდენიმე მცოდნე კაცები მოვიკითხე. მოვიდენ. ვკითხე ვინაობა. ერემ-სერემ-სურემიანეთიდან ვართო, მიპასუხეს.

- მართლა კი ხართ? ამბობენ, ვითომ აღარ არიანო. - განვაგრძე მე.

- ღმერთმა და ი ჩვენმა ღვთისმშობელმა ის ნუ ამყოფოს, ვინც მაგას ამბობს. რასა ბძანებ, შე დალოცვილო, ჩვენს ქვეყანას ორს თვეზე ვერ შემოუვლი გარშემო, როგორ თუ არა ვართ!..

გამოვიკითხე ყოფა-ცხოვრება. იმათ ამიხსნეს ყველაფერი თავისებურად. ბარაქა დაიკარგაო, ამბობდენ ისინი, ყველაფერს დაელია ბარაქა, მაღლი აღარაფერსა აქვსო. ეს იმის მიზეზია, რომ ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა კუდიანი, ჯადოქარი ხალხი; ისე გამოავლიან სარწოხს ხელიდამ, რომ ვერც კი გაიგებ; წინათ სულ სხვა ყოფა-ცხოვრება ყოფილა ჩვენს მხარეში და ეხლა სრულიად სხვაა, უკეთურებისა და უმადურობის მეტი აღარაფერი დაგერჩენიაო.

- მერე მიზეზი არ იცით-მეთქი? - ვკითხე მე კვლავ.

- ჩვენ რა მიზეზი უნდა ვიცოდეთ: თითო ისეთი მკითხავი გვეყავს, რომ საიქიო-სააქაოს ამბავს ხელისგულზე გადაგიშლიან და იმათაც ვერაფერი გაუგიათ, შე დალოცვილო, ჩვენ, უბირმა ხალხმა, რა უნდა ვიცოდეთო.

- მებატონე არა გყავსთ?

- გვეყავს, უნდა აქ თქვენთან მოსულიყო ისიც და ვერ წამოვიდა, დაგლეჯილი ჩუსტები ჰქონდა, იმას რომ დააკერებს, გაჰბანდავს, აქ გაიხლებათო.

- ადგილ-მამულზე, სახნავ-სათესზე როგორა ხართ?

- სულ სხვასა აქვს დაგირავებული, იმ ჯადოქარებს, წელან რომ მოგახსენეთ. განა მარტო ჩვენი, მებატონისაცა.

- მერე არაფერსა ჰფიქრობთ?

- რა უნდა ვიფიქროთ. ფიქრი განა ადვილი საქმეა, შე დალოცვილო, ვიფიქროთ - ალა-ალა ხომ არ არის? ჰო და, მე და ჩემმა ღმერთმა. თუ ვიფიქრეთ, მე შენ მოგახსენო, ძალიან ბევრსაც რასმეს გავხდებით. წელან არ მოგახსენეთ - კუდიანებია, ჯადოქარებიო, იმათთან ჩვენ რას გავხდებით, - ჩვენ ჯადოქარობა არ ვიცით, ღმერთმა დასწყვილონ ჯადოქარიცა და იმის თავიცა. ჰო და მანგრე!

- დასწყვილოს კი არა, თქვენც უნდა ჯადოქარობა ისწავლით, მამ ხომ ამოგძერათ, ხალხო, სულები და გაგინყრათ ღმერთი, - ისინიც თქვენსავეთ კაცები არ არიან?! თუ კი იმათ ისწავლეს, დაიცადეთ, თქვენც რაღა ხართ?

- ჩვენ არ შეგვიძლია, ვეთავყვანე, რა ჩვენი საქმეა! იმათ ღვთისაგან, თავის წერა-მწერლისაგან აქვთ დაწერილი ჯადოქარობა, ჩვენ კი არა. მამ რატომ ყველა მკითხავი არ არის, რატომ ყველა შესწავლეს ისწავლი, ეგეც ვერა. ჰო და მანგრე!

- მამ, თქვენ ძმობილებო, როგორ ჰფიქრობთ, ხანჯალს რომ გიღერდეს კაცი, თოფს გესროდეს, კეტსა გცემდეს თავში, ხელი არ უნდა გააძწოთ?

- ხანჯალსაო? თოფსაო?! - სთქვეს მათ თამამად: - ღმერთი, აბა, მაშინ გაუნყრება კიდევ იმას, ციმიბრი აქეთ დარჩება. ჩვენი პისრისთანა ნასწავლი, ნუ კი გვეყინება, ყმანვილო, და იქნება შენც ვერ იყო, მაგრამ მუშტი-კრივის გულისთვის ეს მეორე წელია ციხეში ლპება. დახლიდარს ხანჯალს ჩაუკაკუნა თავში, რატომ ნისიად არავს არ მასმეო. ჰო და მანგრე!..

- ეგ რა სიტყვის პასუხია, მე ცულსა ვთხოვთ, თქვენ მახობს მოარბევინებთ! მე თუ მოვკვები,

ჩემის მკვლელის ციმბირს გაგზავნა როგორღა გამაცოცხლებს? თქვენ ისა თქვით, რომ არ მოეკვლინით უგემურად, უკეთურად თავის მკვლელს, რა უნდა ჰქმნათ-მეთქი?!

- ჰო, ესლა კი მიგვხდით, თქვენ სხვასა ბძანებთ. რა უნდა ვქნათ, განა არ მოგვხსენებთ ძველი ანდაზა: ჩემი მკვლელი ჩემს უწინაო, მაგრამ არა, ძმაო, კაცის კელიდამ ღმერთმა დაგვიხსნას, ქრისტიანის სისხლში ძნელია ხელის გარევა.

- ბიჭოს, იქნება თათარია!  
- თათარი კი კაცი არ არის, შე დალოცვილო? ადამიანის სისხლში გარევა ძნელია. ცუდი დროე-ბაც არის და უციმბიროდ ვერ გადურჩებით.

- მკლავდაო, ვერ იტყვი, კაცო!  
- დაე, მომკლას, ჯანდაბას ჩემი თავი, მე კი არ მოვკლავ და!.. ჰო და მანგრე!

- მამ ერთი ეს მითხარით, დარბაისელნო, ვინცილობა ისე გაგიჭირდესთ საქმე, ლუკმა პური აღარ მოგეძებებოდესთ, ერთი გოჯი მიწა აღარსადა გქონდესთ, მიწაც სულ სხვამ დაისაკურთრა, დაიგირავა, რაღას იზამთ მაშინ?

- თავი ქვას უნდა ვასალოთ და უნდა ვიცხოვროთო, - სთქვეს მათ თამამად, - წავალთ, მამულის პატრონის მოგვხვევითი მუხლზე, შავხვევებით, ჭირის მოვპარავთ, როგორც იქნება, იოლას გამოვლეთ.

- მე ვარ და აღარ გაძლევ მიწას, მეც აღარა მყოფნის. მაშინლა?

- სხვაგან მოქმდებით. დაილოცოს ერემ-სერემ-სურემიანეთი. დიდი ყურე-მარეები აქვს!

- წარმოიდგინეთ, რომ ვეღარც სხვაგან იშოვთ. მერე?  
- როგორ შაიძლება, რასა ბრძანებ, შე დალოცვილო!

- სწორედ რომ შაიძლება და თქვენ კი არა გგონათ.

- რა ვიცით, იქნება... დღორ სამუშაოზე ვივლით.  
- წარმოიდგინეთ ისიც, რომ აღარც დღორის სამუშაოა, რაღას იზამთ მაშინ?

- უნდა სიმშლით დავიხოცნეთ, რას ვიზამთ?! რაკი ყველა ღონისძიება გაგვიწყდება, დავიხოცებით. მამ როგორ შაიძლება სხვას ძალით წავართოთ, იმას თავის ამაგიტ მოუპოვებია, ჩვენ რა ხელი გვაქვს სხვის სარჩოსთან... ჰო და მანგრე!

- ეგ რაც არის, არის, ვსთქვათ. ესლა ეს მიბრძანეთ, აქ სოფლის ახლომახლო ძველი ნაშთები ხომ არაფერი მოიპოვება? თქვენ, იქნება, სიტყვა ნაშთი არ გესმოდესთ, ძმობილებო, და არც საკვირველია.

- დიად, არ გვესმის. ჩვენ რა ვიცით, შენი ჭი-

რამე, უბირი, რეგვენი ხალხი ვართ, - სთქვეს მათ თავმოზეჩავეებით.

- ნაშთი ჰქვიან ძველს საყდრებს, მონასტრებს, ციხე-გალავენებს და სხვა მისთანა, რაც არის.

- ეგენი რაღა გინდა, გეთაყვა. ჰუმრობო თუ მართლა ამბობ? შე დალოცვილო, საყდრების მეტი რა არის, სულ სამსეა დანგრეული საყდრებით ჩვენი სოფლის მიდამო. ერთი საყდარი ძველისძველი აქვე სოფლის განაპირადაც არის. გოგო-ბიჭები შიგ ასაგრილებენ ხბორებს, თხებს. განა არ მოგვხსენება, უანგელოზოს საყდარსა ეშმაკი დაჰპატრონდებო, ნათქვამია. დაუქმებულაია.

- ამბად როგორა გაქვსთ გაგონილი, ვისი აშენებულია ის ეკლესია?

- ჩვენ ერთი მეფე გყვოლია, ქალი ყოფილა, - სთქვა ერთმა მათგანმა, - და სულ იმის აშენებულია, სადაც რომ ერემ-სერემ-სურემიანეთში ძველი საყდრებია. ძლიერი მეფე ყოფილა ძალიან, მთელი ხმელეთი ხელში სჭერია.

- სულ რამდენი მეფე გყოლიათ, არ იცით?

ამ საკითხავმა დიდი ბაასი გამოიწვია. ერთი მათგანი ამბობდა, რომ ერთის მეტი არა გყოლიათ და მეორე, განა არ მოგვხსენებთ, ესლა გყავსო, მაგრამ ბოლოს იმაზე დასდგნენ, ახირებული ამხანაგიც დაითანხმეს, რომ ორი მეფე გყოლია: ერთი ქალი და მეორე კაციო.

- ლექსები, ზღაპრები ან ძველი თქმულება იმ მეფეებზე არაფერი იცით? თუნდ იმათზე არა, ისე მაინც.

- ლექსები და ზღაპრები, შე დალოცვილო, გოგო-ბიჭების საქმეა. ახლა, ღმერთი გადღეგრძელებს, რად გინდა, მაგეებს რომ სწერ? რა გამოვა მანდღამ? თითქოს პატიოსანი კაცი ეტყობით და ეგ საჩხირკედელი საქმე რა თქვენი საკადრისია?!

- უნდა სთქვათ! მთავრობისაგან დავალებულია-მეთქი: თუ დაჰმალეთ რამ და სრული პასუხი არ მომეცით, განგებ რამ დაჰმალეთ, იცოდეთ, ბოლოს დაგაფცებენ და ცუდად წავივით საქმე.

- შენ გეცოდინება, ზაქარო, მოხუცი კაცი ხარ, - უთხრა ერთმა მეორეს.

- ჰო, სთქვი, ბერიკაცო, სთქვი. აი, თუნდ თქვენს ქვეყანაზე რა ლექსი იცი-მეთქი.

- ვიცო და გეტყვი კიდევ, რაკი აგრე გულით გინდა, რა დიდი საქმეა, შე დალოცვილო. - სთქვა მან და დაიწყო.

ერემს და სერემს გაუხდათ,  
ორნივე იბრძოდენ ძალზეო;  
გადმოუტანათ სურემი,  
ხელი დაედო ხმაღზეო.  
მე თქვენ ვიჩვენებთ სიერსა,  
ორსვე გავრეკავთ კარზეო.  
არ დაგვანებებთ, ჩემოა, -  
ხელი აიღეთ ძვალზეო.  
დაებლაუჭენ ერთმანერთს,  
გამართეს მუშტის კრივია.  
მეშველიც არენი გამოჩნდა,  
წყალი დაესხა ცივია.  
რომ დაიქანცნენ, დაშველდენ,  
აღარ შეედოთ ბრძოლაო.  
დასასვენებლად სამივეს  
გვერდზე მოუწდათ ნოლაო.  
პირდაპირულებს გმირებსა  
თავს წამოადგათ მოლაო  
და სამივენი წინაღამ  
თვირანს წაიყოლაო.

- ეგრე არა, ბიჭო? - დაეკითხა ზაქარა მეორეს თავის ახსანაგს, - შენ იქნება უკეთ იცოდე?  
- ჰო და მანგრე! - უპასუხა მეორემ.  
- ზღაპარს ვინლა იტყვიოთ, - დავეკითხე.  
- შე დალოცილიო, თუკი აგრე გესიამოვნება ზღაპრები, მე მოგახსენებთ, - სთქვა მეორემ მოხუცმა, რომმელსაც გოგიას ეძახოდენ.  
- აბა, გოგიავე, რა და რა ზღაპრები იცი-მეთქი.  
- წინეთ ბევრი ვიცოდი, მაგრამ, განა არ მოგესხენებოთ, სიბერე ყველაფრით უძლურია: ბევრი დამავინწყდა და მახსოვს კი კიდევ.  
- აბა, რა და რა ზღაპრები გახსოვს?  
- თორმეტთავიანის მდევისა, კოჭლი მდევისა, ბრმა მდევისა, უკუდო ეშმაკისა, კაციყლაპიასი, მზეთუნახავისა, მოლა მასრადინასი, ქოსა-მატყურასისა და სხვა.  
- აბა, თუ შაიძლება, ჩემო გოგიავე, თორმეტთავიანი მდევის ზღაპარი გვითხარი.  
- ეგრე ფეხზე ხომ არ ვიდგებით სულა, - სთქვა მან: - დავსხდეთ მაინცა.  
- ძალიან კარგი იქნება-მეთქი.  
ყველანი ჩამოვსხედით იქვე მწვანეზე კაკლის გრილოში.  
- იპ, რა მწვანეა, ე დალოცილი, როგორ მოუხდება აქ წითელი ღვინის დაღვევა, - სთქვა ერთმა, სახელდობრ ელიზბარმა: - მოდი, ბიჭო, სოსიკა, ერთი ჩვენსა მიირიბე და უთხარი ჩვენებს, პატარა საუზმე რამ მოგვიხერხონ და დოქით წითელი

ღვინისა გამოგ ზანეთ-თქო.  
სოსიკამ გახარებულმა გასწია.  
ყველასაც ეხლა ძლივს გაუნათლდათ სახე.  
- იპ, იპ, აგაშენა ღმერთმა, ელიზბარო, ეგრე კარგი მოიგონე!  
- ჰო და მანგრე! აი აგაშენა ღმერთმა, - სთქვეს ყველამ ერთხმად.  
- მაშ რა ექნათ, კაცებო, სხვა არა იყოს-რა, ყელეტი ამოგვეხრანა, - მიუყუო მათ ელიზბარმა.  
- აბა, გოგიავე, დაიწყე, - შევესთხოვე გოგიას, მაგრამ, არ მოგიკედეთ, გოგიამ ხმაც არ ამოიღო, მანამ ღვინო არ მოვიდა...  
წოცა კარგად მოზარბოშდა გოგია, მაშინ დაიწყო მხოლოდ საუბარი. მოჰყვა ზღაპარს.  
- იყო და არა იყო-რა, - სთქვა პირველად გოგიამ: - იყო ერთი თორმეტთავიანი მდევი. მდევეები იმ დროებას ბევრნი ყოფილან, ისე ბევრნი, რომ, რაკი დაღამდებოდა თურმე, გარეთ გამოსვლა აღარავის შეეძლო, მაშინათვე მოიტაცებდენ, წაიყვანდენ, მოჰხარშავდენ და შესჭამდენ. წყალიც თურმე მდევეებს სჭერიათ ხელში, თუ უნდოდათ დააღვინებდენ ადამიანიშვილს, ეგრეთვე ცხოველს, ფრინველს, თუ არა და - არა. ასე უცხოვრიათ კარგახანს მდევეებს, ერთმანერთში თანხმობით ყოფილან, ქვეყანა იმათ ხელში ყოფილა. ხეწნიფე მაშინ არაფერი ყოფილა, თუ მოეწონებოდათ, თითონ ხეწნიფესაც იმოსტაცებდენ ქალს და წაიყვანდენ ცოლად. იმათში ყველაზე მძლავრი თორმეტთავიანი მდევი ყოფილა. თურმე ომში რამდენსაც თავს მოსჭრიდი, იმდენი სხვა ახალი თავი ამოსდიოდა. დიად, ასე უცხოვრიათ დევეებს კარგა ხანსა, მაგრამ ბოლოს დროს ერთი-ერთმანერთში ჩხუბი მოჰსვლიათ. ალბათ ღვთისსაც იქნებოდა ნაბძანები. თორმეტთავიან დევს დაუხოცია ყველა დევეები და მარტოკა თითონ დარჩენილა. იმათი ავლა-დიდება, ქონებაც იმას დაპრჩენილა. ერთი სიტყვით, მთელი ქვეყნის ბატონი ის თორმეტთავიანი მდევი გამხდარა. ვის შა[ქლო] თურმე იმისათვის ხმა [გაცვა:] მაშინათვე გველივით თავს გაუჭექქყავდა და შეჰყლაპავდა, [თითქოს] ყურძნის მარცვალიაო.  
იმ დროებას ქრისტე-ღმერთს უღელა ქვეყანაზე. ვენაცვალე იმის მადლსა და სახელს, თურმე გლახის, მთხოვარას ტანისამოსით დაბრძანდებოდა ქვეყანაზე; ჰშველოდა გაჭირებულს ხალხსა: სად ბრმას უხელდა თვალებს, სად კუტს აყენებდა ფეხზე, სად მეკდარს აცოცხლებდა.  
ერთხელ თურმე ის თორმეტთავიანი მდევი შემოხვდა ქრისტემაცხოვარსა და შეუჭყვირა: „წინ ხარ, რა სულიერი ხარ, რომ აგრე თამამად დაიარები ჩემს საბძანებელშიო?“ მაცხოვარმა ყურიც





არ ათხოვა. ბოლოს გაბრაზებული მდევი გადაუდგა წინ და მოუღერა ლახტი, მაგრამ უყურეთ იმის ბედსა, რომ გაუხმა ლახტი ხელში. ქრისტე იესომ დასწყველა ის მართლა დაწყველილი და შეჩვენებული და გასწია თავის გზაზე.

- წყულის იყავ, შე ბოროტო ხულოვო, - უბრძანა მას იესო მაცხოვარმა. - ამოადგე მთელი ქვეყანა, ააყუ სისხლითა და ცრემლითა და ახლა უფალზედაც მოინდომე ძალისა და ღონის გამოჩენაო.

თქვენს მტერს დაემართოს ისეთი საქმე, რაც თორმეტაჯიანის მდეგს საქმე დაემართა. ღონეც მაშინათვე წაერთო და ახლა ის იფიქრეთ, იმ თორმეტს თავს რაღა მოუვიდოდა და!

- აი, ვენაცვალე ქრისტეს ი ღმერთში! - სიტყვის სხეებმა: - ჰო და მანგრე!

- რა მოუვიდაო? - დავეკითხენინ ყველანი.

- რა მოუვიდა? ისა, რომ აქამდის რაც თავები ება ტანზე, ყველანი თანხმობით იყვნენ და რაკი მაცხოვარმა [დასწყველა, აერ-გადაერთა ჟამ-კარი]: ერთმა თავმა ერთი იფიქრა, [მეორე] - მეორე, მესამე - მესამე, მეოთხე - მეოთხე და სხვა და სხვა. ყველა ეს ფიქრები კი გულსა ჰხედება. გაუდის მდევის გულს ძაგა-ჭუგი, ძაგა-ჭუგი, აღარ იცის რა ქნას, ველარც წასულა, ველარც დადგარა, სწორედ ცოფიანს დაემსგავსა, ყველა თავები ერთმანეროს ეჩხუბებთან და ვეღანი კი - თავიანი პატრონის. ახლა თქვენ იფიქრეთ მაშინ იმ წყულის ყოფნა!

საღამომდე ვერ გაუძლო მდევემა ამ ყოფნას. აღარ იყო გასაძლისი, უთუოდ უნდა სათითაოდ მოეშორებინა ტანნიდამ; ადგა და დაიწყო ლახტის ცემა თავში. ჯერ ერთი თავი გაიჭყუყა და აღარაფერი ამოუვიდა, ახლა მეორე, ახლა მესამე. ასე რომ ბოლოს ერთი თავიღა დაჰრჩა. მაგრამ აღარც ეს თავი ასვენებს, ესეც პატრონს ებრძვის. მდევი ვერ იმეტებს ამას გასაჭეჭყად, იცის რაც დაემართება, იგეთი ღრიალებს, იგეთი ზრიალებს, რომ მიეღი დედამინა იძვროდა. რაც ფრინველი და ტყის ნადირი იყო, სიხარულით უცქეროდენ იმ ვერანდის წვალებას.

ბოლოს, რომ დაიღალა, დაიქანცა, წყლისპირას ჩამოვდა, დაჰკიდა თავი და გმინავდა. იქვე ახლო-მახლოდ მელორე ყოფილიყო, ერთი ვინმე თავზე ხელალებული. თურმე წამოეპარა, წამოეპარა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მოუღერა კომბალი, სდუზა თავში და იქვე სული გააფთხობინა.

ჭირი იქა, ღზინი აქა, ქატიო იქა, ფქვილი აქაო, - სიტყვა გოგიამ ბოლო დროს.

გიშველა ღმერთმაო! - მაღლი გადაუხადეს ამა-ნაგებმა: - იჰ, რა კარგი მოხსვლია, ჰო და მანგრე!

... ხმით. ჩემი ანგელოზი დდგა და ყურის გდგება დაუწყო, - უყვარს ტკბილის ხმების სმენა, რადგანაც თითონაც ტკბილის გულისაა. ბოლოს კი თუმც ცერად გადაჰხედა და თავის ქნევით გა-მომყვა გვერდზე. განვარძქით სიარული თავჩაკიდებულეებმა, დაფიქრებულეებმა. ხომ აღარაფერი დამრჩა ჩასანერი-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის და საფიქრობელიც იყო.

მაინც სხვა რა უნდა ჩამენერა? ქოხები ჩა-ლური იდგა, გვერდებჩამოფლეთილი, მგლისაგან ნაგლეჯს ცხვრებს მოგაგონებდათ. თითო-ორო-ლა ინდაური დაეხეტებოდა ეზოში და კარებს უპირებდენ საქათმისას შეჭმას, საკენეს რომ არავინ უყრდა; ბატები დამშულები კიდევ ბალებს ეტეებოდენ შესაქმელად, ღორებს ნაგავში ნაყით თავები ისე, რომ კუდებიღა უჩანდათ და იმათაც ძლივედგობით ანძრევედენ აქეთ-იქით, ისე არაქათი გამოჰლყოდათ...

მამასახლისი დარბოდა თავის გზირებთან და...

...სოფლის შუაგულს წყარო იყო, წესიერად მარტო ის მომდინარებდა; იქით ტირიფები იდგა, აქეთ კაკლის ხეები; სოფლის თავში - მკითხავი, ბოლოში - ქადაგ. სოფლის შუაგულს, წყაროს იქით - საყდარი, საყდარს გვერდზე - სამრეკლო; სამრეკლოს გვერდზე - საყდრის ყარაული, საყდრის ყარაულს, ცოტა მოშორებით „ტარასტა“; ტარასტას სადგურს გვერდზე ერთი თავმოტყვილი მუზა იდგა, გატუსული, მუგუზალივით გამაული, რომელსაც ზარბაზნის ტუჩივით ორი ფულური ჰქონდა; ერთში ბუდობდა ბუ და მეორეში ქოტი, ესენი ღამ-ღამობით ნანას ეუბნებოდენ სოფელს, რათა მას ტკბილად და არხეინად განესვენა.

ერის ადგილას ჩემმა ანგელოზმა გამაჩერა და მითხრა: „წელან რომ გლეხნი ჯადოქარებს გეუბნებოდენ, აგერ ერთი იმ ჯადოქართაგანო!“... მართლაც, შევხედე და ბეულთან ორი ხულიერი მოსჩანდა, ერთი მამაკაცი და მეორე დედაკაცი. კაცს ტომრები ეწყო გვერდით და შიგ პურსა ჰყრდა, რომელსაც დიაცი იგი მიუწყავდის ლიტრია-ნით, „დაიღ, ეგ კაცი ჯადოქარია, - განავარძო ჩემმა ანგელოზმა, - ეგ დედაკაცი კიდევ აჯალა-ბობას პურსა ჰპარავს და მაგ ჯადოქარს აძლევს ფერ-უმარილით“.

\* ამის შემდეგ ხელნაწერს აკლია 10 სტრიქონამდე, მოხუელია.  
\* აქაც აკლია (მოხუელი ნაწილის მეორე გვერდი).

II

დავსტოვეთ იგი სოფელი და ვილტვოდით სხვა მხარეს. გზაზედ ჩემმა ანგელოზმა მი-  
თხრა: „შენ უმთავრესი რამ გავიწყდება, გა-  
ვიწყდება ის, რითაც აინონ-გაიზომება ერის  
ბედნიერება. რატომ არ ჰკითხავ ხალხს, ნე-  
რა-კითხვა რამდენმა იცის, ან სოფელში სწა-  
ვლული კაცი მოიპოვება თუ არაო, სკოლები  
აქვსო, თუ არა“.

მე ეხლად გავახილე თვალები და შემოვი-  
კარ შუბლში ხელი, მაგრამ ბოლოს სასინანუ-  
ლო მაინც არაფერი დამრჩა. თითქმის ოთხმო-  
ცამდე სოფელი გავიარეთ და სკოლა ვერსად  
ვერ ვნახე, რომ მართლაც ჩემი ყურადღება  
მიექცია. მეასეს სოფელში რომ მივედი, იქ  
დავინახეთ მალლობზე განკერძოებით ერთი  
შენობა. ვიკითხეთ: რაი არს იგი შენობა-თქო?  
- სკოლაო, გვიპასუხეს ერისკაცთა და მივა-  
შურე, გამეგო, რასა სწავლობდენ ერემ-სე-  
რემ-სურემიანეთის ყრმანი და ან მასწავლე-  
ბელი რა კაცი ჰყავდათ.

ნინ მომეგება ერთი ხმელი, შავგვრემანი,  
თმაგანწილი ახალგაზრდა. გეგონებოდათ  
ორმოცი წელიწადი სულ უდაბნოში ყოფილა  
და ტყისა, წყაროთა, ფრინველთა ჭიჭიკისა  
და ბალახის ბიბინის მეტი ამ კაცს არაფერი  
გაუგონია, როცა იმის განადირებულს სახეს  
დაინახავდით.

- მასწავლებელი თქვენა ბრძანდებითო? -  
დავეკითხე ახალგაზრდა კაცს.

იმან უცხო ენაზე მიპასუხა თავის ვინაო-  
ბაზე, მაგრამ მე ვსთხოვე, ეგ უცხო ენა მე არ  
ვიცი და, თუ შეიძლება, ერემ-სერემ-სურე-  
მიანეთის ენაზე მესაუბრეთ-მეთქი.

იმანაც ამისრულა, ღვთისა ნინაშე, თხო-  
ვნა და გავაბით საუბარი.

- როგორ ასწავლით, რას ასწავლითო? -  
ვიკითხე კვლავ.

- ნთუო არ იცით, როგორ ვასწავლით და  
ან რას ვასწავლით? - მიპასუხა მან ცოტა  
წყენის კილითი.

- წარმოიდგინეთ, რომ არ ვიცი და თქვენ  
უნდა ჩამაგონოთ.

- ეხლავე მოგახსენებთ, - სთქვა მან: -  
ჯერ პირველ ნახევარს წელს ვასწავლით  
დედაენაზე ანა-ბანას, მერე დავანყებინებთ  
სახელმწიფო ენას და მივაყოლებთ ზედ ღრა-  
მატიკას, რადგან გონების განსავითარებლად  
ეს დიდად საჭიროა; თქვენ განა არ მოგეც-

სენებათ, რომ ვიდრე ენას შეისწავლის ყრმა,  
ჯერ უნდა ენის ფორმები შეისწავლოს, რომ  
ენა უფრო ღრმად ჩაებტყდება გულშიო  
ამ უკანასკნელს სიტყვებს მასწავლებელმა  
კვერი დაჰკრა და დაბეჭდა. ჩემი ანგელოზი  
კი ჩუმ-ჩუმად სიცილით კვდებოდა.

- რასაკვირველია, რასაკვირველია-მეთქი,  
- მეც ვუპასუხე: - იპ, ძალიან მშვენიერი გე-  
თოდი გქონიათ-მეთქი, და ჩემის ფიქრით კი,  
ვგონებ, ის უფრო აჯობებდა, ანა-ბანის წი-  
ნათვე ღრამატიკა გესწავლებინათ 6-7 წლის  
ბალღებისათვის, რომ ანა-ბანას უფრო ლა-  
მაზად შეისწავლიდენ და გონებითაც საში-  
ლად, საშინლად გამახვილდებოდნენ-მეთქი.

- მაგის ნებას მთავრობა არ გვაძლევს,  
თორემ, რასაკვირველია, ღრამატიკისთანად  
ბავშს გონებას არაფერი გაუხსნისო.

- შემდეგ რაღას ასწავლით, ბატონო?!

- ღრამატიკასთან მივაყოლებთ კატეხიზ-  
მოსო, - სთქვა მან: - სულ ზეპირად უნდა  
იცოდენ. იციან კიდეც წელს მოსულებმა. აი  
თუნდ ეხლავე თქვენ თვალწინ ვათქმინებო.

- მეჯერა, დარჩეს-მეთქი.

საკვირველია, ჩემი ანგელოზი, ღრამატი-  
კაზე რომ გავეცინა - კიდე შო და ამ კატეხიზ-  
მოზე რაღა აცინებდა - არ ვიცი?! მუცელი  
ხელით ეჭირა, იმდენს იციზოდა.

- შემდეგ რაღას ასწავლით?

- საღმრთო სჯულს, ლიტურგიას, ღმინას-  
ტიკას და სხვადასხვა. ასე რომ სამ წელს შემ-  
დეგ ჩინებულად განსწავლული და გაჩარხუ-  
ლი შვილი მიუვა შინ თავის პატრონს.

- მაგას რა ფიცილა უნდა, შე დალოც-  
ვილო, გაჩარხული და ეგრე, უთუოდ ძრიან  
უნდა გაჩარხოს ბალღი სამ წელიში.

- ხომ ამოდენას ღვანლსა სდებს სკოლა  
სოფელზე, მაგრამ მაინც ხალხი „ბუნტობს“,  
ემტერება სკოლას, ადგენენ „პრიგოვორებს“  
და ჰგზავნიან საცა ჯერარს, დაგვაშორეთ  
სკოლები, არ გვინდა, რასაც არა გელუპავს,  
არას გვრგებსო.

გამოვემშვიდობეთ ამ ქვეყნის განმანათ-  
ლებელს და გავემგზავრეთ. ხალხისთვის  
ალარაფერი გვიკითხნია, რადგანაც დავრწ-  
მუნდით, ეს მეტი შრომა იქნებოდა: ყველგან  
ისეთი ზნე-ჩვეულება ყოფილიყო, რაც ზევით  
მოვიხსენიეთ და პირველს სოფელში ავსწე-  
რეთ.

სკოლას რომ გავცვდი, ჩემმა ანგელოზ-  
მა ტირილი დაიწყო: ცრემლები ღაპა-ღუპით

ც. ს. ჯ.



ჩამოსდიოდა. მე კიდევ გამიკვირდა, აქამდის ასე გულიანად იცინოდა, ესლა რა დაემართა-მეთქი. მოსთქვამდა: „ვაჰ, ყრმანო!“

მივმართეთ ჩრდილოეთს და იქ ვიზილეთ მხოლოდ განსხვავებული ზნე-ჩვეულების მცხოვრებნი; ისინი ჯერ ისევ ფარ-ხმალსა ჰზიდავდნენ და ჯაჭვს იცვამდნენ ტანზე; ქვეყნის შექმნა გუშინწინანდელი საქმე ეგონათ; ადამის გაჩენა - გუშინდელი. საშინლად ჰყვარებოდათ თავისი კლდიანი ადგილი, რომელიც ლიტრა ქერზე მხოლოდ ნახევარ ლიტრას მოგებას იძლეოდა და ისე შეჰმძვროდნენ, შეჰხაროდნენ, როგორც ვარდს ბულბული. საუკეთესო საომარი იარაღის პატრონი ეგონათ თავისი თავი. არ გავგონათ ჯერ, თუ ისეთი თოფებიან მოგონილი, რომელთაც არც ბოლი აქვს, არც ხმა და სამის ვერსის მანძილზე ჰკვლენ ადამიანს ისე, როგორც იმათი ჯახურები ხუთს ნაბიჯზე ქათამსა ჰკლავენ.

ჩვენ სოფლები თითქმის სრულიად მოვვლეთ და ახლა მხოლოდ დაბა-ქალაქების დათვალერებაა გვაკლდა.

- ღირს დათვალერება ქალაქთა, ჩემო მფარველო-მეთქი? - დავეკითხე ანგელოზს: - თუ სჯობს არა შევმუროთ ფერხნი ჩვენნი ქალაქთა ტალახითა და თვალნი დავებნოთ ცრემლითა. ანგელოზმა ნება დამართო: „ილტვოდე დაბასა ერთსა და შემდეგ ქალაქსა მას დიდსა და უმთავრესსა ერემ-სერემ-სურემითისასა“.

მე წავედი მართლაც-და, რადგანაც თავდაპირველად მიწოდდა მეპოვნა ერთი მაინც ვინმე განსწავლული და შეგნებული კაცი, რათა შემეტყო, რა ფიქრს მისდევდა იგი, რას აკეთებდა.

შევედით დაბასა მას უცხოსა და ვიკითხეთ: სადა სცხოვრობენ და არიან აქ კაცნი განსწავლულნი? ვისაცა ვიკითხეთ, სიცოლად არ იკმავე: „აქაც არ არიან ნასწავლნი, სხვაგან სადღა იქნებიანო, ორს კაცზე თითო „ჩინოვნიკი“ მოდის, ისეთი განსწავლული და განათლებული, როგორც მზე ბრწყინვალე და ბადრი მთვარეო“.

- მაგისთანა ნასწავლები კი არა, მე მიწადა კაცი, ჭეშმარიტად განათლებული, რომ არა მსახურობდეს კი „ჩინოვნიკად“, არამედ თვითც სწავლობდეს და სხვებსაც ასწავლიდესო.

- თქვენ მეგაზეთები გინდათ, როგორც კოჭებში გეტყობათო, - სთქვეს მათ.

- თუნდ მეგაზეთე იყოს-მეთქი, - დავეთანხმე.

- ისეთი ნასწავლი გიჩვენოთ, რომ სულ ერთთავად სახლში ბუდობს, როგორც მზეთუნახავი, და სულ ღრმა-ღრმა სიბრძნით არის გაყინულიო. იმისთანა გოგრა ამ ჩვენს დაბაში არც კი მოიპოვებაო.

მივმართე მაშინათვე მის სადგურს. იმას შორიდამვე ვეცანი და წინ მომეგება. დიად, ვეცანი, როგორც ცნობისმოყვარე მოგზაური ადამიანი; მიმიღო სახლში გულიანად, გამომიკითხა ჩემი ვინაობა, მიზანი ჩემის მოგზაურობისა. მეც, რასაკვირველია, ყველაფერი ვუთხარი. შევჩვილე ასეთი აბუჩად დაჭერა ერემ-სერემ-სურემიანეთისა, ჯადოქართა ჯადოქრობა, უმრავლესობის უმეცრება და სხვანი და სხვანი. იმანაც ყველაფერზე თავი დამიქნია, ნიშნად თანხმობისა, და ღრმად ამოიხვნეშა. მე მთხოვა: დაბრძანდითო და დამიღვა ჩიკა. პასუხად სხვა არაფერი უთქვამს. მიუჯდა ღურბინდს, რომლის ცხვირი სარკმელში იყო გაყვანილი და ცისაკე მიპყრობილი. ღურბინდი უზარმაზარი იყო, მის მსგავსს მხოლოდ სადმე აბსერვატორიაში თუ შეჰხვდებოდით, სხვაგან არსად. და დაუნყოფი ამ ღურბინდში ცქერა.

- უკაცრავად კი ნუ ვიქნებით, ბატონო, და ამ დროს, დღისით, რას დაინახავთ? თქვენ ვარსკვლავთმრიცხველობა გყვარებიათო, - ვუთხარი ამ ნასწავლს.

- ეს ის ღურბინდი არ გახლავსთო, - სთქვა მან, - ვარსკვლავთა ყოფა-მდგომარეობას რომ იკვლევენ მეცნიერნი; ეს ის ღურბინდია, რომლის წყალობითაც მე ჩემის ქვეყნის ვითარებას, სვე-ბედს ვიგებო. მობძანდი, შენც ჩაიხედ და ვნახოთ, რა ამბებს დაინახავთო.

- ცაზე რაც უნდა დავინახო, ქვეყანას იმითი რა ერგება-მეთქი.

- კიდევ ვერ შეგიგნია შენ წესი წუთისოფლისიაო, - სთქვა მან, - და წესი და ვითარება ღურბინდისა ამისაო.

განვეშორეთ მე და ჩემი ანგელოზი ამა მეცნიერსა და ვილტვოდით ქალაქსა მას უმთავრესსა ერემ-სერემ-სურემიანეთისასა, რომლის ამბებსაც შემდეგში მოგიუთხრობთ. ანგელოზი ჩემი მიმიძღვეოდა თავდაბრით, შეწუხებული იყო იგი ფრიად.





მომონტაჟი

# სანდტო ტაჯიკაშვილი

## ჩემი ძმა ვაჟა-ფშაველა

### სოფელი ჩარგალი და რაზმიპანტი ოჯახი

ჩემი ძმა ლუკა (ვაჟა-ფშაველა) დაიბადა ფშავეში, სოფელ ჩარგალში. ჩარგალი მთა-გორიანია, ჩავარდნილი ერთ ხეობაში, რომელსაც შუაზე ჩამოუდის გიჟმაჭი ჩარგლულა. ჩარგლულას პირი დასავლეთისაკენ უჭნია, სადაც ის არაგვს ერთვის. ამ ალაგს ჩარგლის-კარი ჰქვია. ჩარგლის-კარის მიდამოებში აუარებელი რკინისა და გოგირდის წყლებია. ჩარგალს თითქმის ყოველ მხრიდან დარაჯებად შემოჰხვევიან მაღალ კლდინი მთები, რომელთა ჭოხუბებში ძველ დროს ბევრი ჯიხვი და არჩვი (ფსიტე) ყოფილა. ამ მთების სახელებია: ჩარგალი თავი, სასოვეთთავი, საშუბო, ახუნი, დიყელის გორი, სარაკდრის გორი და ასეველი-გორი. ჩარგალს სამი უმთავრესი ნაწილი შეადგენს: თვითონ ჩარგალი, ბონაზი და აფხუშო. ყველას კი საერთოდ ჩარგალი ჰქვია. ამათში ყველაზე ლამაზი აფხუშოა, სადაც უფრო მაღალი მთები და სალი კლდეებია. ჩარგალი შემოსილია მშვენიერი ტყით, რომელიც მაღლა მთამდე ასულა და შემდეგ თავის ალაგი დეკასათვის დაუთმოა.

როგორც ჩარგალში, ისე აფხუშოში ძველ დროს ციხე-გალავენები ყოფილა.

როგორი შიშაინობა ყოფილა მაშინ, ამას ადასტურებს შემდეგი ძველი თქმულება: ერთხელ ზაფხულში, როდესაც ჩარგალელები სათიბრად მთებში ყოფილან ასულ-

ნი და სახლში მხოლოდ ბავშვები და დედაკაცები-ლა დარჩენილან, იმ დროს აფხუშოს შემოჰსვეციან დიდოვლი ლეკები, რომლებსაც გაუცარცივით იქაურობა, შემდეგ მოუკიდებიათ ცეცხლი იმ ციხე-სიმაგრისათვის და გაქცეულან. აფხუშოელებს რომ დაუნახიათ მთებიდან ეს ცეცხლის ავარდნილი ალი, მაშინვე მიმხვედრან თავიანთ უბედურობას, დიდხანს აღარ დაუყოვნებიათ. ნამოუვლიათ ხელი ზოგს ცელისათვის, ზოგს კიდევ იარაღისათვის და აფხუშოელ ლაჭაურას წინამძღოლობით დასდევნიან უკან ლეკებს, დასწევნიან და ისე ამოუტყუტიათ, რომ ამბის წასაღებად ერთი აღარ დარჩენილა: თვითონ ლაჭაურას იმათი ბელაიდ მოუკლავს.

იმ ლეკების ბელადსაც თავის მხრით ლაჭაურასათვის დაუკრავს თავში ხმალი, რომლისთვისაც თავზე ნახური მუზარადი გადაუჭრია, მაგრამ ლაჭაურა კი გადაარჩენილა.

ეხლაც კი ციხე-სიმაგრის ადგილზე მრავლადაჰყრია უზარმაზარი ქვები და ღორღი, ამოსულა თვალუნვდენელი იფნის ხეები, რომლებ შორის აფხუშოელთ აუშენებიათ ქვის პატარა ქოხი, ამ ქოხზე ზედ სიძის ქვა დაუფარებიათ, და ეს ალაგი სალოცავად გაუხდიათ.

იქვე ინახებოდა ის ლაჭაურას მუზარადიც, რომელზედაც ის ხმლით ჩაჭრილი ალაგი სანთლით იყო ამოღესილი. ეს მუზარადი შემდეგ ჩარგლის ეკლე-

სიაში იხსებოდა. აფხუშოს, ხატობას, როდესაც ხევის-ბერი „საკარგმოს“ დადევდა, პირველი შესანდობარი დაჭურასი უნდა ეთქვა და იმის ნახური მუზარადი სავსე ლუდით უნდა დაეცალა. ამ ხატში ვაყასაც ბევრჯელ უთქვამს „საკარგმო“ და ბევრჯელაც გამოუცლია ლუდით სავსე დაჭურას მუზარადი.

ლექებისგან აფხუშოს აკლების შესახებ დარჩენილა შემდეგი ლექსები:

*„ვინა სთქვა, ენამც გაუხმო  
ჩარგალში ცუდი ვინა?  
აფხუშოს, ჭიჭხევისა  
სამოცს ლეკს მამჭურეს თავია.  
აფხუშურაზე\* გამოურნდა  
სისხლისა ალაზანი.  
წინ მიაქე ფარი და ხმალი.  
უკან ლეკების თავია.“*

ჩარგალშიაც ერთი ნაციხვარის ადგილზე არის სა-ლოცავი, სადაც დიდი ხატობა იცის, იქ ლუდის სად-უღებლად დიდი სალუდე ქვაბი ჰყიდა და იმაში ნა-დღურ ლუდს ხატობას მლოცავებს ასმევდენ ხოლმე, მეორე ნაციხვარს სულაქურდღლიანი\* ჰქვანი, რომ-ლის გარშემო ბევრი აკლდამებია დარჩენილი.

**რავიპანანი ოჯახი**

**(მამას მშობლები და ღამ-ძმები)**

ჩვენი მშობლები ფშაველები იყვნენ: მამა - პა-ველ ამავე ჩარგლიდან, ხოლო დედა გულქანი კი სოფელ სხლოვანიდან (იორზეა), ფიციკლეთ ქალი. მისი ბიძა პარასკევა განთქმული მოლეკე ყოფილა. განა ისეთი ფშაველი იქნება, რომ მისი ნათქვამი ლექსები არ გაეგონოს? მამაჩვენის პაპა იმედაც ხომ განთქმული კაცი ყოფილა, როგორც თავის ვა-ჟაკობით, ისე თავის ჭკვიანა, რომელსაც ერთხელ მეფე ერეკლესათვის ეთქვა: „ბატონო, ორი რომ შენ მიბრძანო, ერთი ჩემიც გაიგონო!“

მამა ჩვენს წერა-კითხვა 15 წლისას დაენყო, როდესაც ის ცხვარში დადენილა. იმ დროს მთაში წერა-კითხვის მცოდნე ხანძლით მოსაძებნი ყოფი-ლა, გარდა იქაური მღვდელ-დიაკვნებისა, რადგან მთაში წიგნის სწავლა იმ დროს თემის ღალატად ყოფილა მიჩნეული. პავლეს ამ მღვდელ-დიაკვნები-სგან ენსავლა წერა-კითხვა.

პაპა ჩვენს გვიის რომ გაეგო, პავლე წიგნსა სწავლობსო, წამოეგლო თოფისათვის ხელი და მო-საკლავად გამოსდგომოდა: „როგორ თუ შენ წიგნ-სა სწავლობ, შენ ამით რჯულსა სტეს და თემსა

შლაღატობო,“ მაგრამ პავლეს რაკი ერთხელ წიგნის გემო გაეგო, მამის მუქარისათვის ყური არ ეგდო და თავისი მინდც გაეტანა. ის თურმე ჩუმად თავის ჩანათა ქალადლის ნახევებს ატარებდა და ცხვარში ყოფნის დროს სწავლობდა, რადგანაც პავლესათვის ასეთი პირობებში ჩარგალში დარჩენა საშუაო ყო-ფილიყო, ის სახლიად კახეთში გაპარულიყო. მონ-სატრეში 3 თუ 4 წლის განმავლობაში ისე კარვად მომზადებულიყო, რომ დიაკვნობა მიეცათ და ფშა-ველში გაემხნებინათ. ამის შემდეგ მძებიც გაჰყროდენ.

„სულ ცარიელ-ტარიელი გამოგერეკეს, იტყოდა ხოლმე დედაჩემი: ერთი ქვაბი, ორი ხის ჯამი, ორი ხის კოვზი, ერთი ძველი ფარდაგი მოგეცეს და ისე გამოგიცემურესო. პირველად ძალიან გაგიციქრდა ცხოვრება, მაგრამ მინდც გული არ გაგიტყებთ, სასო-წარკვეთილებას არ მივეცი თივი და მხნედ შეველ-ეჩით შრომას, რომ მტერი ჩვენზე არ გაგვეცინებინაო“. მამაჩემს ორი ძმა ჰყავდა, ორივენი მასზე უფროსები იყვნენ. მამაჩემი სულ უწმოსი იყო. სულ უფროსს ბოიგარი ერქვა, მეორეს ნადირა. ბოიგარი ღამაზი ვა-ჟაკე იყო, წამოსადეგი ტანისა და მხარბტხანი: მას ქორივით თვალები ჰქონდა და ამშვენებდა გულამდე ჩამოკაული გრძელი უღაფრისი. განთქმული მონა-დირე იყო. ჩვენსა რომ მოვიდიოდა, სულ ნადირობაზე გვიამბობდა და ჩვენც გულდასმით ვუგვებდით ყურ-სა. იტყოდა ხოლმე: „სამჯურა მატქს აზარი\* ათავე-ბული და თოფიც სამი მატქს მინაში დამარხულიო“. ნადირა კი მეტის მეტად უზარმაზარი კაცი იყო და მეტად ზარმაცი, რის გამოც ის ძმებზე უფრო ღარი-ბად ცხოვრობდა.

მამაჩემი სილამაზესთან ერთად მეტად ღონ-იერი კაცი იყო. ამასთანავე იყო ძალიან ნიჭიერი და მომეცადინე. წიგნების კითხვა ძალიან უყვარდა. იმ დროს ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნებს და უფროს-გაზეუთებს სადაც კი პნახავდა, შეიძინდა და სახლში მოიტანდა.

როგორც „ვეფხისტყაოსანი“, ისე დ. გურამიშვი-ლის, ილია ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერ-ეთლის და სხვ. ზოგიერთი ლექსები სულ ზეპირად იცოდა. უყვარდა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მამ-ულიშვილები და მითაყვანე იყო საქართველოსი, რომლის განთავისუფლება რუსეთის თვითმყრო-ბელობიდან მას იდეალად ჰქონდა დასახული. იმ-ასთანავე მეტად მჭკვერმეტყველი კაცი იყო. ვინც გინდა განათლებული კაცი ყოფილიყო, ის მას კა-მათში არ ჩამოუყვარდებოდა.

დედაჩემი ღამაზი, მეტად გულკეთილი, მოსიყვარულე ადამიანი იყო. მუშობლები იყო, რომ იმას ვისთვისმე მალალი სიტყვა ეთქვა, ან ვისმე გას-ჯავრებოდა. ღარიბ-ღატაკი ძალიან ებრალებოდა.

\* კარგი ყმის, სამშობლოსთვის თავდადებულის შესანდობარი.

\* აფხუშოზე ჩამომდინარე ხევი.

\* სულა და კურდღლია ძმები ყოფილან, რომლებიც მტერების შემოსევის დროს დაუფიცნიათ. (წ. მათ შესახებ სიმურა ა. შანიძის „ბალური პოეზიაში“, I, №48).

\* ბარის ათავება ნომრეს ასი ნადირის მოკვლას. უნინ ისეთი ჩვეულება ჰქონიათ, რომ როცა ვინმე ას ნადირს მოკლავდა, თოფი მინაში უნდა დაემაზნა. აუტ.

როდესაც კი ვინმე ჩვენსა სამათხოვროდ მოვიდოდა, აღარ იცოდა როგორ დაჰხმარებოდა: მაშინვე სახილბო გამოუტანდა საქმელ-სასმელს, კარგად გააძლბდა, დანარჩენს კიდევ გუდაში ჩაუდებდა და ისე გაისტუმრებდა, და თუ ვინმე იმათგანი შიშველტრტველი იქნებოდა, იმას კიდევ ჩვენს ნაცვამ ტანისამოსს მისცემდა და შეჰმოსავდა. ამისათვისაც იყო, რომ ჩვენს ოჯახს ბარაქა არ ეკიდებოდა და სულ გაჭირვებაში ვიყავით. დედაჩემს გაგაიყვებოდა თუ ვერა და თვის შვილები. როგორ შეიძლებოდა, რომ იმას ჯერ თვითონ ეჭამა საქმელი, სანამ ჯერ შვილებს კარგად არ დააძლბდა.

ხშირად ვაკეთებდით ხოლმე ხინკალს. ხინკლის გაკეთება უფრო ვახშმად ვიცოდით, რადგან დღისით ამის გასაკეთებლად არავის ეცალბა, მეტადრე საქმის დღეებში, როდესაც ყველანი სამუშაოდ ვიყავით ნასულელები და როდესაც საღამოზე სამუშაოდან დავბრუნდებოდით, მაშინვე ვეცემოდით ზოგი ხორცს, ზოგი შეშას, დედაჩემი ფქვილს მოხვლდა და ხინკალი მზად იყო.

ბევრჯელ მომხდარა ასეც, რომ გვიან გაგვიკეთებია ხინკალი, და ამ ხინკლის მოლოდინში მაგრა დამძინებია, მაგრამ დედაჩემს ლოგინიდან წამოუყენებოდა და უთქვამს: „აბა, შეილო, გენაცვალოს დედა, გაიღვიძე! აბა, ხინკალი არ გინდა? ნახე, რა კარგიაო!“ გამაღვიძებდა და ნახევრად მძინარას მიდებდა პირში ხინკალსა.

ერთხელ გაზაფხულს პირზე, ჩვენ სოფელზე ჩამომდინარი წყალი ჩარგლულა ისე ადიდა, რომ თავის ნაპირზე აყუდებული ბუეები დახრამა და ამ ბუეების პირზე ჩვენი სახლისაკენ მიმავალი გზა სულ მოსპო. აღდგომა მოახლოებული იყო და მოუთმენლად მიელოდა დედაჩემი ჩემი ძმების მოსვლას (ისინი იმ დროს გორში სახელმწიფო, როგორც საახალწლოდ, ისე სააღდგომოდ იმით ორ-ორი კვირით ითხოვდენ ხოლმე დასასვენებლად. აბა, იმათაც რაღა დააყენებდით სახლში წამოუსვლელეებს). დედაჩემს უფერია: „ავი თუ ი ბიჭებს გზაში დაუღალავს. ეს გზა კი აქ გაფუჭებულია, ლამით პნელაში ხომ ვერ შეამჩნევენ და იმ ბუეც კი არ გადაცივიდენო!“ ერთ დღეს წამიყვანა. ნავით თან ერთი ცული, დასჭრა ამ ცულის იქვე ახლო-მახლო მდგომარე ჯაგები და იმ ბუეის პირზე გაამსკრივა, რომელზედაც გზა იყო გაფუჭებული. სწორედ მეორე დღეს, როდესაც მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო, დალილ-დაქანცული სემინარილები კი მოვადგენ კარებზე.

მცხეთიდან ფეხით წამოსულები ერთ დღეს მოვიდენ სახლში. დედაჩემს სიხარულისგან აღარ იცოდა რა ექნა: ხან ტირიდა, თან შვილებს ეხევიდა და ჰკვირიდა. „გენაცვალოსთა დედა, ვინ იცის როგორ დაიღალენით და მშვიერებოცა ხართ, თქვენ ბეჩავებო!“ უთხრა და მაშინვე შეუდგა საეახშმო თადარიგს.

ნიკომ (ბაჩანამ) გორიდან თავის გიტარა მოიტანა, რაზედაც კარგად უკრავდა და მღეროდა. როდესაც იმან ვახშამზე თავის გიტარა ააქურდა და ზედ სედიანი ხმით „მასხოვს პირველად“ დედაჩემს, დედაჩემმა თავი ვეღარ შეჰკავა და მართო კეთილი, რამაც მეც გული ამიწყუდა და ტირილი დავიწყეთ.

დედაჩემი მეტად მგრძობიარე აღამიანი იყო. როგორც ის, ისე მამაჩემი ბუნებით პოეტები იყვნენ. დედაჩემსაც აუარებელი საგმირო ლექსები ეცოდა, ბევრი ზღაპარი და ლეგენდები, რასაც თავისუფალ დროს გვიამბობდა ხოლმე. როგორც მამაჩემი, ისე დედაჩემი ძალიან მშრომლები იყვნენ. ისინი ისე მუშაობდა სულ იმისი საქმე იყო. როდესაც დაფუძლი გამოგველეოდა, საფუძვავი ნისქელიშაიც კი მას მიჰქონდა. ბევრჯელ მძინარას გათენებისას რომ გამომოვლიებოდა, მინახავს დედა ჩემი ბუხართან ზის და გააქვს საჩქერელს წერილოდ, ის მატყვსა სჩქრდა. ბევრჯელ ღამეს ისე გაათენებდა, რომ ლოგინში არც კი დანებობდა მეტაწერი, როდესაც მამაჩემის მოლოდინში იყო. მამაჩემი მაშინ მვეღვლად იყო ხევისურეთში და იქიდან წამოსული ზოგჯელა გათენებისას მოვიდოდა ხოლმე სახლში, გარედან შემოიძახებდა: „აბა ვინა ხართ შინა, ოჯახის შვილებო, გამოხედეთ კარშიო!“ დედა ჩემი გავიფიდა, ჩამოართმევდა ცხენს და თვითონვე დააბინავებდა, თანაც ეტყოდა ხოლმე: „კაცო, რას დახვალ ამ შუალამისას, შე ბეჩავეო? რომ სადმე გადაიჩეხო მაგ კლდე-ღრეებში, ხომ დაშალუბ შენი ცოლ-შვილიო!“ მაგრამ მამაჩემს არ ეშინოდა იმ კლდე-ღრეებისა, როგორც თვითონ მთის შვილსა.

ჩემს მოშობლებს სულ ექვსი შვილი ჰყავდათ: ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. ყველაზე უფროსს გიორგი ერქვა, მისი მომდევნო იყო და მართა. მართას შემდეგ ლუკა (გუა-ფშაველა), ლუკას მომდევნო იყო ნიკო (ბაჩანა), ბაჩანას მომდევნო თედო და სულ უმცროსი მე, სანდრო.

საცხოვრებლად ორი ოთახი და ერთი დარბაზი გვექონდა. ერთი ოთახი განსაკუთრებით მამაჩემს ეკავა, ხოლო მეორე ოთახში დედაჩემი იყო თავის შვილებითა. დარბაზი კი საერთო იყო.

საქმელ-სასმელი სულ ამ დარბაზში გვექონდა. პურსაც კეცებში ამ დარბაზში ვაცხობდით. ამ დარბაზის შუაზე კერა იყო გამართული. თავში და ბლომში რკინის კრებები ეყყო, რაზედაც მთელი ნიფლის ხეს ნაფუდებდით, შეუკუთმებდით სხვა შემასაც და ზედ ამ შემებზე ორივე მხარეს კეცებს



მივაყუდებდით ხოლმე პურისათვის. კერის მაღლა ჭურში საკომი (საკომლე) იყო ამოჭრილი, საიდანაც ბოლი ადიოდა. ჭერიდან კერაზე ჩამოკიდებული იყო რკინის საკიდელი, რაზედაც ყურთან ქვაბებს ვეკრებოდა საჭმლის მოსახარმავად. კერის აქეთ-იქით ჩვენ მოვუსხდებოდით: ერთ მხარეს კაცები, ხოლო მეორე მხარეს ქალები.

ვინადან ეს დარბაზი მეტის მეტად ფარლალა იყო, უღებურბა იყო ხოლმე დიდი ცეცხლი, მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც წინ მუცელზე გვეცხელოდა, ზურგები კი გაყინული გვექონდა სიცვიისაგან. ამასთანავე იდგა ხოლმე საშინელი ბოლი. ამ კერის თავში გვედგა ხოლმე ერთი დიდი ქლა კაპარით (ბურახით) სავსე და ერთიც საფურთით სავსე ქოთანი პურის გასაფუებლად.

### პაპა თელავის სასწავლებელი

გიორგი და ლუკა მამაჩემს პირველად თელავის სასულიერო სასწავლებელში მივღებინებინა. საცხოვრებლად კი ნათლიმამა სინიკო აჯიმაშვილი დოვა დადევნებინა. ამითანავე ჩაეყვანა ჩემი და მართაც. თვითონ სიკოლ ჩარგალში ვაჭრობდა, დუქანი ჰქონდა, მისი ცოლშვილი კი თელავში ცხოვრობდა საკუთარ სახლში.

რადგანაც იმ ჯგუფში, რომელშიაც ლუკა მივლეთ, ბევრი მოწაფეები ყოფილიყვნენ და იმისათვის დასაჯდომი ალავიც კი აღარა ყოფილიყო, ის იქვე საკლასო ოთახის ერთ დიდ ბუხარში მოეთავსებინათ, საიდანაც „მარტოკა გამოვიჭყიტებოდი“, გვიამბო თითონ ვაჟამ.

თელავში ძმები თურმე კარგად სწავლობდნენ. კრივში ხომ პირველები ყოფილიყვნენ. როგორც ამ ორი ძმის ყოფნის დროს, ისე შემდგომაც კიდევ დიდხანს იცოდნენ თელავში კრივი. კრივი უფრო ყველიერში იმართებოდა, რაც თელავლებს ჩვეულებდა ჰქონდათ გადაქცეული. მათთვის ეს კრივი ერთგვარ გართობას წარმოადგენდა. თელავლები ამ კრივის დროს ორ ბანაკად გაიყოფებინა ხოლმე: ძველგალანელები ცალკე და ნადიკერელები ცალკე.

ყველას თავისი ფალავნები ჰყვანდათ. კრივის დროს საცქერლად თელავის დიდი და პატარა სულ იქ იყო. ზოგჯერ ეს კრივი ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცეოდა ხოლმე და, როცა საქმე გაჭირდებოდა, კეტებსა და ქვებსაც იმველიებდნენ, რის გამოც ბევრი მათგანი თავგატეხილი და დასავებული ბრუნდებოდა სახლში.

ასეთი კრივების დროს თურმე ვის მხარეზედაც ეს ორი ძმა ფშაველები იყვნენ, აუცილებლად იმ მხარეს უნდა გაემარჯვა. ჩემს თელავში ყოფნის დროს ბერგულ შემხვედრიან იმთადროინდელი განთქმული მოკრივეები: გოგრაჭამია, ღირჯალა და ბუტყაყა, რომლებიც ქებით იხსენიებდნენ ხოლ-

მე ამ ორ ძმასა. „იმით მეტი ვერავინა გვეცმდაო,“ იტყოდნენ ხოლმე.

იმ დროს, როდესაც გიორგი და ლუკა თელავში სწავლობდნენ, იმავე სასწავლებელში სწავლობდა და იმავე სინიკო ოჯახში ცხოვრობდა თურმე ჩემი ქვისლი ნიკო ნათიძე (მწერალი მელანია), რომელმაც ერთხელ მამამშე შემდეგა: „მე და გიორგი ამხანაგები ვიყავით, ხოლო ლუკა კი დაბალ კლასში იყოყო. როდესაც კი გიორგი სადმე იშოვიდა კარგ წასაკითხს წიგნს და შინ მოიტანდა, ლუკა იმდენს იზამდა, რომ რამენიარად ჩაიგდებდა ხელში ამ წიგნს და ნაუკითხავს არ გაუშვებდაო. თუმცა ლუკა გაცილებით პატარა იყო, მაგრამ როცა კი დამეჭიდებოდა, მაქცევდაო. ის ხანდახან გიორგისაც ეცემოდა და, როდესაც გიორგი მას შორს გასტყორცნიდა, ლუკა მაინც ფეხზე იდგაო.

ერთხელ ღამით, როდესაც გვეძინა, საშინელი ჭექა-ქუხილი ასტყდა, დაუშვა კოკისპირული წვიმა, საშინლად გაილევა, ერთბაშად დაიჭექა და სწორედ იმ ოთახს კი დაეცა მეხი, რომელშიაც ჩვენ ვინჯითო: მე და გიორგი გულგახეთქილები აივანზე გამოვცვივდით, ლუკამ კი ყურიც არ გაიბერტყა, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოსო. მეხი ლუკას ახლო მყოფ ბუხარს დაეცა და კიდევ ჩვენი იღბალი, რომ ფეხზე არ ვიყავითო“.

### პაპა თბილისის სამოქალაქო სასწავლებელი

გიორგი და ლუკა თელავიდან თბილისში გადმოსულან: გიორგი სასულიერო სემინარიაში, ხოლო ლუკა კი საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში. გიორგი თურმე სემინარიაში საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. მაშინ ლექსებიც უწერია. მამაჩემი თურმე გიორგის ძალიან ხელს უწყობდა და თუ რამეს შოულეობდა და პოულეობდა, სულ იმას ანდომებდა. ჯერ იმიტომ, რომ ის სიყრმის შვილი იყო და მეორეც, რომ კარგად სწავლობდა და ლექსებსაც სწერდა.

საგარეოდ მამაჩემს შეეკრებინა მისთვის კარგი ჩოხა-ახალუხი. გაეკეთებინა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, მასრები, შეეკრებინა მაღალქუსლიანი წულები, რომლის ქუსლებზე ვერცხლის ნაღები დაეკრებინა. შეეკაზმებინა მისთვის ვერცხლით დამაზა და გაეკეთებინა გულზე ასახსნელი ამურ-მები, რასაც იმ დროს ფშავეში ხმარობდნენ და ძალიანაც ჰყვნიოდათ.

გიორგის სემინარიაში ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა: ერთხელ, როდესაც ის თავის ამხანაგებით ალექსანდრეს ბაღში მსხდარან, იმ დროინდელ მეფის ნაცვალს მიხვილს გამოვლო, გიორგი და მისი ამხანაგები ფეხზე არ ასდგომოდნენ და მისთვის საღამო არ მიეცათ, რის გამოც ყველა ისინი, სულ 16 კაცი, სემინარიიდან დაეთხოვათ.

ამის შემდეგ რაკი ენახა გიორგის, რომ ის თბილისში ვერსად მოეწყობოდა სწავლის გასაგრძელებლად, პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად შესულიყო იურიდიულ ფაკულტეტზე.

**ვაჟა გორის სასულიერო სემინარიაში**

თბილისში სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლუკა გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდა, სადაც შემდეგში დანარჩენი ძმები ნიკო და თედოც მიიღეს. იქ ამ დროს და შემდეგაც, სხვათა შორის, მასწავლებლად იყო მწერალი ნიკო ლომოური, „რომელმაც ჩვენზე დიდი გავლენა იქონია და ყოველნაირად ხელს გვინყობდა განვითარების მხრივ,“ იტყობენ ხოლმე ჩემი ძმები. ნ. ლომოური ჩემ ძმებს ძალიან უყვარდათ. სემინარიაში ყოფნის დროს დაიწყო ლუკამ ლექსების წერა ჯერ ლიტერატურულ კილოზე „ლ. რ.-ზ.-კ.-შ.-ლი“-ს ხელის მონერით, ხოლო სემინარიის დამთავრების შემდეგ შესცვალა ეს კილო და დაიწერა „ვაჟა-ფშაველა“. მისი პირველი ლექსები დაბეჭდილია „იმედში“.

**ვაჟა მასწავლებლად ეროვნული**

გორის სემინარიის დამთავრების შემდეგ ვაჟა დანიშნეს მასწავლებლად ერწობში, სოფელ ტოლათ-სოფელში, სადაც მე და დედაჩემმაც გავეტარეთ მასთან ერთი ზამთარი. მე და დედაჩემის შემდეგ მასთან გაატარა თითქმის ერთი წელიწადი ჩემმა ძმამ თედომაც, რომელსაც იქ თვითონ ვაჟა ამზადებდა სემინარიაში შესასვლელად.

იმ დროს თვითონ ჩვენს სოფელშიაც იყო სკოლა, მაგრამ რადგან იმ სკოლაში რუსი მასწავლებელი გამოეყოფოდა, რომელმაც ქართული ერთი სიტყვაც არ იცოდა, ხალხმა მამაჩემის მეთაურობით მას ბოიკოტი გამოუცხადა და სკოლაში შეიღებინა აღარ გაეზავნეს, რის გამოც სკოლა მთავრობამ დაკეტა. თედოც რაკი იმ დროს ამ სკოლაში სწავლობდა, სკოლის გარეთ დარჩა და მეტი ჩარა არ იყო, ვაჟასთან უნდა წასულიყო მოსამზადებლად.

ვაჟას ტოლათ სოფელში დიდი ხანი არ უმსახურია, რადგანაც ამავე სოფლის მღვდელმა აღნიშნა დააბეზლა: „ეს მასწავლებელი აქ დასაყენებელი არ არის, რადგან „ნილილისტი და სოციალისტი,“ მონაწიეებს ხელმწიფის საწინააღმდეგო აზრებს უწერგავსო!“ რის გამოსაძიებლად და სკოლის სარევიზიოდ მაშინდელი სახალხო სკოლების დირექტორი დარსკვი მოვიდა. ვაჟამ ის პირველად სკოლაში არ შეუშვა, „ვიდრე არ მიჩვენებთ იმ ქალაქს, რის გამოც მე ბრალსა მდებობი“, და როდესაც კი ქალაქი უჩვენა დარსკვიმ, მაშინ გამოიკვია ვისი ბრალიც იყო. ამის გამო ის სამ-

სახურიდან დაითხოვეს. ამაზედ აქვს ვაჟას მაშინდელი დანერლი ერთი ლექსი, რომელიც მაშინ არ დაუბეჭდეს, სახელად: „მთიელის გოდება,“ რომლის ოთხი სტრიქონი მომყავს:

*„ვერ შემაშინებ, ბილწო თათარო,  
თვალთა ბრიალით, კბილთა ღრჭუნითა,  
ვერ შემაბულებ ჩემ მოძმე ქართველთა,  
თუნდ გადმინეციტო დაწვა-ცეცხლითა.“*  
და სხვა.

**ვაჟა კამბარაშვილი**

მართალია ვაჟა სამსახურიდან დაითხოვეს, მაგრამ ის ამას არ შეუშინდა, ის ჩამოვიდა თბილისში იმ იმედით, რომ ქართველი საზოგადოება დაეხმარებოდა და მოახერხებდა რუსეთში წასვლას სწავლის გასაგრძელებლად, რადგან ის სწავლა, რაც იმასა ჰქონდა მიღებული, არ აკმაყოფილებდა. ჩვენი საზოგადო მოღვაწეებიც დაჰპირდნენ, მაგრამ იმდენი არა მისცეს-რა. იმ დროს ვაჟა სხვა ფშაველებთან ერთად ავჭალის ქუჩაზე კულა გლდანელის ბაკში იყო ჩამომხდარი, სადაც კულას ბაკი ეჭირა და დუქანიცა ჰქონდა. იქ ვაჟა ფშაველებთან ქეიფობს, რომლებთანაც თვითონ კულაა ზის. ვაჟას, სხვათა შორის, ჩამოეგდო ლაპარაკი იმაზე, რომ იმას სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში უნდა წასვლა, მაგრამ საკმაო ფულის უქონლობის გამო ვერ მოიხერხებოდა. მაშინვე ნამომხტარიყო კულა და ვაჟასათვის ეთქვა: „მოგიკვდეს კულა თუ არ დაგეხმარო“. მართლაც კულამ შეასრულა თავისი ნათქვამი: ის ამისათვის ავიდა თიანეთში, გამართა ჭიდაობა და იქიდან შემოსული ფული სულ ვაჟასთვის გადაეცა.

ამის შემდეგ წავიდა ვაჟა რუსეთში და პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად შევიდა, სადაც ჩვენი უფროსი ძმა გიორგიც სწავლობდა.

რაკი ვაჟას ქართველი საზოგადოების იმედი გაუცრუვდა, და იმათგან აღარაფერი დახმარება არ მიიღო, რაც ფული ჰქონდა, ისიც გაუთავდა და მამაჩემსაც აღარა ჰქონდა იმდენი წელი, რომ ვაჟასთვისაც ეგზავნა ფული, ის იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო. პეტერბურგში იმან ორი წელი დაჰყო. სიზმარივით მასსოვს, როდესაც ის ჩამოვიდა, თან ლექსები ჩამოიტანა და სახლში კითხულობდა ხოლმე.

**ვაჟა მართლში და პირველი ცოლის შერთვა**

ვაჟა-ფშაველა რუსეთიდან რომ დაბრუნდა, ჯერ რამდენიმე ხანს შინ იყო, შემდეგ კი ის ქართლში, სოფელ ოთარშენში, ამილახვრებთან შინა-მასწავლებლად მიიწიეს, სადაც დიდ ფეოდალს გიორგი ამი-

ც. ს. ჯ.

ლახვარს ასწავლიდა. „გოგორგი ამილახვარი მეტის მეტი კერპი იყო, იტყოდა ხოლმე ვაჟა, ერთხელ ისე გამაჯვარა, რომ გაბრაზებულმა სილა გაცვხეო და რომ ველარაფერს გახბა, ენა იქვე კედელზე ჩამოკიდებულ თოფს და უნდა ჩემთვის ესროლო, თანაც იმუქრებოდა და ამბობდა: „პაი, დროებს რა უთხრა, რო ვილაცა ფშაველი ამილახვარსა სცემსო“.

ამილახვარიანთ ოჯახშიაც ვაჟა დედხანს არ დარჩა: ამათივე ოჯახში შეუყვარდა მათი ნაბუშარი და მათივე გაზრდილი კეკე. კეკე ობოლი იყო და სხვა პატრონი არა ჰყავდა. კეკე ლამაზი ქალი იყო. მეტად მუსიკეითლი, თავდაბალი და მოსიყვარულე. იმის მზითევს ერთი სკივრი, ორი ხელი ლოგინი, დაირა და ერთი „გარომონი“ შეადგენდა, რომლებზედაც კარგადაც უკრავდა.

ვაჟას მამარჩემისათვის მიენერა, რომ ცოლი შევირთე, მანდ მომყავს და ვინცლო ამა და ამ დროისათვის მცხეთაში ცხენები დამახვედროთ. მამარჩემსაც, როგორც ჩვენი ბიძაშვილები, ისე სხვა ჩვენი სოფელი ახალგაზრდები, სულ ასე 10 კაცამდე თავის ცხენებით, დანიშნულ დროისათვის გამოეგზავნა მცხეთაში. ვაჟას გორიდან ბაჩანა და თედოც გამოეყოლოდნენ. მე კი იმ დროს დუშეთის სკოლაში ვსწავლობდი. დუშეთისაკენ ამოვლისას, ვაჟას თედო კიდევ ჩემთან გამოეგზავნა, რომ ის ბალღიც წამოიყვანო. მე და თედო ვაჟას და მის მაცრიონს სოფელ ჟინვალში დავენეთ. ვაჟა თავის პატარძლით წინ მიდიოდა და ამაყად ივდა ცხენზე.

**პაპა ჩარბაღში**

ამის შემდეგ კარგა ხანს დარჩა ვაჟა მამარჩემთან ჩარბაღში, სადაც მიჰყო ხელი წერასა და თავისუფალ დროს კიდევ ჰშველოდა მამარჩემს იაჯვარო საქმეში. ვაჟას პატარპალიც მალე შეეჩვია ისეთი ავკაბისა და როგორც დედაჩემი მუშაობდა, ისე იმან დაიწყო ყველაფრის გაკეთება. ვაჟას სიყვარულით მან ბევრი გაჭირვება და ხელმოკლეობა მოითმინა.

**პაპა მასწავლებლად სოფელ დიდ თონეთში და დაბრუნება ისევ უპან ჩარბაღში**

რამდენიმე ხნის შემდეგ ვაჟა ახლა სოფელ დიდ თონეთში წავიდა მასწავლებლად, სადაც სამი, თუ ოთხი წელიწადი იმსახურა. იქაც გაუჩნდნენ მტრები, უფრო კი სოფლის წვრილებმა მოხელეები, - მამასახლისი და სხვ. ვაჟა სამსახურს ვერ ეგუებოდა და ჭირივითა სძულდა მოხელენი. ამისათვის იმან ამჯობინა სამუდამოდ დაენებებინა სამსახურისთვის თავი და ისევ მწერლობას შესდგომოდა.

**პაპა ისევ ჩარბაღში**

თიანეთიდან წამოსული ვაჟა სამუდამოდ დარჩა ჩარბაღში. მამარჩემი იმ დროს მღვდლად იყო ჩარბაღში. ხევსურეთიდან ის გადმოიყვანეს თავისი სოფელში, სადაც ის სიკვდილამდე დარჩა. რადგან ვაჟა ამის შემდეგ სამსახურზე აღარა ფიქრობდა და ზედაც დანწრილშვილად, ის უფრო მუყაითად შეუღვდა წერას, რომ ამითი დაეკმაყოფილებინა თავიც და თავის ცოლშვილიცა. მაგრამ ის ამ წერიდან მაინც ბევრს ვერაფერს ღებულობდა და ისევ მამარჩემის ჭირად გახდა თავის ცოლშვილითა. მამარჩემი, რაც შეეძლო, მაინც უწყობდა ხელს და ძალიან უხაროდა, რომ შვილები პოეტები ჰყავდა (ამ დროს ხომ ბაჩანაც და თედოცა სწერდნენ). სახლის წინ ერთი დიდი საგრილობელი ეგვირდა, სადაც ზაფხულში ჩვენი - შვილები, ვიყავით ხოლმე: ჭამითაც იქა ვჭამდით და ძილითაც იქ გვეძინა. თუ სტუმარი ვინმე მოვივიდოდა, იმასაც იქ გამოეფიქრებოდა ხოლმე. ჩემი ყველა ძმები ძალიან კარგი თოფის მსროლელები იყვნენ. ყველას თითო „ბერდანკა“ ჰქონდა ნაშოფნი და სროლაში სულ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხოლმე. ჩვენი სახლის პირდაპირ ბუქში ერთ ნიშანს დავდგამდით და ამ ნიშანს ესროდნენ, აბა, ვინ უფრო მოარტყამსო. ამ დროს ჩვენი სახლიდან ისეთი თოფების გრიალი იდგა ხოლმე, იტყოდა კაცი, მტერი თუ შემოსევითო. ხანდახან თოფს მეც მომიცემდნენ, აპა, შენც ესროლეო! თუ ვინმე ყაბაზს\* დასდგამდა, იქ ხომ ვაჟას ვინ გაასწრობდა და ბევრი ყაბაზიცა ჰქონდა ალებული, როგორც იმას, ისე ბაჩანასა. ზოგჯერ ყაბაზის ასაღლებად ვაჟა და ბაჩანა ერთი დღის სავალზედაც წასულან და აულიათ კიდევ ყაბაზი.

თავისუფალ დროს სათევზაოდ მივდიოდით. თუ თავის ცხენს არ წამოიყვანდა, მაშინ ჩვენ პატარაწილს წამოგვიკიდებდა ვაჟა თავის ბადეს, რომლის სროლა ძალიან კარგად იცოდა. დანარჩენნი აიღებდნენ ნემსკაგებს და სათევზაოდ არავგზე ჩავიდოდით, რომელიც ჩვენი სახლიდან სამი-ოთხი კილომეტრით იქნება დაშორებული. იქ აუარებულ თევზს ვიჭერდით. შემდეგ არავგში ვბანაობდით. ვაჟა, ბაჩანა და თედო ცურაობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხოლმე. იქვე არავგის პირზე თელავლებს დუქანი ჰქონდათ, სადაც, ხანდახან იმ დაჭერილი თევზით მივდიოდით და მოვახარშვნიებდით. დუქნის წინ კარგი ბაღია ჰქონდათ, სადაც ყოველნარი მწვანელულობა ედგათ. საქვიფოდ კიდევ გამართული ჰქონდათ საგრილობელი.

დავსხდებოდით თუ არა ამ საგრილობელში, ვაჟა მაშინვე მოატანინებდა ამ მოხარულ თევზს და ზედაც

\* ძველ ფშაბში დღესაც ჩვეულებად აქვთ, როდესაც ვინმე მიცვალებული ჰყავს, ის ამ მიცვალებულის სატელზე რამეს დაასახლებს, ე.ი. იმის სულის მოსახსენებლად რამეს გადასდებს: ზოგი საქრთვს, ზოგი ტანისამოსს, იარაღს. ამის შემდეგ დანაშაულს კრის დღეს, როდესაც მის სახლში უნდა შეიკრიბონ თოფის მსროლელები. ამითვის მომზადებულ აქვს სასწულ-საქმელი. შემდეგ ის კარგა მორს მანძილზე დასვამს ნიშანს, რომელსაც დაუწყებენ თოფის სროლას. ვინც ამ ნიშანს მოარტყამს, ის დასახლებულ საგანს იმას უნდა მისცეს. თუ ვინცოდა, იმ დღეს ვერავინ მოაწვევდრა, მაშინ მიცვალებულის პატრონი გადააქვს შედგენი დროისათვის. ავტ.



კახურ ღვინოს, რის შემდეგაც ფშაურ სიმღერას დააგუგუნებდნენ. იქიდან წამოსულები, თუ დაღამებული არ იყო, ახლა ჩვენს წყალს ჩარგულლას შემოფეხვითი ხოლმე წემსკავებით და შინაც ბევრი კალმახი მოგვქონდა. ყოველდღე ახალი თევზი გამოილევებოდა გვერდით.

ჩვენი სახლი წამდგომი სამკითხველი იყო. ყოველ კვირა-უქმე დღეებში, როგორც ჩვენი ბიძაშვილები, ისე სხვა ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა სულ ჩვენს სახლში იყრდა თავს, ვაჟა, ბაჩანა და თეოდო უკითხავდნენ სხვადასხვა წიგნებს და თავიანთ ნაწარმოებთ. ძალიან უყვარდათ ჩემი ძმების დაწერილი ლექსები და პოემები, ხოლო „ვეფხისტყაოსანს“-ს ზემოთადაც სწავლობდნენ და ფანდურზედაც დამღეროდნენ.

საზოგადოდ, მთაში უფრო საგმირო ლექსების კითხვა უყვარდათ. ზოგიერთ მათგანს ჩვენსა ნაკითხული წიგნები არ აკმაყოფილებდათ და ახლა თავიანთ სახლში მიჰქონდათ ხოლმე წასაკითხავად. ამიტომაც ჩვენი წიგნები სულ გაჩანაგებულ იყო იმათგანა. იმის გარდა, ჩემი ძმები უცოდინარებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, რის გამოც ჩვენს სოფელში ახალგაზრდა არ იყო, რომელსაც წერა-კითხვა არ სცოდნოდა. სემინარიუმიც კი მოაღებინეს ორი ფშაველი, რომლებიც ჩვენს სახლში მოამზადეს, ერთი მათგანი იყო გრიგოლ აფშინაშვილი (მწერლობაში ფშაველიშვილი) და მეორე კიდევ ჩვენი მომღერალი ნიკო ქუმსიაშვილის მამა, კარატიელი, რომელიც თურმე ძალიან კარგად სწავლობდა, მაგრამ თავის მამამ სემინარიიდან გამოიყვანა და ცხვარეში გაგზავნა. კარატიელი თედოს და ბაჩანას დროს სწავლობდა. კარატიელს, სხვათა შორის, შესანიშნავი ხმა ჰქონდა.

ჩემი ძმები თიბა-უკაში ხომ შეუდარებლები იყვნენ: მეტადრე ბაჩანა და თეოდო, მომიკლებში ვერავინ სჯობდა. როდესაც სამკალად ჩვენს ყანას მოვივლიდით, ერთი ყოინა იდგა ხოლმე. ხუთი მომიკალს ერთი ჩვენი და მართა გვიკონადა ძანა. რასაც სხვები ერთ კვირაში მომიკიდენ, ჩვენ ერთ დღეში ვკიდით, თუმცა ეს ბევრსა ჰპურდა, მაგრამ რას გაანყოზდენ.

მკის დროს სადილს და სამხარის იქვე ყანის პირზე მდგომ კაკლის გრილში ვჭამდით. საღამოზე ყანის მკას რომ მოვრჩევოდით და შინ დაბრუნდებოდით, მაშინვე ხინკლის გაკეთებას შეუდგებოდით. ხინკალს მოჰყვებოდა ლხინი და თამამობა დაირაფ-ფანდურზე. ვაჟას რომ სათამამოდ გადმოიყვანდით, ის ერთს კი დასჭყვილებდა და ჩქინურად დაუვლიდა ხოლმე.

**თვალის გაფშვება**

ვაჟა ლამაზი ვაჟკაცი იყო, მხარ-ბეჭიანი. საირაულში სულ ბიძა ბოივარსა ჰკავდა.

ერთ ზაფხულს ბიძა ჩემმა მწარიად ხარი დაჰქალა: (მწარია, ქვეთარი და ვასილი მამარჩემის ბიძამ-

ვილები იყვნენ). ხარი თურმე ბედნიერით (კიბირის ქართი) ყოფილიყო ავად და კი არა სცოდნოდათ. ვაჟა წავიდა მწარიათან ხორცილათვის და რადგან ხორცი ძალიან კარგი ყოფილიყო; ხარის ნახევარი წამოიღო. სანამ ის შინ ხორცს წამოიღებდა, მწარიას იქვე მწვადები შეენვა და ზედაც ფშაური არავი მიეყოლებინათ. დილით წასული ვაჟა საღამო-ზედა მოვიდა სახლში, კარგად შეზარხობებულ. ხორცი თავის ცხენისათვის აკეიდა. ხორცი მართლაც ძალიან მსუქანი და გემრიელი გამოდგა. იმ საღამოზედვე გამოსჭრა ვაჟამ რბილი ხორცი, რომლისაც ხინკალი გავაკეთეთ და დანარჩენი რბილი ხორცი კიდევ ბასტურმად ქილაში ჩადო.

ამის მეორე, თუ მესამე დღეს ვაჟას სიცხე რომ მისცა და თვალის ქუთუთოზე ქავილი დაუწყო, რაზედაც მუწუქიც გამოიწვია, შეაწყო დედაჩემმა, რომ ის მუწუქი „ბედნიერი“ იყო. მაშინვე ხორცი მიწაში ჩავფალით, რომ ძალღებსაც კი არ ეჭმათ.

ვაჟა ამის შემდეგ ჩანჯა ლოგინში და მთელი ერთი თვე, თუ თვე-ნახევარი ლოგინიდან არ ამდგარა. ვაჟას ცხენიც, რომელსაც ხორცი ეკიდა, არ ასცდა ამ ქირს. მასაც გამოაჩნდა „ბედნიერი“, რომელიც ძლივს მოვარჩინეთ. დედაჩემმა, რომელმაც შესანიშნავი მოვლა და ექიმობა იცოდა, ვაჟა შინაური წამლებით მოარჩინა. მხოლოდ ერთი თვე-ლი კი დაუსახიჩრდა.

**შაჰას ღამიქიმებულება  
ძმებთან და მეზობლებთან**

საზოგადოდ, უმცროს ძმებში, ვაჟას ხანდახან ბაჩანა თუ შეეკამათებოდა, თორემ სხვები რას გავუბედავდით, გვეშინოდა.

რადგანაც ვაჟას ბაჩანა ზოგჯერ არ უთმენდა და შეეკამათებოდა ხოლმე, ვაჟას არ მოსწონდა, რატომ არ მითმენსო.

ერთხელ გაბრაზებულმა ვაჟამ ბაჩანას შამფური დაარტყა თავში, მაგრამ ბაჩანამ ისე მაგრა დაუჭირა ხელი, რომ ვაჟას ის შამფური ხელიდან გაჰკვირდა. ბაჩანა საშინელი ღონიერი იყო.

ვაჟა თუმცა ამაყი იყო, მაგრამ იმას თავის გამოჩენა არ უყვარდა. ერთდგამც ვისმე გაიკნობდა, ის არას დროს არ ეტყოდა მე „ვაჟა-ფშაველი“ ვარო, თავის ცვარს ეტყოდა ხოლმე. ამის გარდა, სუფრაზე ჭიქას ჭიქაზე არავის არ მიუჯახუნებდა, ეს ჩვეულება ქართული არ არისო.

ჩემი ძმები ახალგაზრდობაში თურმე ძალიან რეკოლოციათერობდნენ და როგორც ერთმანეთს, ისე მამარჩემსაც ეკამათებოდნენ სხვადასხვა საკითხებზე, სხვათა შორის – დემეთის ყოფნა არ ყოფნის შესახებაც. მაგრამ პაველ მღვდელი ძალიან მედგრად უხვდებოდა ყველას და არ უფარდებოდა.

ც. ს. ჯ.

ერთხელ ზაფხულში ჩვენს ყანაში მკა არის თურმე გახურებული; ჩემი ძმები ყანასა მკიან, და მართა მნას უკონავს, ხოლო მამაჩემი კი ძნების ხუთეულს აგებს. შუადღემდე კარგი ამინდი ყოფილიყო, მაგრამ ნაშუადღევს ერთბაშად მოედრებულა, თანაც ქარი ამოვარდნილიყო. ამტყდარა სამინელი ჭქაქაქილი და დავსხა შხაზუა წვიმა. მომკლები, რომ არ დასველებულიყვნენ, იქვე ხეებს შეპყარებოდნენ. ამ დროს ისე სამინელად დაიჭქა, რომ ყველანი პირქვე დაცემულიყვნენ. თურმე მები ჩამოვარდნილიყო და იქვე ახლო მდგომ კაკლის ხეს დასცემოდა. ნამომხტარიყვნენ ეს ჩენი „სოციალისტები“, მონებადათ ქუდები, თან თურმე პირველნი ინერენ და ღმერთს ევედრებოდნენ: „ღმერთო შენ დაგიფარე და, ღმერთო, შენ იყავ ჩვენი მფარველი“.

მამა ჩემი კი შესცქერის შორიახლოდან ამ სეირს და სიცილით ეუბნება, „თითქოს, შვილებო, ღმერთი არ იყო, ახლა კარგად მოგაკონდათ“, მაგრამ ვინღა იყო მისი ამომკლები, ისე შემინებულიყვნენ.

თუ ხატობების დროს ვაჟა ფშავეში იყო, ის ამ ხატობებს არას დროს არ დააკლდებოდა და ისეთსავე მონაწილეობას იღებდა მათში, როგორც დანარჩენი ფშაველები. ასეთი ხატობები კი ბევრჯელ იცის: ლამარ-ღელეობა, ცაბურთობა, კოპალას ქვაზე და ჩვენს სოფელში მარიამობა და ამაღლეობა, როდესაც ბევრი ყაბაზიდა დადგმა იციან და ამ ყაბაზებისათვის მთელ დღეს თოფის სროლა. ამ ხატობას დიდი ღრეობა, ლექსაობა და ლხინი იციან. არ შეიძლება, რომ ვაჟა იქა ყოფილიყო და „საკარგამო“ არ დაეღია, ერთელსაც ხევის ბერი აუცილებლად იტყოდა და ყველას ფეხზე ადგომით და ქუდის მოხდით არ გამოეცალა ლუდით სავსე თასი.

ვაჟა-ფშაველა ფშაღის ლამაზ ქალებსაც არ ივიწყებდა და ჩუმად რამდენიმე ნაწალიცა ჰყავდა. ერთი სიტყვით, ვაჟა ჭირში და ლხინში სულ თავის ფშაველებთან იყო და ნამდვილი ფშაველი იყო.

ვაჟას ქეიფე და დროს გატარება უყვარდა, მხოლოდ ძალიან დათრობას კი ერიდებოდა. როდესაც კი შეატყობდა, რომ სასამელი მეტი აღარ იყო საჭირო, რაც გინდა ბევრი ეხვეწნა კაცს, ერთ წვეთს ველარ დალაუციებდა. ზომა იცოდა. ამასთანავე ის მგარი ხასიათის კაცი იყო. რასაც იტყოდა, აასრულებდა კიდევცა. ავიღოთ მაგალითისათვის თუთუნის წევა. ის თუთუნს მონაფებობიდანვე ეწეოდა, მაგრამ ხანში შესულმა სთქვა, აღარ მოვსწევო და მართლაც აღარ მოუწეოდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებს სურს რომ ლამი მასწავლებლად, ბაჩანა, კახეთიდან გადმოსული, ახლა ხევსურეთში დანიშნეს მასწავლებლად, უფროსი ძმა გიორგი რუსეთიდან ჩამოსული თიანეთში ცხოვრობდა, სადაც ის ვექილობას ეწეოდა, და მე კი ისევე ვსწავლობდი. ვაჟა კი იქვე ჩარგაოდნენ დარჩა თავის ცოლ-შვილით. მამაჩემს მხოლოდ ჩემი ჯავრი გაჰყვა, რადგან ყველანი დაბინავე-ბუბუღით იყვნენ ჩემს მეტი.

მამაჩემი რო ყვედებოდა, იმ დროს ვაჟა და ბაჩანა ყოფილიყვნენ სახლში და თურმე ტირილი დაიწყეს. მამა ჩემს ეთქვა: „რა გატირებთ, შვილებო, ყველა სიკვდილის შვილები ვართ და ან რა ჩემისთანა პატარა კაცის სიკვდილი, როდესაც თამარ დედოფელი, შოთა რუსთაველი, ერეკლე და სხვა გამორჩენილი პირნი დაიხოცნენ“.

გაყოფით, მხოლოდ, თუ რამე მოძრავი გვექონდა, ის გაჰყავს. ვაჟას, რაკი შინ დარჩა, მთელი სახლკარი და სახნავ-სათიბი მიწები გაუყოფელი დაუტოვეთ, რომ შემდეგშიაც დანარჩენებს უფლება გვექონოდა იქ მივსვლია და სარგებლობისა.

კახეთში ორი ვენახი გვექონდა: ერთი სოფელ ამბეჭაში, მეორე ართანაში. ის ვენახი, რომელიც ართანაში გვექონდა, მუქთად გადავიყარეთ. ვაჟას მთავრობამ „ნალოგებში“ გაუყიდა, ბაჩანამ კიდევ თავის დროზე არ მიხვდა და მეზურეს მუქთად დარჩა.

შშობლების სიკვდილის შემდეგ ვაჟა-ფშაველას პირველ ხანში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა, რადგან შემოქმადნი აღარავინა ჰყავდა და თვითონ კიდევ რეადციტი იმდენს არ აძლევდა, რომ ეცხოვრა და ცოლ-შვილიც შეენახა. ჯერ კიდევ მამაჩემის სიცოცხლის დროს, ვაჟაკები ვიყავით და ის გვეგონა თითქოს ყველაფერი თავის თავად მოდიოდა. რომ თავის თავად არ მოდიოდა, ეს შემდეგში-ღა ვიგრძენით.

ვაჟას პირველი ცოლიდან ოთხი შვილი ჰყავდა: ერთი ვაჟი და სამი ქალი. ვაჟს ლევანი ერქვა, ქალებს კი თამარი, გულქანი და მარიამი. ვაჟს, როგორც იყო, სათავადანაურო გიმნაზია გაათავებინა და შემდეგ კი სწავლა ველარ გააგრძელებინა უსახსრობის გამო. ქალები კი უსწავლელნი დარჩნენ, მხოლოდ წერა-კითხვა ისწავლეს და საოჯახო საქმე-სამივენი ფშაველებზე გათხოვდნენ. მართალია ვაჟა გაჭირვებითა ცხოვრობდა, მაგრამ ის მინც მეტად დაუღვევარი კაცი იყო. ცოლ-შვილს არაფრად აგდებდა. ამასთანავე თავმოყვარე იყო და არავისთან არ მივიდოდა სათხოვნელად. გაჭირვებითა ცხოვრობდა, მაგრამ არ უტყდებოდა.

**შშობლების სიკვდილის შემდეგ**

**პაპს დაჲა მთაპრობასთან**

შშობლების სიკვდილის შემდეგ ძმები გავიყარენით, მაგრამ რა გავიყარენით, როდესაც ცხოვრების პირობებმა თვითონ გაგვყარა: თელი ქართლში სოფელ ხელათუბანში წავიდა ქართველთა შორის

ჩარგების კარს, არაგვის პირზე მრავლად გამოდის მუყევი წყლები და აგრეთვე გოგირდისა. ამ წყლებთან პატარა მინის ნაჭერი გვეჭირა, რომელსაც

92927

კარგა დიდხანსა ვფლობდით. იმ ადგილს ვაჟამ ხელი ჩასჭიდა და დაუწყო მთავრობას დავა, რომ ეს ადგილი მე მეუთუნისო. მართლაც იმდენი ედავა, რომ ბოლოს საკუთრებად დაინარჩუნა. ახლა მჟავე წყალზე დაუწყო დავა და რომ საბუთები ჰქონოდა იმის დამამტკიცებელი, რომ ის მჟავე წყალიც იმისი იყო, ამისათვის, ამ წყლებზედ სამკურნალოდ მოსულ თუშებს ორ-ორ შაურს, თუ თითო აბაზს ახდევინებდა მთელი ზაფხულის განმავლობაში და სათანადო ქვითრებსაც აძლევდა. ამან თუშების მხრივ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

როდესაც ძმებმაც ვუკოჩინეთ მისი ასეთი მოქმედება რაღაც გროშების გულისათვის, იმას გაეცინა და ერთხელ ვგიჟთრა: „ბიჭო, იქნება შენა გგონია, რომ დავისაკუთრებ და არავის ვასარგებლებ? მე მარტო ჩემთვის კი არ მიინდა, ჩვენი ხალხისთვის მიინდა. ოღონდაც კი ამ მთავრობას გამოვგლიჯო ხელიდანაო და თუ რაღაცა კაპიტებს ვახდევინებ და ქვითრებს ვაძლევ, ეს საბუთებად გამომადგება საჩივრის დროსაო“. ბევრი კი იმ აზრისა იყო, რომ ვაჟა მისსაკუთრებდა იმ მჟავე წყალს და ბატონობას მოინდომებდა. ამის გარდა ის მთავრობას ტყესაც ედავებოდა, რის გამოც მაშინდელ ტყის მცველთან დიდი უსიამოვნება ჰქონდა. ერთხელ იმ ტყის გულისათვის დაჭერილი და ხელბეშეკრული გაუა თიანეთშიც კი ჩაეყვანათ.

**შაჰს ღამრიკიღვშუშუგა პოლიტიკურ მოძრაობისადმი**

ვაჟას თუმცა თავისათვისაც არა ჰქონდა-რა, მაგრამ რაც ჰქონდა, ისიც სხვებისათვის არა შურდა. რამდენ პოლიტიკურს შეუფარებია იმის სახლისათვის თავი. მაგრამ ვინ დაინახა? ეს რომ მაშინდელ მთავრობასა სცოდნოდა, მაგნი პირზე არ აკოცებდნენ, მაგრამ ვაჟას ამისი არ ეშინოდა.

1905 წელს მოძრაობის დროს, ჩემი ძმა თედო და იმისი ქვისლი განვიძეც, რომელიც წითელ-რაზმელი იყო, გაიქცენენ ფშავში და ვაჟასთან შეაფარეს თავი, სადაც იმათ ერთი ზამთარი დაჰყვეს. ეს ამბავი ასე მოხდა: მე თბილისიდან რამდენიმე დღით თედოსთან წავედი ქართლში. სოფელ ხელთუბანში იქაურ თუშანოვების დაბეზღების გამო, მე, თედო და მისი ქვისლი ყაზახებმა დაგვიჭირეს, მე რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გამანთავისუფლეს, ხოლო თედო და იმისი ქვისლი კი თბილისში მეტრის ციხეში გადმოგზავნეს. მაშინდელ გენერალ-გუბერნატორ ალფრანგის ვანკარგულებით თედო ოლონეცკის გუბერნიაში სამუდამოდ იყო გადასახლებული. გაგზავნეს კიდეც, მაგრამ ამნისტიამ გზაში მოუსწრო და ისევ უკან დააბრუნეს, მაგრამ დიდხანს არ გაგრობდებოდა ეს ამბავი, რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო საშინელი რეპეტია. დამსჯელი ექსპედიციები

დაიარებოდენ სოფლიდან სოფლად და ცუცხლში და მახვილით უმასპინძლებოდენ, სადაც კი შენიშნულენ ეგულებოდათ. სხვათა შორის თედოს სახლსაც მიადგენ, მაგრამ თედომ და იმის ქვისლმა თავს უშველეს და ფშავში გაიქცენენ. მაშინ მთავრობის თედოს სახლს და ზარდაზნებულ ხელ მთავრ-მოანგრიეს. მაშინდელი ნასროლი სუმბარა სულ კი ისევ არის თედოს სახლის კედელში გაჩხირული.

**შაჰს სულ შურისი ძმის მიმართ**

შობობების სიკვდილის შემდეგ, ვიდრე სასწავლებელს დავამთავრებდი, ცხოვრება მეც ძალიან გამძინელდა, რადგან ცარიელ-ტარიელს რით უნდა მეცხოვრა. ვაჟა თვითონაც გაჭირვებული იყო და აბა რა უნდა მეთხოვა, მაგრამ ის მაინც შეუღებინებდაგვარად მიგზავნიდა ხოლმე, აგვრებდნენ ბაჩანა. მხოლოდ უფრო თედოს დახმარებით ვაკვთავებ სასწავლებელი. თუმცა სწავლის გაგრძელება მიინდოდა, მაგრამ რითი გამეგრძელებინა, როდესაც მე თვითონ არაფერი მქონდა და ჩემ ძმებს კიდეც თავიანთი ცოლშვილიც ვერ შეენახათ. ბოლოს იძულებული გახვდი სამსახურში შეესულიყავი. სასწავლებელში ყოფნის დროს ვაჟამ ფული რომ გამომიგზავნა, შემადგა მწერდა: „ძმაო **ს ა ნ დ რ ი**! გიგზავნი ექვს მანათს. მეტი უნდა გამომიგზავნა, მაგრამ ვერა ვარ იმ ადგილას. შენც უნდა მომიტყუო. მე რე კიდევაც გამოგიგზავნი, ოღონც თავის საქმეზე მუყაითად იყავი. ჩვენ ვარცა ვართ, ხოლო შენი ამბის გაუგებლობა გვანუნებს. წიგნი მომწერე, იყავ მშვიდობით. სააღდგომოდ წამოდი, თუ არ დაგეზარება.

შენი ძმა **ვაჟა-ფშაველა**“.

აი მეორე წერილიც: „ძმაო **ს ა ნ დ რ ი**! შენგან ერთის წერილის მეტი არ მიმიღია და ისიც მაშინ მივიღე, როცა დღემთიდად დაებრუნდი. ფული გიგზავნილი მქონდა. ეხლა ქვეთარს ვაჭან ერთ მანათს ფულსა შენს საგზაოდ. ცხენი ერთის კვირის მეტი ხომ იცი არა მყავს და ნუ დაწმინდურები, ქვეითი წამოდი. სააღდგომოდ პირდაპირ მენ მოდი. აქ კიდეც ფულს გიშოვნი, ისე არ გაგზავნი.

შენი ძმა **ვაჟა-ფშაველა**“.

**შაჰს შურისი ძმის მიმართ**

ჩაცმა-დახურვით ვაჟა უბრალოდ იცვამდა: ტანზე ჩოხა-ახალუხს იცვამდა, ფეხებზე ხან ყელიან ჩუსტებს, ხან ჩექმებს ატარებდა.

თავზე ტყავის ქუდას იხურავდა, ნელზე ხანჯალს ირტყამდა, თუ სადმე შორს მიდიოდა, მაშინ ხმალსაც ჩამოიკიდებდა ხოლმე. ამასთანავე თავის თოფსაც არ ივიწყებდა და თავის ძველ ნაბაღს. როდესაც თიანეთში ჩავიდოდა, აუცილებლად ჩვენ ძმა



გიორგისთან უნდა დამდგარიყო, რამდენჯერ უკი-  
ფინებდა ხოლმე გიორგი ვაჟას იმის ძველ ნაბადზე:  
„არ იქნა, ვერ მოიშორე ე შენი ნაბადიო“. მაგრამ  
ვაჟა მაინც არ იშორებდა. გიორგის ეფიქრა: ამას  
თუ ძველი ორი არ უყავი, ეს ამ თავის ძველ ნაბადს  
არ მოიშორებესო: და მართლაც მოაშორებინა.

ერთხელ, ვაჟა თიანეთში გიორგისთან ყოფნის  
დროს, თავის საქმეებს რომ მორჩენილიყო, შინ  
ნასვლელად მომზადებულიყო: შეეკაზმა თავის  
იორლა ცხენი. აეკიდნა ბურჯინი, გავაზე კიდევ თა-  
ვისი ძველი ნაბადი დაეკრა, თვითონ კი ბაზარში წა-  
სულიყო. ამ დროს გიორგის ეპოვა დრო: მოეხსნა  
ცხენისათვის ის ნაბადი, გაეშალა, თავის ცხენისათვის  
ამ ნაბიდან ორი თექალთო გამოეჭრა, შემდეგ დაეხ-  
ვია ისევ ნაბადი და ისევ დაეკრა ვაჟას ცხენისათვის.  
ასე, რომ ვაჟას ეს ამბავი არა სცოდნოდა. როდესაც  
გამოეთხოვა ვაჟა გიორგის, მოახტა თავის „ნიკორას“  
და მოუსვა შინსაკენ. ივრის მინდორი რომ გაიარა,  
მიადგა სოფლიონის მთას. სოფლიონის მთას რომ  
გაივლის კაცი, იქიდან ჩვენს სოფელს გადაჰხედავს.  
ვაჟაც შეუდგა ამ მთას თუ არა, ერთბაშად თურმე  
კოკისპირულმა წვიმამ ექ დაასხა. მოხსნა ვაჟამაც  
ცხენის ის თავის ნაბადი და მოიხვია, მაგრამ, ნაბადმა  
წვიმა ვერ დაიჭირა და უშენს ვაჟას შიგ ზურგში. ვა-  
ჟაც ხან იქით მიუბრუნებს კალთებს ნაბადს და ხან  
აქეთ, მაგრამ წვიმა თავისას არ იშლის. ბოლოს რომ  
მოუსვ-მოუსვა ხელი და კარგად გაშინჯა, ჰხედავს,  
და რას ჰხედავს? იმის ნაბადში ისეთი ფანჯრებია  
გამოჭრილი, რომ შიგ თურმე ბულა კამეჩი გაძვრება.  
მაშინღა მიხვდა ვაჟა ვისი „ძაღლობაც“ იყო ეს ოინი,  
მაგრამ რაღას გაანყობდა?

ასე კი მოაშორა გიორგიმ ვაჟას ის თავისი ძვე-  
ლი ნაბადი.

### პაპა და სათავად-აზნაურო ბანაძე

როგორღაც მოხდა, რომ მაშინდელი სათავად-  
აზნაურო ბანკიდან თვეში ხუთი თუმანი პენსია  
დაუნიშნეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ  
მიუსპეს. დახმარება რომ ამ მოესპოთ, მისი საქმე  
ძალიან კარგად იქნებოდა: შეიღებდაც ასწავლიდა  
და თვითონაც უფრო ბევრს დასწერდა. მაგრამ სად  
იყო იმდენი შეგნება ჩვენს საზოგადოებაში? ამის  
მიზეზი, თურმე როგორც ბოლოს გამოირკვა, იყო  
ისა, რომ ვაჟა ჩამომავლობით თავადიშვილი არ  
იყო. ამაზე ვაჟას ერთი ლექსი აქვს დაწერილი,  
რომელიც აქ მომყავს:

### სათავისოდ (კაფია)

*„ავიდ დავილე ცხოვრება,  
ჩემი შრომა და კაცობა.  
მე დიდკაცობად არ ვსახავ,  
ტანჯვა ჩემთვის არს გართობა:  
სხვებმა კი დიდად მიიღეს,  
მომხსენიეს ქებითა –  
ხარი ფერდ-ფერდზე მიკრული  
შემომტვრეული რქებითა.  
აღარც თივა ჩემთვისა,  
აღარც ბზე, აღარც ნეკერი;  
ქება და ქება უსაზღვრო  
მხოლოდ საღამო ერთფერი...  
ამ ოინების მხილველსა  
ჩამეცილება მწარედა:  
თუ მართლა კარგი რამა ვარ  
რად გამომგდეს გარეთა?!  
ამასღა ვამბობ: ალბათა  
კიდევ თუ რამე მაკლია?!  
ვიცი და იმსვე ვგოდებ,  
ერთი დიდი მაქვს ნაკლია,  
ის ჯადოდ ამეკვიტა,  
იღბლივც შუა გამოიყო...  
რა იქნებოდა მაშინა,  
ნეტავ, კნიაზიც რომ ვიყო?!  
– სრულ მყოფდა ჩემს პოეტობას  
და ყველაფერიც მზად იყო!..*

### პაპა პახეთში სანადიროდ და პირველი ცოლის სიკვდილი

ვაჟას როგორც თევზაობა და თევზი, ისე ნადირო-  
ბა და ნადირივე ძალიან უყვარდა. რადგანაც ზამთრო-  
ბით ფშავში იმდენი სანადირო აღარ იყო რა, ის მა-  
შინ სანადიროდ კახეთში მიდიოდა ხოლმე, უფრო კი  
ყვარელში, სადაც ჩვენი და მართა იყო გათხოვილი.  
ვაჟა იქ ჩვენ დისწულ მიხასთან და სიძე მეტესთან ერ-  
თად ბევრს ნადირსა ჰხოცავდენ. ნანადირეებს უმეტეს  
ნაწილად ნაცნობ-მეგობრებს უგზავნიდენ, სახლში  
სჭამდენ და ბოლოს ფშავში რომ ბრუნდებოდა, ზოგიც  
კი მიჰქონდა ვაჟას.

ერთხელ ზამთარში, როდესაც ვაჟა ყვარელ-  
ში სანადიროდ იყო ნასული, სახლში ცოლ-შვილი  
ავად გაჰხდომოდა. ყვარელში ის დისწულ მიხას-  
თან ერთად ნადირობს: ჰხოცავენ ირმებს, გარეულ  
ლორებს, მშვლებს და დათვებს. იმას ისე გაუტყპა  
ყვარელში ყოფნა, რომ მიუღი დაავიწყდა თავისი  
ცოლშვილი.

ალბათ გულმა თუ გაუგო ვაჟას ცოლის უკა-  
ნასკნელი დღეები და ყვარელში ჩაგურგულაზე  
ყოფნის დროს დაეწერა ერთი ლექსი:



შენმა სურვილმა დაძლია,  
 შენზე ფიქრმა და სევდამ.  
 შორს წასვლამ, ხშირად გაყარამ,  
 გულის თვალებით ხედვამ.  
 მაოცებს შენი გამზრდილი,  
 ვინც შენ გავ ზარდა დედამ.  
 კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,  
 მე გულის მანევხარ ნისლად.  
 მინდა რო მსულდე, მოგშორდე,  
 გულზე მობმულო ლვილად.  
 და სხვ.

ერთ ღამეს ვაჭა ცუდ სიზმარსა ჰხედავს. მეორე დღეს რომ გაიღვიძებს, ჩვენს და მართას ეუბნება: «დაო, წუხელ ძალიან ცუდი სიზმარი ენახე და რალც უხედურება უნდა იყოს ჩემს თავსაო». მართლაც, მეორე, თუ მესამე დღეს მოსდის ვაჭას ჩარგლიდან კაცი ბაჩანას წერილით, რომელიც ატყობინებდა ცოლ-შვილის ავადმყოფობას და სწერდა რომ ოჯახისათვის მალე მიეხედნა.

თუმცა ვაჭას ცოლი კიდევ მოჰკედომოდა, მაგრამ ამას ბაჩანა არ ატყობინებდა. ის ბაჩანას კიდევ დაესაფლავებინა. როდესაც ვაჭას ეს წერილი წაკითხა, წამომხტარიყო და ჩვენი დისათვის ეთქვა: «აი, დაო, ჩემი სიზმარი რაზე ამიცხადდაო». მას შემდეგ დიდი ხანი აღარ დაეყოფნებინა, ამდგარიყო, შეეკაზმა ცხენი, თან ჩვენი და მართაც გაჰყულოდა და ჩარგალში წასულიყვნენ, სადაც შვილები ავადმყოფები დაჰხედროდნენ, ხოლო ცოლი კი უკვე დასაფლავებული. ამის შემდეგ დაქვრივდა ვაჭა და გლოვის ნიშნად, როგორც მთაში იციან, თმა-წვერი მოუსვა და ერთი წლის განმავლობაში აღარც უმღერია, თუმც იმ ხნის განმავლობაში ბევრი «სიმღერა» კი დასწერა.

### მეორე ცოლის შერთვა

რადგან ძნელი იყო ვაჭასათვის შვილების მოვლა-პატრონობა, ის იძულებული გახდა მეორე ცოლი შეერთო, რომელიც სოფ. ხორნიდან\* მიიყვანა, სხვის ნაცოლარი – დიდებანთ ქალი – თამარი.

მეორე ცოლიდან მხოლოდ ერთი ვაჭი ეყოლა, ვახტანგი. მეტ სახელს «ჩონქარა»-ს ეძახდა და მომავალში ის მასზედ დიდ იმედს ამყარებდა.

### ვაჭას მრუმორფუნეობა

ვაჭას, როგორც სიზმარი, ისე ცხვირის დაცემინება და მკითხველები ძალიანა სწამდა. როდესაც კი ცხვირს დააცემინებდა, იმ დროს თუ ვინმე არ ეტყოდა: «ხეირი!»-ო, ის თავის თავს თვითონ ეტყოდა ხოლმე: «ხეირი ჩემო თავო, ხეირიო!»

ვაჭას დილ-დლით თავის ბოსტანში უყვარდა ხოლმე ვასკლა. ერთხელ, ჩვეულებებისაგან, ის დლით თავის ბოსტანშია, იმისი პატარა ბიჭი ვახტანგი კი იმ დროს ჩვენი სახლის გაღმა გორაზე ძროხებს აძოვებდა. ვაჭას რომ ამ ბოსტანში ცხვირს დააცემინა, ვახტანგს იქ – გორაზე გაეგონა. ვახტანგი რომ შინ მოვიდა და შევიდა სახლში, ვაჭა იმ დროს თავის ბუხართან ზის და რაღაზედაც ფიქრობს. მივიდა ბაღლი ბუხართან და ვაჭას ეუბნება: – იცი, მამაე, შენ რომ ბოსტანში ცხვირს დააცემინე, მე იქ ახუნის გორზე გავიგონეო! – მერე, რო გაიგონე, «ღვთის წყალობა» არ მითხარიო?

– აბა რას გეტყობი, შენ კი ვერ გაიგონებდიო, – ეუბნება ვახტანგი. – მე თუ ვერ გავიგონებდი, ღმერთი ხომ გაიგონებდა, შე არ გასაზრდელიო, შენაო, დაუყვირა თურმე ვაჭამ და მოეცხო კიდევ ამ ბაღლისათვის სილა ყბაში, რომელიც ღრიალით კარში გაამოკრანდილიყო.

წინათ ავლაბარში ერთი გათქმული მკითხავი ყოფილიყო, სახელად «კოდელი ნინო». ერთხელი, მამა-ბაბო ვაჭამ, იმ კოდელ ნინოს ვაკითხვინე, და, სხვათა შორის, მითხრა, რომ «სახელთან კაცი გამოხვალო».

აქ, ჩემთან, თბილისში ყოფნის დროს ვაჭა ხომ საქმეს უჭირებდა ხოლმე ჩემს მეუღლეს: «რძალი, ბაბო, აბა ერთი ქალაღი გამიშალე მალე იქნება ის ფული თუ არაო?» როდესაც რედაქციებიდან ფული ელოდა, მაშინ იცოდა ხოლმე ქალაღის გაშლინება. ხან და ხან თვითონაც უშლიდა ხოლმე ქალაღს თავის თავსა. ერთხელ ჩემმა სახლობამდა წაიყვანა ავლაბარში მკითხავთან, რომელსაც იგივე ეთქვა ვაჭასათვის, რაც «კოდელ ნინოს».

### ვაჭა თბილისში ჩამოსვლის მომენტები

ვაჭა-ფშაველას ფშაველი წერა ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდა, მეტადრე ზამთარში, იმ ბნელსა და ნესტიან ოთახში, რომლის დაბალი ფანჯრები ნახევრად სულ ქალაღით იყო გაკრული და გაბოლილი, ღამით კიდევ მსუბუტავ ლამფაზე. ამიტომაც ის ხშირად თბილისში ჩამოდიოდა და ჩემთან ცხოვრობდა ხოლმე, ჩემს ბინაში ერთი პატარა ოთახი ჰქონდა დაჩემებული და იქა სწერდა. როდესაც სადღეს მოვრჩებოდი, ის ცოტას ნაიძინებდა და როცა გაიღვიძებდა, მაშინ შეუდგებოდა ხოლმე წერას. როცა რამეს დასწერდა, თავის ოთახიდან გამოძახებდა: «სანდრო, აბა, გამოდი აქა, ყური დაუდგე შენს ძმას, რა დავწერე, ერთი ნაიკითხო!» მეც მაშინვე გავიდოდი და ყურს დაეუდგებდი, რის შემდეგაც მოუწონებდი და ისიც ნასამოვნები მეტყობდა ხოლმე «იცის და შენმა ძმამა!» ფშავიდან ჩამოსული ვაჭა, სახლში რომ ცოტას დაისვენებდა,

\* სოფ. ხორნი მდებარეობს ხორხულას ხეობაში, ჟინვალთან რვაოდე კილომეტრის დაშორებით.

წერა-კითხვის საზოგადოებაში წავიდოდა ხოლმე და იქიდან რედაქციებში, ნაწერები მიჰქონდა.

ერთხელ სახლში ძალიან გაჯავრებული მოვიდა. როცა მიზეზი ვკითხე, ვაჟამ მითხრა: „კაცო, მოდი და კაცი ნუ გაჯავრდება, როდესაც ნაწერები კი უნდა და ფულის მოცემა კი ეზარებათო. ის ნინო ნაკაშიძეზე იყო გაჯავრებული, რომელიც იმ დროს „ნაკადული“-ს რედაქტორად იყო. მაშინ „ნაკადულს“ ძმანი ზუბალაშვილები აძლევდნენ დახმარებას. „კაცო, შემძვრალან შიგა თავგებივით ზუბალაშვილების საკუყნაოში და არზებინად ჰზრავენ, შენ კი, ვაჟა-ფშაველავ, მოითმინეო!“ ამის შესახებ წერილიც კი მოათავსა „სახალხო ფურცელში“. იმის შემდეგ ვაჟას აღარ უთანამშრომლია „ნაკადული“-ს რედაქციაში. თბილისში ვაჟას უყვარდა ხოლმე დროების ტარებაც. ხან ძმ. ხელაშვილების სარდაფში, რომელსაც ვაჟამ „ქოსები“ დაარქვა, ხან „ოსების“ რესტორანებში, ან კიდევ ს. კურდღელაშვილის სარდაფში, „პურ-ლეინოში“ და სხვ. რადგანაც ვაჟას ბევრთან უყვარდა დროების ტარება, ამისათვის ყოველთვის რამდენიმე კაცი უნდა ვყოფილიყავით ერთად. ჩვენთან ხშირად იყვნენ ხოლმე შიო მღვიმელი, ივანე ბუჭურაული, ვასო მათურელი, ვალო კუცია, იროდიონ ევდოშვილი, დავით პავლიაშვილი („ნაპოლეონი“), ნიკო კურდღელაშვილი, ილია ალადაძე, ია ეკალაძე და სხვანი.

ერთხელ როგორღაც მოხდა, რომ ვაჟა საახალწლოდ აღარ ჩამოვიდა თბილისში და სამაგიეროდ ასეთი წერილი მომწერა:

*ძმო სანდალაე!  
მოგილოცავ ახალწელს,  
დაენარჩირა მრავალსა,  
თუ იკითხავთ ჩემს ყოფნას,  
ჩემ თავ-გადასავალსა,  
არა მიჭირს დღესნამდევ:  
ხინკალსა ვჭამ მრავალსა.  
ვაყოლებ ზედ მუავე წყალს  
კლდოდან გამონავალსა.  
შენ, ვასო\* და შიო\*  
და ივანე თუშია\*  
„ქიზიყელთა პადვლიო“  
ვისაც დაუფუშია, -  
რომ დასხდებით და ჩემზე  
გეცინებათ გულშია,  
უწურულლებთ რაღაცას  
ერთმანერთსა ყურშია,  
თან „ილიკოურს“ სვამთ  
გამოდიხართ მუქთშია. -  
ამ ეპისტოლეს გიძღვნით,  
მე მოვდივარ ველარა.  
ვინ იცის ვიხარიათ,*

*რომ მოგშორდათ ბეგარა?  
მაგრამ ერთხელც იქნება  
გესტუმრებით კიდევა,  
და მაშინა ვამ-კარი  
თქვენი გადაირევა!*

ეს ეპისტოლე გიძღვნით და თქვენ რომ არაფერს მიძღვნით, ეგ რა მიზეზია? გადაუცი ჩემ მაგიერი მოკითხვა ჩემ რძალ მაბოლან დაწყებული ყველას, ვინც კი იკითხავს ჩემს ამბავს. რა გულითაც ვინ მიკითხავს, ღმერთმა ყველას იმ გულით უშველოს. ჩვენ კარგადა ვართ. ლუარსაბი თუ პნახო, უთხარი წერილის პასუხი მალე მომწეროს.

შენი მოსიყვარულე ძმა ვაჟა

1912 წ. 8 იანვარი

**პაპა და მთიულთა ახალშენი შირაქში**

ვაჟას სადღაც ყური მოეკრა, რომ შირაქის ველზე რუსები უნდა დასახლონო. რადგანაც ვაჟამ კარგად იცოდა მიზანი ნიკოლოზის მთავრობისა, ის მაშინვე დატრიალდა, მოუხზო ყველა ჩვენს მთიელებს: ფშაველებს, მთიულელებს, ხევსურებს, მოხვედებს, გულდაჩაყრელებს და სხვებს, რომ შირაქში დასახლებულიყვნენ. მართლაც მაშინ მსურველი ძალიან ბევრი გამოჩნდა და დასახლდნენ კიდევ შირაქში, სადაც ორი სოფელი დააარსეს: „ქვემო ქედი“ და „ზემო ქედი“. თვითონ ვაჟა კი წამუხებულად ამოირჩიეს და იქ სახანავ-სათიბი ადგილიც მოუზომეს იმას, მაგრამ ვაჟას იმ მამულით არ უსარგებლია და ისევ სხვებს დარჩათ. ეს ამბავი, რასაკვირველია, მაშინდელ მთავრობას და თუმ-მსხვილ მეცხვარეებს ჭკკაში არ დაუჯდათ, რის გამოც ასტეხეს ერთი აურ-ზაური და საჩივარი, მაგრამ ვაჟამ თავისი გაიტანა და ის გადასახლებულები დღესაც იქა ცხოვრობენ.

ლოზინო-ლოზინისკის გუნერნატორობის დროს, ვაჟა ვილაცას შეეგულთანებინა: მომრიგებელ შუამავლის ადგილი რომ ითხოვო, მოგცემენო. ამ თანამდებობას, როგორც მოგესვენებათ, იმ დროს უფრო თავადიშვილებს აძლევდნენ. ვაჟასაც ჭკკაში დაუჯდა ეს ამბავი, თუ, რასაკვირველია, თიანეთის მაზრაში მისცემდნენ ამ სამსახურსა. ამის გამო ის აქ ჩამოვიდა, ერთი თვე თუ რაღაც თვენახევარი ემზადა და გამოცდა ჩააბარა, მაგრამ აქაც ბედმა უშუხილა ვაჟას და თიანეთის ერთი თავადიშვილი დანიშნეს. ეს ვაჟას ძალიან ეწყინა და თუმცა სხვა რაიონში აძლიეს ასეთივე სამსახური, მაგრამ უარი სთქვა სამუდამოდ.

\* ფშაველი ვასო მათურელი.  
\* შიო მღვიმელი.  
\* ივანე ბუჭურაული - მწერალი.



**ვაჟას „ცრემლების“ გამოცემა და  
ძმების მიმართ**

ამ 25, თუ 26 წლის წინათ, ვაჟა-ფშაველას ნებარ-  
თვით, მ. გაჩეჩილაძემ, რომელსაც იმ დროს სტამბა  
„სორაპანი“ ჰქონდა, მისი ზოგიერთი რჩეული ლექსები  
ცალკე წიგნად გამოსცა („ცრემლები“). პირობისამე-  
ბრ, გაჩეჩილაძემ ვაჟას ნაწილი ფულისა წინდანიხვე  
მისცა. დანარჩენი წიგნის გამოცემის შემდეგ უნდა  
მიეცა. ცოტა არ იყოს, გაუჭიანურა. ასე რომ, საქმე  
ბოლოს „სამედიატოროდ“ გაუხდათ. მედიატოროდ,  
სხვათა შორის, სამსონ ფირცხალავაც იყო.

მედიატოროდ საქმე ვაჟა-ფშაველას სასარგე-  
ბლოდ გადასწყვიტეს ასე, რომ ის დანარჩენი  
ფული გაჩეჩილაძეს შიო მღვიმელისათვის უნდა  
მიეცა, ხოლო შიო მღვიმელს კი ჩემთვის უნდა  
გადმოეცა, გაჩეჩილაძის, როგორც იყო, ფული შიო  
მღვიმელისთვის მიეცა, მაგრამ რადგანაც შიოს ეს  
ფული შემოხზარჯოდა, დროზე ვერ გადმომიცა. იმ  
ხანებში ზედ დატანებით, ერთმა მთიულმა, გვარად  
ბურდულმა, ვაჟა-ფშაველასათვის მიძღვნილი ლექ-  
სი მომიტანა და მთხოვა, რომ ის ლექსი რომელიმე  
გაზეთში დაბეჭედვინა, რადგანაც მე არ მიბეჭდავ-  
ენო. მართლაც, ვინ დაბეჭდავდა იმ ლექსს, რომელ-  
შიაც: „ჰა, ბეჩავ კენესამე ბალებო“ და „დედო-  
ბილთ მიერ კენესამეს“ მეტი შიგ არა იყო რა. ვაჟას  
ერთხელ რომ ის ლექსი მოუტანე და ნაიკითხა, სი-  
ცილისაგან მუცელი ხელში მეჭირა.

ვაჟა-ფშაველა ახალგაზრდობას თუ ამაყი, მოუთ-  
მენარი და სასტიკი იყო, სამაგიეროდ ის ხანში შე-  
სული ძალიან დადინდა. ძმებს ერთმანეთი ძალიან  
გვიყვარდა და უერთმანეთოდ მზე არ ამოგვდიოდა.  
როდესაც კი ერთად შევიყრებოდით, ჩვენ დანარ-  
ჩენი ძმები, ვაჟას ხან რაზე დავეცინოდით და ხან  
რაზე. უფრო კი იმის ჩამოგლეჯილ თვალებ ვიცი-  
ნოდით ხოლმე და თვითონ იმასაც ვაცინებდით.  
ხანდახან ეს ჩვენი ზუმრობა ლექსობაზედაც კი  
გადადიოდა ხოლმე, რადგანაც მაშინ გაჩეჩილაძის  
საქმე და ბურდულის ლექსი კარგი მასალები იყო.  
ვაჟა ამ ბურდულის ჰანგზე პირველად მე ვაღუქქე,  
რომლის ნაწილიც აქ მომყავს.

**მზამკა ბურდულისა**

*(ვაჟა-ფშაველას და  
გაჩეჩილაძის ბრძოლის გამო)*

ჰა, ბეჩავ, ვაჟას კენესამე,  
ცალ თვალს რომ ვერა მხოუჭავსა;  
ლოქო თევზს ძაან რომ სწყალობს,  
ზედაც ნუნუას ჰყლურჭავსა!  
ლაღად გაზრდილი მთაშია,  
სოფელს ჩარვალ რო ჰქვიანო,

წყაროს წყლით არის ნაზარდი  
ჭიჭხევეას რო დიანო.  
ამასაცა ჰყავ მერანი,  
რომელს ნიკორა ჰქვიანო:  
იმის ნაფრენსა ჭალეზე  
ბალახნ აღარა დიანო.  
ვაისიერნებს თბილისში,  
განა თუ პური ჰქვიანო?  
თვითონ იქ ქაშნიკებს შინჯავს,  
ციოლ-შილი მშიერნი ჰყრიანო.  
კენესამე შენი, ვაჟაო,  
კენესამე შენი ხმისაო!  
შემოღძახებს ვაჟაი  
გაჩეჩილაძეს, ბიჭსაო.  
რა უყავ, ბიჭო, ფულეები  
იმ ჩემი „ცრემლებისაო?“  
არ გადმომგდა ბეჩავო,  
მონშობა სამსონისაო.  
დავათვლევინო მთლიანად  
მადლმა ლაშარისჯვრისაო!  
ამოფიოდეს კულენი  
მაგ შენი „სორაპნისაო“.  
მათრახხაც კარგდა ვხმარობ,  
ხანჯარაც კარგად სჭრისაო,  
შენს დღეში დარდის უნახავს  
ახლა გაგიჩენ ჭირსაო!  
ჭირიშე შენი, ვაჟაო,  
შურთხი ხარ მაღლის მთისაო.  
იმედი მაქვს, აიტან,  
არ გეწყინება ძმისაო.  
ამისი მალეუქებელი  
ქალაქ თბილისში ზისაო.  
შენჯერა ბიჭებისასა  
სხვასაც მრავალსა სთხზვისაო!

ვაჟას ეს ლექსი რო გადაეცეცა, ნაიკითხა, ბევრი  
იცინა და გავიდა თავის ოთახში დამუქრებული. მართ-  
ლაც არ ვასულა იმის შემდეგ სულ ნახევარი საათი,  
რომ გამოვიდა ოთახიდან, გადმომცა ერთი ქალაღის  
ნახევრე და მითხრა: აბა ახლა შენ ნაიკითხე, რა გიძლ-  
ენიო“. აი რა ენერა იმ ქალაღის ნახევრე:

**„მზამკა ბურდულის“\*  
(სულდენი აღ. რა ზიკაშვილის)**

ჰა, ბეჩავ, სანდროს კენესამე,  
თვალეების, უღვაშისაო:  
ჰა, ბეჩავ ბოთლეების მცლელო  
და მტერო ქალებისაო.  
ჰა, ბეჩავ, სანდროს კენესამე,  
შე ვიხვო შეის კლდისაო,  
შეუდრეკელო სმამია  
პირს ოფლი გადაგდისაო.

\* იხილეთ ლექსი: „ვაჟა-ფშაველას დედობილთ მიერ კენესამე“ და „ჰა, ბეჩავ ბალებო“.

პა, ბერავე, სანდროს მოუვა  
 გორით ნერილი ძმისაო  
 და სატრფიალო გოდება  
 მიხსის დისწულისაო,  
 პა, ბერავე, სანდროს კენესამე,  
 ქალზედა მანაბლისაო.  
 პა, ბერავე, ბერავე, ბიჭებო!  
 არა პლაღატობთ ზღისაო.  
 გიპატიუებენ სმაზედა,  
 ნერილი ნერილს სცვლისაო.  
 ნეტავი თვალითა განზოთ  
 დრო რო დადგება სმისაო,  
 თეთრიანი რო დაცლილა,  
 ნილიანს ქვევრსა მხდისაო  
 თვედორე: „ლეინოს უფურეთ  
 გემო აქვს ბადავისაო“.  
 გავარდა საქართველოში  
 ხმა თქვენის ბიჭობისაო.  
 რა უჭირს ისეთს დედასა,  
 ვინც თქვენ ფერ შეიღებს ზღისაო.  
 პა, ბერავე, ფშავლის შვილებო,  
 თვალის მთხრელებო მტრისაო!

ამის შემდეგ ახლა თვითონ უძღვნა თავის თავს  
 ვაჟამ ლექსი, რომელშიაც ჰგოდებს იმას, ვითომ რო-  
 გორ ნაიქიფვს სხეებმა მისი „ცრემლების“ ფულე-  
 ბით და ის კი თვითონ ამ ქიფვს შორით უძქეროდა.  
 აი ეს ლექსი:

**ფაფარი მუხამბაზი**

გაჩეჩილაძე ლილინებს  
 მდგომი „სორაპნის“ მთაზედა,  
 შენ გენაცვალე, უფალო,  
 რომ დამარიგე ჭკეაზედა –  
 ვაჟა-ფშაველამ მანენია.  
 მეც მოვექეცი ახზედა.  
 რაც ფული უნდა მიმეცა  
 გადავიტანე სხვაზედა.  
 იტყვიან შიო-მღვიმელსა,  
 განთუქული არის სმაზედა –  
 უკან არ იხევეს თუ საქმე  
 მიდგა ლექსების თქმაზედა:  
 თან ნაწურჩულე: „შენ მიშველ,  
 ძმავე, უმტკიცესო ძმაზედა –  
 როგორც სამსონმა მიშველა  
 მედიატორედ სხვაზედა.  
 შენ გქონდეს, ვაჟა-ფშაველას,  
 რისათვის მივეც რაზედა?  
 რა შრომა გაუწევია,  
 დაჯდეს, ქვა კენიტოს მთაზედა.  
 არ მიღალატე, ძმობილო,

მადლობელი ვარ მასზედა.  
 გირჩევე ეხლავე ეცადო  
 ძმა აამხედრო ძმაზედა...\*  
 არც სანდროს მისცე, არც ვაჟას,  
 ხელი გეკიდოს ჭკეაზედა.  
 ამ დროსა შიო მღვიმელი  
 პადვალში იჯდა სკამზედა.  
 ადლეგრძელებდა რაც კი რამ  
 არსებობს ქვეყანაზედა:  
 სამშობლოს, ლიტერატურას,  
 ქვაც თუ სადმე ძეგს ქვაზედა,  
 თამადად ამორჩეულსა  
 ჯდომა უხდება ჯარზედა.  
 გვერდს უზის ბუქურაული  
 ყანნებსა სცლიდა ყანწზედა.  
 მოსაკრავური ატკობინ,  
 კიკლია\* ჰანგს სცვლის ჰანგზედა.  
 მოსულა ვაჟა-ფშაველა  
 ამ ყრიაშულის ხმაზედა.  
 უცქერის კარებიდანა  
 ცრემლი ჩამოსდის თვალზედა.

აი მაშინდელი ვაჟას მოწერილი ნერილი ჩემთან,  
 ვიდრე შიო იმ ფულეებს გადმოგვცემდა:

„პა, ბერავე, სანდროს კენესამე! როგორ ხართ და  
 რას კეთილ გუნებას? მე კარგად არა ვარ. გულის  
 ტკივილი დამჩემდა. მოგელთ თქვენც და აღარ კი  
 მოსდინაბთ. სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, – ეს რა ამ-  
 ბავია? შენ და განეჩილაძე როგორა ხართ? გაძღვეს  
 ფულს თუ არა, მომწერე, ან შიოს საქმე როგორ  
 არის? დეშურია ნახე და უთხარი რომ სამი თუმანი  
 თუმც გამომიგზავნა, ორი თუმანიც გამომიგზავნოს.  
 ფული ჩემთვის ძალიან საჭიროა, ალღაქეც ნახე და  
 უთხარი, რომ „კაი ყმისა“ ფული გამომიგზავნოს.  
 პა ბერავე, ბალოო, კაი ყმე, ნაიკითხე კარგად, დე-  
 დის კენესამე გამწვდისა. ამ ლექსს არ ნაიკითხავ,  
 თორმეტი ყური შაიბი, თორმეტი გული ჩაიდვე,  
 ხოლო თვალებს მომატება არ ესაჭიროება. ამ წერ-  
 ილს პანანა გრიგოლს ვატანთ. დიად იმ გრიგოლს,  
 რომიმბაც შუადღის დროს რომ იდამიხნა შველს  
 თოფი და შამოყენებული ჩაზმახი დარჩა, ამ ფამად  
 ნასთვლიმა, თვლემამ ძილი შობა და საღამოსანამაც  
 მოატანა: მზე უკვე ჩასული იყო, როცა გაიღვიძა.  
 პა ბერავე, ბალოო მონადირე! მომიკითხე ჩემი რძალის  
 სიყვარულით და პატივისცემით. გელით უსათუოდ.  
 ნამოდი, რაღა ფეხს უკანა სდგამთ, თქვე კაი კა-  
 ცებო, ახალი თევზი ბლომად არის, რძე და ერბო,  
 ყველი და ხაჭო, დოვი და შრატი. თუ ნამოხვალთ,  
 მომწერეთ, დუშეთში ცხენებს გამოგიგზავნი.

სიყვარულით შენი ძმა ვაჟა\*.

\* აქ გამოვტოვე ოთხი სტრიქონი, რომელიც შიოს ეხება. აუტ.  
 \* მუხურენი, ამ ფამათაც ცოცხალა.



ეს წერილი და ლექსი „ფშაური მუხამბაზი,“ რომელიც ზეით მოვიყვანე, ჩვენი ზიდაშვილი გრიგოლისათვის გამოეტანებინა. ის პანანინა კი არა, ისეთი უზარმაზარი კაცია, რომ სახლის კარებში ვერ შემოეტყუა და ამასთანავე მძინარაა მეტის-მეტად.

ვიდრე გაჩეჩილადე გადმოგვცემდა იმ ფულუმს, ვაჟაჲ კიდევ ერთი ღია წერილი მომწერა, რომელშიაც ინტერვიუა შემდეგს:

„ძმარ სანდრო!

იცოცხლე და იცხოვრე ბედნიერად. გიგზავნი ბუჩას (ბაჩანას) და თქვენ იცით როგორც იბუჩავებთ. ედილაშვილს წერილს ვწერ, რომ ფული ჩამოართონ გაჩეჩილადეს და ჩავაბარონ. მიიტანე იერიში, თორემ არაფერი გამოვა რატომ ყურზე გძინავს? არ გიჭირს თუ რა ამბავია? მე მაკვირვებს შენი საქმე. მომიკითხე ნათიძინი და მოუსამძიმრე ჩემს მაგვირად ილიას უფროო დაკარგვა, ძალიან მენყინა. რა ბევრი ქართველები იზრდებიან, რომ ისინიც ეგრე უდროვოდ დაიხიციან.

მომიკითხე ძალუა ჩემი. იფხიზლოს და იფხიზლოს არსად გაუპარო. მეც ექნებ მალე გნახო. გამარჯვებით იყავით.

შენი ძმა ვაჟა“.

ვაჟა რომ მწერს: „ნათიძინი მომიკითხე და მიუსამძიმრე ილიას სიკვდილი“ ის მწერს ჩემ ქვისლ ნიკო ნათიძეზე (მწერლობაში მელანიია), რომელსაც იმ წელს შემთხვევით სტუდენტში შვილი მოუკვდა. ეს ის ნათიძეა, რომელიც ჩემს ძმებთან: გიორგი და ვაჟასთან ერთად თელავში სწავლობდა. ვაჟას და მელანიას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ.

**პაპა სტუმარად გორში**

1910 წ. 30 ლენინობისთვის ქ. გორში ლევან ხიმშიაშვილთან ყოფილიყვინენ დაპატიებულები: ვაჟა-ფშაველა, ჩემი ძმა თედო და სხვანი. სუფრაზე მასპინძლის მამას ეთხოვა ვაჟა-ფშაველასათვის: „სამასსოვროდ პატარა ლექსი დაგვიწერეო“ და იმასაც დაწერა სახელდახელოდ შემდეგა:

„გული მეყოფა საამოდ  
ლენინოს ნუ მასმეფთ უზგადა.  
თუ დაეთვერ, ეს მასპინძლობა  
მაშინ ჩავგივლის ფუჭადა.  
ტყის ნუ დაუჩაგრავთ, ცოდვია,  
ნუ გადაიქცევით კუჭადა,  
თორემ სმით ვერ შემაშინებთ  
თედო აქა მყავს ბურჯადა.  
მამ რად უგდია ძმა ძმასა.  
არ გამოადგეს გურჯადა.  
შიართვით რამდენიც გსურდეთ  
ლენინო ბიჭს ჩასაყურჭადა!“

1913 წელს ვაჟა-ფშაველა აქ – თბილის ჩამოსული კარგა ხანს დარჩა. მისი უფროსი შვილი ლევანიც აქ იყო. გიმნაზია დაბითარებული ჰქონდა და უსაქმოდ იყო. ამის შესახებ ვაჟას ჩვენი ძმა თედო წწერდა: „ძმარ ვაჟა! კაცო, მაგდენი ხანი მანდა ხარ და არაფრით არც გვახსენე, არც მოგვიგონე და მგონი კი, რომ დასავისნი ხალხი არა ვართ. კაცო, რასა შერები, ეგ კაცი ლევანი, ეგრე უნდა ატარო.

„აეი არ მაკადრიანო და კარგი არ მაღირსიანო.“ თქვენი საქმე ისეა: ქალაქში ცხოვრება მგონი ორი კაპიკი არ ჯდება. თუ სამსახურში არ შეიყვან, მანდ რალას უზის? კაცო, ძალიან პატარაა, რომ კიდევ ისიეროს? მე მიკვირს შენი საქმე, ორ თუმნინი ადგილიც რო უშოვო, იოლას გამოვა. ინსტიტუტში არც მიიღებენ და არც ვაპყვანე, მე ეს კარგად ვიცი.

არ შეიძლება ეგრე. სადაც სთხოვ, ხომ იცი, ყველგან პატივსა გცემენ, რაც არის, შენი შვილია. თუ მოინდომებ, ყველაფერი გაკეთდება. კიდევ გიმეორებ, უპატრონე, ქვეყანაა, სირცხვილია: ჩვენ ხომ კრიტიკის გარეთ არ ვდგევართ. რო ჩამოვსულიყავ, მოგვლაპარაკებოდი, მაგრამ მოცლა არ არის ეს ოხერი. მანდა ხართ შენ და თამარი და არ უნდა ამოხვიდე? მგონი გვიამებთი.

შენი თედო. 1913 წ. 23 ოქტ.“

ჩვენ ძმა თედოს ხელთუბანში კარგი ხილის ბალი ჰქონდა და ბლომა ფუტკარი ჰყავდა. თედო თავის მეტ მიგზავნიდა ხოლმე, უფრო კი სასაბუნლოდ. მართალია თედოც ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე თბილისში ვაჟას აქ ყოფნის დროს, მაგრამ ის მაინც აქ ნახვით არა კმაყოფილებოდა და უნდოდა, რომ იმასთანაც წავსულიყავით ხოლმე.

ერთი, რაკი დაპირებისამებრ, ვერ მოგვიხდა თედოსთან წასვლა, ვაჟამ აქედან მისწერა წერილი, რომელიც თედოს ქალს გულქანს გაატანა. აი ის წერილი:

„ძმარ თედო!

მოგილოცავ მომავალ დღესასწაულებს შობა-ახალწელს და ვისურვებ თქვენთვის ყოველს კეთილს:

„ყოველს კეთილს გისურვებთ  
იყვნეთ ჯანით საღადა:  
არაჟინ არ ვასცივდეთ  
და არ დაჰხდეთ ავადა.

გოზინაყის ჭამაში  
მადა გქონდესთ კარგადა  
და დღერთმა ნუ გაგზადოსთ  
მეზობლების ბარგადა.

მე და სანდრო აქ ვყრივართ  
მოკუნჭულნი ცალადა.  
და ვფიქრობთ რომ თქვენ თაფლი  
არ შეგვრგოსთ შხამადა.



*მარტოკანი არ დასხდეთ  
ამ თაფლისა ქამადა -  
მოიჭარბოთ და მერე*

*კიდევ გაჰხდეთ ავადა.  
ცოტა გამოვივ ზავნით  
ჩვენც შევირგებთ კარგადა.  
თაფლის მოლოდინშია  
დღეებსა ვთვლი შავადა.  
რაღა ბეერი მოვწერთ  
კარგად იგრძნობთ თავადა.*

**შ ე ნ ი ძ მ ა ვ ა უ ა**

სანდრომაც მოგიკითხათ და ჩემმა რძალმაცა".

ამის შემდეგ თედოს წერილი მივიღეთ, რომელ-  
იც ინერებოდა შემდეგს:

23 დეკ. 1913 წ. «ძაო ვაჟაჲ შორიდან მოკითხ-  
ვისათვის ძალიან გმადლობთ, მაგრამ თქვენი პირი-  
დან რომ ჩემი ყურით გავიგონებდე, უფრო უკეთესი  
იქნება. რომ არ დაგეპატივოთ, არ უნდა ამოხვიდე?  
შეაფურთხებთ ეშმაკს და დაგვხედეთ, ერთი ქართ-  
ლური დაეჭვანიკოთ, მაგ შენს 300 მანეთს დალოცვა  
არ უნდა? თაფლს გიგზავნით, ე.ი. სანდროს ვუგზავ-  
ნი, და შენ თუ გინდა, აქ უნდა ამოხაზდე. სანდროს  
უთხარ, კიდევ გამოვიგზავნი-თქო. მოინეროს, რა  
ღირს გამოფენაზე გირვანჯა. იყავით კარგათ, მოკ-  
ითხვა მრავალი ყველას. უეჭველად გელით.

*შენი ძმა თედო.*"

ამ წერილის მომტანმა თან ერთი „ბეტონი“  
თაფლიც მოიტანა. წერილს ვაყას მისამართით იყო  
გამოგზავნილი. ვაჟამ წერილი იქამდე რომ წაი-  
კითხა, სადაც თედო ინერებოდა: „თაფლს გიგზავ-  
ნითო.“ ვაჟას არ დაემთავრებინა ეს წერილი, რომ  
დამიძახა: „ნახე, სანდალავე, ვასჭრა თუ არა ჩემმა  
წერილმაო.“ მაგრამ რო განაგრძო და წაიკითხა  
„სანდროს ვუგზავნით.“ ცოტა არ იყოს, უგუნებოდ  
გახადა. მე კი სიცილი ამიტყდა. თედოც ამას, რასაკ-  
ვირველია, ხუმრობით ინერებოდა.

ფეხშიც, როგორც არაგვის პირზე, ისე სხვა ხევე-  
ბზე ლამში ურევია ყვივილი ლითონის ბრჭყვილა  
ნაწილები, რომელიც ოქროსა ჰგავს. ერთხელ ვაჟამ  
ამწარი ქვიშის ოთხი ნიმუში გამოგზავნა და თანაც  
მწერდა:

*„ძაო სანდრო!*

გიგზავნი ოთხწარი ქვიშას, წერა-კითხვის სა-  
ზოგადოებრივი დავალებული მაქვს. გასწრეკავენ  
ამას, მართლა ოქროა, თუ არა? ყველა პარკს თავის  
ნომერი აქვს და ამ ნომერზე პასუხი უნდა მომცენ  
რა არის.

ჰქიფობთ უჩემოდ რაღა? იქნება არ შეგრჩესთ.  
მომიკითხე ვასო, შიო ქუჩუკაშვილი, ივანე ბუ-

ქურაული. თუ ყვარელში ეშხადებით, მომწერე რო-  
დისთვის? ჩვენ კარგად ვართ ყველანი, ნიკოც და  
მეც. ლევანის ამბებიც მომწერე. ეს ქვიშა შიოსთან  
მიიტანე და იმან ცხედაძეს და ინჟინერ დეკანოზ-  
იშვილს უჩვენოს, მერე იმათ თვითონ იციან. ნომ-  
რები არ შესცვალათ. რა პარკშია? რა ნომერია,  
ისე უნდა დარჩეს. ხუმრობა საქმე არ არის“.

*შენი ძმა ვაჟა*"

ის პარკები მე, რასაკვირველია, დანიშნულები-  
სამებრ გადავეცი და შემდეგ რა ბედი ენია იმ  
პარკებს, აღარ მახსოვს.

1915 წ. 23 აპრილს მე და ვაჟა ჩემ ქვისლ ნიკო  
ნათიქსთან ვიყავით სადილად. იმ დროს ომი იყო  
განაღებული და რუსის ჯარი უკვე კრპაპტების  
მთებში იყო შეჭრილი. სადილზე, რასაკვირველია,  
ამ ომზე და იმის შედეგებზე ჩამოვარდა ლაპარაკი.  
ყველა იმ აზრისა იყო, რომ რაკი რუსის ჯარი კარ-  
პატებში უკვე დაიკავებდა ავსტრიას, შემდეგ გერ-  
მანიას შეესიოდა. ვაჟამ კი დაჰხედა რა იქვე კედ-  
ელზე გაკურთხა ომის ასპარეზის რუკას, ჩემს ქვისლს  
ეუბნება: „აი, დიხსომეთ ჩემი სიტყვა, თუ გეგნი იქ  
არ დამარცხდენო!“ მაგრამ არავინ არ დაეთანხმა  
მის აზრს. ჩემმა ქვისლმა ზედ რუკაზე წაანერა ვა-  
ჟას ნათქვამი, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ  
მართლა გამართლდა.

ვაჟას როგორც ხინკალი, ისე თევზეული ძალიან  
უყვარდა და მათ შორის ლოქო.

ერთხელ ჩემს სახლობას დღეობაში ვაჟამ „სამზა-  
რეულო“ მიულოცა, რომელზედაც წაანერა შემდეგი:

*„გიძღუნის ამ წიგნს შენი მბული  
სამახსოვროდ, რძალი, ბაბო!  
კარგი ხინკალი მოჰზარშო  
მართლი არ მოაჭარბო.  
ლოქოს სანელი ისწავლო  
ტკბილი იყოს, თანაც შამრგო“.*

**ვაჟა-ფშაველა**

ვაჟას თავის მეორე ცოლთან სურათი გადაეღო,  
რომელიც მე მისახსოვრა. შემდეგი წარწერით:

*„იქნებ იამოს, ვიფიქრე ისა,  
ძვირფას ძმას უძღვენ სურათი ძმისა  
და მასთან ერთად სურათი რძლისა,  
რა შეიწახოს ალბომსა თვისსა“.*

ზემოაღნიშნული სურათი მე წმერალთა მუზე-  
უმს შევსწირე.

ვაჟას შვილი ლევანი, თბილისიდან წასული გორ-  
ში მოეწყო სამსახურში და იქაურ ქალზე დაინიშნა.  
ამის შესახებ მივწერე ვაჟას წერილი და ვულო-  
ცავდი შვილის გაბედნიერებას. ამის შემდეგ ვაჟას  
წერილი მომივიდა, რომელიც მწერდა:

„მშაო სანდრო“

შენი წერილი მივიღე. მესიამოვნა რომ კარგადა ხარ. ჩემი თუ გინდა იცოდე რამე ვერაფერს სასიამოვნოს ვერ მოგწერ, რადგან მე ავადა ვარ. ჯერ შარშან ზაფხულში კინალამ მოვეკედი. ეხლა, შენ სხვას დასცინი შიმის გამო და ცოტა არ არის, რომ თავადაც ფახავი გქონია. კაცო, ძმოს, მისობაა, თუ გაჭირვების დროს შეგვშლიან და ერთმანეთს არ დავეხმარებით...

სხვა რა მოგწერო, აქ არაფერი ღირსშესანიშნავი არ ხდება და არც მომხდარა. ლევანის ამბავი ერთი მხრივ თუ მესიამოვნა, მეორეს მხრით მენწყინა. ვინ არი მისი საცოლე, რა არი, აქეს რამე, არ აქვს? ისე არ მოუვიდეს, კუტი კუტს არ აეკიდოს. ჩვენებმა ყველამ მოგიკითხეს. მომიკითხე ჩემი რძალი, ნიკო ხუცესი და სხვანი.

მე ვეღარ ჩამოვდივარ სულში გახლავართე-ბული საქმეების გამო. იყავით გამარჯვებით. ეგრე: ჩემი რძალი გამოგზავნე აქ და წინათვე მაცნობე როდის გამოგზავნი.

შენი ძმა ვაჟა-ფშაველა

ცრუ პაპა

დათიკო ნიკლაურის ნაამბობი: „მაშინ ვაჟა-ფშაველა ცოცხალი იყო. ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა სადილად დამპატიჟა და მითხრა, რომ ამა და ამ დროს გელოდები და ვინც გინდოდეს, წამოიყვანეთ. მეც ავდექი და ერთი ჩემი ძველი მეგობარი კობახიძე წავიყვანე, მასპინძელს ის ჩემი მეგობარი ვაჟა-ფშაველად გავაცანი. მასპინძელს ძალიან გაუხარდა, რომ ვაჟა-ფშაველა მენწეო და აღარ იცოდა, როგორ ეცა მისთვის პატივი. სადილზე ამ ცრუ ვაჟას ხან რას დაგვაცნობდი, და ხან რას, ხან კიდევ მე შეუკურთხებდი, რაც მასპინძელს ძალიან სწყინდა და ერთხელ კიდევ წამწურწულა: „კაცო, შენ რამე გაგასულელა, როგორ შეიძლება ვაჟასთან ეგრე მოქცევა, სირცხვილი არისო!“ შეზარხონებულეებმა ახლა ხუმრობა და ლექსების თქმა დაიწყეთ, რასაც, რასაკვირველია, სიტყვებაც მოჰყვა. გახშირულეებულმა მასპინძელმა ახლა ცრუ ვაჟას სთხოვა: „ბატონო ვაჟა, ერთი თქვენიც რამე ბრძანეთო“. ადგა ის ჩემი მეგობარი და მოჰყვა რაღაც ლულულს. მაშინ კი ვეღარ შევიკავე თავი და გაჯავრებულმა დაუყვირე: „თუ რამეს ამბობ, თქვი რამე, შე უბედურო, ვაჟა-ფშაველა კი არა კობახიძე ხარ, ვის ატყუილებ!“ მაშინლა მიხვდა ჩვენი მასპინძელი, რაშიც იყო საქმე და ბევრი იცინაო“.

პაროლი

ერთხელ, ჯერ კიდევ მოძრაობის დროს, ჩარგლიდან წამოსულები: ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა და რამდენიმე იქაური ფშაველი თვალვში, ბესო შანიძის დუქან-

ში ისხდენ თურმე და ქეიფობდენ. ამ დროს იმავე დუქანში შემოსულყო ნიკო ტლაშაძე, რომელიც იმ დროს მათში პროპაგანდისტად დადიოდა, რომელიც, როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე ბაჩანას კარგად იცნობდა და ბევრჯერაც ყოფილა იმითან სახლში.

– რაზიკაშვილებს გაუშარვოსთ! – მიესალმა ტლაშაძე.

- პაი გაგიშარვოს! – უპასუხეს იმათ.
- შენი „პაროლი?“ – ჰკითხა თურმე ვაჟამ.
- თავისუფალი საქართველო, – ეპასუხნა ტლაშაძეს.

– იცოცხლე, იცოცხლე, ჩემო ნიკო, – ეთქვა ვაჟას და გადაშხვეოდა კიდევ. ქეიფის გათავების შემდეგ შემოესვა ის ვაჟას ცხენის გავაზე და ჩარგალში წაეყვანა.

პაპას შაპანსანელი ჩამოსვლა თბილისში

ვაჟა-ფშაველას უკანასკნელი ჩამოსვლა იყო თბილისში 1915 წელს აპრილში. ის ჩარგლიდან ჩამოსული ვერის სადგომთან შემხვდა. თბილისის საღვთი-დან ფეხით წამოსულიყო. ნაბადი ჰქონდა მოხვეული და მხარზე კი ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული. გავეხარდა ორივეს ერთმანეთის ნახვა, გადავხვიეთ და დავკიდეთ ერთმანეთი. გამოვართვი ხურჯინი, ნაბადი კი არ მომცა, რადგან ისეც ავადა ვარო, მითხრა და ვაი თუ გავცივდეთ. წამოვედით სახლში. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, სხვათა შორის, ვკითხე მისი ჩამოსვლულობის მიზეზი იმ ზამთარს აკაკის დასაფლავებაზე.

– აქ ათასი ჭორი გაავრცელეს-მეთქი, ვუთხარი ვაჟას, თითქოს შენა და აკაკის ერთმანეთი გძულდათ და ვითომ შენც იმისთვის არ ჩამოხვედი იმის დასაფლავებაზეო.

ამის გაგონება ვაჟას ძალიან ეწყინა და გაჯავრებულმა წამოიძახა: „ვერ უყურებთ მაგ უსინდისოებს, რა მოუგონიათ? რა მქონდა აკაკისთან გასაყოფი, ან კიდევ საჯარებულზე? მე ვაჟა-ფშაველა ვარ და ის აკაკი“. ძმაო, დაიჯერე, ან ხომ შხვედა როგორა ვარ?

იმ დროს როდესაც თბილისიდან დეკემბრში მომივიდა, ლოგინში ვინეც, – ფილტვების ანთება მქონდა. აი ეს გვერდი ეხლაცა შენკეთა. ან კი როგორ გადვარჩი ცოცხალი. ამა შენვე მითხარ, თუ ძმა ხარ, ეს ავადმყოფი კაცი სად უნდა წამოსულყავი.

ვაჟა მართალი იყო. როდესაც აქა ნახეს ის ავადმყოფი კაცი, მაშინ-ლა დაიჯერეს. როდესაც ქართველი საზოგადოება დარწმუნდა, რომ ვაჟა მართლაც ავად იყო, მაშინ-ლა გამოიბერტყეს ყურები და ერთი საღამოს გამართვა ძლივს მოუხერხეს. ამასაც ველიკო გუნისა უნდა ვუმაძღლოდეთ, რომლის ინიციატივითაც ეს საღამო მოხერხდა. საღამო ოპერის თეატრში მოუწყვეს, რასაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. ამ საღამოზე სხვათა შორის თვითონ ვაჟამაც წაიკითხა ორი, თუ სამი თავისი ლექსი.

როგორც ჩვენს ქართველ საზოგადოებას სჩვევიათ, საღამოს გათავებისას, ვაჟას ორთაჭალის ბაღში კარგი ვახშიმი გაუმართეს, სადაც ეს ავადმყოფი კაცი მარტო მოხის ამარა წაეყვანათ. ვახშიმიდან ის შიშვენივლი დაბრუნდა. ჩემს შვიკთხვანზე, რად დაიგვიანე მეთუი, გაჯჯერებულმა მიიხრა: „წამათირის, კაცო, მაგ ოჯახქორებმა ეს ავადმყოფი კაცი და უარესად გამაციესო“.

**პაპას ლოგინად ჩაპარდა**

მართლაც იმის შემდეგ ვაჟა უარესად გახდა. ჩანდა ლოგინში და ველარ წამოდგა. ერთ თვეზე მეტი ჩემ ბინაზე იწვია, და ჩემი სახლობა უფლიდა. აქვე ყოველდღე მოდიოდა ექიმები: ვანო გომართელი, გ. მუხაძე, სპ. ვირსალაძე. აქ პატარა ოპერაციაც კი გაუკეთეს და გვერდიდან წყალ-მანიკ გამოუშვეს. ამან ვაჟას ცოტა შეღავათი მისცა. იმედოც კი მიეცა მორჩენისა, მაგრამ სად იყო მორჩენა? რადგანაც გამართულ საღამოდან ვაჟას ერთი ოთხმოციოდე თუმანი ერგო, ერთხელ, წოლით გაბუზრებულმა, მიიხრა: „ადე კაცო, დაეთხოვე სამსახურიდან, ეს ფულები არის, რისა გეშინიან, დავიქირაოთ ერთი ავტომობილი, წავიყვანოთ თან შიო მღვიმელიც, წავიდე აქედან, თორემ მე ამ სიცხეში რა გამაძლებინებს, მოუკვდები. ისევე მთაში, თორემ აქაური ცარიელი წამლები მე ვერას მიშველიანო,“ იძახდა და მართლსაც ამბობდა. ვანო გომართელიც სულ იმას გვეუბნებოდა, რომ ვაჟა ისევე მთაში წაგვეყვანა ჰყარზე. მაგრამ მუხაძემ რაკი სთქვა: „შეიძლება გვერდში წყალი ჩაუდგესო,“ ამისათვის ჩვენც თავი ვაგანებთ.

**პომეტი ოპანას თუმანიანი პაპასთან სანახავად**

ვიდრე ავადმყოფი ვაჟა ჩემს ბინაზე იწვია, შემოვიდა ერთი მაღალი ტანის კაცი ფოსტაში, სადაც მე ვმსახურობდი, რასაკვირველია, ვუთხარი ჩემი ვინაობა. ისიც გამეცნო და მიიხრა, რომ ოვანეს თუმანიანი ვარ, გავიგე ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობა და ისიც, რომ თქვენს ბინაზე ყოფილა, მინდა მისი ნახვა და როდის შეიძლება მისი ნახვაო. მეც ვასწავლე ჩემი მისამართი და ვსთხოვე, რომ მეორე დღეს მოსულიყო. სახლში დაბრუნებისას ვუამბე ვაჟას ეს ამბავი, რომელსაც იამა ასეთი მოულოდნელი ამბავი და მიიხრა: „მოვიდეს, კაცო, ერთი გაცივრო, რა კაციაო“. მეორე დღეს, დანიშნულ დროს მართლაც მოვიდა ოვანეს თუმანიანი, რომლის მოსვლამდე ვაჟა ლოგინიდან წამოდგა, ჩაიცვა ტანს და როცა ოვანესი სახლში შემოვიდა, გავაცანი ერთმანეთს. ოვანესმა ბოდიში მოიხადა, რომ საუბედუროდ, ქართული ენა არ იყოდა, რის გამოც რუსულად დაინყეს ლაპარაკი. ერთმანეთის

მოკითხვის შემდეგ, ჩამოაგდეს ლაპარაკი მაშინდელ ომზე, მის შედეგებზე და თუ რას მოუტანდა ის ომი პატარა ერებს, ბედნიერებას, თუ უბედურებას. შემდეგ ოვანეს თუმანიანმა ჩამოაგდო ლაპარაკი, რასაკვირველია, მაშინდელ სომეხ-ქართველთა ურთიერთობაზე, რადგანაც იმ დროს პრესაში დიდი კამათი იყო გამართული ტერიტორიების შესახებ. ამ ორი მკვიდრის ლაპარაკი მეტად გულწრფელი იყო.

გამომშვიდობებისას თუმანიანმა სთხოვა ვაჟას, რომ ვაჟას გავლენა მოეხდინა ქართველ საზოგადოებაზე, რომ საქმე არ გაემწვავებინათ უფრო და სომხების შესახებ ცუდი არაფერი ენერათ. ვაჟამაც ალუტედა, თუ-კი რამე იმისგან შესაძლებელი იქნებოდა და სამაგიეროდ სთხოვა, რომ ისიც ასევე მოქცეულიყო. ვაჟამ წასვლისას, ოვანეს თუმანიანს მადლობა გადაუხადა.

**პაპას გადაყვანა ლაზარეთში**

ექიმების აზრით, ვაჟას გაგზავნა ისეთ ალაგას, სადაც ექიმები არ იყო, არ შეიძლებოდა. იმის გაგზავნა შეიძლებოდა სადმე ახლო-მახლო აგარაკებზე, სადაც ყოველ ჟამს შესაძლებელი ყოფილიყო ექიმის შოვნა. ვიდრე ისინი ასეთ აგარაკს მოსძებნიდნენ, დრო გადიოდა და ავადმყოფობა თავისას არ იშლიდა. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ვაჟა გადაეგზავნათ ახლანდელ უნივერსიტეტის შენობაში, სადაც იმ დროს დაჭრილებისათვის „წმინდა ნინოს სახელობის სამხედრო ლაზარეთი“ იყო მოთავსებული.

**პაპას გარდაცვალება**

ექიმების გადაწყვეტილების თანახმად ვაჟა ლაზარეთში გადავიყვანეთ და მოვათავსეთ სულ ზემოსართულის ერთ დიდ ოთახში. იქ ექიმი მახვილაძე ისე დასტრიალებდა თავს დღე და ღამ, როგორც თავის მშობელს. ქართველი მონყალების დეიძე დარაჯებივით სულ გარს უფლიდენ. ყოველ სამ დღეში დანარჩენი ექიმები იკრიფებოდნენ ერთად და ისე შინჯავდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იქ ყველაფერი ბლომად ეძლეოდა, მინც შინაური საქმელი ერჩინა, რომელიც თითქმის ყოველ დღე მიმქონდა. გორიდან ჩვენმა დისწულმა ნანადირევი წყურვიტე კი გამოუგზავნა, რომელიც სახლში მუშაობდა და მიუტანე, რაც ძალიან იამა. ნაცნობ-მეგობრებიც ყოველ დღე მისდიოდნენ, რომლებსაც ზოგს რა მიჰქონდა და ზოგს რა. სოლოლაკიდან სესიაშვილი ძველის ძეღ ნითელ ღვინოს უგზავნიდა ყოველ დღე თავის სარდაფიდან. მაგრამ თვითონ ბევრი არ ესმოდა და ეცდა იქ სახსე ბოთლები. მე და შიო მღვიმელი მივდიოდით იმასთან, იგი ვაჟას ძალიან უყვარდა,





აგრეთვე შიოსაც. სიცილით გვეტყოდა ხოლმე ვაჟა: «აბა, ხომ ვიცი, რომ გემსუნაგებათ ე წითელი ნუნუა, თქვენს ცოდვაში არ ჩავსდგე, მოდი დალიოთო!» და ჩვენც უარს არ ვეუბნებოდით.

ვაჟას ერთი მოწყალების და ჰყავდა მიჩენილი ანიკო კობიაშვილისა, რომლის შესახებაც გვეტყოდა ხოლმე სიცილით: «ეს ჩვენი ანიკო ქალი ხანდახან წაეპარება ამ წითლიანებს, ჰგონია ვერ ვამჩნევო» და გვაცინებდა.

ჩემ ქვისლ მელანიას კრიალოსანი მიეტანა იმისათვის, გაერთობო, რის გამოც ძალიან ნასიამოვნები იყო და მითხრა: «რა მშვენიერი ადამიანია ეს ჩვენი წვერავა, ძალიან ვერთობი ამაზედაო».

ასე მიდიოდა დრო და იმისი ჯანმრთელობა კი დღით-დღე უარესდებოდა.

მკათათვის საშინელი სიციხეები იდგა. ჯერ კარგათმყოფისათვის რა იყო იმ დროს აქ, თბილისში, ყოფნა და ავადმყოფისათვის ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთი იქნებოდა.

არ იქნა, არა ეშველა-რა ჩვენს საზოგადოებას, რომ სადმე გაეგზავნათ და უარესად დადნა ეს კაცი იმ სიციხე-პაპანაქებაში. ერთხელ წყაროს წყალი მოგვთხოვა, რომ მამა-დავითიდან ჩამოგვეტანა. მართლაც ჩამოვატანინეთ მისთვის ის წყაროს წყალი, მაგრამ როდესაც დალია, ის აღარ იყო, ცოტა გამთბარიყო. იმ ხანად საზამთრო ახლად იყო შემოსული და რაკი იმას უყვარდა, ყოველდღე მიმქონდა.

26 მკათათვის როგორღაც მოხდა, რომ სამსახურის გამო ველარ წავედი ვაჟასთან თავის დროზე. თურმე მკითხულობს: «რა იქნა ის ბიჭი,

რატომ არ მოდისო?» დამეტყრეინებინა იქვე ეზოში მდგომი ხეებისათვის ტოტები და იმისი ფოთლები გაემლევირებინა იატაკზე და წამოწოლილიყო. 27-ში გამოეგზავნა ჩემთან ანიკო, რომელიც ჩემთან არ მოსულა. მე სამსახურში ვიყავი, ის კი ბინაზე მოსულიყო, შემდეგ მოეკითხა ქალაღი და ფანქარი, მოეწოდმა რაღაცის დაწერა, მაგრამ ველარ დაწერა.

მე კი ჩვეულებისამებრ წავეულე სადილი და ერთი საზამთრო, თან შიოც გამომეცა. შიო გარეთ დარჩა. მე კი ავედი ლაზარეთში. მივედი თუ არა იმის ოთახის კარებთან, იქ ექიმი მახვილაძე და მოწყალების დები დამხვდნ თვალცრემლიანები. მაშინ-ღა მივხვდი რაშიაღ იყო საქმე. ექიმი მახვილაძე მეუბნება ტირილით: «მოჩა, აღარ არის». შენს მტერს, რომ მე გავხდი: შევედი შიგ ოთახში, ვეხდავ ვაჟას მკედარს... ხმა ველარ ამოვიღე, ცრემლებიც არ მოდის. მე ტიალი! ვაკოცე ჯერ კიდევ თბილ შუბლზე. მივდივარ და მოვდივარ შეშლილივით. გამოვარდი კარში და შიოსაც ვამცნე ეს უბედურება. წავედი იქიდან «სახალხო ფურცლის» რედაქციაში შესატყობინებლად. იმ დღესვე საღამოზე წავედი მე, შიო და რამდენიმე მუშა-ხელოსნები. ჩავასვენეთ კუბოში და წამოვასვენეთ ქაშეთის ეკლესიაში, სადაც ყოველდღე პანაშვიდებს უზიდდნენ, ვიდრე დავასაფლავებდით. დასაფლავების დღეს, ქაშეთის ეკლესიიდან გამოსვენების დროს პირველი სიტყვა ივანე გომართელმა სთქვა, დიდუბის პანთეონში კი სხვათა შორის, ბაჩანამ და ვაჟას შვილმა ლევანმა. დასაფლავების დროს გვირგვინები არა ყოფილა, იყო მხოლოდ ერთი გვირგვინი, მთელი ქართველი ერის სახელით.

1935 წ., ქ. თბილისი

იმერო იუნივერსიტეტი  
ქართული ინტელექტუალური  
ინიციატივა  
ქართული ინტელექტუალური  
ინიციატივა

# მიძელ პატარაბე

მიძელ პატარაბეს ქართველი მკითხველი იცნობს, როგორც პოეტური თარგმანის უბადლო ოსტატს. მისი თარგმნილი ჰერედიას „ტროფეები“ ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს განეკუთვნება. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ლექსებს, რომლებიც პოეტმა 1921 წელს საქართველოს დაპყრობის გამო დანერა.

## ტფილისი

*იქნებ ჩვენი თბილისი ზვალ,  
ყველამ დავესტოვოთ.  
პაოლო იაშვილი  
სამარისებურ სიწუმეში სტოვებენ ქალაქს.  
ტიციან ტაბიძე*

ტფილისის უცქერის ისევ მარაბდა  
და ბარბაცებდა ნაცრის ქუჩები  
მწარე ტკივილით მოვიკუმშებით,  
გასიზმრებულებს ჩრდილი გვფარავდა  
... ისევ მარაბდა?!  
ქუჩის ლამბებით ვარ დღეს ჯვარცმული  
და თვალებს ნისლავს ცრემლის აღმური.  
სიონის ბჭესთან ლოცვის სადგური:  
კვლავ ნუ ვიქნებით ბორკილჩაცმული,  
... დღეს ვარ ჯვარცმული.

\* ხელნაწერში სათაური ნაწილობრივ გადაშლილია. უნდა იკითხებოდეს „ტფილისი სისხლით დამთვრალი“.

ობ! გლოვა და ცრემლი ჩუმი:  
 ვიხილეთ წამება ქართლის,  
 კრწანისის გმირებს ნუ-თუ კვლავ დავთვლით  
 როს გმირთა სისხლი წამოვა ჩუმი?!

... ცრემლები ჩუმი

ობ! გამარჯვება დღეს ძვირფასია  
 და ჩვენ სიცოცხლეს გავიღებთ ფასად,  
 შა, ქართველები მოვდივართ დასად,  
 ტფილისთან მტერი ვინ დაგვასია?!

... დღეს გამარჯვება რა ძვირფასია.

## წვიმა

მეორე დღეა წვიმს და გრიალებს,  
 ვილაც გვიგზავნის გრიგალის ლაშქარს,  
 ატირებული ღრუბლის თვალები  
 მეორე დღეა, რომ ველარ გაშრა.

მოედვა სივრცეს ცვრების კალია  
 და გადაჭამა ცის იალაღი  
 და ბნელმა ზეცამ – სხივის გალიამ  
 ააფრიალა შავი ალაში.

ეს საკანია – ოთახი ჩემი,  
 აქ ძველ მოტივებს ჩუმად ვლიღინებ.  
 ასე მგონია, ვერ გადავრჩები  
 და ვერასოდეს ვერ გავიღიმებ.

ქართული ღმერთი არ სწყალობს ტფილისს,  
 ტფილისი ისევ გადაგვირუსდა.  
 ჩვენ უძღურების ისევ ვგრძნობთ ტკივილს,  
 გვანვალებს ისევ ბევრი იუდა.  
 თვითონ ავსხენით დარიალს რაზა,  
 მონურად ბევრჯერ მოვდრიკეთ მუხლი,  
 აღარ გამოდგა ქართული რასა,  
 [თვარა] ამ სკვითებს თავს რაზედ ვუხრით...



# ფტიღღნ ნატღუშვილი

## თავადი ი. ჭავჭავაძე

გული როგორ არ დაგიღონდება,  
 როცა მძინვარებს შავი სახადი;  
 სომხებთან ომი მოგაგონდება,  
 როგორც აშკარა „ქვათა ლაღადი“.  
 იგი არ არის ისე წყვედიდი,  
 როგორც წარწერა ქვაზე ლურსმული,  
 იგი ლაღადებს ისე „ღიადი“ –  
 როგორც ქართული, როგორც რუსული.  
 იგი აროდეს არ იუფლება  
 გიპოტეზების გაუვალ ნისლით,  
 ვით ჟორდანის ხელისუფლება  
 შეღებილია სომხების სისხლით.  
 ხოცვა-ჟლეტაში შენ თუ ერიე,  
 რაა, უარს თუ მაინც ვერ იშლი,  
 ფაქტების ხმალს ვერ მოიგერიებ –  
 ხმალზე მჭრელია მის იერიში.  
 მთავრობა ომში წაგებულია,  
 მაინც მძინვარებს შავი სახადი;  
 მორჩა, წაკითხულ-გაგებულია  
 ცხრაას თვრამეტ წლის „ქვათა ლაღადი“.  
 წამოდგა ნოე, როგორც ილია,  
 ფოილოს გაღმა მინა-წყლის მდომი,  
 „დემოკრატიულ“ კავკასიაში  
 ჭავჭავაძური ატეხა ომი.  
 ხოცვის და სისხლის წყურვილი მყისვე  
 გამეფდა, როგორც შავი სახადი;  
 ომობდა ნოე სომხებთან ისე,  
 როგორც ილიას ქვათა ლაღადი.  
 დგამდა საზიზღარ ომს რეჟისორი,  
 ყავდა გვარდია და „მძიმე ჯვარიც,“  
 და შოვინიზმის ბებერი მძორით

სომხეთისაკენ დაიძრა ჯარი.  
 კაუცკის მიერ ნებადართული,  
 ვით ტრაგედია სისხლიან შკაში,  
 ქვათა ღაღადი იქნა დადგმული  
 „დემოკრატიულ“ რესპუბლიკაში:  
 ყუმბარა გლეჯდა ხეს, თხრიდა მიწას,  
 ტყე მღელვარებდა ხოცვა უღეტაში,  
 დახოცილ ტყეში ცხედრები იწვა  
 და პარლამენტში ისმოდა ტაში...  
 მღერის გვარდია... პრეზიდენტს ესმის  
 „დემოკრატიულ“ მთავრობის ლექსი.  
 ქადაგებს ნოე: „საომრად,  
 გმირო, ლაშქარი დასძარი,  
 „ქართველო ხელი ხმაღს იკარ“ –  
 სომხებს დაეცი თავზარი!  
 საესეა იმავ შხამით და გესლით  
 დაშნაკელების მთავრობის ლექსი.  
 და პრეზიდენტი იმავე ფერის  
 იმავ სიმღერას სომხურათ მღერის:  
 ქალაქ ტფილისში თავს იკრავს  
 ჩვენი სამშობლოს საზღვარი;  
 სომეხო, ხელი ხმაღს იკარ  
 „ერაცებს“ დაეცი თავზარი...  
 ზღვარი ნალეკილ და ნაშლილია,  
 როგორც ძმებს შორის სხვადასხვა ძეთა, –  
 ასე გადიქვა ნოეთ ილია  
 და ჟორდანია ჭავჭავაძეთა.



# ზაიტა ატსენიშვილი

## „ქარი, ამხევი შარდის“

*უძველნი ბავშვობის მეგობარს, გურამ ლომკაცს, როცა ის 11 წლისა იყო და ვიოლინოზე ბოკერინის მენუეტს უკრავდა.*

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ დანახვისთანავე ვერ ვიცნობდი. ვერ მივხვდებოდი, ვინ იყვნენ. მათ ხომ ჩემს ხსოვნაში, ჩემს ცხოველ მოგონებებში ფესვი უჭონდათ გადგმული დედაბუდიანად. და მინდა ვთქვა, მამაბუდიანად-მეთქი – ოჯახის უფროსის საგანგებო გათვალისწინებით. მითუმეტეს სულ ცოტა ხნის წინ ნაპოვნი დედაჩემის ჩანანერების გამოც. აკი 37 წლის საველად ამბებზე როცა ვწერდი, მათ გვერდს ვერც ავუვლიდი. მაგრამ დროჟამის ქართველებს და ბედუკულმართობას მათი სიღამაზე გულსაკლავად შეემუსრა. და ძია ლევანის ინტერესი და თანაგრძნობა რომ არა ერთ ბედში ჩაუარდნილ მოყვასთა მიმართ, და დაუცხრომელი მონოდება, მეც გულთან ახლოს მიმეტანა ამ ადამიანთა ხვედრი, შეიძლება ყურადღებაც არ მიმექცია მათთვის, მეტისმეტად იყო გადატვირთული ფსიქიატრიული სტაციონარი, მაგრამ ძია ლევანი ომანიანად, ლოზუნგივით წარმოთქვამდა: „მე, გენაცვა. მამაგულაშვილი ვაარ. ეგრე კი არ არის. ეგენი კიდევ

ჩვენებურები არიან. ეხლაა შეცვლილი თორემ. ეგ ქალი ჩემ ახალგაზრდობაში მზეს ეუბნებოდა შენ ჩადი, მე ამოვალო. მოდიოდა და მოანათებდა. მაგისი ქმრის შიშით კიდევ ჭიანჭველაც სოროში ძვრებოდა, მხარზე მამალ ბუზს არ ისვამდნენ. მამაშ!“ გული ცუდს მითქვამდა. ნუთუ ისინი არიან-მეთქი, ვფიქრობდი და განგებ აღარაფერს ვეკითხებოდი. სიტყვა სხვა რაღაცაზე გადაქონდა. ჩვენ მტკვრისკენ ვისხედით გრძელ სკამზე. ისინი კი, ხნიერი ქალი და შედარებით ახალგაზრდა, თავგადაბოტრილი კაცი, ჩვენგან შორს, კვიპაროსის ქვეშ კედელთან მიდგმულ მაგიდასთან. და ქალი ყოველთვის ზურგით იჯდა. ალბათ, ერჩია ეზოში გამოშლილი პაციენტებისთვის თვალი აერიდებინა. თავისიც ეყოფოდა. ყველა სიგარეტს თხოვლობდა. გამოეჩნდებოდი თუ არა, ხელგამოწვდილები გამოემართებოდნენ ჩემკენ. განსაკუთრებით ერთი მორიდებული, ჭადარაჭაჭველი კაცი მიჩუყებდა გულს. თითქოს ფეხი უკან რჩებო. როგორღაც გვერდულად შეფერხებული ნა-





ბიჯით ნამოვიდოდა ჩემკენ და შორიახლოს დადგებოდა. „თუ მოგეპოვებათ, იქნებ ცოტუნეკა თუთუნს მიბოძებდით“. „ოჰ, ვასო. ოჰ, ვასო. ვითომ არ იცი. ცარიელი არ მოვიდოდა,“ შეუძახებდა ძია ლევანი. მე მაშინვე გაუზუნდიდი ყაზხების კოლოფს. მადლონის ნიშნად კი ეს ვასო, რომელსაც თურმე არავინ აკითხავდა, ზოლიანი პიჯამის ჯიბიდან ამოიღებდა ნამლის შუშას და გამომინვედიდა: „კაპლუკას ხომ არ ინებებდით... კარგად დაგაძინებდათ...“ აი, სწორედ ეს კაპლუკა მიჩურყებდა გულს. „გმაღლობთ, თქვენ უფრო გამოგადგებათ.“ „უბრალო არ გეგონოთ, ქვეშენი ჩირიმე, სარაჯიშვილის კაპლუკაა...“

მამინ შენდებოდა გლდანის დიდი ფსიქიატრიული კლინიკა და აქ, მტრინიკოსს ქუჩაზე, ნამდვილი ბედლაში იყო, პაციენტებით გადაჭყდილი. ხშირად ერთ სანოლზე ორნი იხნენ თავშეკვეთი და ტილი გადასდობოდათ, ეზოშიც, მიღების საათებში, ძია ლევანის ნახვისას ბლომად ხალხი ირეოდა. მათი ერთი თვალის შევლვებითაც ითრგუნებოდი და თავში სულ ის ფიქრი გიტრიალებდათ, როდის გაეცლებოდი აქაურობას. ზოგჯერ ისიც კი გამივლევდა გონებაში, ვინ იცის, ცხიხეში სჯობდა ძია ლევანისთვის ყოფნა-მეთქი, მაგრამ, რომ წარმოვიდგენდი ორთაჭალის შემზარავ მისაღებს და ორთაჭალის ციხესთან დაკავშირებულ ჩვენს უბედურებებს, ამ აზრს მყისვე უკუვადგებდი. რაც მთავარია, ძია ლევანს არ ეკუთვნოდა იქ ყოფნა, არა და არა. ის ორი კვირაც მეტი იყო. რამდენი ვირბინეთ, რომ გაიოზის შემწეობით და ექსპერტიზით სასწრაფოდ გადმოგვეყვანა ფსიქიატრიულში და, გაიოზსაც ასე მიაჩნდა, რომ სულ იმ კოცონებმა და ხანძრებმა გამოიწვია გამწვავება, თორემ ძია ლევანი ყოვლად მშვედობიანი ადამიანი იყო და მის გადახერხებს არასდროს ახასიათებდა ექსტრემალური გამოვლენა. მხოლოდ დროდადრო ეჩვენებოდა, რომ აბუზღებდნენ და მონამვლას უპირებდნენ, დაშავებით კი არავისთვის არაფერი დაუშავებია, და ციმბირში რომ წავიდა თავისი მოტოციკლითა და რქანითელის ნერგებით, იქ გარდაცვლილი ძმის საფლავის მოსახსულებლად, - გადასახლების შემდეგ ძმა აღარ დაბრუნებულყო, იქვე დაოჯახებულყო და იქვე მომკვდარიყო, - და რაც მთავარია, ძმისშვილებისა და საერთოდ ციმბირელებისთვის ვაზის გაეწეება და მოვლა ესწავლებინა სათბურის პირობებში, რათა აღარ მისძალეობდნენ არაყს და საუცხოო ნუნუვა ესვით, როგორც ამბობდა თავისი განზრახვის შესახებ ძია ლევანი, და ისე იყო ატაცებული ამ კეთილშობილური იდეით, არც აცია, არც აცხელა, შეჯდა თავის რაშზე და გასწია დიდ გზაზე. ჰოდა, ესეც რა? ვის რა აზნი? გარდა დეიდა ნანას, ძია ლევანის უსმიპათიურესი, ფაშფაშა ცოლის ნერვიულობისა. მხოლოდ

დაბრუნების შემდეგ აღარაფერი უთქვამს ციმბირში ვენახების გაშენების შესახებ, ყურნაზამოყრელი ჩანდა და ჩვენც აღარ ჩაკითხივართ. ხოლო რაც შეეხება მის გამოგონებებს, ხახვის საჭრელი იქნებოდა თუ ქვევრების სარეცხი მექანიკური მოწყობილობა, ან არადა თავგადასული საკირკიტებს პერპეტუუმ მოზილეს შექმნისათვის, ძია ლევანის მეტად ემოციური განმარტებები რომ არა თავისი ოპუსების გამო, რომ - ხახვის საჭრელ მოწყობილობამ სანყალ მანდილოსნებს ცრემლი უნდა შეუშროს და მათი მშვენიერი თვალები განათლებასა და, ხშირ შემთხვევაში, ჩასისხლიანებას გადაარჩინოსო, - არავინ არაფერს იტყოდა, არადა, ამბობდნენ. თუმცა რაც უნდა ეთქვათ, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ყველა აქეთ-იქიდან ეჭვიდობდა... აბა რაა!? ხელიხელ საგაგმანები ოსტატები ხელისაღანი იყო და მის გაკეთებულ საქმეს წუნი არ დაედებოდა, რალა არ გამოუდიოდა ხელიდან: სახლის აშენებითა და გამართვით დანყებული, სანიმუშო ხეივანეთის მოწყობითა და ხეხლის ჯიშების გამოყვანით, და კიდევ რა ეთქვა, რით აღარ დამთავრებულა... ჩავიდოდი თუ არა თელავში და შევეთვლიდი, აქა ვარ და მობრძანდით-მეთქი, დაუყოვნებლივ მესტუმრებოდა, მშვიდობა შენს გამოჩენასაო, მეტყობდა და მერე ყველაფერს ძირისძირობამდე დაათვალიერებდა და შეამონებდა: კავ-რამიტი იქნებოდა თუ საყვავე, ხეივანი, ეზო-ყურე თუ გასასხლავი ხეხილი, და ემოციური შეფასებებიც მზადა ჰქონდა: „ოჰო-ჰოჰო, რა გაუგებელია, რა შეუგებელია ეს ქალაქი არ ესმის, არა, რო თამრო-მსხალი - ეს იშვიათი ჯიშია! იძულებულსა მხდანი, ჩემი სანიმუშო ხსნარი შევასხურო და ავლავმო მათი თავნებობა! შენ რას იტყვი, გენაცვა, მეთანხმები თუ არა?“ თან მე კი არ მიყურებს, თავისი აზოვანი სიმაღლით ასვეტილა მსხლის ქვეშ, მარჯვენა ალუმინათავს, სადღაც სივრცეში გაიჭურება და რიტორიკით წარმოიქცევა თავის ტირადებს. „მე თქვენ ყოველთვის გენდობით, ძია ლევან...“ ვუზუნები დაბეჯითებით, ყოველგვარი გაღივების გარეშე... „მეც აზიტომ ვაფასებ, რო იცი, სანდოს უნდა ენდო. მზადა ვარ ჩემი მოტოციკლიტით ნეკრესზე წავიყვანო, გინდაა?“ „დიდი საიმოვნებითაც, ნეკრესიდან ზომ ალაზნის ველი სულ სხვანაირად, სანიმუშოდ თვლწარმტაცია, და თქვენი მოსახლეი ლევან კახთა მთვევ ცელმოღერებულა, თუ კიდევ არსებობს ის ფრესკა... საიმოვნებით მივესალმებოდი...“ და ჩვენ მივგრივალვით ნეკრესისკენ... წარმოიდგინეთ, მამინ ციმბირშიც მეპატრიებოდა, - ევგეთი საჩუქარი მიბოძე და, გეკუთვნის, მე და ჩემმა ღღერებმა, გეკუთვნის ციმბირი კი არა, მთელი ქვეყანაც მოგატარო. მამ, აბა, როგორო. საქმე ის არის, ოდესღაც მამამჩემისთვის ნაყიდი თბილები, ვითომ

გადასახლებაში გასაგზავნად, დიდი ზომის ძვირფასი ტყაუჭი, ახლა „დუბლიონკას“ რომ ეძახიან, სქელლანჩიანი, ტყავით განწყობილი მსხვილი თექის ჩემები, ბენვის სარჩულიანი ხელთათმანები, ბენვი-სავე ყურებიანი ქუდი და აგრეთვე ორმაგი ბამბაზის საცვლები, სამ-სამი წყვილი, – მიუღე მაგი აგრანლებდნენ თურმე „ზინგერს“ ხნიერი მანდილოსნები, ნინუცა და მარუსა მაყაშულები, მათთან ცხოვრობდა მამაჩემი სტუდენტობისა და შვილივით უყვარდათ... დედაჩემიც იმ დამეს, ცხადია, იჯდა მათ გვერდით და გულდაგულ უხვევდა საცვლებს, ჩქარობდნენ, რომ გარიჭრაფხე ორთაქალაში გადაეცათ, ვითომ საციმბიროდ, – ძია ლევანს ვაწუქე: ამ თბილეთთან არცთუ სასიამოვნო განცდები მქონდა დაეკავშირებოდა ყოველდღიურად, გაზაფხულზე, დედაჩემის მიითითებოდა ჩვენი მოსამსახურე ამას ყველაფერს ამითილებდა დიდი – სკივრიდან, გაამზეურებდა ან აივანზე, ან ეზოში, მერე კარგად დაბურტყავდა, ნაფტალისს მოაყრიდა და ისევ ჩააბინავებდნენ თავის ადგილას, დედაჩემი საგულდაგულოდ შეფუთავდა ზენრით და სკივრით დაიხურებოდა შემდეგ გაზაფხულამდე. ასე მგორდებოდა მთელი ოცი წლის განმავლობაში, დედაჩემის გარდაცვალებამდე, 1957 წლამდე. იმ ხანებში რეაბილიტაციის ქალაქიც მივიღეთ, სადაც შვით თურნზე ვენრა, რომ მამაჩემს, ისევე როგორც უმრავლესობას, ციმბირი თვალათაც არ უნახავს და „ნес права переписки“ უბრალოდ დახვერტვას ნიშნავდა. მე, რა თქმა უნდა, დედასთვის არ მითქვამს, ისედაც სიმწრთე მიდიოდა. და თუმცა მამინე გავაღწევიტე, საციმბირი აღჭურვილობა სახლში აღარ გამეჩრებინა, მაინც დიდი დრო გავიდა და ძია ლევანის გამოჩენამდე. მერე კი, ციმბირზე რომ მიდგა საქმე, ძია ლევანზე კარგ პატრონს იმ თბილეს ვერავის ვუმოვიდი... „არა, მართლა მწუქნი, მართლა? დაფიქრდი გირჩე, კარგ ფასად გაჰყიდიდი, თან ამ უშოვნელოებაში, თანაც მიუმატე ამას დედაშენის ფაბირი, როგორია?“ დიდი განცდით შემომძახობდა ძია ლევანი. „ოჰ, კარგი რაა, ძია ლევან...“ „გენაცვა, ეგვითი საწიქრისთვის მზად ვარ მთელი ქვეყანა შემოგატარო... იქნებ შენც ნამოსულიყავი ციმბირში, პაა“. მე ძალიანაც ვიყავი შეღერებული. ივა მუხუნებოდა: ისეთი თავქარიანი ხარ, იქნებ ნასულიყავი კიდევც, ასეთი დაკავებულები რომ არ ვიყოთო, რატომაც არა, მე ძია ლევანს ყოველთვისაც ვენდობოდი, ციმბირის სახევა კი, სადაც ამდენმა ჩვენმა თანამემამულემ, ამდენმა ჩვენიანმა, თავისი ძელები ჩაყარა, ჩემს მოვალეობადაც მიმარნდა. უნდა გენახათ მოტოციკლები ამხედრებული ძია ლევანი, კისრანვდილი და კერპივით გაშუშებული, რალაც ზვიადი ღრისნით აღსავსე, თავის დღემდე არ იფიქრებოდი, რომ მას შეიძლება რაიმე გადახრა ჰქონდეს... თუ ქვას არ ისერის ადამიანი და

ზოგჯერ ქვის სროლის დროსაც კი შეიძლება ძნელი იყოს მტკიცე საზღვრის გავლება ნორმალურსა და არანორმალურს, ადეკვატურსა და არაადეკვატურს შორის, მიუთმეტეს ძია ლევანის შემთხვევაში, იმ კოცონებისა და ხანძრის შემთხვევაშიც კი. ღმერთო დედებულო, თურმე რა ადვილია, ცეცხლმა ჭჭუა აგირით და ჩაუდენელი ჩავადენინოთ.

ჩემი თელაველი კარის მეზობელი და უახლოესი ადამიანი, პიანისტი, კონსერვატორიის პროფესორი ვანდა შოკაშვილი, წესრიგისა და სისუფთავის ადეპტი, ჩამოვიდა თუ არა იმ წელს საზაფხულოდ თელავში, მგონი მანქანიდან გადმოსულიც არ იყო, როგორც სჩვეოდა, მტკიცე კილოთი განაცხადა, «Первым делом надо освоиться от старогохлама и все сжечь». ბედავ, ძია ლევანი იყო ამ დღეს ჩემთან მოსული, ჩვენი ეზოებს შუაში ბადე ჰქონდა გაბმული, ვანდამ დაინახა და მყისვე დაუძახა, ასე და ასეთი. ძია ლევანი ისე სწრაფად, ისე ერთბაშად აღინათ კოცონის გაჩაღების ფინით, გეგონებოთ, იდგა და სწორედ ამას ელოდაო. ეზოში, სახლთან შორიახლოს, მომცრო მოედანზე, ვანდის მიითითებოთ დაახვავა და რა დაახვავა, თუ სახლიდან გამოტანილი ძველთაძველი, აურაცხელი ჟურნალ-გაზეთები, თუ ეზოს ბოლოს ფარდულიდან გამოზიდული ქვეყნის ყუთები, ავეჯის ნამუსრევი და რა ვიცი, რა ძველმანები აღარ. კინაღამ ნაეთის მისხმაც არ იყო საჭირო, ასანთის ჩაგდება და ცეცხლის გაჩენა ერთი იყო, ჯერ აქა-იქ ამოსხლტა და ამობრიალდა ცეცხლის ენები, მალევე მოვიდა მთელ ზვისს, გამოლიანდა და გაგიზვიზნა... ტკრცალით, ტკაცრტკუეთი აივსო სივრცე, ცეცხლი ამაღლდა, გამკვირვდა, მორევად იქცა. იქაურობას ბუბუნი გაჰქონდა... მომნუსხავი სანახაობა დატრიალდა, თვალმოშუცილებლად მიგჩრებოდი კოცონს, ძია ლევანი მაინც, სახეაჭარბებული და თვალმდაჭყეტილი, გრძელი ჭიგით შეიარაღებული ცეცხლს გარს უვლიდა და ისე უცნაურად ჰქონდა მზერა გაშუშებული, გეგონებოთ შამანივით თუ ანეკდოტის ქიბორჩაშვილივით რალაც იდვით არის ატანილიო. უცებ ვანდა თქვა:

Там в сарае старая кувшета валяется, ნაჯახიც იქვეა... ლევან, მე მგონი უნდა ნამოილოთ და დაწვიათ“. „მამ რაა, მამ რაა“ შესძახა ძია ლევანმა, მყისვე ფარდულისკენ გაენთო, უმალ გამოარბენინა მიჩეხილ-მოჩეხილი „კუშეტკა“ და პირდაპირ ცეცხლში უძახა. კოცონი კიდევ უფრო გამშავდა და აიფოფრა... ცეცხლს მალდა, მალდა... გეგონებოდათ, ცაში ლივლივი გაჰქონდა... და აი, მამინ, მეც აღმიტაცა სურვილმა, დამენვა და დამეშუვა ყველაფერი ძველი და დახავსებული, რაც ზედმეტად მომეჩვენებოდა სამზარეულოსა და კარადებში, ფარდულსა და ეზოში... თავიდან გამომიფრინდა

ყოველგვარი შეგონება, რომ სიღინჯე სჯობს სიჩქარეს, რომ აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია, რომ ათჯერ გაზომე, სანამ გაჭრი, და სხვა ამისთანები... არა და არა, ჩქარა უნდა გამეჩაღრობა მეც კიბონი. ჰოდა, ვანდასთან ცეცხლში რომ იკლო და იკლო, მეც სწორედ ვანდასებურად მოეუწოდე მიაღვეანს: აბა, ახლა ჩვენკენ-მეთქი, ცეცხლისგან რაღაც უცნაურად ვიყავი აღტყინებული, და მესმის, სამედიცინო ჟურნალ-გაზეთებით გამოტყინილი სკიპერი ავეგებრილვინა თივის ბულულებთან ერთად, ან ბებიჩაჩემის ძველი ფანციფუნცები, ან დედაჩემის უზარმაზარი ტომეულები, საბჭოთა მედიცინის მიღწევები სამამულო ომის დროს, და ლენინ-სტალიონის იძულებით გამოწერილსა და შექმნილ ფოლიანტებს რა დაუდგებოდა წინ? მაგრამ რას ვერძოდი მასიური ხის მორყეულ სკამებს, ჩემს მიერ ჩამონეროლსა და ფარდულში განდევნილებს, წლების შემდეგ ასეთი სკამები ფლორენციის ბიბლიოთეკაში ვნახე, რომელთა შესახებ ჩემი ძვირფასი ივა ცოტა ხნის წინ მეუბნებოდა – ხელები შეკავება ამ სკამების აღსადგენადო. და მეც ნეტარებით წარმოვიდგენდი ჩვენი ხეივნის ქვეშ ჩვენს პარამონიულ შემღვრებას, ბურღისა და ჩაქუჩის აკომპანიმენტის თანხლებით, მაღლიდან კი ცის თავანიდან, ეჭვი არ მეპარება, ბუნებისა და სიყვარულის მებოტბე ფან-ფაჟი თვალს ჩაგვიკრავდა და ეშმაკურად გაგვიღიმებდა. და მე თუ, ცეცხლით მოწესხულს, ეს იდილია თავიდან გამომიფრინდა, ობლიგაციებს, დედაჩემის საწერი მაგიდის უჯრები გატყინილი რომ იყო, რაიმედ ჩავთვლიდი? ან იმ მოაზრებ ხმებს დაეუფერებდი, მთავრობამ უნდა გაანადღოს ძველი ვალიო? ჰოდა, არც ვაკვი, არც ვაცხვლე, დაგვი და დავნაცრე... ივა რომ დაბრუნდა რუსეთიდან, მაშინვე ის მითხრა: Ну, за тобой надо у кредит опеку. ობლიგაციები მართლაც სულ მალე გაანადღეს. მაგრამ მოგეხსენებათ, ადამიანი ერთგან კარგავს და მეორეგან პოულობს, მე კი იქვე, საწერი მაგიდის შუა უჯრაში, ობლიგაციების ქვეშ საერთო რვეული ვიპოვე, გერმანული ენის ლექციების გვერდით იდო, სახეე დედაჩემის ჩანაწერები. ამის შესახებ მეერ მოგახსენებთ, ახლა კი კოკონების ამბავს დავამთავრებ. მიაღვეანი გაიქცა ფათხაფუთობით, ისე გარბოდა, გვეგონებოთ თვითონაც ცეცხლი უკიდაო, გაიქცა და თელავში ცნობილ სექსუალს, იმას, ვინც მისი ძმა ტყუილბურთლოდ დააბეზლა, ცხიე ალესინა, შემდეგ კი თეთრ დათვებთან ამოაყოფინა თავი, აი, სწორედ იმის სახლს ცეცხლი წაუკიდა. მოგეხსენებათ, ალბათ, ვერგილიოსის გამაფრთხილებელი სენტენცია, რომ შურისმაძიებელი ყოველთვის გამოჩნდება. და ამჯერად გამოჩნდა ჩვენი დაუღუფარი მიაღვეანის სახით. კიდევ კარგი, დროზე მოუსწრეს და გადაარჩინეს. მაგრამ მიაღვეანი კი გაკოჭეს. აი, ეგ

ღმერთძალი ევა, იმან ნახევარი თელავის სისხლი იდო კისრად და სახლიც რამე... სახლიც რამე, ეგ რო კაცი ყოფილიყო, უნდა გახარებოდა კიდევცა...“ ცვიროდა ხელების ქნევით მიაღვეანი. თელავში იყო აღარ იყო, 1956 წელს დაანგროს ის ძველთანძველი „ტუსაღლა ქუაბი“. და მიაღვეანს პირდაპირ ორთაჭალისკენ უჯრეს თავი. აი, ასე აღმოჩნდა შემდეგ დისიპლარული. აღმოჩნდა და განძიც ჩაიგდეს ხელში. ის სამიოდე კვირა, რაც იქ იყო, თუ რამ გაფუჭდებოდა, არადა, იმ პაციენტების ხელში რა არ გაფუჭდებოდა. ხელოსნების მოსვლას ასწრებდა. და ჩამსხვრეული მინა იქნებოდა, მოშლილი ონკანი, ეზოს მოწესრიგება თუ ხეების გაკრეტვა,“ მიაღვეანი ჩაბმავს იდგა, ოღონდ კი გულხელდაკრფილი არ ყოფილიყო და არავის ენახა. „იმდენი ხნით უნდა დაევიწყებოდა ხელები, რომა. მაშინაც გვეყოფა, არაა, ჩემო გოგო...“ მეუბნებოდა ხოლმე მგონების კილოთი. საქმე თუ გამოეღვიდა და არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, უშმაყოფილოდ შემომჩვილებდა, უსაქოდ თუ ვიქნებო, მე აქ რა მიწაო? „ცოტა ხომ უნდა მოითმინოთ, ციხეში რო მვდარაიყავით, ხო უნდა გელესათ ციხის კედლები, მაშინ რაღას იტყოდით?“ „მართალი ხარ, ჩემო ქალო, მაგრამ ნანას, იმ საწყალს, ალბათ, თელავში გზისკენ აწყვედა, შპალერის გავკრა დამრჩა პატარა ოთახში და სუ მამუსუნებდა ყველასთვის იცლი და საკუთარი სახლისთვის ვერაო“. ცნობისმოყვარეც ძალიან იყო და ყოველ მისვლაზე ხან ვის ამბავს მეტყვოდა, ხან ვისზე მიმოითებდა, „გახიხვე, გაიხივე ავე იქით, უფოთან რო მალაღ-მალაღ, ლამაზ-ლამაზი კაცი მიღე-მოიღის, ცოლი არა მყავსო მითხრა დაა... მე მაშინათვე კიდევ ნატამაზე ვიფიქრე, თელავში ჩვენი მეზობელი როა, ქერივი, ბედაურივით ქალი, სიტყვას ჩავადგებ-მეთქი დაა საქმეში ხაარ? მაგ კაცს შეხედავ, იტყვი ბუზს არ ააფრენსო, არადა, საკუთარი ცოლი მეხუთე საართულიდან გადმოუვდია, თურმე საზამთროსავით გასკდა საწყალი... ავე ის კიდევ...“ ავერ ის კიდევ... ხან ვისკენ მიმოითებდა, ხან ვის ამბავს მეტყვოდა... ძირითადად დათრგუნვილები იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ მელღვარება იფიქრებდა, ყვიროლითა და ხელების ქნევით... სანამ სანიტარი მივიდოდა, მიაღვეანი მიასწრებდა, „აბა, კარგო ბიჭებო, რა ვერ გავიყვიათ? მითხარით, კაცო, მითხარით, მე ვიქნები თქვენი მედიკალიერი,“ არც ვიცი, რა ჰქონდა ხმაში ისეთი, რომ სულ ადვილად ჩავცხრობდა მელღვარებებს... სანიტარსაც აუცილებლად დამოძღვრავდა: „ადამიანი, ნუ უყურებ ამ დროებით შემოიხიზნულ ხალხს ისე, როგორც ლენინი ბურჟუაზიას“. ამ სანიტრის დანახვაზე ერთხელ კიდევ ირწმუნებდით ვან გოგის გენიულობას, ისე ჰკავდა ის სანერების სტაციონარის ზედამხედველს თავისი მქისე გამო-



მეტყველებით... და აი, სწორედ ძია ლევანმა, დაუდგარმა და გულშემბატკივარმა ადამიანმა, ვისაც სხვისი ბედი ყოველთვის აფხიზობდა, მიაპყრო თავისი მზერა, ცნობისწინადადობა და სიკეთით სავსე, ეზოს გადაღმა კვიპაროსის ქვეშ მაგიდასთან ჩამოსხდარ ხნიერ ქალსა და შედარებით ახალგაზრდა კაცს... „შეგეტოდებიან, როგორ არიან იმიტლებიდან ჩამოსხდარნი... მაგ ქალს მეორე შვილიცა ჰყავს, ბიჭია ისიც, გარშინ იყო და დიდი სჯვა-ბაასი ჰქონდათ გამართული, მეტი რო არა ეთქვა... მე გავიარე იქითა, ქალი ტიროდა, ჩუმად იღვლეფებოდა, შვილები შემოსხდომოდნენ, რაღაცას ჩასძახოდნენ, მე კიდევა, ხო იცი ჩემი მონაწერი გულის ამბავი, იგრე მეგონა, აქეთ-იქიდან გამეტებები ურტყამდნენ, ძიან ცოდოა, მეტი რო არ შეიძლება,“ ამისი თქმა იყო და ახალგაზრდა კაცი ნამოდგა და აქეთკენ წამოვიდა, შორიახლოს ჩაიარა, უეცრად შემობრუნდა, ჩვენკენ გაქარებული გამოეშურა და თან ისე დაშტერებით მომჩერებოდა, რაღაცას ფხეცი წამოჰკრა. ლურჯი პულკოვი და ლურჯივე სპორტული შარვალი ეცვა. ისე ახლოს მოვიდა, ლამის მოიჭრა, მე შეეკრთი და უკან გადავიხიე. „შენა? შენა? არა თქვა რო შენ არა ხარ...“ ხმაშალა დამძახოდა. „შენა ხარ და ისევ ისეთი ხარ...“ არაგია რო განახე აუთ რამდენი ხანიაა, რამდენი ხანიაა, მაგრამ დრო, დრო არაფერიც არ არი, აი ეს არი,“ ხელისგულს შეუბერა, „სხვა არაფერიც არ არი მე ისევ იქა ვარ მე ჩვენ ბაღში ვარ სიზმარში, სუ ჩვენ ბაღს ვხედავ, უსამინი ყვავის ყვავიის კარავითი არის? ჩვენ რომ შანინი ვისხედით ხოლმე, Там чудеса, там леший бродит, русалка на ветвях сидит. აუთ რა იყოო, დიდი თუთა კაკალივით შენ რო კატასავით აძერებოდი იქ ტოტებზე ხტუნვას დაიწყებდი და შავი თუთაა ვიყარ რა თუთაა ნამოვიდოდა სუ მოთხუპნულეები ვიყავითი აუთ რა იყოო ბაღში მინდა იქ ბაღში მინდა აქ ეშმაკია აგე იქა კარების თავზე პაერშია ატივტივებული, ფხეებს ასხმარტალებს, ბალნიან კანჭებს ერთმანეთს უქლა-სუნებს და ენას, აუთ რა საზიზლარ გველივით ენას ასახავებს. მამა ფილარეტი იყო ყველა კუთხე მინიარა საკმელიც აკმია მაგრამ საზიზლარია საზიზლარია საზიზლარია და ყარს ყარს ყარს, უნდა ძირს დასცე, გადადნო, ნამოაოქო და მერე მკვდარს გადაბოილო მე უსამინის კარავი მინდა იქ მინდა დიდად ლიდამ პუშკინის ზღაპრების ლოტო რო ჩამოვიტანა მოსკოვიდან და სუ რო ვთამაშობდით, Три девицы под окном пряли поздно вечерком და მე რო სუ შევავსე ზედიზედ მებადურისა და ოქროს თევზისა და ხალთან მეფისა და დეიდა ლიდამ რო დამასაჩუქრა იანვანმა რა ჰქმნიან ლამაზი ნივინ რო იყო ლურჯყვანი და სურათი რო ჰქონდა ლეკები ქეთოს როგორ იტაცებენ აუთ რა იყოო რა იყოო და დეიდა

ლიდას ჩვენთვის სუ რო ჰქონდა ხოლმე საჩუქრები მომზადებული და დავასაჩუქრებდა ხოლმე“.

ჯონღო, ჯონღო, ჩემი ბავშვობისა და სიყმანელობის მეგობარი, 37-ში ჩვენს სახლში დამკვიდრებული შინსახკომის უფროსის შვილი, 6 წლის შემდეგ, 1943-ში, თუშეთში მომხდარი იმ საველელო ამბების შემდეგ, ჯონღოს მამა რომ დაინაწურეს და თბილისში გადამოიყვანეს, კვირა არ გავიდოდა, ჯონღოს ნერილი არ მიმელო, პირველ ხანებში მაინც, „სალამი ჩემი მეგობარიო რუსიკო, გამარჯობა ჩემო მეგობარიო რუსიკო, როგორ მომენატრა ჩენი ბალი, ჩემო მეგობარიო რუსიკო, უსამინი აყვავდა? მთელ ეზოში, ეე, მივლ იმოდენა ბაღში იმისი სურნელმა ყველაფერს რო აჭარბებდა, მე სუ თვალწინ მიდგას და მენატრებო...“ მართლაც საოცარი უსამინი იყო, უზარმაზარი, ერთ მხარეს მთლიანად გადმოხრილი, ტოტებდაშვებული, უმშვენიერესი კარავი გვეგონებოდათ. ჩვენ იქ პატარა, ჩალის მონწული სკამები გვედგა და პატარა მაგიდა, ძალიან გვიყვარდა იქ თამაშიც და გაკეთილებების მომზადებაც. რაღაც ჭირად, მაგრამ რა იყო ეს რაღაც და რა ერქვა, მე არ ვიციოდი. მე ვიციოდი, რომ დროდადრო თავისი ის არაჩვეულებრივი თვალები, მომწვანო-მონაცრისფრო, ოქროსფერი რომ დაჰკრავდა, ერთბაშად გაუშავებოდა გაფართოებული გუბებისაგან, შიშითა და ძრწოლით აუვსებოდა, უჭრები გაუჭარხლდებოდა, ხელები ტყვიასავით გაუცივდებოდა და აკანკალდებოდა. ამ დროს ის ან დედასთან უნდა გაქცეულიყო, და თუ დედა სახლში არ იყო, ან მე უნდა დამემოშმინებოდა, ან ბებიამქმეს, ვისი სიტყვა და შეგონება შულოვასავით მე მომეძებდა. „მოხილლა როგორ არი ბებია რუსუდანი, ვაი როგორ მიყვარდა. ისე მინდა ისე ისე ვნახო ბებია რუსუდანი – შემოლოცავს და ყველაფერი მომხსენება ყველაფერი ყველაფერი უფსკრულში რო ვიჩრებები პირდაპირ თავით ურჩხულვებთან ვაიი როგორი ლაშები ააქეთ მყრალი მყრალი მყრალი ნავიდეთ რაა ნავიდეთ რაა ნავიდეთ იქ მინდა იქა იქა ბაღში ჩვენ ბაღში შენც ხო გინდა გინდა გინდა გინდა...“ სიტყვები ღვარავთავითი მოსდიოდა, ძია ლევანი წარამარა შემომხედავით, ჩავერიო და დავანყნარო თუ არაო, მე ვაჩრებოდი. კიდევ უფრო არ ამღელვარდესმეთქი, რატომღაც მეგონა ან თვითონვე დაცხრებოდა, ან დედა შემოგვიერთდებოდა და საკერთი ძალით დავაშოშმინებდით. მაგრამ კვიპაროსისქე რომ გავიხივდე, ჯონღოს დედას, ანუ ჩვენს ყოფილ მობინადრეს ქსენოს, რომელიც ისევე ზურგით იჯდა ჩვენკენ, თავს დასდგომდა ახალგაზრდა კაცი, ძია ლევანის ცნობით, მეორე შვილი და ფესტიკულაციის მიხედვით რაღაცას აქტიურად ელაპარაკებოდა, ითოქოს დედის დარწმუნებას ცდლობსო. მე გამახსენდა, თელავიდან რომ მოდიოდნენ და ჩვენს სახლს

ტოვებდნენ, ქსენოს მუცელი გამობერილი ჰქონდა და მერე ჯონდოც ხომ მწერდა, მე პატარა ძმა მყავსო და მელსი ჰქვიაო, მამამ დარქვა და უბრალო სახელი არ გეგონოსო, ეს არის მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის პირველი ასოების შერწყმით შედგენილი სახელიო და მამამ გამოიგონაო. ჯონდო კი, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, მოსხლეით დადუმდა და ისეთი ჩაცვებით შემომამტერდა, თითქოს პასუსხ მთხოვსო. არა, მაინც ლაზაზი იყო, სხვანაირად შთამბეჭქდავ, ტყვეობის ტანჯვას და საშინელ ხილვებს რაღაც გაუცხოებული, თითქოს დაშორებული შინაარსით აეცეს მისი სახე... და მე სანამ ვეტყოდი, რომ ბებია დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის და ველარ შეულოცავს, ფასმინმაც დაიყვავილა, გაზაფხულამდე არ აყვავდება და ნასვლაც არ ღირს, მყისვე მიახნება ისევ სიტყვების ნაკადი; არა, არა, არა არ მითხრა ნასვლა არ ღირს ჩემთვის ღირს ღირს ღირს გაიგე გაიგე?" "დამაცადე, ჯონდო," დავიყვირე, "მე ვმუშაობ, რამდენიმე დღეში სეზონი იხსნება და არაფრით არ შემიძლია თელავში ნასვლა გესმის? გესმის?" თან მკლავში ჩავავლე ხელი და შევანჯღრიე... „გაზაფხულზე წავიდეთ, მათის ბოლოს, როცა ფასმინიც აყვავდება და თუთაც მოინევა...“ „გაიგე, კაცო, რომ გუუბნებიან, გაიგე“. დასძახა ძია ლევანმა. „მაგ ეშმაკს კიდევ, იცი რა დღეს დავაწერი, ისეთს დავუწერო ხოლსა, სულს გავაფრთხოვინებ, უყურე შენ იმას, როგორ აუგდება თავი? ის მამაძაღლი ისა, ოხერ-მოდრეგი და ვირის გავარდნილი“. ძია ლევანმა მრისხანედ დააბრაილა თვალები და მუშტიც შემართა. ჯონდო დაექვევით შეაჩერდა ძია ლევანს, მაგრამ სულ ორიოდ წამით, და მაშინვე ლამის ყოყინით შესძახა, უტყუარი არგუმენტით აღჭურვილივით: „როგორ როგორ როგორ მამა ფილარეტმაც კი ვერ განდევნა, მე ვიცი მაგას რაც უნდა, ვიცი ვიცი ვიცი რომ მე თვალები პირი ცხვირი ყურები ლამით ამეცვოს ეს უნდა ეს ეს ეს უნდა წავიდეთ, წავიდეთ რაა ბაღში, არა მე სიკვდილის არა არა აარ მეშინია, მაგრამ ლამით არ მიწნდა დავიფარო არა...“ და თითქოს მართლად ლამითა და ქვიშით დაფარულივით, მოიკუნტა, აკანკალდა, მომუშტული ხელები ნიკაბთან გამოიკრა და ძია ლევანს მიყრდნო, „ნუ გეშინია. ნუ გეშინია...“ ის იყო, ძია ლევანი დამშვიდებდასა და დაშოშმინებებს უნდა შესდგომოდა, მაგრამ ჯონდოს წამინუთს ეცვლებოდა განწყობდა, მაშინვე წელში გასწორდა, განზე გადაგა, სახეზე რაღაც უცნაური, თითქოს მაცდუნებლის ღიმილი გადაიკრა, ჩემს წინ თავი დახარა და სერიოზული, კონფიდენციალური კილოთი შემმართა: „გთხოვ ცოლად გამოიყვე, ათობიან შევბუღებებს მოგცემენ და ჩვენ ნავალთ ჩვენს ბაღში და ვითამაშებთ «ЖИВ-НЫС ПИИ

ТОЛОКОННЫЙ ПИИ - რა გადასარვად მოვიფიქრე არაა? წყალი არ გაუვა, ისე მოვიფიქრე," გაიციხა და ჩაცვებით შემომამტერდა. „საქმე ის არის, ჯონდო, რომ მე მართო არა ვარ, ჩემს გვერდით ადამიანი, რომელსაც მე თავს ვერ გავანებებ“. უცვავე, დაყვავებით, მობოდიშებითაც კი მეთქვა. ეტყებ მოიჭურვო, თვალები გააელვარა და ისე დაიძახა, კინაღამ შემეშინდა: „რატო ვერ გაანებებ, რატო ვერ გაანებებ, ჩვენც ხო გვიყვარდა ერთმანეთი, თანაც უფრო ადრე, პოლი და ვირჟინი რო წავიკითხეთ და მე გუუბნებოდი, ჩვენა ვართ პოლი და ვირჟინი-მეთქი, ბერნარდერ დე სენ-პიერისა, ხო გახსოვს, ხო გახსოვს? ის ვინ არი, ვინა, ვის დაჰკარგვია, ვისა, ვისა... რატო ვერ გაანებებ, რატო ვერ გაანებებ“. შესჭყობდა ჯონდომ, „ეგეც რამე, ეგეც რამე, მე იცი ვინა ვარ იცი ვინა ვარ? ის ვინლა, ვინა ვინა ვინა“. „კაცო“ შესძახა გაბეზრებულმა ძია ლევანმა „როგორ აგრე-იგრე ლაპარაკობ, განა ლილხანობაა, მაინცდამაინც როცა არ შეუძლიან, მაშინ წამოვიდეს, ის პალი ამაზე ძალიან ხო არ გიყვარს, არაა, დავიწრდი, ადამიანი, დავიწრდი“. მიყვარს, მიყვარს მიყვარს მიყვარს თქვენ რა იცით თქვენ რა იცით მე სადა ვარ ღრანტობში ღრანტობში...“ და ჯონდოს ისევ ამოსკდა სიტყვების ნაკადი, მონწყვეტიო ჩაჯდა ჩემელ სკამზე, სადაც ჩვენ ჩამოგხსებდოდით ხოლმე, თავი მუხლებში ჩარგა და გულმარსკვინით ტირილი დაიწყო, თან მოთქვამდა, მოთქვამდა, სიტყვები ნანწყვეტ-ნანწყვეტ ისმოდა, და მე გამახსენდა ბავშვობაში ერთხელ დედაჩემი ბუბისა რომ ეუბნებოდა: - რა სამწუხაროა, რომ ამ მწვენიერ ბიჭს მომავალი კარგი ვერ ექნება. და ბუბია თავის ლოცვებით ყოველთვის ახსენებდა ხოლმე ჯონდოს. ჯონდო კი ახლა ქვითინით მოთქვამდა, და ამ ღვარცოფიდან, საშინელი ხილვების ფრამგმენტებიდან, ქვა-ლორლი ჩახორგილი უფსკრულმანდ გზა გამოიკვლია გულსაკლავი შინაარსით სავსე ფრანზამ, რომელსაც ჯონდო მაშველი რგოლივით ჩაეჭიდა, ქვითინი შეწყვიტა, თავი აიღო და ყოველგვარი ეგზალტაციის გარეშე წარმოთქვა; „მე არავის არ ვუყვარვარ... ჩვენ არავის არ ვუყვარვართ, არავის, არავის, არავის...“ მე აქამდე ვამორებდი კვიპაროსისკენ ნასვლას, ძია ლევანიც დიდი ხანია ხელებს უქნევედა გამალებულ პაექრობაში ჩართულ ჯონდოს დედასა და ძმას, ანუ ქსენოსა და მელსის. და აეერ. ჩვენეც გაჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა შედარებით ახალგაზრდა კაცი და მას კატეგორი ფორმა რომ სცემოდა, წამდვილად ჩვენი ყოფილი ბინადარი, ჯონდოს მამა ალიოშა მეგონებოდა, იმასავით შავ-ყვითელი სახე და გულმომუსავალი გარეგნობა ჰქონდა. მაგრამ რომ მოვცინახლოვდა, მოგვასალმა, ჯონდოს მაგრამ მოხვია მხარზე ხელი და მომთხოვნი კილოთი უთარა. თან ძალიან

სასიამოვნო დაბალი ხმა ჰქონდა. – აბა წავიდეთ, დედა გვიცდისო, – ისეთი უშნო სულ აღარ მომიჩვენა, თითქოს მეცნო კიდევ, თუმცა 53-ში, სტალინის პანაშვილის შემდეგ მათთან რომ აღმოვჩნდი, ეს მელსი, მაშინ მეოთხე კლასის მოწონე, სახლში არ იყო, მთელი სკოლა გორში წაყვანათ, სტალინის სახლთან პანაშვილზე დასასწრებად. ჯონდო დაჰყვა თავის ძმას, ოლონდ სახე მოეცქა, უსიამოვნოდ, აგდებულად გაიცინა: „ტიტო გობია და თავისი სახმო სიმების გარდა არავინ, არავინ, არავინ არ უყვარს“. და მე მაშინვე გამახსენდა, საიდანაც მეცნო ჯონდოს ძმა. „დედას ძალიან უნდა თქვენი ნახვა“. მომმართა მე, მეზე კი თავი დაგვიკრა და წავიდნენ. „რაო, რა თქვა ამ საწყალობა ბიჭმა, ვინ არიო?“ მომიბრუნდა ძია ლევანი. „ცნობილი მომღერალია, ბარიტონი და ვითომ დასცინა ამ თავის ძმას. მე გამახსენდა, ძია ლევან. ამ ექვსიოდე წლის წინ კონსერვატორიის ნიჭიერი, პერსპექტიული ვოკალისტების მოსმენა იყო ოპერაში და ეგვეც მღეროდა, მომაგონდა კიდევ, რას მღეროდა. ეჭვი არ შეპარება. თქვენც მოგისმენიათ რადიოში „სული ბოროტო“ დაისიდან. კიაზის არიაა. მეორე კი რუსული ოპერადა იყო და კარგადც იმღერა.“ „აბა, უყურე. აბა, უყურე.“ თავის ქნენა იყო ოპერაში და ეგვეც მღეროდა, მომაგონდა კიდევ და ჯვარიცო, და ჯვარი სწორედ საწყალი ბიჭისთვის გამოსულა და გაკრულიც არის“. ჯონდოსთან შეხვედრით თუმცა ძალიან დავეთრგუნე, მაინც ვიფიქრე ნასვლისას მათეზე გავიგე, ქსენოს მივესალმები და მოვიკითხა-მეთქი, მაგრამ ვეკვიპაროსის ქვეშ ისინი აღარ დამხვდნენ. ძალიანაც გამიხარდა. ივას ჩამოსვლისთვის ახალ კაბას ვიკერავდი და მკერავიც, ანუ ჩვენი გუნდის მსახიობი ტანია, ხელმარჯვე ოსტატი – დამატებით შემოსავლად ოპერის თანამშრომლების კობხად შემოსვა გაეხება – იქვე ახლოს, პლუხანოვზე, ქსოვილების მაღაზიის ეზოში ცხოვრობდა, თანაც მოგესხენებათ, მომღერალ-მკერავზე და პარიკ-მახერზე მეტი ჭორ-მართალი ვინ შეიძლება იცოდეს და იქნებ ამ მელსიზეც გაუგია რამე-მეთქი. არც შეეცდარვარ. რაც მთავარია, კაბაც შესანიშნავი გამოდიოდა, ჭრელი, გაზაფხულივით მოჩითული კრპდეშინის, ვოლანებიანი, ფუფუშმა, გაფრიალებული სახელოებით, მოდის მიხედვით, და ივას თვალით რომ შეეხედე, მზად ვიყავი, ტანისა გადავხევეოდი, რაც შეეხება მელსის, წარსულიც ახსოვდა და ახლანდელიც იცოდა. მაშინდელი მოსმენის შემდეგ თურმე სვერდლოვსკის ოპერაში დაიწყო მუშაობა, პერსპექტიულად ჩათვალდა, თუმცა მალევე ვერ ჰქონდა ისეთი და რეპერტუარშიც არ იყო შესული. მაგრამ შარშანწინ გასატროლზე იყო ჩამოსული და ველარ ვიცანიო. ერთი წლით მოახერხა თურმე იტალიაში წასვლა იქაურ პედაგოგთანო, კი მაგრამ, გას-

ტროლზე თუ ჩამოვიდა, როგორ მოხდა, რომ მე არ მასსოვს-მეთქი. ისე მოხდა, რომ შენ მაშინ მარცხენა ორ თითზე პარანიციუმი გქონდა და მთელი კვირა ბოულეტენზე იყავი და სვერდლოვსკის მიმდევრული არ დაინტერესდო, მე მაშინ შოკოლადისფერ შალის კაბას გიკერავდი და აქედან მასსოვსო. მერე რა იმღერა-მეთქი. სილვიო იმღერა „ჯამბაზებიდან“ და ყერმონიო. მართალია, არც ერთია ტექნიკური პარტია, მაგრამ ცუდად არ უმღერიაო. ტანისაგან გამოვდი და იქვე ცხოვრობოთ, ძალიან მინდა შენი ახლოს თუ არა, ჩემი სახელი გავიგონე, ქსენო მეძახდა, ახლა კი, რა თქმა უნდა, მაშინვე ვიცანი, ცალ ხელში მოზრდილი ფუთა ეჭირა, მორეში ბაღურა და თავს მიქნევდა „კარგია რომ მოგისწარი, წამოდი რაა გეჩენთან, აქვე ვცხოვრობოთ, ძალიან მინდა შენი ახლოს ნახვა“. თხოვნის კილოთი მუხბნებოდა. ვუყურებდი ყოფმანით... ძია ლევანის სიტყვები მასხსენდებოდა, ცხადია, მზეს ველარ ეტყოდა შენ ჩადი, მე ამოვალო, მაგრამ მაინც ისევე ლამაზი იყო, გათეთრებული თმა და დარდის კვალი მის სახეს ეკითლოშობილებას სძენდა, და სხვისთვის არ ვიცი, მე კი თანაგრძნობისკენ მიბიძგებდა „ლენინგრადის ქუჩაზე ვცხოვრობოთ, აქვეა, ორი ნაბიჯია... შენ ხომ ჩემს თვალწინ იზრდებოდი მთელი ექვსი წელი, სოფელში რომ წაგვიყვანდნენ არდადეგებზე, ძალზე მომენტატრობოდი ხოლმე, ახლა კიდევ ოცზე მეტი წელია ერთმანეთი არ გვიანახავს, მაშინაც ის რა ნახვა იყო... ჩემი საწყალი შვილი... ჩემი საწყალი შვილი...“ და თვალები ცრემლით ავესო. „მომეცითო, მე წამოვადებო...“ ფუთაზე მივეტანე. „არა. არა. ჯონდო ვაბანავე და გამოვუცვალე ყველაფერი, მძიმე არ არის. თეთრეულია და საცვლები“. მაშინ, 43-ში თბილისში რომ გადმოვიდნენ, ჯონდო მწერდა ჩვენ დიდი ბიხა მოცვეცე მარის ქუჩაზეო, მაგრამ მე ჩვენი სახლი მენატრებო. აკი სტალინის პანაშვილის შემდეგ თვინათთან რომ გამაქცია, მაშინაც იქ ცხოვრობდნენ, ოლონდ ქუჩას სახელი ჰქონდა შეცვლილი და ჭაჭაყვადის გამზირი ერქვა. ახლა კი ლენინგრადის ქუჩაზე ვცხოვრობოთ. მივედით თუ არა მათ შესანიშნავ, მარმარილოს კიბებთან, ძველებურ სახლში, ქსენომ მიიხრა: „ჩვენ ხშირად ვართ დაკავშირებული ფსიქიატრიულიდან და ვარჩიე, აქ ახლოს გადმომეცვალა ჩვენი ბიხა. თან დამიმატეს თანხაც და ამასაც ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდა“. შესანიშნავი ბიხა იყო, მაღალჭერიანი, ძველებური, თალოვანი კარ-ფანჯრებით და თან ძვირფასი ავეჯით განწყობილი, მაშინ რომ ვნახე, მათ იმდროინდელ სახლში, იმ ავეჯით. ფერწერული ტილოებიც ვიციანი. ალიოვას მიერ გერმანიიდან ჩამოზიდული. სვენოს ყველაფერი შევწარჩუნებინა კი არა, როიალიც დავმატებინა. ნაპირა ფანჯარასთან იდგა, კუთხეში და პიუპიტრზე ნოტე-



ბიც ელაგა. გაგებული მჭონდა და აკი მაშინ გა-  
ზეთივც დაიწერა – ქსენოს ქმარი ბერისა შემდეგ  
შინსაკომის ბობოლხეთან ერთად დახვდნენ და  
მარტოდ დარჩენილ ქსენოს, ორ-ორი შვილით და  
თან ყოველგვარი პროფესიის გარეშე, ეტყობა, არ  
გაუჭირდა, რომ ასე ყველაფერი შეინარჩუნა-მეთქი,  
გავიფიქრე და ყველაფერს ინტერესით შევაკლე თვა-  
ლს. „ძველდური სახლი მაინც სხვაა, სხვაგვარად  
მყუდროა“. ვთქვი მე. „გერმანიაში ყოფნის დროს  
ეცხოვრობდით ამდაგვარ ბინაში, ეს სახლიც თურმე  
გერმანელების აშენებულია და ნახვითსანავე გადა-  
წყვიტეს, აღარაფერი მეძებნა და აქ გამდგომსულიყა-  
ვით... ახლაც ხელს მოვიინაცვლებ და სურფანს  
გავშლი“. „არ გინდათ, ქსენო, ნუ შენუხდებით...“  
სწორედ ლენინგრადის ქუჩაზე, მოპირდაპირე მხარეს  
ცოტა ზეითი, 3 ნომერში ჩემი უახლოესი მეგობარი  
ცხოვრობდა და რაკი აქ მოვხვდი, მინდოდა მასთან  
მისვლა... „რას ამბობ“, შეიცხადა ქსენომ, „ძლივს  
გნახე, ამდენი ხნის უნახავს, ისე როგორ გაგომეგებ?!  
გემრიელი რამეებით უნდა გაგიმასპინძლდე...“ და  
მართლაც საუცხოო სურფრა გამაღა, წითელი ხიზო-  
ლაღაც კი ჰქონდა და მალალი ხარისხის სერვისადი,  
ყველაფერი, რაც დეფიციტური იყო და რაკინის  
პერსონაჟივით საბჭოთა ადამიანისთვის დიდად ფა-  
სობდა. ხელს დავიბანა-მეთქი, ვუთხარი და აბაზანა-  
საც კრიალ გააქონდა. „კარგია, რომ ასე ყველაფე-  
რი მოწესრიგებული გაქვთ, ქსენო. ძირითადად ხომ,  
უმეტეს შემთხვევაში, საბჭოთა ადამიანის ყოფა  
მოუწესრიგებელია, ან ონკანია გაფუჭებული, ან  
საერთო ტუალეტია ცუდ მდგომარეობაში, ან საერ-  
თი სამზარეულოა გაჭვარტლული...“ ვთქვი მე. „ოჰ,  
ამოიხზრა ქსენომ, „ჯონდო მყოლოდა კარგად და  
თუნდ მინურში ვიცხოვრებდი... მაგრამ ახლა ჯონ-  
დოსთვისევა კარგი, რომ ასეთი პირობები გაქვს,  
უყვარს სახლი... ჩვენ ვაკეშიც ხომ შესანიშნავი ბინა  
გექონდა, გადმოიყვანეს თუ არა ალიოშა, მაშინვე  
მოგცეს“, „მე ხომ შემთხვევით მოვხვდი თქვენს იმ  
ბინაში, როგორ იყო ჯონდო შემართული უკვდავი ბე-  
ლადის მოკვდავობით, და თქვენი ქმარიც... რა  
შენუხებული და სასონარკვეთილი...“ „თურმე ნახე-  
ვარი წელიდა უნდა ეცოცხლა. ერთი ხელის დაკვრით  
გამოსალმეს სიცოცხლეს, წარმოგადგინა? ასე  
უპროგნოდ მოსპობ ადამიანს...“ ბოლოდანამდ ამბობდა  
და ისე მიყურებდა, თითქოს ალიოშას უპირველესი  
თანამგძრძობელი უნდა ყოფილიყავი. არადა, თავი-  
დან, როცა ჩვენთან შემოსახლდნენ, უზარლოდ მეში-  
ნდა იმისი, მერე კი, დედარჩემის შთაგონებითა და  
გულტებით, ჩირადაც არ ვთვლიდი და აღარაფრადაც  
არ მიმანდა, ჯონდოსთან მეგობრობისა და სიყვა-  
რულის მიუხედავად. მე მუშუარედ შევხედე ქსენოს,  
ერთი სიტყვა არ მითქვამს, თუმცა მაინტერესებდა,

სიკვდილის წინ მაინც მიხვდა რალაცას „სუ“ წერს,  
იმისმა სასტიკმა სულმა განიცადა თუ არა ძვრა სი-  
ნსაზღულსკენ. არადა, ძნელია ძალმომრეობასთან შე-  
გუბდა, თუნდაც მართლმსაჯულების სახელით, მი-  
თუმეტეს ნემზიდასთან შემომწყარალი მრბეველი  
ორგანიზაციის მესვეურისგან, ვისი ოჯახის მშვე-  
ნიერ ბინაში ახლა ძვირფასი სერვილადის, როკფო-  
რისა და ხიზოლალის საბუთ სურნელი ტრიალებდა.  
„რას იხამთ, ქსენო, კარგია, რომ გაჭირვარებ არ გან-  
გიცდათ, ჩვენს ქვეყანაში ხომ ხალხს ყოველთვის  
უჭირდა“, ვთქვი მე. „რამდენი რამ მინდა გითხრა,  
რამდენი რამე, ახლობლობას ხო ყაველი არ გასდის“,  
ამბობდა ქსენო და ფრანგული ფუნთაშუის თხელ  
ნაჭრებს კარაქსა და ხიზოლალს უშვამდა, სერვილა-  
დისა და როკფორის ბუტერბროდებს აკეთებდა, ფუ-  
ფერებში ხილის კოქტეილს ასხამდა, „ჩემი ქმრის  
შემდეგ იმისმა გადაჩენილმა მეგობრებმა უნუგე-  
შოდ არ დამტოვეს, იმათ, ვისთვისაც ალიოშას ბევი-  
რამ გაეკეთებინა, იმას ხომ, თუ არაფერი უფუჭდე-  
ბოდა, არ ეზარებოდა დახმარება და ხელის განვდა,  
ვაკეში ჩვენი დიდი ბინა ძღვენიდა და მოსაკითხებით  
იყო სავეს, სად რა დამეზინავებინა და ვისთვის რა  
გამეგზავნა, არ ვიცოდი. ვკვირბოთ და ვკვირბოთ  
ცხოვრებაო, იტყობა ბოლმე, დოვლათში ვარო, დო-  
ვლათშიო, მაგრამ იმ საწყალს არ დასცალდა, არა.  
ჩვენ კი იმის შემდეგ, მგონი მთელი წელიწადი, არც  
ტკბილი გვიყვიადა, არც მწარე, იმდენი გვეკონდა ყვე-  
ლაფერი. რაც მათავარია, ძალიან კარგი ადგილები  
შემომთავაზეს, ფულიანი, საქონლმცოდნეობის  
კურსები გავიარე და შემეძლო ბაზარში კონტრო-  
ლიორად მემუშავა ან დიდი გასტრონომის მოლორედ,  
ან მილიციაში, საპასპორტო მაგიდის თანამშ-  
რომლად. მე მაინც დიდი გასტრონომი ვარჩიე,  
რკინიგზის სადგურთან, და არც შევმცდარვარ...  
ჩემი ქმრის დანატოვარს რაიმე მოვაკელი კი არა,  
მივუბატე, თან აიღე, მიირთვი, გამეტებით მოიწინე  
ყბა, თორედ მე ისე ვარ სალაპარაკოდ მომართული,  
მარტო თუ მისიმეტი, მშიერი დაარჩები, მასსოვს, ბავ-  
შობაშიც გიყვარდა მოსმენა, დეიდა რუსულადნი რო  
დაგსხამდათ შენა და ჯონდოს, გკითხავდათ და  
გიაბობდათ ათას ამბებს, თვალს არ დაახამამებ-  
დით, გასუსული უსმენდით... პირველ ხანებში ალიო-  
შა მებუზღუნებოდა, ხალხის მტრის ოჯახია და ჯონ-  
დოს ასე სულ მაგათთან რო უნდა ყოფნა, თუ გაიგეს,  
ჩემთვის ცუდი არ იყოსო, მაგრამ მე არ ვეპუებოდი,  
რა ხალხის მტერია ადამიანობით სავსე მოხუცი ქალი  
ან მისი შვილი, ქალაქში ცნობილი ექიმო-მეთქი სხვა  
რომ არაფერი, მეზობლები არიან-მეთქი“ და ისე შე-  
მოხვდა, ისეთი მოლოდინით, თითქოს ჩვენთვის  
დიდად სასიამოვნო უნდა ყოფილიყო მათი მეზო-  
ბლობა და აღიარება. „ძალიან გემრიელია, ქსენო,

ყველაფერი, კოქტილილი ხომ ნამდვილი ნექტარი, თვენი გაკეთებულია?" მე არ მინდოდა, ქსენოსთან ერთად წარსულში გადავჭრილიყავი, მითუმეტეს რაიმე შემეფასებინა, საქმელ-სასმელის გარდა. საა-მისოდ საწყალი ჯონდოც კმარა. მაგრამ ქსენო ფრჩხილების გახსნისთვის იყო შემართული, ჩემ სიტყვებზე ნამიერად შეუფერდა, აბა, ვისი გაკეთებული იქნებაო, სწრაფად მითხრა და სწრაფადვე განაგრძო მანამდე ნათქვამი; „და თუ ამით მეზობლობა არ გინდოდა, მე ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს, სადაც ვიყავით-მეთქი, მართლა, არაჩვეულებრივი უბანი იყო ზევით-უბანი, ისეთი გულგახსნილი, ხალისიანი და მეზობლური ხალხი ცხოვრობდა, სახლებიც ისე იყო აშენებული, აინებნი შიგით, ხედავს-კენ კი არა, გვერდებიდან ჰქონდა გამართული, ვეზადი მოძრაობას, ვინ რას აკეთებდა, ვისთან ვინ მიდი-მიდიოდა, იყო ერთი გადაახილი, მეზობლურად თხოვება და სესხობა, ერთად ბაზარში წასვლა, გაყიდვა-გამოყიდვა, შინაურულად შესვლა-გასვლა, გადაბატონება და გადამბატონებე...“ თქვენი გვერდით კი ძალიან გამიჭირდა, თავიდან მაინც გული არა და არ მიდგებოდა, ზევითკენ მიმინევდა, არადა, შინსაკომი და მილიცია ხო პირდაპირ იყო, ერთი წუთიც რომ ჰქონოდა თავისუფალი ალიოშას, შევძლო შემოვრბინა, ეჭვიანი კაცი იყო და უნდოდა სულ თვალქვეშ ვყოლოდი...“ უცებ წამომცხა, სახეში სისხლი მომანება, საშინელმა ეჭვმა მომიცვია, ლამის ფიზიკურად ვიგრძენი, ხიზილალისანი ლუკმა ყელში როგორ გამეხიზნა, თეძვი გაგენი და ბუტიბრძოლი უკან დავდე, ერთი უსიამოვნო სურათი დამიდგა თვალწინ: „თქვენ კეთილმეზობლური ურთიერთობა გინდოდათ დაგვეყარებინათ ჩვენთან და ხონრით ქადა და ხილი შემოგვიტანეთ...“ „ოჰ, ძალღის ნაკუნითი მახსოვს, ყველაზე ძელი დასაინყებელი ხომ შურაუცხყოფა...“ „და სხვათა შორის უდანაშაულოდ დაღუპული სიცოცხლეც...“ „დედაშენს ნიგნი ჰქონდა გადახილი, თავი აიღო და ცეცხლნაკიდებულეთი წამოხტა, არასდროს, არასდროს არაფერი შემოგვიტანოთ და კარებიდანვე გამაბრუნე გატროზავებული, ასე მეგონა, პანჩური მიჭირებს, ეს არის საქმე? დედაშენი მიუდგომელი ადამიანი იყო, არ დაგვლანარაკებოდა და წარბს არ გაგისწორებდა...“ „ცხადია, იმასვე ფიქრობდა, რასაც ახლა მე ვფიქრობ, ათეულობით წლებით დაგვიანებით...“ ვთქვი და ქსენოს კუმტად შევხედე. „რას... რას... რას ფიქრობ?“ შესძახა მღელვარედ ქსენომ... „თქვენ ჰომეროსი ნაკითხული არ გექნებათ...“ „მერე, რო არ მექნება...“ გავიმტყუნები მაგისთვის თუ რაა?“ ამირიზა, სახეზე ჩრდილმა გადაურა. „არა, მაგიტომ არ გეუბნებით. ჰომეროსის თხზულება იმაზეა, რომ ლამაზი და მშვენიერი ქალის გამო ათი წელი მიმდინარეობდა ომი

და ბრძოლა, აურაცხელი ხალხი შეენირა იმ ომს, დაემხო ბრწყინვალე ქალაქი თავისი მეფით, ქალაქს ტროა ერქვა და ქალს, ვის გამოც ატყდა ეს ვაი-უმეველებელი, მშვენიერი ელენე“. ასადგომად წამოვინივი, აღარ მინდოდა აქ დარჩენა... ქსენო მავაში მწვდა და ძალად დამსვა, „დაიცადე, დაცადე, რალაც მინდა გითხრა, სწორედ შენ მინდა გითხრა“. მე კი ახლად ვიფიქრე დედაჩემის ჩანაწერების შესახებ, ვინ იცის, ოპერაციების აღწერას კი არა, საწარსულად და პირად ამბებს ეხება-მეთქი, ნამდვილად ასე იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდხანს იყო ავად, დრო საკმაოდ ჰქონდა და თავის კაბინეტს გადასცემდა-მეთქი, ნამდვილად მე დამიტოვა, როდისმე ნამკითხა და კიდევ კარგად, გერმანულის ლექციკითან ერთად თბილისში ნამოვიღე-მეთქი. ახლა უკვე ერთი სული მქონდა, დედაჩემის ჩანაწერებში ჩაშეხედა. არადა, ქსენოს ჯერ ხელი არ აეღო ჩემი მაჯიდან და თავის მშვენიერ თვალებს მიმეტერებდა... „ჯონდოც მითხრა, ვთხოვე, გამომეყვიო და არაო, ქმარი მყავს და მიყვარსო...“ მომეჩვენა, რომ ჩაკბითი მეკითხებოდა. დავიბენი „და ეს გინდოდათ გეთქვათ?“ „აი, სწორედ ეს. და მართალი მითხარი, ჩემს თვალწინ ხარ გაზრდილი, გიყვარს? მე ყოველთვის ეს მაინტერესებს, ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ადამიანებს უყვართ თუ არა ერთმანეთი.“ „არც ვიცხოვრებდი მასთან, რომ არ მიყვარდეს“. „მაინტერესებს შენი ამბავი... ძლივს შეგხვდი და... ალბათ, კარგი კაცია, რაკი გიყვარს... ისიც მოდის ხოლმე ფსიქიატრიულში? დავინახავდე...“ „არა, ის ახლა მოსკოვშია და დღე-ღამე ველოდები“. „ალბათ, მივლინებით არის წასული, ჩემ ქმარს რამდენი მივლინებები ჰქონდა, ძირითადად ციმბირში და შუა აზიამო...“ „ალბათ, პატიმარია ეტაპებს რომ მისდევდა, მახსოვს, ბავშვობაში ჯონდოს ძალიან ლამაზი ტიბეტეცა ჰქონდა, შუაზღოური, თქვენ კიდევ აბრეშუმის ნაირ-ნაირი ქალაიები“. „რამდენჯერ მინდოდა შენთვის მეჭუქებინა, მაგრამ დედაშენის მეშინოდა, დარწმუნებული ვიყავი, მაინც არ გაგაკეთებინებდა“. „შეიძლება... ვერ იტანდა სისტემას და სისტემის მახსოვლობა...“ „და შენი ქმარი? სისტემის გარეშე? ინჟინერია თუ ექიმი?“ „არა, ის მუსიკოსია, ორკესტრის სოლისტი, ამასთანავე კარგად ზატყავს, მოყვარული მხატვარია, გერმანიის საელჩოში გამოფენას აწყობენ და სურათები ნაილო მოსკოვში შესარჩევად“. „როგორ, ქართველი არ არის?“ „კინალამ შეიცხადა ქსენომ. „არა, მამით რუსია, დედიტ გერმანელი“. „ვერსადდროს ვერ წარმოვიდგენდი, შენს გვერდით შენი მხრისა არ იქნებოდა“. „დანანებით გაიქვია თავი ქსენომ...“ მეც ვერ წარმოვიდგენია, ჩემს გვერდით არ იყოს ის, ვინც არის“. „რა მდენიერება... ესე იგი, მართლა გიყვარს... მე კი ჩემი ქმა-

რი არასდროს... არასდროს არ მყვარებია, ახლა რომ მაგონდება, მეცოდება კიდევ. მეუბნებოდა ხოლმე, როცა აღარ ვიქნები, მაშინ დამაფასებო, თუმცა ყოველთვის მზრუნველი ვიყავი და გადამზრუნველი სიტყვაც არასდროს არ მითქვამს, მაგრამ სიყვარული ხომ სუ სხვა ხილია, უცხო ხილი..." და ისევ გულდანწყევით გაიმეორა: „მე არასდროს არ მიყვარდა ჩემი ქმარი... და სწორედ შენთვის მინდოდა ეს მეთქვა, და საერთოდ, მეთქვა ჩემი ცხოვრების შესახებ, მე ხო მასსოვს, შენ ბავშვობიდან ადამიანის ბედი განიტერგესებად, ჯონდონს მიმართავ, რა დამავინყებს, რა ყურადღებითა და სიყვარულით იყავი და ახალგაზრდობიდანვე ამეკვიტა ეს ინტერესი, ქალისთვის მაინც მთავარი სიყვარულია, სადაც სიყვარული არ არის, იქ არც სიხარულია, და საერთოდ, ამისთვის არის ადამიანი ამქვეყნად მოვლენილი, განა არ მეთანხმები? ხო მეთანხმები?“ თან ჩაცივებით მომჩერებოდა. ღმერთო ჩემო, თურმე უნდა ემჯდარიყავი ენისლელ მშვენიერ ელენესთან და ადამიანის დანიშნულებაზე მესაუბრა, მაგრამ არა, მას ხომ თავისი ამბის თქმა უნდა... „თქვენ ლამაზი ქალი ხართ, ქსენო, ბავშვობიდან ჩარჩენილი მაცვს, რა სახენათელი და მშვენიერი იყავით, არ მესმის, რატომ დაინყვიტით ასე გული სიყვარულზე, შიძლება გახსოვთ ის ხალხური ლექსი: „აი მთასა, თოვლიანსა, ტანშიშვილი გადაამკიდა, ზედ მათოვდეს, ზედ მანვიმდეს, ზედ ნამქერსაც მომაყრიდა... ოღონდ ეს მწადს, სხვა არაა, ღმერთსაც ამას ვევედრები, უნდომარს კი ნუ შემყრდა“. „წარმოგიდგენია? ფანცქალას უყვარდა ამ ლექსის თქმა... რა საოცარია, შენც სწორედ ეს ლექსი ხარო, თითქოს იმ ქვეყნიდან ფანცქალამ გათხოვა, მაინცადამაინც ეს გეთქვა ჩემთვის...“ თქვა ქსენომ განცდით, თითქოს მე უნდა მცოდნოდა თუ მივმზვადარიყავი, ვინ იყო ფანცქალა. და ცხადია, ქსენოს ინტონაციის მიხედვით, სულ არ იყო ძნელი მიხვდარა. „და დიდი ხანია გარდაიცვალა ის... თქვენი... ფანცქალა?“ „ჩემი ფანცქალა... ჩემი ფანცქალა... უშალ ცა და დედა-მინის შეერთებას წარმოვიდგენოდა ჩვენი ახალგაზრდობისას, ვიდრე ჩვენს დაშორებას. მაგრამ ძალიან ფიცხი იყო, ღონიერი და სულ მუშტი-კრივზე ეჭირა თვალი, თუ დაინახავდა, ვინმე დაშტერებით მიყურებს, არადა, სულ მიყურებდნენ, დღეობებში ყველას ჩემთან უნდოდა ცეკვა და ლაღობა, ფანცქალა მისივე აიღენებოდა და დააბრიალებდა თვალებს. დედა ჰყავდა გოროზი და უყარება, თავი მოჰქონდა თავისი კენინობით, თავადიშვილობით. – არა, არა, არა, არ გამავგონოთ მაგ ქსენოს სახელიო, – შესძახებდა მწყრაღად, ჭკაკტგამოკრული, საერთოდაც გაუცინარი ქალი იყო, ნამდვილი უფშურთ ანგელოზი, „ახნაურები რომ მიანცა ყოფილიყვნენ,

კიდევ შოო, და განა ეკადრება კენია ეფემია ჯორჯაძისას მცირე ეკლესიისა და მცირე მრევლის საცოდავი სოფლის მღვდლის გომბიოვო? რომელსაც ერთ ლოყაში გაუნკაპუნებ ნეპოურტს, ნანდილი გადმოვარდება, მეორე ლოყაში გაუნკაპუნებ – კორუტციო“, მაგრამ, რა თქმა უნდა, ფანცქალა არ ეუბოდა თავის დედას და კრიჭაშიც ედგა, კენია ეფემია ამბობდა თურმე, ნამდვილად ვირის ტვინი აჭამა ჩემ ბიჭს მაგ გომბიოზო. მაშინ ხომ სოფლებში საშუალო სკოლები არ იყო. მხოლოდ შვიდწლიანები, ისიც ყველგან არა, ამიტომ ყველა თელავში სწავლობდა, ზემო სოფლებშიც, ქვემო სოფლებიდან, გაღმიდან, ალენებიდან, ვისაც საშუალოს დამთავრებდა უნდოდა. ჩვენც, მე და ჩემი და-ძმა თელავის პირველ საშუალოში ვსწავლობდით, ვქირაობდით ოთახს ქვევით, გვირავის უბანში და ძალიან გვიჭირდა, საერთო გაჭირვება იყო, ყველას უჭირდა. თან სანყალი მამაჩემი, გაკრეჭილი მღვდელი, ბარზე და თოხზე, ჩუმად თუ ვისმე მონათლავდა ან წესს აუცხებდა... საერთო გაჭირვება იყო, დიდი გაჭირვება... ფანცქალას ოჯახს დარბევა არ განუცდია, რადგან თავიდანვე თელავში ცხოვრობდნენ, მაგრამ სიღუჭჭირე და ხელმოკლეობა კი ნულარ იტყვი, რალა არ ჩამოართვეს, შინ და გარეთ, გაღვარსლეს მთელი ოჯახი. უფროსი ძმა სასწაულად გადაურჩა დახვერტას და ქაქუტყას მიიღვა საზღვარგარეთ. ფანცქალა უშაღლესში არ გოკლეს, როგორც თავადიშვილი, მაინც თბილისში გაარიდეს და იქ ერთი ხანობა კენი-ნა ეფემიას ძმასთან ცხოვრობდა და ხან სად მუშაობდა, ხან სადა... დროდადრო ჩამოიქროლებდა თელავში, მე უკვე დამამთავრებელ კლასში ვიყავი, გაიკითხ-გამოკითხავდა ვის ეჭირა ჩემზე თვალი, ვინ დამედევდა, აუგს ხო არავინ ამბობდა, ვინც თვალში არ მოუვიდოდა, მიფერხხ-მიფერხხავდა, ისეღა ისევ შევფიცავდით ერთმანეთს სიყვარულს, გულამოსკვით ჩავეუტებოდით ერთმანეთს, მოახტებოდა მატარებელს და თბილისში ჩასულს არ იყო, ცეცხლოვანი წერილების წერას იწყებდა და კვირაში სამჯერ მიგზავნიდა, გადანყვიტულიც გვეკონდა, სკოლას რო დავამთავრებდი, მეც წავსულიყავი თბილისში და, კენიან ეფემიას ვაი-ვიმის მუხუხუხავდა, ერთად დავსახლებულიყავით და თავი ერთად გავცეტანა, ჩემი ძმა ოცნებობდა იჩინებობაზე და ფანცქალა მეუბნებოდა, ჩვენც მუშაობასთან ერთად დაუსწრებულზე ვისწავლით და შენ და-ძმასაც ხელს მიგაჭანთო. ისეთი კეთილი იყო და ისეთი ლამაზი, სახეზე ნათელი გადასდიოდა, ერთად რო მივდიოდით, ყველა ღმილით შემოგვხაროდა, და გვეგონა ჩვენი ცხოვრება ია-ვარდით იქნებოდა მოფენილი...“ და ქსენოს სიწინული თუ სევდა აღებუქვდა სახეზე, „ოჰ, ღმერთო, ადამიანმა წინასწარ რო იცოდეს...“ მე კი, თუმცა



დიდი გამჭრიახობით არ გამოვიჩინე, ვიცოდი ჩემი, ჩემიანების, მთელი ქვეყნის ცხოვრების მავალითით, რა შემზარავი ძალითა და მოგიზგიზე სიყვარულით ჰყავდა გულში ჩაკრული ჩეკასა და შინასკომს ეგრეთ წოდებული საბჭოთა ხალხი, შეიძლება ითქვას, ყოველი საბჭოთა მოქალაქე, დაბეჩავებული და მოზემი, სიღარიბით თავომშრნე და შიშით გათანგული... და ცხადია, ამის გამოისობით, ქსენოს თავისი ბლო აღმოკენეს ლამის დამთავრებულად არ ჰქონდა, რომ თვალნი დამიდგა თელავში, ჩვენი სახლის მოპირდაპირედ ორსართულიანი, ყვითელი შენობის ერთ-ერთ ფანჯარასთან მიმდგარი ალიოშა, ძრწასავით ზევიდან მთოვალეთვალე, ნადიკვარზე ლაღად მიმავალი მოციანრი წყლისა დანახვანე, თვალებს მოწკურავდა და ბოღმიანად შეეკურთხებოდა, მერე კი დაუძახებდა თავის „ბიჭებს“ და საბრძოლო დავალებას მისცემდა, როგორ გამოეწვიათ ჩუბუმი გულდიდი ფანცქალა, როგორ ჩაეყუდებინათ ციხეში, როგორ აეკვიდათ მისთვის „სროკი“, ალიოშას კი გამოეყენებინა მთელი თავისი შავბნელი ძალაუფლება ქსენოს ხელში ჩასადგებდა იმ სიმღერის სრული იგნორირებით, რომ „სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადა“. „აი, ხედავ, შენც გაგეღიმა...“ თქვა ქსენომ, „ჩვენი წარმოგვიდგინე, არა? მე და ფანცქალა... კაცი ჰქობდა და ღმერთი იცინოდაო, ასე გამოგვიდა“. „მიყვარს ანდაზები, მაგრამ ამ შემთხვევაში ღმერთი არაფერ შუაშია და მჭონია კიდევ ღმერთი დავაოდეს არ იცინის. ალბათ, სულ სხვა ვილაღამ არაოდება თვალს, სიყვარული მარტო ღიმილს კი არა, შურსა და ბოღმასაც იწვევს, გატიალებსა და გაჩანაგების წყურვილს, თუ მითუმეტეს ნადევი გაქვს ხელში ჩასადგები, განა ასე არ არის?“ ვთქვი და ქსენოს თვალი მოვარიდე, იმდენად გასაგებ იყო ქვეტექსტი ჩემი სიტყვებისა, მზერა როიალზე და პიუპიტრზე გადაშლილი ნოტიებზე გადავტიანე, სიმართლე ვთქვა, იმდენად მოარული იყო ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ჩეკისტების მიერ ქმრების დაღუპვისა და ლამაზი ცოლებისა და საყვარლების ხელში ჩაგდებისთვის ნაშუსსე ხელის აღედა, სულაც არ მინდოდა, გაუის დამემძიმებინა, ალიოშას ინტრიგებითა და ხლართებით, მითუმეტეს ფსიქიატრიულია და ჯონდოს ნახვის შემდეგ, ისედაც ნათელი იყო ეს ამბავი და აკი წარმოვადგინე კიდევ. ამიტომ სანამ ქსენო თავისი და ფანცქალას მზუხარე ამბავში ჩაერთვებოდა, მობოდიშებით დავასწარი; მამაპატიეთ, ქსენო, ისე მაინტერესებს, რა ნოტიბია პიუპიტრზე, შეიძლება ვნახო? მაგრამ შემეძლო არაფერი მეთქვა, რადგან სწორედ ამ დროს დაერწმუნდა მხები გაისმა, ოთახის კარი გაიღო და ახალგაზრდა ქალი და კაცი შემოვიდნენ. კაცი მამინევი ვიცანი - ეს ფსიქიატრიულში ნანახი უმცროსი

ვათი იყო ქსენოსი, მომღერალი მელსი, ვის შესახებაც ჯონდომ ის განმარტებული სიტყვები თქვა, თავისი სახმო სიმების გარდა არაფერ უყვარსო, ქერა ხუჭუჭთმიან ცხვირბაზეკილ ქალზე კი ვიფიქრე, ალბათ, ან კონცერტმანისტური იქნება, ან მომღერალი-მეთქი და მომღერალი გამოდგა, მელსიმ დიდი ამბით წარმოთქვა; „გაიციანთ სვერდლოვის ოპერის ნამყვანი სოპრანო, რესპუბლიკის დამასახურებელი არტისტი გალინა საბანევა“. ქსენო წამოდგა და მიეგება ქალს, ხელი ჩამოართვა და აკოცა კიდევ. მეც წამოვდექი წასასვლელად, მაგრამ ახლა უკვე ამ მელსიმ გამარჯვრა; „ჩვენი მოსვლა გენყინათ? თუ დრო გაქვთ, გთხოვთ დაჩრეთ, ჩვენივის მნიშვნელობა აქვს გარეშე ყურს, ხვალ ზვეთი მოსმენა გვაქვს ოპერაში და ძალიან ვეღვალეთ, განსაკუთრებით გალინას გამო...“ „ჯერ ხომ სეზონი არ გახსნილა და გადმოსვლა უნდა ჩვენიან?“ „რა თქმა უნდა, მე უკვე ჩამრცხვს დასში და ვალია იქ ხომ არ დარჩება? შესანიშნავი სოპრანოა და რეპერტუარსაც მთლიანად ფლობს. წარმოიდგინეთ, გასულ სეზონში „დაიხი“ დაიდგა, მარო იმღერა ძალიან მაგრად, თან მე ვამეცადინე და ერთი ქართული სიტყვა არ შეშლია, ბოლოს კი ისე აიღო სი, დარბაზი დაიანგრ“. „დასხედით, ისაუზნეთ, აი, რუსიკოსაც არაფერი უჭამია...“ შესახა ქსენომ, „მოსვლა ვერ მოასწარი, მაშინვე სიმღერაზე დაიწყე სტუმართან ლაპარაკი...“ საყვარულით და თითქოს გალიზიანებითაც დაუშაბა. „დევი ქსენია, თუ შეიძლება მოწესრიგდები, გადაჯდომისას აეროპორტში დიდხანს მომიხდა ცდა და...“ დაიჭიკჭიკა თავისი სოპრანოთი ამ გალინამ, მე კი გავიფიქრე ჩვენი თეატრი გადაქცეულია სოპრანოებით და ამელიტა გალი-კურჩი თუა ეს საბანევა, თორემ გაუჭირდება თბილისში დამკვიდრება-მეთქი. „რა თქმა უნდა, აბაზანაში ყველაფერი მოშადებულა“. „თქვენ განაგრძეთ საუზნობა და მეც მალე შემოვიერთდებით...“ თქვა ქალმა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. „ცეცხლია, ცეცხლი, ისეთია, უნდა ინატრო...“ თვალი გააყოლა მელსიმ. „სიმღერა სიმღერა და ნახათ, როგორ მღერის, მაგრამ რალა არ გამოსდის ხელიდა, დედა, შენ წამდევილად ხელს არ გაგანძრვინებს, სულ არა აქვს თავში ავარდნილი თავისი პრემიერობა, ლოგინში ყავის მირთმევას რომ თხოულობენ, აი, ნახავ, დედა, როგორ შეეწყობით...“ მელსი თან გემრიელად შეექცეოდა ბუტერბროდებს, კოქტეილს აყოლებდა და შეყვარებულის გატაცებით ჰყვებოდა რა ბრწყინვალედ შესარულეს ვასულ სეზონში დონ-ჟუანისა და ცერლინას პარტიები, ისე რომ რვა მარტისთვის გალინა ირმის ბუნვის ხალიჩითაც დასასაუკრეს... ჰყვებოდა და ვერ ამჩნევდა თუ არ უნდოდა შეეყმნია, რა პირგაყვარული იჯდა ქსენო, გალინის გაუღებლად და ისეთი მოგიზგიზე მხერით

მისწერებოდა ოთახის კუთხეს, გეგონებათ ერთბაშად იქ ჯოჯო დინახაო. „და მოსმენაზე რა გინდათ შესარსოვით?“ ვიკითხე მე, „გალინა მარგარიტას არის იმღერებს „ფაუსტის“ მეორე მოქმედებიდან, მოგახსენებთ, მოცარტიც აუცილებლად და მე გაუწუნე პარტნიორობას და „მომე ხელი ლამაზოს“ შევასრულეთ“. და უცებ თვალი გაუშტერდა; „დედა, რა მოვივიდა? კბილი აგტიკვდა თუ რა არის?“ „ძალიან კარგად იცი, რაც მომივიდა...“ მქისედ თქვა ქსენომ. „ტყუილად, დედა, ძალიან ტყუილად... ძლიერს საბოლოოდ გადაეწყვიტეთ, აქ დავემკვიდრდეთ, შენს გვერდით, შეგიმსუბუქეთ მდგომარეობა,“ თხოვნის, რალაც საწყალი კილოთიც ეუბნებოდა მელსი. „მე ვერავინ შემიმსუბუქებს მდგომარეობას, მარტო ვარ, მარტო, მარტომ უნდა ვზოდო ჩემი სახალენე, ასე გამოდის... რუსიკო, მაპატიე გენაცვა, შენ უცხო არა ხარ, გალინა კიდევ აბაზანაშია“. „და მე რა ვქნა, შენი აზრით, უნდა ავიკრა გუდა-ნაბადი და ნავიდე უკან? ეს გინდა, ესა? ხომ არ შეიძლება სულ საბრაოდებო სკამზე მჯვამდე, მთელი სიცოცხლე, მთელი ბავშვობა, მთელი ახალგაზრდობა, მეც ხომ შენი შვილი ვარ, უკვე გაზრდილი და დამოუკიდებელი ადამიანი, ჯონდოს დანამატი ხომ არა ვარ, არა ვარ, არა“. ბოლმანი და თან მუსხარე კილოთ, ლავის, მოთქმით ამბობდა მელსი. „დანამატი კი არა ხარ, ძმა ხარ, ძმა, და მინდა მოგკვდე, როცა დავინახავ, რო შენ ეს გაიწყინებ, შენი საწყალი ძმა, გისოსებში გამოწყვედული და არ გინდა, როცა ეს შესაძლებელია, გამოვიყვანო და სახლში მყავდეს, ამას ვჩივი და ვტირი, აჰას, ვის რა ხელს შეუშლის, იქნება თავის ოთახში, ადგილი არ არის საკმარისი თუ რაა, ხან რალაცას ნაიკითხავს, მერე როგორ უყვარს ვაჟა და გალაკტიონი, ხან გაველით ერთად, ხან...“ „ხან მოკვლას დაგაიჩრებს, შენ ლამის პერანგით გაეარდები, კიბის ქვეშ შექვრები და იქ იჯდები, სანამ ფსიქიატრიულიდან მოვლენ და წაიყვანენ... კარგი რაა, დედა, კარგი... ჩვენი უბედურება კიდევ ის არის, რომ ვერ ეგუებები, რომ ავადმყოფია, ვერ შეგვიგინია, ვერა, რას ვიზამთ, რასა, სად აღარ წაიყვანეთ, სად აღარ გაყავდეთ, ჯერ კიდევ მამას დროს, ასე მგონია, სანამ დავიბადებოდი, დედის მუცლიდან ვიყავი გამსჭვალული ამ უბედურებით და ერთი უჯრედი არა მაქვს, ერთი უჯრედი, გული, ტვინი ფიტკვები, მონამლოლი არ მქონდეს ჯონდოს ამბით და მეც ხომ მინდა ჩემი ცხოვრება მქონდეს...“ „და არა გაქვს? იქნებ არა გაქვს? იქნებ არ ამოიდე ფეხქვეშ მთელი ქვეყანა, და საცოდავ ბიჭს... ჩემ საცოდავ ბიჭს...“ ქსენოს სიტყვა გაუწყდა, ხმა აუკანკალდა, თვალები ცრემლით ავესო. „არა. არა. არა. შენ მე არ გიყვარები... და არასდროს არ გიყვარდი... და საერთოდ არავინ არ გყვარებია ჯონდოს

მეტი... გაიგე, გაიგე, მე თუ არ ვიმღერებ, კაპიტა ჩემი ფასი და ყოველ ჩამოსვლაზე, ჯონდოს ყოველ გამოყვანაზე, გაქცევა-გამოქცევაზე, შეტყევაზე, გაუსაძლის ურთიერთობაზე... ჯოჯოხითზე, ნამდვილ ჯოჯოხითზე, კინაღამ სულ დამიარდა ხმა... ერთზე. ხომ გახსენს, ნონარმა მიმგვლა, იმისმა გაკვეთილებმა, რომ ფორმა დამერბუნებინა...“ „ჩვენ... ჩვენ...“ ქსენო ერთბაშად მოიდევნა, მხრები აიწურა მომუშტული მტყენები გულზე მიიკრა, საწყალი და საცოდავი გახდა, „მე და ჯონდომ... არ უნდა ვიყო ცოცხლები... რომ შეიძლებოდეს... ჩვენ უნდა მოემკვდარიყავით... მაგრამ რა ვქნა... რა წყალი ჩავვარდეთ...“ „რას ამბობ. დედა. დედიკო...“ მელსი ნამოხტა. დედასთან მიიჭრა. გადაებნა და კოცნა დაუწყო. „თქვენ კი არა, მამას ის გარუნარი უნდა მოეკლა, ხუთი წლის ბავშვს თავში ქვა რო ჩასთხლიდა და ტრავმატული ეპილეფსია აჰკიდა მთელი სიცოცხლე. თქვენ არა, დედა, თქვენ არა...“ და სწორედ ამ დროს აბაზანიდან გალინა გამობრუნდა. გაიცსკროვებული და მოღმარე და თავისი სასიამოვნო სობრანითი დიქტიკა: „как они НИКОГДА друг-друга, так приятно на них смотреть, разве нет?“ და თავისი ჩამძივული კბლები გააელვარა. დედა ქსენიო, მიმართა თავის დედამთილს თუ საღვდამთილს, მე ისე ნოყიერად ვისაღლე თვითმფრინავში, ჯერჯერობით არაფერი არ მინდა და ჩემთვის მთავარი ახლა მეცადინეობააო. მე კი მელსი მომიბრუნდა: „როგორ ბოდიშს გინდით, ვერ წარმოადგენთ, დედა გახარებული მუხებზე და ფსიქიატრიულში, ჩვენიანია, ჩვენიანიაო და ჩვენ კიდევ ჩვენი პრობლემები დაგატყებთ თავს და ახლაც მყოფნის თავხედობა გთხოვით, ცოტა მაინც მოგვისმინოთ“. მე კი ერთი სული მქონდა, ახლა უკვე დედა-შვილის იმ დამორგუნველი სცენის შემდეგ სწორედ მუსიკა მომესმინა, სწორედ სიმღერა გამეგონა, თანაც დონ-ჟუანისა და ცერლინას ის შედევრალური დუეტი, მაინტერესებდა კიდევ, როგორ მღეროდნენ. ოპერის მესახნრებზეც კი, ასე მგონია, ურუკვეთი ვოკალზე, კარგისა და ცუდის გარჩევა შეუძლიათ და ჩვენზე, მუსიკოსებზე ხომ, დღე და ღამე ჩართულები რომ ვართ რეპეტიციებსა და სპექტაკლებში, ლაპარაკი ზედმეტია, ზოგიერთი ჩვენგანი, ღმერთმანი, ტოლს არ დაუდებს ვოკალის პედაგოგებს. და აკი ჩვენი ვიოლონჩელისტი ლევ ნეიმანი ამეცადინებდა დიდი წარმატებით თავის ძმისშვილს კონსერვატორიაში ვოკალურზე ჩასაბარებლად. „კონცერტმასტერი ხომ არ უნა მოვიდეს?“ დავინტერესდი მე. არა. დუნენკოს ზეგ შეხვდებით. ახლა გალინა აიღებს აკორდებს. „თუ გნებავთ, მოგვშველებით. დონ-ჟუანის კლავირო ხომ დეკს რიალიზე?“ მე უცებ აღვინთე სურვილით ხელი გამომელო, მიითუ-

მეტეს ეს სულ არ იყო ჩემთვის ძნელი. და მაშინვე მიფუჯეტი როიალს. მშვენიერი როიალი იყო, კარგად შენახული რინიში, ჩემს შეფასებაზე თქვა კიდევ ქაენო, კარგმა ანწყობმა შემირჩინა და თვითონვე აგინყოფო. პოუპიტრზე სწორედ დონ-ჟუანის კლავირი იდო, გადავშალე ცერლინასა და დონ-ჟუანის დუეტთან და ლამაჟორის აკორდი ავიღე. დონ-ჟუანის ფრაზა ხომ მცირე ოქტავის ლაიი იწყება, და მაშინვე ჩავერთეთ მუზიკონტების პროცესი. ნარმატიკი პროცესი, დიდად საინტერესო შრომასთან დაკავშირებული. მე კიდევ, რა ვქნა, აქტიური ადამიანი ვარ და მხოლოდ აკორდებითა და აკომპანიმენტით არ შემიძლო დაეკმაყოფილებულიყავი, მითუმეტეს, როცა საქმე მოცარტსა და დონ-ჟუანს ეხებოდა. თურმე კარგი ხმები ჰქონდათ, ინტონაციაც სუფთა ყველა რეგისტრში, მაგრამ ხასიათები მიცადამანც ვერ გამოსდობდა; „მაპატიეთ, მელსი, დონ-ჟუანი ხომ არისტოკრატია, მამაცი მაცდუნებელი და პირველივე ფრაზა გამსჭვალული უნდა იყოს გალანტური ცდუნებით...“ მელსიმ ყური ცქვიტა, ნარბები ანკობა და გამიღომა; „გმადლობთ, გმადლობთ, იქნებ გალინასთვისაც გეთქვათ რამე?“ სანახევროდ ხუგრობით, თითქოს დაცინვით წარმოთქვა, „გაითვალისწინეთ, გალინა ნამდვილი პრემიერია, ფორფიგები გვაქვს ჩამოტანილი, აუცილებლად მოგასმენინებთ. ნახავთ, როგორ მღერის ბატერფლიას“. „სრულყოფილსავე სწრაფა ხომ უსაზღვროა, ამიტომ გალინასაც ვეგებო, რომ შინაგანად შეფრთხილდეს და ეს მეტად მოიცავს, არა, გალინა? გლეხის გოგოს, თუმცა კი ანცსა და დაუდგრომელს, მიამიტი და პირლია საქმროს პატრონს, ბრწყინვალე კავალერი თავის სასახლეში ეპატყება, ნიარ-ნიარმა ემოციებმა უნდა მოიცავს ჩვენი ცუდრუმელა, სატრფიალოდ შედერებული ცერლინი, და ყოველი ნიუჟანს სიმღერაში უნდა აისახოს, და ყოველი ნოტი მარგალიტით უნდა ბრწყინავდეს...“ გალინამ გამიღიმა; „რა თქმა უნდა, გეთანხმებით, შენიშვნები აუცილებელია და ყოველთვისაც მიუფუჯებ ყურს, მითუმეტეს, როცა ადამიანი ერკვევა, მელსი ქართულია და ხომ იცით ქართველი კაცის ამბავი, აშპარტავანია“. ისევ მომხიზლავედ გაიცინა და მელსის გადახედა, მელსიმაც საომონებთი შემოსცინა, აშკარად ჩანდა, ერთმანეთს შეჭხაროდნენ. „კარგი აბა, მამ მოდი, დავინოთ ისევ თავიდან და მეც უფრო გაბედული ვიქნები“. ვთქვი მე და მაშინვე განვაგრძეთ მუზიკორება და სხვათა შორის, დიდი ხალისითაც. ქსენოც სავარძელში იჯდა და ყურს გვიადგებდა, ერთხელ თვალი გაუკარი და, ეტყოდა, ინტერესითაც, მაგრამ რაღაც ხნის შემდეგ ვეთიხრა; – მამ, მე კიდევ სადილის თადარიგს შეუდგებო, მშვენიერი ტოლმა მამქს, სალაით ოლივიე და ისპანახი, მელსი, შენ რო-

გორც გიყვარს, ზეთით, მეცადინეობას გაათავებთ თუ არა, ვისადილოთ. მელსი მომობრუნდა; „რა მინდა, იცით, ვთხოვთ, მარგარიტას არიაზე არ შეგანუხებთ და ხვალ თუ დრო გექნებოდათ და ერთ საათს შემოგვეწინარავდით დუეტისთვის? ძალიან დაგვაეალებოდა...“ „დიდი სიამონებთიაც,“ უყოყმანოდ დავეთანხმე, „მხოლოდ დილით აუცილებლად უნდა ვიმუშაო და ასე ორი საათისთვის შეგვიძლია შეუდგეთ ჩვენს წმინდა საქმეს...“ „ოო, მუსიკაზე წმინდა არაფერია ამქვეყნად, მითუმეტეს მოცარტი“. თქვა გალინამ, და სწორედ ამ დროს კარზე ბრახუნი გაისმა. ქსენო კარის გასაღებად გავიდა. მას მაშინვე ფეხდაფეხ შემოპყვნენ ქალი, კაცი და მილიციელი, ცხადია, ვიცინა ფსიქიატრიულის სანიტარი და ექათანი. სწორედ ის სანიტარი, საოცრად რომ ჰგავდა არლის საავამყოფოს ზედამხედველს. ქსენო, გამტყნარებული, იქვე კედელს მიყუდა. „სად არი. აქ არ მოვიდა?“ „კაცო. პური მოიტანეს, რაღაცები და როგორ გამოსხლტა, არ ვიცი“ „აქ ხო არ არი, ხო არა მალვამ?“ „რა თავში სახლეღია, კაცო, რა თავში სახლეღია...“ ერთმანეთს არ აცდიდნენ ექათანი და უფრო სანიტარი „მერე, კაცო. ფურმა უნდა მოიგოს და ტაბახმელაში რო არ წავიდე, არ იქნება. გავგონილა, კაცო, ვაგონილა?“ თანც რამდენჯერ! დადექი და ეძებ ამოღება ქალაქში!“ „მე წავალ... მაქვს გამოცდილება“. ჩავარდნილი ხმით თქვა მელსიმ. ქსენო კი ნამდვილად შეეცუოდებოდათ, იდგა დამნაშავესავით კედელთან ატუზული და სიტყვის უთქმელად შეჰყურებდა თავის შვილას და მომბერებებს, მაგრამ მაშინვე გამოვინდა, თავი მობოჭა; „მოვა სახლში... თქვენ აქვე, ახლომახლო მიიარ-მოიარეთ, და მერე თუ არ მოვიდა, ძმა წავა და მოძებნის. ახლა კი ხომ არ მიორთმევით რამეს.“ რას ამბობთ, რას ამბობთო, უსიამოვნოდ იუარეს და გაჩქარებულები წავიდნენ. ქსენომ გვითხრა, მოდი ჩვენც ვისადილოთ, მაგრამ დიდი თხოვნის მიუხედავად, არაფრით არ დავრჩი, აქვე ჩემი უახლოესი მეგობარი ცხოვრობს და რომ არ ვნახო, არ შემიძლია-მეთქი. მოგვიანებით დაგირეკათ, ვაგივებ ჯონდოს ამბავს და ამის მიხედვით დავეგგმოთ ხვალის მუზიკორების ამბავი-მეთქი. ქსენო გადამხვია, იცოდე, ჩვენ ერთმანეთი აღარ უნდა დავკარგოთ, მე თავი დაფუქარი მათ და წამოვედი. სინამდვილეში სახლში წამოსვლა მეჩქარებოდა...

ხეები... ხეები ხეები... მოგვსალმებთ, ხეებო, მომაქვს სალაში გვიანი, გმადლობთ, ხეებო, დიდი მადლობა... ფუჟუ. რა საზიზღარი სუნე გამოიყვია, საპარფუმორების წინ ბეგიმე ჩატუცქულიყო და თავის ქაქში იქექებოდა... ვაა, როგორ გამოვიდა კინაღამ წავიქეცი, შრიალეებენ ხეები, აუუ, რა მაგრად





შრილაღებენ... მე ვთხოვე თუ არა, იშრიალეთ რო იქიდან გამოყოლილი სუნი გამოვიდეს-მეთქი, მაშინვე დაინყეს შრიალი, აბა, რაა, მემორჩილებიან და მიჯერებენ, მამა ფილარეტს კი არაფერიც არ დაუჯრა, იმ არაკაცმა, იმ ახვარამ, არადა, სად აღარ აპკურა წინდა წყალი, მთელი ეზო განათლად და საქმეში ხანარ? ოოპ, არ მინდა, არა, იმისი მოგონება, მე ვეფხვები და ლომები მელიოდებიან... მაგარამ ავე ის ორი კაპუცინი, ქალბატონი ისევ ისე ზის ქანდარაზე, ვაი, რა დაღვრემილია... რა მოწყენილია, გაუნძრევლადა ზის, თვალებსაც არ ახამამამებს... ვერა ვერა ვერა ვერ გამოჰყავს დადგომარობიდან ანცსა და დაუდგარ ამხანაგს, ისეთია, ერთ ნუთს არა ჩერდება, ახტება, ჩამოხტება, ხელებს ჩამოჰკრავს თავის ამხანაგს, ფეხქვეშ გაუგორდება... ის კი ვითონ არაფერი, ისევ ისე ქანდაკებასათი არ იძვრის. რა დაგემართა ადამიანი. ქვეყნის დარდი შემოგნოლია? ოპ, ჯონდო, მოხვედი, მოგვარონე? მაგოსიამ საქმელი მოიტანა. რა დაემართა ამ კაპუცინს, მარუსია? სიბერე, ჯონდო, სიბერე, დედალი თორმეტისაა და მამალი ორისა. მამ, რა უნდა ქნან? არც არაფერი... ჩათლახი ალა, ორკაპიჯიანი ბოზი, დავებრდი დავებრდი და ცხვირწინ მომიჯახუნა კარები, არ შემიშვა. კინაღამ ხელი მომაყოლა, თუ ახლავე არ აუსვამ აქედან, ვირ გერასიმეს დაუძახებ და ძვალსა და რბილს გაგიერთიანებ. მე მომდევს ცივი საშინელება, ყველა მემტყუნა, ყველა... რა ექნა... რა ექნა? მთელ ქვეყანას როგორ გაუშკვლავდე, ვნახო, უნდა ვნახო ლომები და ვეფხვები, ვნახო!! რა ძალას ჩამებრავენ? მიშველიან, მე დაჭირლი ვარ როგორც აფთარი, და ჩემი ლომები მიშველიან, ნამდვილად დღერთად გადავიქცევი, იმ ღმერთად კი არ ქვეყანა ვეფხვებზე რო ჰკიდია, სუ სხვა ღმერთად, გამიბედოს მერე მელსიმ, ერთი გამიბედოს?! შენაო დედაზე ამოსული შხამიანი სოკო ხარო, უხარმაზარი სოკოვო... რაებს მიბედავ მე, უფროს მძას, სუ სხვა ღმერთად რო უნდა გადავიქცე მუთ ნუთში, ზოგი მაშინ მითხრას, გაიხადე ჩემი ჯინსებო, გაიხადეო, შენც ჩაიცვი ჩემი, თუ გინდა-მეთქი და ყველას თავისი უნდაო, მაშინ რაღა აზრი აქვს თავისას და სხვისასო, მერე მე სხვა ვარ-მეთქი? ძმა ვარ-მეთქი, ძმა, ვიცი, ვიცი და შენმა ძმობამ მე სიცოცხლე გამიმწარა... მე კიდევ რა ექნა? რა ექნა? აგერ გამოჩნდა კიდევ ლეოპარდი... აუუ, რა სიღამაზეა, ნამდვილად ვერა ვინ, ვერა ვინ ვერ შეედრება... თვალე ვერ მომიცილებია... ხალები ხო, ტყუილია რაა, ისეა მოფენილი და მე უღვამებზე ვგივადები, თითქოსდა საგანგებოდ დაუსყენებიათო... ეე, თომა, ნამდვილად უხდება ეს სახელი, რამ შეგქმნა ვერე მოხდენილად, ჰაა? გიყურებ და ვერა ვძღები შენი ყურებით, არადა, ვეფხვი და ლომი მელიოდებიან, სხვა ღმერთად უნდა

მაკურთხო, მამა ფილარეტს რო გამწვანებდაც, რის ჯოჯოხებით, რის სამოთხე-მეთქი, ჯოჯოხეთი გაღმა კი არ არი, აქ არი, აქ არი ვიცი, ტყუუდება თუ მე მატყუებს. მევე? ჯოჯოხეთის ყოველი კუთხე-კუნჭული ზეპირად რო ვიცი, ტყავი რო მაქვს გამძვრალი ჯოჯოხეთის ხარობებზე და ღრანტებებზე ხიხინთა და ფორთხვით. და სამოთხე? ვაიი, როგორ მოქნიება, სიცოცხლითა ვკვებდი, არა თვალები, არა ყურები, არა ენა მეტყველი... გამადლობთ, მამაო ფილარეტ, დიდი მადლობა, მე მინდა ისე ვიყო, ყველანი რო არიან, აი, მარუსიასავით, საქმელს რო უყრის მაკაკებს, აუ, რა იქნებოდა, სუ აქ ვიქნებოდი, ამით არ მოვშორდებოდი... მწვანე ბალახზე... ერთი ციდა ყვავილები რო ამოჩნდებიან და ლურჯ ბურთულეზად იქცევიან. ერთხელ მოგკრიფე, მაკაკებს მივართვი და გემრიელადაც ჩაახარამუნეს... ბიჭოს, ეს რა თქმისი, რა გრგვინვაა... ლომი... ლომი გრგვინავს... თავი დაგხანე და გამაყრუა... არასადროს, არასდროს არ გამოგია... რამდენს დაედივარ... რამდენი ნელეზია... არ გამოგინია... ეს რა ყოფილა, მევე იქნება, აბა რაა. რა ხახა აქვს და რა თვალები... ჩამებრე ძალა-მეთქი... და თავზე დამაგრგვინა, ყურსატელმა დამიარა, ამაკანკალა და უცებ ისეთი ძალა ვიგრძენი, ისეთი ძალა, სხვა ღმერთი ვარ... ბედმა გამოიღა - მეც ხო როდისმე უნდა გამიღმოს ბედმა, ამაზე დიდი გამართლება ცხოვრებაში სხვა რაღა შეიძლება იყოს? მელსი მღერის, მე კიდევ სხვა ღმერთი ვარ, ზოგი ახლს მითხრას შხამიანი სოკო ხარო, დედაზე გამობმულიო, შეუბრალებელი... ზოგი ეხლა მითხრას... დედა, დედიკო, აღარ ვიქნები, აღარ შენზე გამობმულიო, მაგრამ... რა ექნა? რა ექნა? უპ, რამდენი ვირბინე... გული ამოვარდნაზე მაქვს... კიდევაც ვირბინე, არ დაგნებდები, ტყუილია, არ დაგნებდები. ჩემ დასაჭერად იქნებოდა მოსული ის მილიციელი, მამ რად უნდა მოსულიყო ზოოპარკში? რა უნდოდა? ბარიერს გადაეყვუდე... ცოტა სული მოვითქვი... რა მიმზადგელია წყალი, ხიდთან იქვე თოლიები სხედავან ზედ წყალზე, მოყვნილია მტკვარი თოლიები. თოლიებო, თოლიებო, ცოხობე, მხოლოდ ერთი ასნიით ფარდა მზის დამფარავი... მაგრამ საშუაია აქ დგომა... მომაგნებენ... გამპილი ადგოლია. რა უნდა ჩემგან, რა, დათხილები დარბიან, ალბათ, ცოცხალი თავით, არა, არა, არა... უნდა გავიქცე, არადა, მეძინება, აქ, მყუდროზე ჩავთვლემდი, მოშორებით ორი კაცი დგას, ანკესით თევაზობენ. ვაიი, ერთი როგორა ჰგავს იმ მოხუც მებაღეს, თელავში რო იყო ახალ პაღში, სკოლიდან რო მივედიოდი, თუ იქვე ვჯებოთან მუშაობდა, ხან პრანისკს მომიცემდა, ხან კანფეტს, ერთხელ გულზე მიმიხუტა, შენ ხო ჩემი ბიჭი ხარო... უკანიდან კი ხმაური ისმის, მანქანები მანქანები მანქანები რა საშინელებაა, მანქა-


ც. ს. კ. ი.

ნებიდან ხელებს მიქნევნე და იგინებთან... მე მაგი-  
 ნებთ, მევე? რად მაგინებთ, რათა, მე იცით ვინა  
 ვარ? იცით იცით? ნუ მომდევთ ნულუ... ტყუილია  
 ვერ დამიჭერთ უპ როგორ ჩამოხდებოდა... შავი მთაა  
 შავი... ვინ დაარქვა მთანძინდა ვინა. გადმოქანებულ-  
 ლია. რო მოიმზღვლეს და დაეცეს ქალაქს... რა საში-  
 ნელი ხმები მესმის... ვერა ვერა ვერ დამენევით...  
 სადაც არის გული ამომივარდება. რა გინდათ ჩემგან  
 რა... ნავალ. გადავიკარგები და ვერ მომგანებთ,  
 ვერა დედა, დედა, დედიკო, დედიკო...

მოცარტმაც არ გამინელა ის ეჭვი, რაც მელსისა  
 და გალინას მოსვლამდე ქსენოს ნათქვამმა გამოიჩ-  
 ვია, იმასაც ვფიქრობდი, ვინ იცის, სადაცაა ჯონდო  
 დაგვადგეს თავზე-მეთქი და, სამწუხაროდ, არაფერ  
 სასიამოვნოს მისი მოსვლა არავის არ უქადადა. მიწ-  
 დოდა ჩქარა წამოვსულიყავი და ახლა უკვე დედა-  
 ჩემის ნაწერებში ჩამხედდა. წამოლებით კი წამოვიღე  
 თელავიდან ეს საერთო რვეული, გერმანული ენის  
 ლექციებთან ერთად, ჩემს სეკრეტურში გამოვკეტე  
 და გადაშალას და წაკითხვას კი სულ არ ვჩქარობ-  
 დი. მაგრამ ქსენოსთანა და ჯონდოსთან შეხვედრამ  
 წარსულის მოგონება გამომკვეთრა, ოღონდ სხვა კუ-  
 თხით, გულმა რეჩხი მიყო იმ ნათქვამზეც, ალიოშა  
 ეჭვიანი იყო და სულ თავაქვეშ უნდოდა ვყოლოდიო.  
 მოვედი თუ არა სახლში, სეკრეტური გაგვსენი, თევ-  
 შით პური და ყველი დავიდე და დედაჩემის საერთო  
 რვეული გადავშალე. და პირველივე სიტყვიდან ოცი  
 წლის წინანდელ ამბებს მივებრუნდი, დიდად სამ-  
 წუხარო ამბებს, ისიც კი ვიფიქრე, თურმე ტყუილად  
 არ იყო, წაკითხვას რომ არ ვჩქარობდი-მეთქი.

დედაჩემის ჩანაწერები მაშინვე არ წამიკითხავს,  
 დედაჩემს ჩვეულებად ჰქონდა მედიცინის თვალსა-  
 ზრისით საინტერესო შემთხვევები აუცილებლად  
 ჩაენერა, რომ შემდეგ, თბილისში ქირურგთა კონფე-  
 რენციაზე წაეითხა. მაგრამ ქსენომ თქვა თუ არა  
 მთათუშეთში ალიოშას დაჭრისა და დედაჩემის მიერ  
 მისი გადაარჩენის შესახებ, ვულმა რეჩხი მიყო, ვინ  
 იცის, იმ ჩანაწერებში მთათუშეთის ამბებზეც იყოს  
 რაიმე ნათქვამი-მეთქი. თვალწინ დამიდგა ასეთი  
 სურათი; დედაჩემი დგას სასადილო მაგიდასთან, წა-  
 სასვლელად გამზადებული, თავისი ძველი თხუნელას  
 ქურქითა და დედაჩემის მოქსოვილი ნაცრისფერი  
 ბერეტით და სვამს ჩაის, შავი პურის ფინჩებს აწობს  
 ცოტაოდენ ბადავში, – ავადმყოფის მორთმეულია,  
 მაგრამ თავისთვის ვერასოდეს ვერ იმეტებს, რომ  
 გამეტებით დაისხას, – და ქაფქაფა პიტნის ჩაის აყო-  
 ლებს... მე ეს არის სკოლიდან დაბრუნდი, ჩემთვის  
 ასეთი სურათი უცხო არ არის, დედა ხშირად მიჰყავთ  
 ავადმყოფებთან აქეთ-იქით სოფლებშიც, მაგრამ  
 ახლა ბებია ვნახე გამტკნარებული, გულხელდაკრე-  
 ფილი შეპყურებს თავის შვილს... „ნუ დედავ, დედა,  
 აბა, თქვენ იცით, არ მოიმშოთ და არ შეიცოთ...“  
 „როგორ გგონია, როდის დაბრუნდები?“ „შემაგვიან-  
 დება, ცხადია...“ „შენს მეტი ვერავინ ნახეს. არაა.  
 რომ მაინცდამაინც ქალი გაუყენონ ამოდენა გზას.“  
 „მე ქალი კი არა, ექიმი ვარ“. იცინის დედა, „ხომ  
 გითხარი, ნიკო თბილისშია წასული დაჭრილების  
 ახალი პარტიის მისაღებად“. „პანკისში მიდიხარ,  
 დედა?“ „უფრო შორს, ჩემო გოგო,“ დედა მესხვევა და  
 მკოცნის, „მთათუშეთში“.

დასასრული იქნება



# ანზობ აბულაშვილი

დავიბადე 1932 წლის სამ მაისს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში. დავამთავრე თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მოგვიანებით საყმანვილო უურნალ „დილის“ თანამშრომელი გავხდები, სადაც თითქმის ცხრაშეტი წელი გავატარე, 1980 წლიდან კი სამუშაოდ გამომცემლობა „ნაკადულში“ გადავედი, სადაც აქამდე ვმსახურობ. ლექსების წერა მეექვსე თუ მეშვიდე კლასში სწავლისას დავიწყე, რა თქმა უნდა, იმ ნაჯახირვეს თუ ლექსად მივიჩნევთ.

ჩემი ასაკის მიუხედავად, აქამდე ვაგრძელებ ოდესღაც დაწყებულ საქმეს, რომლის შემფასებელი, უნდა არეხად, ქართველი მკითხველი და დრო-ჟამია. მათზე უკეთ არავინ იცის, ღირს თუ არა რაიმედ თქვინი მონა-მორჩილის თითქმის სამოცდახუთწლიანი გარჯა და წამება.

## მახარობელი

წუხელის ბიჭი დაბადებულა,  
გადაჭარბებდა თუ არ ჩამითვლით,  
ისეთი ბიჭი დაბადებულა,  
დაურქმევიათ თურმე დავითი!  
წუხელის ბიჭი დაბადებულა,  
დაურქმევიათ იმისთვის – ცოტნე,  
შენ – ორგულობავ, აბა, გაბედე  
და გული ჩვენი ისევე კორტნე.  
წუხელის შოთაც დაბადებულა,  
დაბადებულა თურმე დემეტრე,  
განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის  
რა სისხარული გამოიმეტე!

წუხელ ცის კარი ცხრავე გააღო  
ყველა გმირმა და თავდადებულმა,  
დაბადებულა თურმე ვახტანგი,  
წუხელ დემეტრე დაბადებულა.



## პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი

საქართველოს ცა, ისეც მაღალი,  
უფრო მეტად ამაღლებულა,  
დაბადებულა მთვარე-გიორგი,  
თურმე ილია დაბადებულა!

წუხელის მტერი – ერთპირად ჩვენი  
მოსპობის მდომი – დადარდებულა;  
დაბადებულა თურმე სულხანი,  
გრიგოლ ხანძთელი დაბადებულა.  
დაბადებულა ბიჭი პაატა.  
გათენებულა წუხელის თეთრად:  
დაბადებულა სამასი გმირი,  
ვით დაიხოცნენ, ისევე ერთად!

წუხელის გოგოც დაბადებულა,  
ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი,  
ისეთი გოგო დაბადებულა,  
დაურქმევიათ თურმე თამარი.  
დაბადებულა წუხელის ნინო  
და ქეთევანი დაბადებულა.  
ის ბნელი ღამე თურმე უეცრად  
ღვთიურის ნათლით განათლებულა.

ყველა ზღაპარი – ნაოცნებარი  
ახდენილა და გამართლებულა:  
დაბადებულა თურმე ნესტანი  
და თინათინი დაბადებულა.  
და გიხაროდენ! ქართველთა შორის  
ღვიძლ ძმათა ხიდი კვლავ გადებულა  
და ერთიანი, ნანატრი დროის,  
ქართლი ხელახლა დაბადებულა!

### ყველაზე მეტი

სიცილის მეტი რა იმის,  
მაგრამ  
ტირილზე მეტი მაინც არ არის...  
და გვანუგემებს ჰანგი სუფრულის  
თუ უზრუნველი ჰარი-ჰარალის.  
რაგინდ ხანგრძლივი სიცოცხლე  
გვექონდეს,  
სიკვდილზე მეტი მაინც არ არის.  
იგი ნიბლიას ნარზე ძილია,  
ჩამოქროლება ნამში ალალის...  
მაგრამ ყველაზე უკუნი ღამეც  
მზის ნაუშლელი მაინც არ არის,  
იმის ბრიალში ვის აჯონდება  
მარადიული ძაძა სამარის...  
ერთხელ მოფრენა,  
ერთხელ ჭიჭიკი  
და ერთხელ ცაში შეკვრა კამარის,  
სწორედ ამიტომ ცრემლის მდინარე  
ემაგ ღიმილზე მეტი არ არის.

რისი მეფობა –  
 ცუდმედიდობა  
 და თავალერა ჩვენი მრავლის,  
 მათი განცხრომის სიტკბო-ზმორება  
 ჯვარცმაზე უფრო ტკბილი არ არის.  
 და კიდევ ერთი,  
 ჩემო კეთილო,  
 შეილო და ძეო დედა თამარის,  
 რაც უნდა დიდი იყოს ქვეყანა,  
 საქართველოზე მეტი არ არის.

## ჩვენი ღვების ქრონიკა

ახალს რა ვუყო,  
 თორემ წყლული,  
 ჯანდაბას, ძველი.  
 კერად არ ითქმის,  
 შავი მჭვარტლით  
 რომელიც ბოლავს.  
 რა გემლერება,  
 თუ სიმღერით ვერავის შევლი,  
 ან რაა ცრემლი,  
 თუკი შევებად  
 არ დასწვეთს გლოვას.  
 მოდებული აქვს ერთიანად  
 მრავალ გულს ხავსი,  
 დღეა თუ ღამე –  
 ველარც ვარჩევთ  
 ხანდახან ახლა.  
 ჩხავილს კრძალულად  
 შესციცინებს გალობა თვალში,  
 ქირქილებს ტყვიის  
 სინათლისთვის  
 მზაკვრულად დახლა.  
 რად ხდება – დღესაც,  
 ცა რომ ქუდად  
 უთავოს ხურავს,  
 თანაც ამგვარი ქუდოსანი  
 თავსაც გვაყვედრის.  
 ცინიკო-ოხუნჯი,  
 ნარბშეკრული,  
 ხალხისთვის „ზრუნავს“  
 მაგრამ სანაცვლოდ –  
 მორჩილებას ითხოვს სახედრის...  
 სწორედ ამიტომ –  
 ამ ბოხოქარ მიტინგის სისხლში  
 ვერევი ჩემი გაფიცებებით,  
 ვით ერთი წვეთი...  
 სხვაგვარ იფეთქებს,  
 მქუხარებაც სხვა არის მისი,  
 მორჩილებიდან კრისტალდება  
 როდესაც დენთი.

### ქრისტიანის მორალი

სოფელი ხოა ჩვენი – ჭრელი, უნდო და მშური,  
შეჭირვებისას კაცმა შევლად მაინც სხვას უხმო...  
რა ვუყოთ, ხდება, იქნებ ძმამაც

გატკინოს გული,  
მაგრამ შენ იმას გულისტკენით არ უპასუხო.

არის სიგიჟე, რია-რია, უამი აცვენის,  
ზოგჯერ ბახუსიც გონამრევი ისე ბახუსობს, –  
ხდება სიმუხთლევ მეგობრისგან თავზარდამცემი,  
მაგრამ სიმუხთლეს შენც სიმუხთლით  
არ უპასუხო.

მშობელი ქვეყნის შავბნელ ბედზე  
გატკანჯა ფიქრმა,  
ხშირად იმისი მწარე კენესით ნაგვემ-ნასუსხო.  
ვერც შეგამჩნიოს ნანამებმა სამშობლომ იქნებ,  
მაგრამ შენ ნყენით არასოდეს არ უპასუხო...

მიაყურადებ სიძულვილის მძვინვარე ყიჟინს,  
ვაი, ვარამი მტკივან გულში  
როგორ დატიო...

და მხოლოდ მცდელებს –  
მომმისადმი აგავსონ ზიზლით,  
ეს კი არავის არასოდეს არ აპატიო.

### ლაზარი

„და სახარებასა შინა  
ამასა ენასა ლაზარე ჰქვიან“.  
„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.  
იოანე ზოსიმე

დაცემულ რწმენის,  
გინა სიმართლის  
კვლავად აღდგომად –  
აღსდექე, ლაზარე!  
ვიდრე ბოლომდე ნათლის კარს  
რკინის  
ბნელის ურდულით  
ჩაგვირაზავენ.  
წმიდისა მისი  
ნება-შენევნის  
რათა ვირწმუნოთ –  
აღსდექე, ლაზარე!  
ვიდრე ცრუთა და  
ფარისევლთა  
მზეი ცხოველიც  
არ შეგვაზარეს...  
ძველ ზარებს არსად  
აღარ რეკავენ,  
ახლა ზრიალი



გააქვთ სხვა ზარებს,  
 კაცთა მართალთა  
 სულის საღებნად,  
 სულის მეოხად –  
 ალსდექ, ლაზარე!  
 ისევ განივრცე  
 ქართლსა ფრიადსა,  
 მაშრიყ-მალრიბი  
 დაისამზღვარე;  
 ბნელეთის ბჭენი  
 შენი მაისის  
 ქექა-ქუხილით  
 შეაზანზარე.  
 თორემ დამაშვრალ  
 ფუტკრების სკამი  
 ავი ბზუილი  
 გააქვთ კრაზანებს  
 და ჰა, საცაა  
 ნათლისმგმობელნიც  
 რწმენის ნათლის კარს  
 ჩაგვირაზავენ.  
 და ვიდრე ცრუთა –  
 ეშმას მსახურთა  
 სიცოცხლეც ჩვენი  
 არ შეგვაზარეს,  
 წამოდექ რისხვად  
 და ძღვევად მათდა,  
 სასწაულებრივ  
 ალსდექ, ლაზარე!

### დიდგორის გერა...

დიდგორთან დავითს მოლაშქრედ ახლდა  
 ჩვეულებრივი ლექსის ეს პნკარიც,  
 თითქმის ცხრაასი წლის წინ წამიერ  
 გადაქნეული ხმლის ნაპერკალი.  
 ვით შეუძლია იმ სისხლს მდულარეს,  
 სიტყვა სიტყვაზე რომ არ დაკიროს,  
 მე ბაზალეთი იმიტომ მიკვირს,  
 თორემ კოხტას მთა რამ გამაკვირვოს.  
 ვერ გამიგია, რატომ ვქცეულვართ  
 მსხვერპლად მომხდურის ხერხის  
 თუ ხრიკის,  
 მე ბასიანი რატომ მიკვირდეს,  
 მე უფრო კრწანის-კოჯორი მიკვირს.  
 გულს რად მიხანჯლავს  
 ფსოუ თუ როკი,  
 ან ეს დრო-ჟამი საითკენ მიქრის.  
 ილიას სიბრძნე კი არ მაკვირვებს,  
 მისი მკვლევების სიჩლუნგე მიკვირს.  
 ჩვენი სავალი მიტომაც ღმრთისკენ

მოფენილია ქვა-ლორღით რიყის.  
ამდენი მსხვერპლის მგლოვარ ძაძაზე –  
ქვეყნის ამდენი მძარცველი მიკვირს.  
და სწორედ ამა მიზეზთა გამო,  
კვლავაც ფეხმორთხმით გვიზის ნოინი,  
ამ დროშა-დიდგორს თვალს რომ შეაელებს  
ლიმ-მონყალებით და ირონით.

.....  
ისიც თქვა პნკარმა – მისიტორიემ,  
ხმაღმემართულმა დიდგორში იმ დროს,  
დავითმა მათათა დამდრეკი ფეხი  
რა სიმსუბუქით დაადგა დიდგორს.

### ყვარყვარე

ვის არ ახსოვს  
წარბშეკერა და  
მრისხანება ყვარყვარეს,  
სიკედლის ხმით ქვეკენელიდან  
დღესაც ამოგზარხარებს...  
ტაშით წამოვძეგლე... ვძეგლეო,  
თუმც თავი ვერ ვაყვარეთ,  
სხვამან არვინ დაიკეხოს,  
ის რომ გაგაყვარყვარეთ.  
მერე ცოტა სხვანაირი  
ვითარება დამყარდა,  
მისი ამქრის წევრ-ნაფიცო  
როცა გაგვიყვარყვარდა.  
იმ ახალზე ასე ვუთხარ –  
იმ პირველის –  
ძველის მყვარებს:  
– წურას სწუხხართ,  
მთლად თუ არა,  
ცოტათი ხომ  
იყვარყვარებს.  
მან კი:  
– ეგ რა გაბედეთო, –  
სულ უკულმა ქოში ყარა  
და მძლე უყვარყვარესობამ  
ჭეშმარიტად იყვარყვარა.  
სკამზეც ისე კოხტად იჯდა,  
იმ სკამს ძლივას გაჰყარეს  
და მის ადგილს წამოგმირდა –  
უფრო ნაღდი ყვარყვარე...  
მერმე მათი მემკვიდრენი  
ცალ-ცალკე თუ კრებულად  
სკამუკებზე ყინჩად ბევრჯერ  
წამოყვარყვარებულან.  
თუ სცენაზე ამხილეს  
და პატივი აჰყარეს,  
ტაშის დამკვრელს ლოჟიდან

მაღლი სწორეს ყვარყვარეს...  
 დრო მიდის და  
 დრო მიქრის და  
 საარსებო მოჩქეფს  
 წყარო,  
 ამხანაგო,  
 ღირს იყავი,  
 იმანსო და იყვარყვარო!  
 მართლაც,  
 ბევრმა იფხიანა  
 და სასურველ-საყვარელნი  
 წინ გვიძლოდნენ –  
 ხალხის საქმეს  
 „შენიშნული“ ყვარყვარენი...  
 სკამით,  
 ქრთამით,  
 პარვით,  
 ქალით –  
 აშენდა და აყვავდა,  
 ხერხიანთა წილიდან  
 ვინც კი ამოყვარყვარდა.  
 იზრდებოდა,  
 დიდდებოდა,  
 სივდებოდა წურბელა...  
 კიდეც კარგი –  
 ნიავე-ქარმა სხვაგვარ წამოუბერა.  
 კიდეც კარგი – ძალას კარგავს  
 ზოგის ცოლი,  
 ზოგის ხარჭა,  
 ვინც მრავალი გააყვარყვარ-  
 გააჯაყოფ-  
 გააკვაჭა...  
 თუკი ბევრჯერ მწარე კენესას  
 სულიც ამოვატანეთ,  
 მხოლოდ ახლა ჩამოძეგლილს  
 ქე ვუბნკინეთ სატანებს...  
 მაგით მაინც იქნებ ჟინი  
 ამ გულიდან გადამყაროთ,  
 თორემ კილამ ავიღერლე  
 მეც საძეგლო-საყვარყვაროდ...  
 მეც ყველაფრით ყვარყვარე ვარ,  
 სხვა სახელი ისე მქვია,  
 რაც მე შუაცეცხლთან ვმჯდარვარ  
 და ნაცარი მიქექია.  
 წვერ-ულვაშიც მომიშვია,  
 წინამურშიც გამისვრია,  
 ბედნავს პროლეტარის ბედზე  
 თვალი ცრემლით დამნისვლია,  
 მაგრამ მაუზერისკენაც  
 ხელი ცქვიტად გამქცევია,  
 საქართველოც ჩემს გემოზე  
 მიკუნ-მიქუცმაცვებია...  
 იმა დღეთა სიამენი  
 სულში ისე მყარად მიზის,



არქიყვარყვარიზმისაკენ  
ვეაჩე ნეოყვარყვარიზმი.

და, თუ მაინც ავლერლდები,  
პანა სისხლად თუ არ გლვარე,  
ჩემო ტურფა ქვეყანავ და...  
მენაცვლე და გეყვარყვარე.

## უნახლიე თვალსახრობა

თვალს უცებ მოხვდა  
შუქი რამ მწველი,  
ხშირი წამნამი,  
სხივისავსე მზერა  
და აღერილი  
მაღალი ყელი  
და გაშლილი თმა –  
გრძელი და ქერა.  
ვუმზირე,  
ლიმმა გადაჰკრა ოდნავ,  
ჩემს წინ მზისფერი  
ჰყვავოდა ქალი...  
ნუ ჩამეთვლება  
ის ჭვრეტა ცოდვად,  
ასე კაცს  
ხილზე ნაუვა თვალი.

## ვედრება

უფალო, ჩემს ძეს – ქარი და ნისლი,  
კაცთ საკადრისი სევდა უძირო,  
ტკივილი ზოგჯერ გაუსადლისი  
არ მოაკლო და არ დაუძვირო.

მაგრამ შენგანვე მიეცეს შველა  
და მხოლოდ შენი თან სდევდეს  
ვალი,  
ერთგულყვავ მისი გრძნობების ღველვას  
მერიზე უფრო ცისფერი ქალი.

## გული

ასაკმაც ვერ თქვას, ხანმოყრილმაც –  
როდის რა გველის,  
იქნებ მდაღველიც კვლავ მოგვეჭრას  
რალაც ორი დღე...  
გულში ჩასობილ ეკალს ნემსით ვერ ამოიღებ,  
მათ უფრო, ვარდის – სისხლისფერის  
და დამდაგველის.  
დილის მზის სხივო, ლამის ცრემლ-ნამ-ნაღვლის  
ამშრობო,  
თავად ამურის იქნებ გული გიკენესს, ნაისრი...  
ნუ ეწყინება ოქროს წვიმას შირაზ-მაისის,  
მაინც გულია ეკლიანი ვარდის სამშობლო.

## გამოფხივება

„ო, როგორ მღუპავს გრძნობა...“

გალაკტიონი

რაც მიწერია,  
ის უნდა ახდეს!  
გულში სიცხადემ  
დაიდგა ტახტი:  
მზაკვართან ჯიბრით  
რას უნდა გავხდე,  
თუკი დათმობით  
ვერაფერს გავხდი.  
ბედს რაც ესურვა,  
ის უნდა ახდეს!  
ეს ლეინო მაინც  
დამიდგით ნალდი;  
სიავით ჩემით  
რას უნდა გავხდე,  
თუკი სიკეთით  
ვერაფერს გავხდი.  
დეკემბრის ღამეც  
ნუხილში გატყდეს!  
ჩემს გზებზე – ყველგან  
ჭრილობად მახლდი...  
თუნდაც ღალატით  
რას უნდა გავხდე,  
თუ ერთგულებით  
ვერაფერს გავხდი.  
ფეხზე ვდგავარ და  
რად უნდა ნაეხდე!  
გულო, ან თვალთმაქცს  
სხვაგვარად დახვდი.  
ან სიძულვილით  
რას უნდა გავხდე,  
თუ სიყვარულით

ვერაფერს გავხდი.  
გულქვათა მხარეს  
გადავსახლდები...  
სოფლის სიმუხთლეს  
ბოლომდე ჩავხვდი,  
სად სიკვდილითაც  
ვერას გავხდები,  
რაკი სიცოცხლით  
ვერაფერს გავხდი.

გმგნობა  
სტეფანე

●  
თერგი ისევ რბის, ისევ ღრიალებს,  
მაგრამ რის სმა და რა სმა...  
ლეგენდასავით გადაიქუხა  
თერგდალეულთა დასმა.  
ტრამალის თერგიც თერგია,  
მაგრამ  
ზათქი ვის ესმის მისი.  
გაგვიხანგრძლივდნენ ავი  
ზამთრები  
ლეღთ ღუნიათა მტრისი.  
და ჯანყ-ქუხილიც კლდეებს  
განგრევს,  
მთებმა რაც უნდა ხერგონ,  
მაგრამ ეგ გრგვინვა სხვათა  
ენაზე  
არ ითარგმნება, თერგო.





# ვასტანგ ხატილავა

რა უნდა გითხრათ ჩემს შესახებ, ძვირფასო მკითხველო – ვიცი, რომ 1948 წელს დავიბადე, არ ვიცი, როდის მოგკვდები, ხოლო ამ ორ თარიღს შორის მოქცეული დრო, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, ისეთივე ტკბილ-მწარე იყო ჩემთვის, როგორც ყველასთვის.

ლექსების წერა რვა წლის ასაკიდან დაიწყო – მშობლებზე განაწყენებული სახლიდან გავიქეცი და დავიკარგე – კუნაპეტი ლამე იყო და გზის გამოგნება გამიჭირდა.

იმ ლამეს რაღაც გადატრიალდა ჩემში და მას შემდეგ ვწერ... ვწერ... ვწერ და სიბნელიდან სინათლისკენ გამოსვლას ვცდილობ, როგორც მაშინ, რვა წლისა რომ ვიყავი...

სულ ეს არის, რაც საკუთარ თავზე შემიძლია გითხრათ, დანარჩენს, თუ რაიმე გაინტერესებთ, ჩემს ლექსებში ამოიკითხათ...

## ვის სჭირდება პოეტის ხელობა

მეოცნებე ვარსკვლავებს შესცქერის,  
მზე ჩადის,  
მთვარე ამოდის,  
მდინარეს ზღვისკენ მიეჩქარება.  
ყველას თავისი ხელობა აქვს,  
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა  
ხელობად.

ბავშვი უცრემლოდ ტირის,  
რომ დედას თავი შეაცოდოს  
და სათამაშო თვითმფრინავი აყიდინოს...  
მესაფლავე საფლავს თხრის,  
ილუზიონისტი ცეცხლს ყლაპავს.  
ყველას თავისი ხელობა აქვს,  
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა  
ხელობად.

ადამიანი იბადება,  
ადამიანი კვდება –  
ადამიანის ხელობა დაბადება და სიკვდილია.

# პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი

მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა  
ხელობად.

მშენებელი აგურს აგურს აწყობს და...  
სახლი!  
მებადური ბადეს ისვრის და...  
თევზი!  
ბავშვი იტირებს და...  
სათამაშო!  
მე ლექსს ვწერ და...  
ქალაღღებ სისხლის ქანჭყრობი.

ლექსების წერა –  
მეოცე საუკუნის მიწურულის  
ყველაზე უმაღლური ხელობა,  
ყველაზე საჭოჭმანო ხელობა,  
სისხლით გატიკნილი ნურბელების –  
სიტყვების მომშენებელი,  
ქალაღღებ მოფუთფუთე ასოების  
მწყემსი.

დღეს ყველა სარფიან საქმეს მისდევს,  
მე, უბედური, ლექსებს ვწერ...  
ზოგს წინდების საამქრო აქვს გახსნილი,  
ზოგს – ღილების,  
მე, უბედური, ლექსებს ვწერ...

იქნებ, დროა, მეც მოვეგო გონს,  
იქნებ, მეც გავხსნა ლექსების ფარდული,  
ჩავდგები დახლში და დამწყებ პოეტებს  
მივიყიდი რითმებს,  
შედარებებს, მეტაფორებს  
და სხვა ათასგვარ წერილმანს.  
ბლოკნოტი, რომელშიც არაფერი არ წერია,  
80 კაპიკი ღირს,  
ნიგნი, რომელშიც 50 ლექსია,  
20 კაპიკი,  
აქედან დასკვნა:  
– ჩვენ ქალაღღს ვაფუჭებთ და  
ქალაღღის გაფუჭებისთვის  
ჯარიმას ვიხდით!

პლატონმა ხომ გამოგვაძევა  
თავისი იდეალური სახელმწიფოდან.  
ჩემი მეგობარი შერმაღინ ქალდანიც  
გამოაძევა ქალბატონმა ხაზომ  
ნაქირავები ბინიდან.  
დილით შესახლებული საღამოს გამოაბრძანა: –  
გაეგო, რომ ლექსებს წერდა და  
დროზე დაიზღვია თავი.

მებადური ბადეს ისვრის,  
გუთნის დედა გუთანს მისდევს.  
ჯარისკაცი სროლაში ვარჯიშობს.  
ყველას თავისი ხელობა აქვს,

მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა  
 ხელობად.

კაცობრიობას  
 ატომურ ბომბზე უდევს თავი,  
 მე კი ლექსებს ჩავწერჩულებ.  
 კაცობრიობა თვითმკვლელობისთვის  
 ემზადება,  
 სიკვდილის ჟინით შეპყრობილი,  
 სიკვდილის ექსტაზით გაბრუებული,  
 სისხლს დანაფული,  
 სისხლით მთვრალი,  
 მე კი ყურში ჩაეძახი:  
 - გამოიღვიძე!  
 - გამოიღვიძე!

მეკუბოვე კუბოების გაკეთებას  
 ვერ აუღის,  
 მე მაინც სიცოცხლის უკვდავებას ვუმღერ!  
 სიძულვილი ჩასახლებულა  
 ჩვენს სახლებში,  
 მე მაინც სიყვარულის უკვდავებას  
 ვუმღერ!  
 ყველას თავისი ხელობა აქვს,  
 მე სიყვარულის განდიდება მარგუნა გამჩენმა  
 ხელობად.

ცხოვრება თიშავს და აშორებს  
 ადამიანებს,  
 მე ერთიანობისკენ მოვუნოდე.  
 უგნურება სისხლის ტბებს აყენებს,  
 მე შეწყალებისკენ მოვუნოდე.  
 რადიაქტიური ზამთრის სუსხი  
 ჩამოგვწოლია თავზე,  
 მე გაზაფხულისკენ მოვუნოდე,  
 ჩემი ხელობა გაზაფხულისკენ მონოდების  
 ხელობაა!

ვის სჭირდება დღეს ხელობა გამომღვიძებლისა,  
 ხელობა შემრიგებლისა,  
 ხელობა გამაერთიანებლისა,  
 ხელობა სიყვარულით შემკავშირებლისა?

კაცობრიობა ჰაშიშით და ოპიუმით  
 გამოთავყვანებული თვალებით მომშტერებია,  
 კაცობრიობის ძარღვებში  
 მორფიუმის და პრომიდოლის სხნარი ჩქეფს,  
 მე კი მის დაცხრილულ ვენაში  
 ისევ და ისევ,  
 ლექსების ტკბილი ბადაგის  
 შემხაპუნებას ვცდილობ.

ვის სჭირდება ჩემი ხელობა?  
 ლექსების ტკბილი ბადაგის შემხაპუნებლის



ხელობა?

არამკითხე კეთილისმყოფელის ხელობა?

მე ვარ საგნების შემფერადებელი,  
საგნების შემლამაზებელი,  
გრძნობების გადამღებველი,  
გულთა ამაჩუყებელი,  
სიბრაალულის ცრემლთა მომდენი.  
ვის სჭირდება დღეს ცრემლთა მომდენის ხელობა?

ამ გოგო-ბიჭებს  
რად სჭირდებათ ჩემი ხელობა –  
სიყვარულის ვარდისფერ ბურუსში  
შემფთუვნელის ხელობა,  
სიყვარულით ამბალღებლის ხელობა,  
სიყვარულით განმნმენდელის ხელობა,  
როცა მათ უკვე გაუშლიათ სარეცელი  
და ერთმანეთს შეყვარებულებს კი არა,  
პარტნიორებს ეძახიან.  
რამდენი ლექსი დანერვილა ამ ქვეყანაზე,  
ის სტრიქონები ერთმანეთს რომ მივანყოთ  
და დედამიწის ზურგზე გავფინოთ,  
მთელ დედამიწას გადაფარავდა  
სტრიქონების უსასრულო ხნულები.  
ვარდის ბუჩქის თესლს ვყრიდით შიგ და  
გველები ამოყელყელავდებოდნენ ხოლმე.

დიახ, ჩვენ დავმარცხდით!  
თუმც დრო გავა  
და თავისი სხეულის ნანგრევებში  
ეს სამყარო კვლავ დაგვიწყებს ძებნას.  
გაქვავებული ლავიდან ამოთხრის სტრიქონებს.  
მონინებით გადააცლის ფერფლსა და მტვერს.  
და თითოეული პნკარის აღმოჩენა  
უძვირფასესი რელიკვიის აღმოჩენას  
დაემსგავსება.  
ქვეყნიერების უმანკო ბავშვობის  
ქრონიკა.  
უტყუარი დასტური,  
რომ ოდესღაც ადამიანები ვიყავით...

მზე აცხუნებს,  
ქარი ქრის,  
ოკეანე ღელავს,  
ჩიტი გალობს,  
ყველას თავისი ხელობა აქვს,  
მე ლექსების ნერა მარგუნა გამჩენმა  
ხელობად.

მეოცე საუკუნის მინურულს,  
სატანის აღზევების ჟამს,  
ვის სჭირდება ეს ხელობა,  
ძველმოდური ხელობა,  
ყავლგასული ხელობა?!

## სიტყვები

მე იმ ერთადერთ სიტყვას დავეძებ,  
 ის ერთადერთი სიტყვა მიშველის,  
 სიტყვა, ბგერებით გამოუთქმელი,  
 ლექსიკონებში აღუნიშვნელი,  
 რასაც ვერ დაშლის გრამატიკოსი  
 ფუძედ, თავსართად, თემის ნიშნებად.  
 სიტყვა, რომელიც არ გაიყოფა  
 და მარცვალ-მარცვალ არ დაიშლება.  
 სიტყვა, რომელსაც სიტყვით ვერ ახსნი,  
 სიტყვით ვერ იტყვი და ვერ გამოთქვამ.  
 სიტყვა, რომელიც შედგენილია  
 დილის შუქიდან და სალამოდან.  
 ის, ჩვეულებრივ, სიტყვების შუა  
 დევს პაუზად და მრავალწერტილად.  
 დაბერებულან ჩვენი სიტყვები,  
 როგორ დალილიან და გაცვეთილან.  
 ვერ შეისწავლი მათ ფონეტიკით  
 და ვერც წერილად მისწერ გულისსწორს.  
 ეს ის სიტყვაა, ხმამაღლა თქმული  
 სიტყვების იქით რასაც ვგულისხმობთ.  
 მე იმ ერთადერთ სიტყვას დავეძებ,  
 ის ერთადერთი სიტყვა მიშველის,  
 სიტყვა – ბგერებით გამოუთქმელი,  
 ლექსიკონებში აღუნიშვნელი.

## ბოლო დღე

ქანაობს მიწა და ირხევია  
 შემკრთალ მინდორზე მდგარი მწყემსები.  
 აყვავებული ტანი ხეივნის  
 ირხევა ნელა და ინუნება.  
 ქანაობს მიწა და აჩხრიალებს  
 რიყეს, კუბოს და ხავსიან კრამიტს,  
 ბნელდება უცბად და მოშრიალე  
 ცოცხლებს აშინებთ სიკვდილის ჩქამი,  
 ქანაობს მიწა და არხევს მზისკენ  
 გაფრენილ ქედებს, ცას და ვარსკვლავებს.  
 ჩვენც გვახსენდება, რომ არცთუ ისე  
 მყარად ვდგავართ და შიშით ვკანკალებთ.  
 კანკალებს მიწა და მალალ ძეგლებს  
 ერყვება ტანი მძიმედ და მკვეთრად,  
 მარადისობის სახელით შექმნილთ,  
 იქნება, დღესვე უმტყუნოთ ბედმა.

დასაწყისია ეს დასასრულის,  
 ახლის და ნორჩის, განუწყვეტელის,  
 ჩვენც, კაცთა მოდგმა, უკვე ზრდასრულნი,  
 მომავლის იქით აღმოცვენდებით,  
 როცა მიაღწევს თავის სიმაღლეს,  
 ხე კვდება, რადგან არ ძალუძს გაზრდა  
 და, თუ მივდივართ, ჩვენც ნუ ვინაღვლებთ,  
 დასრულებულა სავალი გზათა.  
 შენ სტირი, ცრემლი გიდგას თვალებში,  
 რომ სიყვარული ვერ მოვასწარით,  
 მაგრამ დრო გავა და სხვა მხარეში  
 კვლავ აიგება ლურჯი ტაძარი.  
 ცა განათდება სხვა მზით ნაქარგი  
 და ისევ შეცვლის დილა ღამეებს,  
 იმ სიყვარულით, ჩვენ რომ დავკარგეთ,  
 ერთმანეთს სხვები შეიყვარებენ.  
 ქანობს მიწა, ცეკვავს და როკავს,  
 ნაპირებიდან ღამე გადმოდის,  
 დარჩეს პატარა ბიჭი და გოგო,  
 დანარჩენები ყველა ნამოდით...  
 ჩამკიდეთ ხელი, ჩვენ ერთად ნავალთ,  
 რამეთუ ერთად ვიყავით დღემდე,  
 ჩამკიდეთ ხელი, ჩვენ ერთად ნავალთ,  
 რომ თითო-თითოდ დავბრუნდეთ შემდეგ.

## ლთახი

მე ის შევეკარი ოთხი კედლისგან  
 და გარეშემო შემოვიშენე,  
 როგორც ნიჟარა ან როგორც გარსი,  
 შემოვიშენე და შიგ შევედი,  
 სიცვიეს, სიცხეს, ცნობისმოყვარე  
 თვალებს და ქარებს რომ დავმალვოდი,  
 შევედი გარსში და დავიმალე,  
 კედლებს იქით კი მთვარე ამოდის.

ის საკანია, როცა მარტო ვარ,  
 სახლად იქცევა,  
 როცა ორნი ვართ.  
 - ამ კედლებს ახსოვთ დღესასწაული,  
 ახსოვთ ცრემლიც და მელანქოლიაც,  
 აქ მოფრინავდნენ უცხო ქალები -  
 გულუბრყვილო და მფრთხალი ჩიტები  
 და ჟღერდნენ და ჭიკჭიკებდნენ,  
 ხან თამამად და ხან მორიდებით.  
 უცხო მუსიკას, უცნაურ შვებას  
 და ბანგს, მათრობელს, ნაზიარებნი,  
 როგორც თევზები აკვარიუმში,  
 ვნების ტალღებში დავსრიალებდით,



რომ ერთი ღამით მაინც გვეპოვა,  
ჩვენ ერთმანეთში თავშესაფარი.  
და თენდებოდა და მთავრდებოდა  
იმ ერთი ღამის ლურჯი ზღაპარი.

მე ერთი ვიყავ მხოლოდ მტყუანი,  
ისინი ყველა იყვნენ მართლები  
და მიდიოდნენ მეერ დაღლილნი,  
ცრუსიყვარულში ღამენათევნი.  
მე ვინც მიყვარდა, მე ვინც მწყუროდა,  
მთელი ცხოვრება ვისაც ვეძებდი,  
აქ არ მოსულა! გზა ვერ გაიგნო  
ბნელში მავალმა ხელისცეცებით!  
ჩემი ოთახი! აი, ეს არის,  
რაც მე მარგუნეს დედამინიდან,  
და იქ იყრიდა თავს ყველაფერი,  
რაც სახესა და იერს იცვლიდა.

აი, ეს არის, რაც მე მეკუთვნის,  
რაც გამოსტაცა ოთხმა კედელმა  
სივრცეს და თითქოს მთელი სამყარო  
ამ ათ კვადრატულ მეტრში ეტევა.  
ამ ათ კვადრატულ მეტრში ეტევა  
ზღვაც, ოკეანეც, ცაც, ვარსკვლავებიც,  
ზოგჯერ წვიმს, ზოგჯერ თოვლი ჩამოდის,  
ზოგჯერ მწუხარე წუხან ქარები.

ისე ვით ნიშში, მე ამ ოთახით  
თითქოს სამყაროს სხეულში შემდეგეს  
და არვინ იცის თუ რა მოხდება,  
თუ რა მომივა ცოტა ხნის შემდეგ.  
კუბოა იგი და, როს მოვკვდები  
(სიკვდილიც დროზე უნდა ვახსენოთ),  
გამომიღებენ, როგორც კუბოდან,  
რომ სხვა კუბოში გადამასვენონ.  
თუმც, იქნებ, სჯობდეს, აქვე დამტოვონ  
ანდა ნამიღონ ოთახიანად,  
რომ ორივე ერთად ჩავგნთქას ქვესკნელმა  
და შეგვისრუტოს ხარბმა ხეიარამ.

ეს მერე!!! ჯერ კი, ჯერ ცოცხალი ვარ  
და გაზაფხულის ვნებით ივსება  
ჩემი ოთახი და ენატრება  
სიყვარული და თავდავიწყება,  
აბორგებულნი და ძილგამკრთალი  
ქარით, ქალით და „მთვარის სონატით,  
საცაა ამ სახლს გამოეყოფა  
და შეერევა ცას, ვით ხომალდი!

## მონოლოგი წარსულიდან

... უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავიც,  
 უკანასკნელად ჩაქრა კაშკაშით.  
 შუბზე ამაგეს და დროშასავით  
 ამაფრიალეს უცხო ლაშქარში.  
 ვის წაჰყვა ჩემი ცოლი და ძალღი.  
 ნეტა, ვინ ალებს ბჭისკარს ჭრიალით.  
 ჩემს ძვლებს, გაჟვერილ თივაზე დაყრილს,  
 ვისი ურემი მიაჩხრიალებს.  
 ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი,  
 დევის ტყავივით ტანს რომ მეხვია,  
 მტრის გუთნისდედა, ალბათ, მარაბდას  
 ხნავს და ჩემი ძე მისი მეხრეა.  
 სამარადისოდ სხვაშე დაიტოვა  
 (მე მტვრიან ბინდში უნდა ვიარო):  
 ცა – ნათხოვარი ლურჯი მინდორი  
 უფლისგან ღამე სახეტიალოდ.  
 ჩემი ფიალა ან ვინ დაცალოს,  
 ნორჩი ვენახი ვინ გამიხაროს  
 ანდა უმზეომ და უვარსკვლავომ  
 რით გავითენო, რით დავიღამო.  
 ვის ერდოზე ჰყევს ერთგული ძალღი,  
 ვილას უმშვენებს ცოლი მზიანეთს,  
 ჩემს ძვლებს, გალუმბულ თივაზე დაყრილს,  
 ვისი ურემი მიაჩხრიალებს...

## ამადეო მოდილიანო

სანამდე ვითმინო ეს ღამე, სანამდე,  
 უნდა გადავლებო ცისფრად,  
 ბალში ავადმყოფი ვნევიარ ამადეო  
 და ველოდები ცისკარს.  
 ეგ სახე რად მინდა,  
 ეგ თქვენი ნილაბი,  
 ის უნდა დავეხატო, რაც ნილბის მიღმაა.  
 მადმუაზელ, ოდესმე იყავით იმ მხარეს? –  
 ხედავთ, ცას ცრემლები ვარსკვლავებად მიმხმარა.  
 ქარი – მანანნალა ქუჩის შანსონიე,  
 შემოდის ჩემს ბალში და მხრებზე მეხვევა.  
 თქვენ იცით, სიმართლემდე რა შორია?  
 რა მტკიცენუღია სინათლესთან შეხება?  
 თქვენ აქვე დარჩებით, მე უკვე გაღმა ვარ,  
 თქვენ აქვე დარჩებით მაგ თქვენი სიმდიდრით.  
 ცხოვრება ქარაფშუტა პარიზელი კახაბა,  
 თუ ფული გაქვს – იყიდი.  
 ვისაც გული აქვს და ნაერთვა სასო,  
 ღვინით კი არა, სევდით ლოთდებიან.

გინახავთ ზამთრის მთვარე პარიზის ცაზე? –  
ჩემი პორტრეტია.  
ძნელია, ეს ღამე მართომ გაათენო,  
ძნელია, გადაღებო ცისფრად,  
დათოვლილ ფოთლებში ვნევერ ამაღეო  
და ველოდები ცისკარს...

## ზაფხული, ზუაღამე

ჩახუთული და ცხელი ღამეა,  
ვინც მიყვარს, ახლა არ ჩანს არც ერთი.  
სადღაც მთვრალეები „მრავალუამიერს“  
მღერიან რაღაც უცხო აქცენტით.  
„ღვინის სარდაფი“ – გვაუნწყებს აბრა  
(აქ ბევრი მისვამს სითხე წყალწყალა),  
სარასთან ერთად მოდის აბრაამ  
და უკან მოსდევს ლოთი სანწყალი.  
ჩვენში ვინაა უფრო საბრალო,  
აი, ეს კიდევ საკითხავია.  
იქვე მახლობლად, სადაც აბრაა,  
ცხოვრობს კეთილი ქვრივი, მარიამ.  
გადამქცევია ცხოვრება ჩვევად,  
რა ვქნა, ვერაფრით თავს ვერ ვანებებ...  
მომწვანო გუბე,  
ვის ვკითხო რჩევა,  
გუბეში მშვიდად სძინავთ ამებებს.  
არა, არ მომწონს მე ეს ამებები,  
მე ამეების არა ვიცი რა.  
ის მყიდის,  
ტკბილად ვინც მესალმება,  
მან მომკლა,  
თბილად ვინც გამიცინა.  
უსიყვარულოდ დაავადებულს,  
სასნაულების ჯერ კიდევ მჯერა.  
ვით რიტუალი სავალდებულო,  
გადამქცევია სიცოცხლე ჩვევად.  
ყავახანასთან ღამის დარაჯი. –  
– ყავა მოართვით სტივენ დედალოსს!!!  
კაცს ვეძებ, მაგრამ კაცი არა ჩანს,  
შემესიტყვოს ან შემომედავოს.



### რომანტიკული ლექსი

პოეტი იყო... სიყვარულმა დალუბა იგი,  
ცეცხლს გზა გაეხსნა, გულში დიდხანს ნათემენ-ნაგუბარს.  
პოეტი იყო... სიყვარულმა დალუბა იგი,  
ის პოეტების უძველესმა სენმა დალუბა.

ბედი წყალობდა: ერთხელ მაინც ესმა გალობა,  
შორეულ ციდან და განათდა მკრთალი ქვეყანა.  
მას გაუმართლა: პოეტების შთამომავლობით  
თანდაყოლილი სნეულება რომ შეეყარა.

ჟამი დიოდა, აწყვილებდა ფოთოლს ფოთოლთან,  
მას გაუმართლა: ოცნებებში ჩაქრა, ჩათავდა  
და სიყვარულმა, პოეტების ავადმყოფობამ,  
იმსხვერპლა იგი, ამოჰხადა სული თანდათან.

გადაიარა შემოდგომამ ყვითელ ვუალით,  
გადაიარა წვიმის კენესამ და ლაპალუმმა.  
ეს ბედისწერა იყო მისი გარდაუვალი,  
პოეტი იყო – მშვენიერმა ქალმა დალუბა.

მისი ამბავი საარაკოდ ქალაქს მოედო,  
ქალაქს მოედო ჭორის ქსელი, ქსელი ობობის,  
უკვირდათ მის ძმებს: – დარბაისელ, ჭკვიან პოეტებს –  
დღეს ვინლა კვდება სიყვარულის ავადმყოფობით.

უკვირდათ იმათ, მშვიდი ყოფა ვისაც ერჩია  
თავის ნაჭუჭში ვინც ცხოვრობდა მხდლურად, მალულად,  
უკვირდათ იმათ, ვინც სიყვარულს გადაეჩვია,  
ვინც ლექსებს წერდა სიყვარულზე უსიყვარულოდ.

არ გაქცევია ის თავის ბედს, კვალში მადევარს,  
არ დასცდენია თავის ხვედრზე სიტყვა აუგად,  
მას გაუმართლა: სიყვარულმა გააცამტვერა,  
მას გაუმართლა: საყვარელმა ქალმა დალუბა.

## მიასვენებენ პოეტის ცხედარს

მიასვენებენ პოეტის ცხედარს,  
წყდება და წყდება ფოთოლს ფოთოლი  
ზამთრისპირია,  
ქარების სევდას  
და წვიმის სევდას ჰყვება ჰობოი.

კაფე „ობლებში“ იგონებს დედას  
ვიღაც მოხუცი მთვრალი, ობოლი.  
თოვს მოწყენილად,  
მახათას ზედა  
სხედან ღრუბლები უსამშობლონი.

## სიზმარი

– რა დროა ახლა? დღეა თუ ღამე?  
მოშლილა დროის დინება მშვიდი.  
არეულია წუთი და წამი,  
ათქვეფელია დილაში ბინდი.  
ათქვეფელია ცისფერში შავი,  
შავში – წითელი, მწვანეში – თეთრი,  
გამოდის გზაზე ყვითელი ქარი  
და არაფრისფერ სივრცეებს ერთვის.  
ქარია, მაგრამ არცაა ქარი,  
წვიმაა, მაგრამ არცაა წვიმა.  
ყვირიან, მაგრამ არა ჩანს არვინ,  
მივდივარ სადღაც და ტვირთი მიმაქვს.  
მივდივარ, მაგრამ არ ვიცი კარგად,  
რა მიმაქვს ანდა საითკენ მივალ.  
ანკი მივდივარ თუ დახმულ საკნის  
კარს ვარ მიბმული და მზარავს ხილვა,  
რომ კენესა ისმის ოთხივე მხრიდან –  
მიწის ქვემოდან, მიწის გარედან.  
დგას მოგზაური ჩანგრეულ ხიდთან,  
მდინარის გაღმა იცდის კარეტა.  
რა დროა ახლა? არის აქ ვინმე,  
რომ მითხრას, სად ვარ, სხვა ვარ თუ მე ვარ.  
ცას ეხურება ქუთუთო მძიმედ  
და ერთად ქრება მნათობი ყველა.  
სული მიდგას და არც მიდგას სული,

იხრნება მკვდარი ტყეების მძორი.  
არავინაა,  
ვარ გაჩხერილი  
სადღაც ყოფნას და არყოფნას შორის.

•

ვერა გავანყვეთ ბედისწერასთან,  
თუმც თავის დახსნას ბევრჯერ ვეცადეთ.  
ადის ზეცამდე ჩვენი წყევლა და  
ვერ ადის ჩვენი ლოცვა ზეცამდე.  
ვერ დაგანყნარე და ვერ გიშველე,  
ვერ მოვუვლინე შენს სულს მშვიდობა.  
წყევლისგან არის ეს ქარიშხლები  
და ცრემლებისგან ეს წყალდიდობა.  
ო, რა სასტიკი და რა კუშტია,  
განკითხვის ბოლო დღეთა ზმანება.  
გასკდება ერთხელ ეს ცა ბუშტივით,  
ველარ დაიტევს ჩვენს მრისხანებას.  
ველარ დაიტევს სიტყვებს მძვინვარეს,  
ზიზლსა და კრულვას ველარ დაიტევს.  
დაუნდობელო, გაუცინარო,  
კაცთა მოდგმაო, მიხვალ საითკენ.  
სისხლით ეს გული რით ვერ იჯერე,  
ბალღამში სანამ უნდა ინვალო.  
შენ სიძულვილის გამო ისჯები,  
უსიყვარულო დედამინაო.  
მაინც დავმარცხდით ბედისწერასთან,  
თუმც თავის დახსნას ბევრჯერ ვეცადეთ.  
ადის ზეცამდე ჩვენი წყევლა და  
ვერ ადის ჩვენი ლოცვა ზეცამდე.



## შენ ქაშუეთში მელოდი მაშინ

შენ ქაშუეთში მელოდი მაშინ,  
 იდექი ანგელოსების გვერდით  
 თითქოს მელოდი იისფერ ცაში,  
 ხელში ყვავილი გეჭირა თეთრი.  
 ის იყო შენი წმინდა სანთელი.  
 რომელიც უნდა დაგენთო ხატთან.  
 შევლას ითხოვდი და გამართლებას  
 მიხუტებული ღვთისმშობლის კალთას  
 და გისველებდა ცრემლები სახეს,  
 გარეთ ნვიმდა და ხანდახან ელვით  
 განათდებოდა „მხატვართა სახლი“  
 და ლოცულობდა შემკრთალი მრევლი.  
 შენ ჩაიდენდი დღეს პირველ ცოდვას  
 და ეს ცრემლი და ჩუმი გოდება  
 ციურ მიჯნურთან და გულისსწორთან  
 იყო მალული დამშვიდობება.  
 რეკდნენ ზარები და თეთრი მტრედი,  
 მოვერცხლილ გუმბათს ირგვლივ უვლიდა.  
 შენ კი გიყვარდა და თვითონ ღმერთიც  
 ვერ დაგიხსნიდა სიყვარულიდან.  
 სხვა გზა არ იყო დღეს ამ გზის გარდა,  
 ახლა არავის შეეძლო შეველა,  
 ჩვენ მოვიხედეთ და ტაძრის კართან  
 მაგდალინელის დავლანდეთ მზერა...

# ლალი ავალიანი



## ლურჯი, პარსკვლავიანი სულის ძიებაში

„ნოვატორული სიშმაგე,“ ერთობ დამახასიათებელი XX საუკუნისთვის, დღევანდელ ახალგაზრდულ „ტექსტებში“ ზოგჯერ კარიკატურულ სახეს იღებს: დეფორმაცია თუ დეკონსტრუქცია, კლასიკური მწერლობისა და ლიტერატურის ისტორიის ცოდნის გარეშე, წარმატებული ვერ იქნება. მართებულად შენიშნავს თამაზ ჭილაძე: „*ნოვატორობა შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც დიდი ტრადიციები არსებობს*“.

ლია სტურუას ინოვაციური პოეზიის საფუძველი მყარია: ფართო თვალსაზრისი, ქართული და მსოფლიო კლასიკისა თუ მშობლიური ზეპირსიტყვიერების ღრმა ცოდნა, პატივისცემა ტრადიციათა მიმართ, – იმავედროულად, თანამედროვეობის მძაფრი განცდა; თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების წიაღში იგი ისევე კომფორტულად გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში.

ლია სტურუა ერთი იმ პოეტთაგანია, რომელთაც, იშვიათი ნიჭიერებისა და თვითმყოფლობის წყალობით, ახალგაზრდობიდანვე მიაღწიეს ყოველი შემოქმედის სანადეღს – „ლიტერატურული შეგირდობის“ გვერდის ავლით მიაგნეს საკუთარ ხელწერას.

პირველი პოეტური კრებული 1965 წელს გამოსცა, დღემდე მრავალი პოეტური თუ პროზაული კრებულის ავტორია და ნაყოფიერ მოღვაწეობასაც განაგრძობს.

მას რამდენადმე მნიშვნელოვანი ევოლუცია ან, მით უმეტეს, მეტამორფოზები არ განუცდია: უთვალავი ფერის, უთვალავი ბგერისა და უთვალავი სიტყვის სამყაროში მან მიაგნო თავის სტილს – მუსიკას, ბგერწერას, ფერებს... მისი ლექსები ფერადოვანია, ზოგჯერ მოულოდნელი, უცნაური მხედველობითი ხატებით და კონტრასტული, ჩახჩახა ფერებით დაყურსული. იგი პოეტი-„ფერმწერია,“ მზის კულტის მიმდევარი; თუ გოეთეს კლასიფიკაციას მივმართავთ, მის შემოქმედებაში „თბილი“ ფერებია გაბატონებული: ყოლოსფერი, ძონისფერი, ვარდისფერი, ალისფერი, ნარინჯისფერი...

ლია სტურუამ, თანამედროვე ქართული ვერლიბრის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, თავისუფალ მხატვრულ აზროვნებას თავისუფალი ლექსი მოსადაგა. მალევე გახდა საცნაური მისი პოეზიის ერთგვარი ელიტარულობა და სირთულე, არაორდინარული მეტაფორული ხელწერა, ღრმავაზროვანი რეფლექსიები;



ლია სტურუა

მხატვარი ელჟუჟა ამბუკელი

მტანჯველი მორალურ-ეთიკური ძიებანი, ეროვნული ტკივილი და მარადიული, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ერთგულება.

ცხადია, ყოველივე ეს სოცრეალიზმის ადებტებისგან დაუსველი არ დარჩებოდა: სრულიად ახალგაზრდამ იწვინა ოფიციალური კრიტიკის სუსხიც და ქემპარტი ლიტერატურის დამფასებელთა თანადგომაც. „საბჭოური მენტალობისგან“ სრულიად თავისუფალი პოეტი არასდროს ყოფილა მასობრივი მკითხველის მიზიდვის მოსურნე ან საკუთარი თავის რეკლამისტი, თუმცა ახალგაზრდული ეპატაჟი (რაც მაშინ მკაცრად ისჯებოდა) და სითამამე არ აკლდა.

XXI საუკუნეში გლობალიზაციის გადასახედოდან მკაფიოდ გამოიკვეთა მისი პოეზიის უნივერსალურობა და კოსმოპოლიტიზმი (ამ სიტყვის საუკეთესო, ვაჟასული გაგებით). უნდა აღინიშნოს, რომ მისი პოეზიის უნივერსალიზმი ვერ იქნებოდა და დღესაც არ არის „საექსპორტოდ“ გათვლილი (რაც ეგზომ მოხშირდა ჩვენს „მასკულტურულ“ დროებაში), რადგან ეს ლია სტურუას მხატვრული სამყაროს ბუნებრივი ტენდენციაა.

ლია სტურუასთვის პოეზია „წმინდაც“ არის და საყოველთაო-სახალხოც, განდევნილი ბრძენის თავშესაფარიც და მამულის მეციხოვნეთა ხელობაც.

ყოველგვარი სწორბაზონების, მხოლოდ „შაქისა“ და „თეთრის“ დაპირისპირების მოძულე პოეტი სპილოს ძლის კოშკში და სიზმარულ ოცნების საუფლოში გამომწყვდეულ ხელოვნებასაც ჭირისუფლობს და მათი „რიტორიკული“ მოწინააღმდეგეც არის.

პოეტს ღუმად პქონდა და დღესაც აქვს „ყოფაზე ამალღების ნიჭი“. სწორედ „ყოფაზე ხახუნით“ გამდნარი კანი შემოქმედისა, მისი შიშველი ნერვივით მტკივანი სული, თვითმხილველის ფხიზელი მზერა და შემოქმედისთვის აუცილებელი უნარი თანაგანცდისა – არის იმის საწინდარი, რომ მკითხველმა გაითავისოს ლია სტურუას თუნდაც უცნაური და სუბიექტური, მაგრამ ემოციური თვალსაზრისით დიდი ზემოქმედების მქონე პოეტური ხედვა და ხილვამედიტაციები.

ბოლო ორი ათწლეულის მისი ლექსებიდან მკაფიოდ ინაკვებება ტკივილი ჩვენი ქუფრი არსებობის, ნგრევა-ქაოსის, სისხლისა და ცრემლის, გარონისა და გაუცხოების, მარადიული ფასეულობების დევალვაციის გამო.

– მე მტკივა ესანეთი, – ჰგოდებდა მიგელ დე უნამუნო. ლია სტურუას 90-იანი წლები პოეტური კრებული „შუქს ნუ ჩამიქრობთ“ ერთი გაბმული ტკივილია. პოეტს „სტკივა“ საქართველო, თბილისი, ახლობლები, თანამოქალაქენი, სულით მონათესავენი, დარბაისელი მათხოვრები, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, ვაშლის ხეები და ბეღური ჩიტები, მანანალა ძაღლები და უმანკო კრავები...

ლია სტურუა, რომლის მეორე „ხელობა“ ლიტერატურათმცოდნეობაა, იმ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, სიამოვნებით რომ გასცემენ თავისი შემოქმედების „საიდუმლოს“. 1994 წლით დათარიღებული ზემოხსენებული კრებულის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ეს წიგნი დაიწერა ჩემი ცხოვრების უმძიმეს პერიოდში, ომით, რევოლუციით განადგურებულ, დაწვრთულ, მშვიერ, ბნელ და ცივ, სიბუღილით გახლჩილ საქართველოში, სადაც ემიგრანტებით ეცხოვრობ და სამშობლო მენატრება, ქართული ენა მენატრება, რომელიც ისე ნაიბოლნა ქუჩების ხვევაში, რომ ძნელი წარმოსადგენია, ამ ენაზე თუ ოდესმე ვაუთ, პარათაშვილი, გლაკტიონი ლაპარაკობდნენ.“

პოეზია უფრო ნათელი უნდა იყოს, ვიდრე ცხოვრება. ეს, ალბათ, მოვა. ახლა კი ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე ჩემი სვედისათვის, შავი სევედისათვის, რომელშიც შმისა და მთვარის წვეთები კი იგულისხმება, მაგრამ არ ჩანს, რადგან ჩვენი ცხოვრების ნიადგი ტკივილია. მტკივა, ე. ი. ვარსებობ. ამ ხალხს ეძღვნება ეს წიგნი და არა მსუქან და მძღარ კმაყოფილებას, რომელიც ფიორივით ხვევა ჩვენს სიცოცხლეს“.



## ლიტერატურული კორტრეზი

სწორედ იმ შავებელ წლებში, წიგნის, მწიგნობრობის და პოეზიის გლობალური გაუფასურების ხანაში, უნდა გამოვეყთ ღია სტურუას სატელევიზიო საავტორო გადაცემები მწერლობასა და ხელოვნებაზე. მჭევრმეტყველისა და იმპროვიზატორის შესაძური უნარით დაჯილდოებულ პოეტს შესწევს ძალა, მიიზიდოს ნებისმიერი აუდიტორია და თანაც ისე, რომ ოდნავადაც არ უღალატოს თავის სტილს – რთულს, ინტელექტუალურს და ღრმად ემოციურს.

„ნაფიც ვერლიბრისტად“ და, სრულიად სამართლიანად, თანამედროვე ქართული თავისუფალი ლექსის ერთ-ერთ პიონერად მიჩნეული ღია სტურუა, რომლისთვისაც ტრადიციული რითმიანი ლექსიც არ იყო უცხო, კონვენციური ლექსთწყობის ყველაზე ურთულეს და „რეგლამენტირებულ“ ჟანრს – სონეტსაც შეეჭიდა და მშვენიერი წიგნის „ასი სონეტი და სხვ.“ (1999) ავტორადაც მოგვევლინა.

რა არ თქმულა ღია სტურუაზე – სიურრეალისტი, ეგზისტენციალისტი, აბსურდისტი და ა. შ. მენანება მისი პოეზიის პროკრუსტეს სარეცელში მოქცევა, თუმცა უდავოა, რომ მასში მოიპოვება ყველა ზემოხსენებული „იზმის“ ორგანულად გათავისებულები შრეები.

ჩემთვის მისი პოეზია საოცარი სიმბიოზია ავანგარდისმისა და კლასიკისა; მხატვრული სითამამის, ზოგჯერ შეუფარავი ეპატაჟის და წინამორბედთა მიმართ პიეტეტისა; „სიმახინჯის ესთეტიკისა“ და ამაღლებულობის. ის ბროლისა თუ პნილოს ძვლის კოშკში „გამაგრებულ“ პოეტადაც აღიქმება და ფხიზელ პატრიოტად და მოქალაქედაც.

ღია სტურუას ნახევარსაუკუნოვანი ნაყოფიერი შემოქმედება კი არ ამძიმებს, არამედ საკუთარი კრეატიულობის ცხოველმოსილებაში არწმუნებს. სულ ახლახან დაწერა: „*მე რომ ცეცხლზე ვწერ და ზედ ნათეს ვასხამ, სულ არ ვფიქრობ მკითხველზე*“. ეს არ არის ლიტერატურული პოზა, ეს მისი კრედაა.

ღია სტურუას, როგორც ლიტერატურათმცოდნეს, ადრევე მოუწია „პროზასთან“ შეხება: არის ავტორი ქართული თუ უცხოური მწერლებისადმი მიძღვნილი ესეებისა, გალაკტიონის „ფერთა სიმბოლიკის“ მკვლევარი; მაგრამ საკუთრივ მხატვრულ პროზას გვიან ეზიარა – ე. წ. „შეგრძნებების რომანი“ და პარიზისადმი მიძღვნილი ესეისტურ-მემუარული ნარკვევით.

პოეტის პროზა განსაკუთრებული ფენომენია, მეტადრე ისეთი პოეტისა, რომელსაც მხოლოდ დროდადრო ეწვევა პროზის მუზა. პროზის პოეტურობას


მრავალი კომპონენტი განაპირობებს: ამაღლებული განწყობილება, ხატოვანი და ემოციური ენა, რიტმულობა, მუსიკალურობა, ფერადოვანი ტროპები... ღია სტურუა ისე სრულყოფილად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, რომ მისი პროზაული თხზულებებიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება; ეს არის მიაღწევა ამაღლებულთან. ამის დასტურია მისი უახლესი კრებული „ბედნიერი სიჩუმე“ (2010).

XX საუკუნის ხელოვნების მექაზე – პარიზზე ძალზე ბევრია დანერილი, მაგრამ საკუთრივ ამ ქალაქისადმი მიძღვნილი პირველი ქართული წიგნი ღია სტურუას „ბედნიერი სიჩუმეა“. ეს ვრცელი ნარკვევი პოეზიისა და პროზის საზღვარზე მერყეობს, უხვად არის გაჯერებული ლიტერატურული რემინისცენციებით, უცხოელი თუ ქართველი პოეტებისა თუ მხატვრების სხარტი, ჭეშმარიტად პოეტური სილუეტებით; ეს არის წარსული ჰარმონიის მონატრება, პიეტეტი კლასიკის მიმართ და მძაფრი შეგრძნება თანამედროვე ხელოვნების ძიებებისა.

ნარკვევის პირველი ვერსია (1993-96) ფრუსტრაციითა და სევდით იყო გაჯერებული. ზემოხსენებულ კრებულში ის სრულიად სახეცვლილი და ახალი რეალობით შევსებული წარმოგვინა. ახალ რედაქციაში თანამედროვე დისკურსი მძლავრობს: ეს უფრო გლობალური, ჩვენი აქტარებული დროების შესაფერისი ხედვაა და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სწორედ თანადროული ასოციაციებით; გვინდა თუ არა, ახლა სრულიად სხვა რეალობაში აღმოვჩნდეთ და სწორედ ეს არის გათავისმინებული ახალ ვერსიაში (1993-2006). ასეც უნდა იყოს: პარიზისადმი მიძღვნილი ნარკვევი სიხარულის, სიამოვნების და ესთეტიკური ტკბობის მომგვრელია. ამავე კრებულშია შესული ღია სტურუას წერილები ლიტერატურაზე, სეანეთში მოგზაურობის ჩანახატი; აგრეთვე, ესპანეთისადმი მიძღვნილი ესე – სამოგზაურო დღიურის, პოეზიისა და ესპანური ხელოვნების ასოციაციური ჯაჭვის სინთეზი.

ღია სტურუას შემოქმედება მუდამ იზიდავდა ახალგაზრდებს, ასეა ახლაც: ახალი თაობა მას „ვერლიბრის დედად“ მარადიულ ახლისმაძიებლად და ნოვატორად აღიქვამს.

პოეტის მრწამსი ასეთია: „*სასწაული ჯერ კიდევ არსებობს ამ ბნელ, საჰაერ, უზნეო წუთისოფელში, ხოლო ცის მყარზე შემოქმედი ზის და, გაცილებით დიდი წვალეობით და ვაი-ვაგლახით, ვიდრე ოდესღაც, გვიბერავს ტანში ძველებურად ლურჯ, ვარსკვლავიან სულებს*“.



## ოცია იფსელიანი

სახელმწიფოებრივ ქართველ მწერალს, ოცია იფსელიანს ამ დღეებში 81 წელი შეუსრულდა. ჟურნალი „ცისკარი“ თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს ბატონ ოციას დაბადების დღეს, უსურვებს კვლავაც ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით გამარჯვებებს ქართული ხალხის გასახარად და საამაყოდ.

ამჯერად ვთავაზობთ პროზის ცნობილი ოსტატის რამდენიმე ლექსს, რომლებიც სპეციალურად „ცისკარისთვის“ გამოვიგზავნა.

### ისევ უფიქვნე აღმართვას

კაცმა არ იცის, შენი რა ვალი მაქვს,  
რა აუნონელი რამ მმართებს,  
დაღმა დამხობილი, დაღმა დაშვებული  
ისევ შემეყენე აღმართვას.

ყველამ დამთმო და ყველამ მიმატოვა,  
შენმა გზნება-რწმენამ არ დამთმეს,  
შენ ხელი მომიწვდინე თავქვე დაშვებულს და  
ისევ შემეყენე აღმართვას.

ყველაფერზე რომ ხელი ჩავიქნე,  
მეგონა, ჩავექრი, ვერავინ ამანთებს,  
შენ მოახდინე სასწაული და  
ისევ შემეყენე აღმართვას.

გადმოვლილი მქონდა უკვე ის მწვერვალი,  
რაც ჩემი ცხოვრების აღმართზე აღმართეს,  
შენ ერთს შეგენანე დალმა დასაქცევად,  
ისევ შემიყენე აღმართებს.

დალმა დაშვებისთვის თავს არ მანებებ  
და აღმასვლისთვის მამამ ფრთებს,  
ისევ მწვერვალისკენ, თეთრი მწვერვალისთვის  
ისევ შემიყენე აღმართებს.

●  
შენ ჩემი შემოდგომის  
და ზამთრის შუა  
ჩადექ მაისად  
და უამთა სვლას არ ანებებ  
ხვალეს ხვალისად.

შენ წუთისოფელს ეურჩები და  
თავბრუს ახვევ,  
შენ ჩემს კალენდარს  
ხელს აფარებ და  
ფურცელს არ ხევ.

შენ ჩემს დაღლასა და  
მხნეობას შუა  
ჩადექ ხარიხად  
და სანუთროს რქენ,  
როგორც ხარი ხარს.

რაც დაკანონდა,  
რაც სანუთრომ დააფუძნა,  
არ სცნობ, ამგუნებ,  
შენ მე ხელს მავლებ და  
ნინ ხანს არ მმატებ,  
უკან მამბრუნებ.

●  
აგერ ახლა ტყეში ვიყავ, მივიარე, მოვიარე,  
ვითომ შენგან გავიქეცი, ვითომ შენ გამოგეპარე,  
ვითომ შენზე არ მეფიქრა, ვითომ თავი დაგაღნიე,  
ვითომ თან არ წავიყვანე, ვითომ ტყეს შენც არ განვიე.  
ეს სიო რად ჩამჩურჩულებს, შენს სახელს რად იმეორებს,  
ეს ხე იმ ხეს შენს სახელზე იმდურებს თუ იმეგობრებს?  
ეს ფოთლები რას ამბობენ, ეს ნეშო რას შარიშურობს,  
ხე რომ სუროს არ იშორებს და სიცოცხლეს არ იშურებს,  
ამ დროს ხე ხმას სულ არ იღებს, სურო თითქოს საყვედურობს:  
- ამ ხემ თავი დამანებოს!.. და მგონია, სურო ხუმრობს,  
მაგრამ სადღაც შენი ხმაა თუ ნიავი დაცულლუტობს,



თუ იმ ბებერი ხის ღრუში ჭორიკანა ციყვი ბუდობს  
 და ობობაც შენთვის რალაც სიფრიფანა კაბას ლამბავს,  
 ჩიტები კი... ისევ შენზე... მიყვებიან ახალ ამბავს.  
 სახლში დღე ვერ დავალამე და ღამე ვერ გავათიე,  
 ტყეში მაინც დამაყენე, ტყეში მაინც დამატიე.

●  
 დღეს რომ ქარმა დაუბერა, უსულგულო, სუსხიანმა,  
 შემაცივა, შემაურუოლა, მაგრამ მაინც გულს ეამა.  
 თითქოს რალაც დამიძახე, თითქოს რალაც გამაგონე,  
 გამიხარდა, ცას ვენიე, სხვა ვინ-ვინ და შენ მეგონე,  
 მივტრიალდი, მოვტრიალდი, რა დაკარგე, შენ ვინა ხარ?!  
 ქარი დაქრის, ქარი ანცობს, ქარი შუის – შენ არ ჩანხარ!  
 ისევ ისე დაუბერა, შემომასკდა, ლამის დამცა,  
 ის სიამე, რაც ქარს მოჰყვა, ისევ ქარმა გამომტაცა.  
 ვეკითხები მიმსვლელს, მომსვლელს, ბრძენს, უგნურს თუ  
 არსთგამრიგეს  
 ქარად მოხვალ, ქალად მოხვალ, წყაროდ მოხვალ, ცეცხლად  
 მოხვალ, კაციშვილი ვერ გაიგებს...

●  
 შესაღვეს და საორჭოფოს კი არა და  
 შეუღვევს შეველიე,  
 უსასოო, უარაფრო, უიმედო  
 დავჩიავდი, დავილიე.

მინაზე რომ არაფერი,  
 ვედრებით ცას შევაჩერდი,  
 იქაც – ქუფრი, იქაც – სუსხი,  
 მბჟუტავ ვარსკვლავს თუ ვამჩნევდი.

დავაკვირდი, შენ იყავი, შენი სიყვარული ენთო,  
 ისევ შენ თუ, ერთადერთო,  
 რა დროს სიყვარულიაო, არ თქვა,  
 არა ჰქნა, არ გამიმეტო,

ისევ შენ, ჩემო სულისდგმავ,  
 არ ჰქნა, წყვდიადში არ ჩამნთქა.  
 ისევ შენ უნდა ამანთო,  
 ტრფობის შარბათით დამათრო,

უსაშველო ვალს გდებ, მაგრამ  
 ეს იმედი არ გამიქრო,  
 იქნებ, ცას მკრთალად მბჟუტავი  
 ის ვარსკვლავი არ ჩამიქრო.

●  
 არ გვეკადრება ბეჩავად  
 თავის დაკვრა და დაღუზვა,  
 არცა სხვის ჭიშკარს მიდგომა,  
 არცა სხვის კარზე ატუზვა.

შენი ქოხის კარს არ გაცდე,  
შენი კერია აინთე,  
შენი რაცაა, იკმარე  
და თავი ამაღ დაინდე.

სხვის სრა-სასახლეს ნუ უჭვრეტ,  
შენ შენი ქოხი აქოხე,  
ხმალი შენს ქოხში გაჭედე,  
იბრძოლე და იამბოხე.

შენი ფუძის ანგელოზი  
კერიასთან დააყოვნე,  
სხვისი ციხე ვერ დაგიცავს,  
შენი ქოხი აციხოვნე.

●  
შენ რომ გაჩნდი, სიკვდილიც ხომ შენთან გაჩნდა,  
ხომ ორივე ერთად დაიბადეთ.  
ამ ქვეყნიდან ორივე ერთად ნახვალთ,  
თავს აიგდებ, თუ ზვარაკად დადებ...

ვერ გავბედავ, რამე რჩევა მოგცე,  
ხომ არ ვიცით, ღმერთი რაზე ბჭობდა,  
მაგრამ მაინც... უთავბოლო თავაგდებას  
უსათუოდ თავდადება ჯობდა.

უარესი-უკეთესი რას დავარქვავთ  
ჩვენ რა ვიცით ანდა ვინ გააჩრევს,  
მაგრამ მაინც, ხომ არ სჯობდა, სულ არყოფნას  
რომ იყავი, ნაკვალები დარჩეს.

ბოლოს, ალბათ, ყველაფერი ნაიშლება,  
სულყველაფერს დავიწყება მოსრავს,  
ღმერთმა ნუ ჰქნას, ბედმა ისე გაგიმეტოს,  
ნასვლა სჯობდეს მოსვლას!

### დამერქმია...

მსურდა, შენთვის დამერქმია ცისაფერა,  
დამერქმია ოცნებების ცისარტყელა,  
როცა გარეთ ასე ცრის და ბნელა,  
დამერქმია უიმედოს შველა,  
დამერქმია ნათლის სხივის თანმდევი,  
დამერქმია უგზო-უკვლოს გზამკვლევი,  
დამერქმია სხვისთვის რწმენის გამჩენი,  
დამერქმია კაცის კაცად დამრჩენი,  
დამერქმია სულის, გულის ფეთქვა,  
დამერქმია ...  
მაგრამ უკვე სხვა სახელი გერქვა.

# ჩვენს წინაშე არსებული მოვალეობები

## კმტუ ცინცაძე

### ჩემი მოგონებანი

1903 წლიდან 1920 წლამდე

პირველ ყოვლისა უნდა გაგვეგზავნა ისეთი გაქცეულები, რომლებიც უფრო სახიფათო და მძიმე დამნაშავეებათ ითვლებოდნენ, რომლებსაც სიკვდილით დასჯა მოელოდათ.

ამიტომ პირველ რიგში მოვაქციეთ ტენგიისის პოლიციდან გაქცეული ჯარისკაცი, თომა ჩუბინიძე, ისმაილ ჭუმბურიძე და სხვები. ჯარისკაცი გამოვანყვეთ ვაჭრის ტანისამოსში, (შეხედულეზაბაც შესაფერი ჰქონდა) და პირველი მატარებლით გავეამგზავრეთ. მეორედ თომა და ისმაილი. უკანასკნელს, როგორც ახალგაზრდას, გიმნაზიელის ფორმა ჩავაცვი, მონშობაც გიმნაზიის ვუშოვეთ და თავისუფლად წავიდა. სადგურზე დიდ ხანს არ ვაჩერებდით, რადგან ჯაშუშები მრავლად იყო. იქვე სადგურის ახლოს ერთი ამხანაგის ბინა იყო. სამგზავრო ბილეთებს ადრევე ვყიდულობდით და მეორე ზარის შემდეგ გამოდიოდნენ ბინიდან და ჯდებოდნენ პირდაპირ ტფილისის მეორე კლასის ვაგონში, რათა რიონში კიდევ გადაჯდომა არ დასჭირებოდათ. რიონის სადგურამდის ყოველთვის ერთ ან ორ ამხანაგს ვაყოლებდით, რომ რიონიდან გამგზავრების შემდეგ ჩვენთვის ამბავი მოეტანათ მშვიდობიანად გამგზავრების შესახებ. ტფილისში კი ჩვენი ამხანაგები ჯგუფის ბინაზე ათავსებდნენ.

თომა ჩუბინიძეს ყველაზე უფრო ვუფრთხილდებოდით, რადგან თუ ჩავარდებოდა, მისი სიკვდილისაგან გადარჩენა შეუძლებელი იყო. რამდენადაც შეიძლებოდა სახე შევუცვალეთ, ჩავაცვით ახალი „კოსტიუმი“ და გავაყოლეთ პოლკოვნიკის ფორმაში გამონყოფილი კონია ერისთავი, რომელსაც თითქმის ყველა ჯურის მოსამსახურე იცნობდა და ადვილად ხელის მოკიდებას ვერ გაუბედავდნენ ან და დეხათერებოდნენ. კონია ერისთავმა გამოსდო მკლავში ხელი ჩვენს თომას და პირდაპირ სადგურში გაიყვანა, მიაცილა რიონის სადგურამდის და დაბრუნდა. ამნაირად, თითქმის ყველა მძიმე დამნაშავენი გავაცილეთ ტფილისში. დარჩენ ნაკლებად სახიფათონი, მაგრამ ჩვენ მაინც ყოველ ღონისძიებას ვზნმარობდით მათი უხიფათოდ გაცილებისთვის ტფილისისკენ. მაგრამ, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, პროვოკატორს მაინც ვერ აუფხვიეთ გვერდი.

ერთ საღამოს გავამზადეთ წასასვლელად სამი ამხანაგი: ვოხაძე, ესევანჯია და ჯიქავა. ისინი მოვიყვანეთ ბარონის ბინაზე. მოვიყვანეთ დალაქიცი, ჩვენი ამხანაგი, სანდო პირი. მე პასპორტებს ვსწერ, დალაქი თავსა და წვერს უკეთებდა. ერთს, როგორც მახსოვს, პარიკიც კი გაუკეთა. პასპორტებს სამაზრო სამმართველოდან გვაძლევდა მუ-



სერიძე, რომელიც ყოვლად სანდო ადამიანად მიგაჩნდა. თითქმის 5-6 წელიწადი პარტიის წევრად ითვლებოდა. ყოველგვარ კონსპირაციულ საქმეებს ვაკეცებოდა. პასპორტებს გვაძლევდა ბეჭდით და თან ნამდვილ კაპოის სხვა პასპორტებზე, რომ პასპორტი თითქმის ნამდვილი ყოფილიყო. როდესაც პასპორტებს ვამზადებდი, ერთ-ერთი პასპორტის შესახებ მუსერნიძემ მითხრა: „ამ პასპორტს ამაღამ წაიღებოდა ისიცემი“. ვკითხე მიზეზი – სწორედ პასუხი ვერ მომცა. ყურადღება არ მივაქციეთ. როგორც „ჩინოვნიკს“ ტანისამოსში გამონყობილმა, მუსერნიძემ ბევრი ამხანაგი გაცაცოლა სადგურზე.

ყველაფერი დამზადებულია. პასპორტები დაფურჩიკეთ, ერთს მასწავლებლის ფორმა ჩაეცვით, მეორეს კოსტიუმი, მესამესაც კიდევ რაღაც ფორმა, დალაქმა ყველანი გაალამაზა. ისე გამოიცვალენ, რომ ჩვენც ვერარც ვცნობდით. სულის-კეთება ყველას კარგი ჰქონდა, არც ერთს ჩვენგანს და არც მათ დაღვრემილობა, მონყენილობა არ ეტყობოდა. გასაკვირვალიც არ იყო: ამათზე უფრო მიძიმე დამზადებულნი გავაგზავნეთ და ყველაფერი რიგზე, საათივით აწყობილი გამოდიოდა. საათს დავებუდე. „ანი დროა წასვლისა“ – განვაცხადე. ჯერ დალაქი წავიდა. შემდეგ გადავკოცინეთ ერთმანეთი და წამსვლელნი კარებში გავაცვინეთ. სადგურზე ისინი მუსერნიძეს უნდა გაეცილებინათ. მუსერნიძე უკანასკნელად უნდა გასულიყო. კარები გააღო გასასვლელად, მიბრუნდა და გვითხრა: „თუ რაიმე ცუდი მოხდეს, გაგაგებინოთ თუ არაო“. მე ცოცხად არ იყოს, ბრალე მომივიდა და ხმა მალდა ვუთხარი: „ნუ აშინებ მაგ ხალხს, არაფერიც არ მოხდება, ამაზე აქვე გავაგებინებ“ თქვა. რასაკვირველია, არაფერი მიუჭირია. მხოლოდ შევინძნე, რომ წასვლის ხანს მუსერნიძეს სახე გაფითრებული ჰქონდა, რაც ალღევებით ავხსენი. წავიდნენ. მე და ბარონი დავიქვითი. საათის ორი იქნებოდა, ღამით, ბარონს ზარის ხმა შემოსმოდა. მე მკვდარვით მიძინა. მალე იძებდა და მუხუბნება; „ბოჭო, ადგიე პოლიცია მოვიდა, გაულო, თუ უკან წასასვლელი არის და ხომ არ გაიქცევით“. აღარ მახსოვს რა ვუთხარი, მხოლოდ ავგომბა ქი ძლიერ შემეზარა და ბარონიც კარების გასაღებად წავიდა. პოლიციის მაგიერ შემოვიდა მუსერნიძე, რომელიც სულ მთლად გაფითრებული, ალღევებული უთავბოლოდ რაღაცას ლაპარაკობდა: „დაიჭირეს“, „სცემენ“ და სხვა და სხვა გავიგეთ, რომ გაქცეულები ჩავარდნილიყვნენ, ისიც გავიგეთ, რომ სადგურზე მავრის უფროსს და მის ჩაფრებს დაეჭირათ, რის უფლება მავრის უფროსს არ ჰქონდა – „შენ როგორად გადაარჩი დაჭერას“, – შევეკითხეთ მუსერნიძეს. „მე ეზომი გავიქციეო“, – გვიპასუხა.

გული დაგვწყდა, თითქოს მკვდარი გადავქეცივით, მაგრამ რას გავაწყობდით. მივეცი ეტლის ფული და მუსერნიძეც სახლში წავიდა.

იმდენად დამწუხრებული ვიყავით მე და ბარონი, რომ ერთმანეთისათვის სიტყვა არ გვითქვამს, ისე დავნექით თავ-თავის ლოგინებზე. ძილი აღარ მეკარება. გაუმძრევლად ვდგირარ ლოგინში. ვფიქრობ იმაზე, თუ რისთვის ჩავარდნენ, ვინ არის გამცემი. თავში მოუსვენრად მიტრიალებს მუსერნიძე, მავრის უფროსი, ჩაფრები, დალაქი. დათიკო პაშქმაღჯანიანი, რომელიც გაქცეულთა გამგზავრების ღამეს იქ იყო. ვერც ერთზე ვერ ჩერდებოდა აზრი დიდხანს. ფრიად სანდო ამხანაგები იყვნენ.

თითქმის გათენდა. მოულოდნელად ბარონმა წამოიძახა: „მაგისი ბრალია უთუოდ“-ო. მე გამიკვირდა, რომ ბარონს არ სძინებია და შევეკითხე: „არა გძინავ“-თქვა. თურმე ისიც მთელი ღამე უჭირობდა და იმ დასკვნამდის მისულა, რომ პროვოკატორი მუსერნიძეაო, „მეც ვიფიქრე მაგაზე, მაგრამ ვერ გაგებდე თქმა“-თქვა – გავეხმაურე. მოვიგონეთ მუსერნიძის იმ ღამის საქციელი: „პასპორტი არ მისცეო“, „შევატყობინოთ თუ არა, რომ ცუდი რამე მოხდეს“-ო, მისი დაღვრემილი და გაფითრებული სახე წასვლის დროს, კიდევ სხვა რამეები და ორივე დავაგვიქოთ იმ ბარონს, რომ მუსერნიძე პროვოკატორია. მაგრამ როგორ დავამტკიცოთ? სანდო ამხანაგია. ძნელია ეჭვის შეტანა. ავდექით და გეგმას ვიმუშავებთ, თუ როგორ დავამტკიცოთ მუსერნიძის პროვოკატორობა.

გადავწყვიტეთ ასე: მოვიწვევთ ისევ ჩვენთან, მოველაპარაკებთ, რომ ბევრი გაქცეულთაგანი სახიფათო ბინებზე არიან, ბევრმა იცის ეს ბინები, განსაკუთრებით თომასი, ასათიანის და მგონი, სულიაშვილის. თომასს წასვლა ტფილისში მან არ იცოდა. ლაპარაკის დროს უნდა დავგესახებინა მოგონილი ბინები და გვეთქვა, რომ მაგად. ამაღამ გაქცეულის ბინა (ვიტყვიდით ბინის მისამართს) სახიფათოს, გადაყვანა საჭირო, ბორემ ჩავარდნა კაცი და სირცხვილია-თქვა. თან მას ვთხოვდით ბინა ემოვნა რომელიმე მათგანისთვის. შემდეგ კი თვალყური უნდა გვედევნებია, გაჩხრეკდენ თუ არა დასასვლელზე მოგონილ ბინებს, რომლებიც გვეცოდინებოდა მხოლოდ ჩვენ, 3 კაცს. საბოლოოდ გადავწყვიტეთ ასე. ბარონმა შეატყობინა მუსერნიძეს მოსულიყო ოთხ საათზე მასთან ბინაზე. გამოვიდით ბუღალრში. აქ გავიგეთ, რომ გამცემლობაში სრულიად კერძო ხალხსაც იჭვი სწორედ მუსერნიძეზე აუღია. საქმე შემდეგში ყოფილა: როდესაც მავრის უფროსს სადგურზე ვაგონისათვის ალყა შემოურტყამს, ჩაფართა რაზმის უფროსს თავად ჩხეიძის მოუნდომებია ვაგონში შესვლა გასაჩხრეკად. მავრის უფროსის დაუნახავს ეს და უთქვამს ჩხეიძისთვის: „თქვენ, თავადო, შიგ ვაგონში ნუ შემოხვალთ, რადგან აქ არის ისეთი კაცი, რომელმაც შენ არ უნდა განახოსო“. ჩხეიძე დაინტერესებულა და მინც მეთრე მხრიდან შესულა. დაუთვალეირებია ყველა

შიგ მჯდომნი და მუსერიდის მეტი ნაცნობი ვერაინ უნახავს. ჩხეიძეს ეჭვი აუღია: ალბად, მუსერიდის გაცემულია გაქცეულები და თავისი ეჭვი მეორე თავადისათვის – ბონდო მიქელაძისათვის შეუვამს. ამ უკანასკნელს მამინე ჩვენი ამხანაგისათვის, ბ. კუპრაშვილისათვის გადაუცია, ჩვენ ბონდოს ესთხოვეთ არავისთვის ვთქვა ეს დროებით. ბაჭუაძე გავაფრთხილეთ.

სალამოს ოთხ საათზე მოვიდა მუსერიძე. ეტყო ბოდა გახარებული იყო, რომ ჩვენ ისევ წინანდელი წლებით ვეპყრობოდით. გაგმართეთ მე და ბარონმა პატარა საუზმეს მზგავს: ვიმწვევა, ჩურჩხელა და სხ.

ვერ დავინწყეთ მშვიდი, წყნარი მუსიკი. შემდეგ ბარონს ვეუბნები: „კაცი, ბარონ, ეხლა შემხედა ერთი ამხანაგი და მითხრა, რომ თომას, სულიანოვლის და ასათინის ბინები საეჭვოა, საჭიროა იმათი იქიდან გადაყვანა, თორემ ჩავარდებიან და სირცხვილიაო“ - თქვა.

ბარონმა უკმეხად მიპასუხა: „თუ საეჭვოა, მონახე ბინა და გადაიყვანე, მე მარტოდ ვერ ავუდივარ ამდენი ბინის მოძებნას, ყველანი ჩემს კისერზე არიანო“.

„შენ თუ არ მოუნახე, აბა, ვინ უნდა მოუნახოს, შენ ხარ ადგილობრივი კაცი, ყველას იცნობ, მე ჩამოსული ვარ, თან ვიბალები, მერე ვინ დაგანვა შენ კისერზე, თუ საქმეს ვაკეთებდით, ერთად ვაკეთებდით თქო“, მივუგე მე.

„შენმა თავის ტეხამ – ერთად ვაკეთებდით, შენ მხოლოდ მინა გამორჩიე, სხვა არაფერი გაგიკეთებია, დანარჩენი სულ მე დამანვა კისერზეო“, ხმის ამაღლებით მითხრა ბარონმა.

მეც ვითომ გავჯავრდი, ხმამალა ვუპასუხე: „შენ მეუდამ ასეთი ხარ: თუ გინდა რამე, სხვა დამანვაზე, თუ გაკეთდა, – გინდა მითვისოს, ვერ შენ ერთ კაპეიკის საღირალი არაფერი გაგიკეთებია და ტყუილად ნუ ტრაბახობ, შენ კარგად იცი, რომ ბოლქვაძის ბინაზე არ შეიძლება თომას გაჩერება, იცი, რომ ასათინის დარახველიძის ბინაზე ვერ გავაჩერებთ და სხვა, ეს ბინები თითქმის ყველამ გაიგო, – ნათესავმა, ცოლმა, ამხანაგმა; თუ არ გამოვინა ბინები, პასუხისმგებელი შენ იქნები, ტრაბახობას თავი დაანებე“, მივთქე.

ამის შემდეგ უკვე თითქმის უშვერის სიტყვებით შევცხეთ ერთმანეთს. მუსერიძე ყურს უგდებს ყველა ამას და გვაჩუმებს, გვარჩევს. გვეუბნება. არ შეიძლება ჩხუბი. დაწყნარდით, მეც მოგეხმარები ბინის შოვნაში და სხვა.

მე გავჯავრდი, მივატოვე ისინი და წავედი. ბარონს კი ვუთხარი: ალბათ შენ იმასაც დაამალდი, რომ ერთი კვირა შენთან ვიყავი თქვა. ბარონმა „უსინდისო“ მომამახა კარებში. წავედი, ისინი გამომყვეს.

ახლა ყურს ვუგდებთ: გაჩხრეკენ თუ არა ჩვენ მიერ მუსერიძისთან დასახლებულ ბინებს, სადაც, რასაკვირველია, არაფერ გაქცეულთაგანი არ ცხო-

ვრობდა. იმ ღამეს არ გაუჩხრეკიათ. მეორე ღამეს დასახლებულ სამ ბინაში გაჩხრეკეს ერთი ბინა. თითქმის დამტკიცებულა ყველაფერი, მაგრამ ჩვენ კიდევ არა ვართ დარწმუნებული ფიქრობთ: ვაი თუ შემთხვევით გაჩხრეკეს. რათ ყველა ბინებზე არ გაჩხრეკეს და სხვა. იმდენად სანდო იყო მუსერიძე, რომ ამ ფაქტმაც ვერ დაგვანრწმუნა მის პროვოკატორბინაში. ბოლქვაძის ბინის გაჩხრეკის მეორე დღითვე გავვლით ბულვარში. ბარონს შეხვდა მუსერიძე, ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ბარონმა უთხრა: „კინალამ არ დავიკეთებ ნუხელის. კინალამ თომა არ დაიჭირეს. ბოლქვაძის ბინა გაჩხრეკესო“.

„მერე იქ იყო თომა“, შევითხრა მუსერიძე. „იქ იყო, მაგრამ მოასწრო ბოჭკებით სავსე სარდაფში შესვლა და სარდაფი აღარ გაუჩხრეკიათ და გადაიშალა“, ეუბნება ბარონი.

„ეხლაც აქ არის“, – შევითხრა მუსერიძე. „ანი რა უჭირს – რასაკვირველია, იქ არისო“ – უთხრა ბარონმა.

არ გასულა ორი საათი ამას შემდეგ, გაჩხრეკეს ხელ მეორედ ბოლქვაძის სარდაფი. ეხლა კი უკვე ცხადი იყო, რომ მუსერიძე პროვოკატორი იყო.

გადავწყვიტეთ მისი მოშორება. მეორე დღეს მთავრობა შეუდგა მისორ ჩხრეკას: ქუჩაში, სახლებში, გზებში. ალყა შემოარტყეს არქიელის გორას. ბარონთან ვიყავი. გამაგებინეს. არქიელის გორაზე იმალებოდნენ სამა სტეფანოვი და დათიკო სულიანოვილი. შევეჭმინა არ მასხოს ჩემთან კიდ იყო იმ დროს. მხოლოდ მასხოს, რომ მე და კიდევ ერთი ამხანაგი არქიელის გორაზე წაველით მეორე მხრიდან და ჯარისკაცების წრეში შევედით. გვინდოდა ორივე გაქცეულებისათვის გვეცნობებინა, რომ სახლებიდან გარეთ არ გამოსულიყვნენ. ჩემთან მაგონ აკაკი დლაძეშვილი იყო. მაგრამ სტეფანოვს ვერ მივუსწარი. გარეთ გამოსულიყო და გზაში დაეჭირათ. როგორც გადმოგვეცხა, ვერ მოიქცა გამოსულიად, თორემ გადარჩებოდაო. დათიკო მიუსწარი. ის იყო მედვიტონე კანდელაკის ბინაზე (ბოლშევიკი იყო), რომელიც იქვე სასულიერო სასწავლებლის გვერდით ცხოვრობდა. სახლის წინ მივედით. გარეთ გამოსულიყო ამხ. კანდელაკი და რალაცას ქულით თლიდა. დაგვინახა თუ არა, მოხერხებულა მასწავლებლმა – თქვენ აქ რა გინდათ, წადით ჩქარა, დათიკოს მე მოუვლი, მხოლოდ თქვენ თითონ არ დაგეჭირონო. დათიკოც გამოვიდა ამ დროს. თავზე მასწავლებლის ქული ეხურა. ჩვენს წინადადებაზე, ჩვენთან წამოსულიყო, უარი განაცხადა დათიკომაც და სახლის პატრონმაც. ჩვენს მისალმების ასე გადაწყვიტათ.

თუ სახლი შესვლას დააპირებდნენ გასაჩხრეკათ, დათიკო მაშინვე დაიხრებოდა მასწავლებლის ქულს და იქვე სასწავლებლისაკენ გასწევდა, როგორც მასწავლებელი. ასეთი გეგმა ჩვენც მოგვეწონა და მოვშორდით. საბედნიეროდ სახლისკენ არც

ქი უფიქრით გახედვა პოლიციელებს. დაინახეს მოხუცი კანდელაკი ღარიბულად მოწყობილ სახლთან მომუშავე და არც კი მიატყვის ყურადღება. ჩვენ გაესწიეთ საჩქაროდ და იქვე ტყეში მივიშალეთ, სანამ ჯარისკაცთა წრე მოისვენებდა. დათოკი გადარჩა, მხოლოდ გული დაგვეწყვიტა საშა სტეპანოვის დაჭერამ. სულ ოთხი დაიჭირეს. სტეფანოვი და სამი კაცი, რომელიც მუსერძემ გასცა.

დანიარჩენი მშვიდობიანად ჩავიდნენ ტფილისში. ზოგნი სოფლებში წაივინდნენ.

ეხლა დაეუბრუნდეთ მუსერძეს. მისი სიკვდილი გადაწყვეტილი იყო. მხოლოდ გვინდოდა მოგვეტაცა-ვნა და გვეტყევიანებინა დანერვილებით, ვინ ჰყავდა გაცემული. ვცდილობთ, რომ მუსერძეს არ გავგოვიცოდით თუ არა რაიმე ჩვენ: მას ისევე ნდობით ვეპყრობით. გადავსწყვიტეთ ასე: უნდა მოგვეწვია ის ბრონის ბინაზე ვითომ კიდევ ბინების მოსანახავათ, დასახმარებლათ, მაგრამ გადავწყვიტეთ ბინაზე არ დაგვედგოროდით, მხოლოდ თვალყური გვედევნებია შორახლოდან მარტო მოვიდნენ ბინაზე, თუ ვისმე მცველს ნამოიყვანდა თან. ამ მხრით ბარონის ბინა კარგ ალაგას იყო, მთის ძირას. ასე რომ, მაღლედან შეგვეძლო დანახვა, თუ როგორ მოვიდოდა. თუ მარტო მოვიდოდა. ჩვენ უკანა მხრიდან სახლში შევიდოდით და შევხედებოდით და თუ არა, მაშინ აღარ დავენახებოდით სრულიად. ჩანეჭით სამი ამხანაგი და თვალს ვადევნებთ. შესრულდა 6-7 საათი. ვხედავთ მოდის და თან მოჰყვება შვიდი ჩაფარი, თოფები ნაბდებში აქეთ გახვეული. მივიდა კარვთან და დააკაუნა. როცა არავინ გამოეხმაურა, თავის ამაღლით უკან გაბრუნდა. ჩვენც მოვშორდით ბინას და წავედით. სწანდა, დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ მას ეტყვის თვალით ვუყურებდით. ამის შემდეგ მოტაცება აღარ შეიძლებოდა. უნდა მოგველა.

ქუთაისში ჩვენი ფრაქციის რამდენიმე წევრს ვაგებინეთ. სწრაფად შეიარაღდა რამდენიმე ჯგუფი, სამი საში კაცისაგან შემდგარი. დილითვე ჩავსაფრან იმ ქუჩებზე, რომელზედაც მუსერძის უნდა გაველო, როცა სამსახურში წაივლიდა. ბულვარში გამოსვლამდის ერთი ჩაფარი მოყვებოდა, შემდეგ კი, მარტო მიდიოდა. პირველ ორ დღეს ამხანაგები ვერაფერს გახედნენ. ამის მიზეზი ის იყო რომ მუსერძე დილით არ გამოსულა.

ერთ საღამოს ბულვარში ვართ ყველა ამხანაგები. ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, თუ რატომ ბულვარში დავდიოდით. უნდა ითქვას, რომ ქუთაისის ბულვარი რაღაც განსაკუთრებული რამ არის. მას გვერდს ვერ აუვლის ვერც ვაჭარი, ვერც რევოლუციონერი. ვერც ტყუილად მოხეტიალე. ყველა იქ იყრის თავს, იქ კეთდება ყოველგვარი საქმე. დღეს მეც მივივრის, თუ რად ხდებოდა ასე, მხოლოდ ფაქტი იყო, რომ ქუთაისის ბულვარი ყველას თავშესაფარი იყო. ჩვენც საღამოზე გამოვედით

ერმანეთის შესახვედრად (შესახვედრად კი „სუცი-ლებლად“ ბულვარი უნდა დაგვინშნა). ბარონიც აქ არის. მუსერძემც გამოვიდა. ტრენტ შიგნით, ბულვარში ვართ. ბარონი გართ, ტრენტუაზე გავიდა. მუსერძემ ჩვენც დაგვიძახა, პირდათ მე, მაგრამ რაღაც არ მივედი მასთან. შორიდან სალაშვითი მივეცი. ბარონმა ხელი ჩამოართვა. ბარონი იმ წამსვე დაიჭირეს გადაცემულმა ჩაფრებმა.

გამორჩევა, რომ ხელის ჩამოართმევა ნიშანი იყო იმის, თუ ვინ უნდა დაეჭირათ. ეტყობოდა ხერხელის მომწყობთა გაცემა გადაწყვიტა, როცა გაქცეულები ვეღარ ჩავიდო ხელში. მაგრამ ბარონი მან იქვე გააშვებინა ჩაფრებს. ეს იმიტომ, რომ ბარონი ქუთაისის მკვიდრი მცხოვრები იყო. იმის დაჭერას ყოველთვის მოასწრებდა. ჯერ უნდა ჩვენ დავეჭირეთ, რომლებიც დღეს აქ ვიყავით, ხვალ სხვაგან; ამ მიზნით გვეძახოდა ალბათ, იმ საღამოსაც. ბარონის ხელის ჩამოართმევა კი ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ჩაფრებმა იფიქრეს: უნდა დაეჭირათ რაღაც ხელი ჩამოართვათ. ბარონის დაჭერა ჩვენთვის საკმარისი გახდა, რომ აქეთ-იქით მივმალულიყავით. თვით მაზრის უფროსიც გადავხედო დადიოდა. იქვე მოვილაპარაკეთ ერთი ყუმბარა გაგვეგორებინა მაზრის უფროსისთვის, მაგრამ ვეღარ მოვასწარი: ჩვენ რომ მივიმალეთ, ისიც წასულიყო. ბარონი იმ ღამიდან სახლში აღარ მივიწვია დასაძინებლათ. ამის შემდეგ მეორე დღესვე კატეგორიულად გადავწყვიტეთ, რაღაც არ უნდა დაგვეჯდომოდა, მოგვეკლა მუსერძე. დილიდანვე ახალგაზრდა ტერორისტებთან თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს. დილით მოვიდა ცნობა, რომ მუსერძე მოდის და ახლავს ერთი ჩაფარი. ჩვეულებრივად მუსერძემ ბულვართან ჩაფარი გაუშვა და მარტო გაიარა ბულვარში მოხეტიალე ხალხში. საბავისი მალაზიის წინ ერთ-ერთი ტერორისტი, ქიქავა, რომლის სადარაჯო პუნქტი ბულვარი იყო, დაენია და რევოლვერი უკან, წელში, დაახალა და გაიქცა. მუსერძე არ ნაიქცა ერთი ტყვიანი. იქვე მდგომ ამხ. ბაჭუა კუმარაშვილს ეგონა, რომ ტყვია ასცდომ და დაუფერხა გაქცეულ ქიქავას: „ბიჭო, ტყვია ასცდა, კიდევ ესროლოვ“. ქიქავა მობრუნდა, მიიბრინა და დაიძახა: „როგორ თუ არ მოხვედრია, წელი გახვერდელი აქვსო!“ და ისევ გაიქცა. დაჭრილი მუსერძე შევარდა იქვე მალაზიაში და შუშები სულ ერთიანად დაელენა. იქვე გაჩნდა მაზრის უფროსი და დაჭრილი ეტლით სავამწყოფში გააქანა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. გამორჩევა, რომ მაზრის უფროსი მუსერძის სამტრედიის ბოქაულის ადგილს დაჰპირებოდა, თუ ის გაქცეულებს დაეჭირებინდა და ხერხელის ორგანიზაციას ჩაუგდებდა ხელში.

ბოქაულისთვის გაჰყავდა საბარლო მუსერძემ იდეა, ამხანაგები, სინდისი და პატიოსნება. ბოქაულობასაც ვერ ეღიარა..



გაქვეყნდა

შემდეგ გავიგეთ, რომ მზრის უფროსი ტრაზახობდა: „ორი დღე კიდევ რომ დასცლოდა მუსერიძეს, მთელ ბოლშევიკურ ორგანიზაციას ხელში ჩავივადებდით, ადრე გამიგეს ეშმაკმა ბოლშევიკებმაო“.

მუსერიძის მოკვლა თითქმის უკანასკნელი აკორდ იყო ხერვლის დამთავრებისა და გაქცეულების დაბინავებისა ტფილისში.

მეც ვიკადრე თბის შეღებვა. შემიღება ამხ. დარახველიძემ და ის იყო უნდა უნდა წამოესულიყავი ტფილისში, რომ ამ დროს ციხიდან მივიღე გულშემაზრავი წერილი. ციხეში დარჩენილი ამხანაგები გვწერდნენ - რომ მდგომარეობა აუტანელია, გვახრწობენ, გვცემენ, გვაგინებენ, საქმეზე აღარ გვაძლევენ, გარეთ არ გვიშვებენო და სს.

გამოირკვა, რომ ხერვლის შემდეგ ციხის უფროსობა მიეცათ იქვე მოსამსახურე მწერალ აბშილაგასივის. ამ უკანასკნელს, რომ თავი დაენიანურებინა, ინკვიზიტორული რეჟიმი შემოეღო. მის თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. ამხანაგები გვემუდარებოდნენ: ან აგვაფეთქეთ, ან აბშილაგა მოგვაშორეთო.

გადაწყვიტეთ აბშილაგას მოკვლა, მაგრამ მეტად ძნელი მისადგომი დარჩა. ბაჭყალს საშუალებით მოეძებნეთ გამოცდილი ტერორისტები. ქუთაისში იყო მაშინ ანარქისტების პატარა ჯგუფი, რომელშიაც შედიოდა ამხ. კოლია ბრეგვაძე. და აი, ამ კოლიას დავაკორფეთ აბშილაგას მოკვლა. კოლიას უნდაოდა ჩვენს ჯგუფში შემოსვლა. ჩვენ ასეთი პირობა დავუდეთ: თუ მიიღებდა და აღიარებდა ბოლშევიკურ იდეას და თან აბშილაგას მოკლავდა, ჯგუფში მივიღებდით.

მთელი კვირა უდარაჯეს. აბშილაგა გარეთ, ციხიდან, არ გადაიდა. შემდეგ გავიგეთ, რომ ორმაბათის დილაობით მოხსენებისთვის მიდის გუბერნატორთან. მიდის ეტლით და სამი მცველით. გავაგებინეთ ეს კოლიას. მან თან წაიყვანა ორი ამხანაგი. შეხედენ გამიანაზის პირდაპირ. შეუხტენ ეტლში, მოჰკლეს ციხის უფროსი აბშილაგა, ორი მცველი სასიკვდილოთ დასჭრეს და მიიმალენ უგზო-უკვლოდ.

ამ საქმით დამთავრდა ქუთაისის ხერვლის საქმე. ციხის ამხანაგების მდგომარეობა გაუმჯობესდა. მეც გამოვსწიე ტფილისისაკენ და აქ შეხვედით ციხიდან გაქცეულ ამხანაგებს. ციხიდან გაქცევა მოხდა 26 სექტემბერს. ტფილისში დადბრუნდი ოქტომბრის ბოლო რიცხვებში და შეუხდექით ჯგუფის საქმის გაგრძელებას. ამ დროს ერთი ნაწილი ჩვენი ჯგუფისა პეტროგრადში იყო წასული ახალი იარაღის ჩამოსატანად ფინლანდიიდან. აქ ორგანიზაციის მხრით მზად უნდა დაგვეხვედრებინა ყველაფერი. კამოც საზღვარ-გარეთ იყო წასული და ისიც გერმანიაში დაექართა და სიგიჟის მოგონების გამო რუსეთის მთავრობას გადამოცეს.

თუ რიცხვი არ მემღებდა, პეტროგრადიდან ამხანაგები ჩამოვიდნენ ნოემბრის ბოლო რიცხვებში. მათ ამხ. ლადო ღუმბაძეც ჩამოჰყვა, რომელსაც დიდი

დახმარება გაენია ამ ამხანაგებისთვის იარაღის გადამოტანაში. შეუხდექით მზადებას, მაგრამ ტფილისში პირდაპირ შეუძლებელი გახდა მუშაობა, რადგანაც ადგილობრივი მთავრობა ერევნის მოედნის შემდეგ ძლიერ დაშინებული იყო. მთავრობამ იცოდა, რომ ჩვენი ჯგუფი არსებობდა, მაგრამ არავითარი საშუალება არ ქონდა ჩვენი ხელში ჩაგდების. ვერც ერთი მონაწილე ერევნის მოედნისა ხელში ვერ ჩაიგდეს. სამაგიეროდ, გააძლიერეს ყველა დაწესებულებების დაცვა. ფულის გადახდას აწყეს სალანგებო ფონდისაგან გაკეთებულ ყუთებში, რომლებიც სალანგებით დაკრული იყო სპეციალურ ეტლზე. ბრონევიკის მსგავსი რაღაც იყო. ამიტომ ჩვენი მოქმედების ასპარეზი ბაქოში გადავიტანეთ.

1908 წელს თებერვალ-მარტში ბაქოში გადავედით. სულ 18 კაცამდე ვიყავით. იქ ერთი დიდი და უკანასკნელი ექსპროპრაცია უნდა მოგვეყნო. შემდეგ შევსდგომოდით პარტიული ამხანაგების შიარაღებას, მხოლოდ ისეთების, რომელნიც ბრძოლაში გამოსადეგი იქნებოდნენ. გარდა ამისა, უნდა მიგვეღო ზომები საზოგადოთ იარაღის შესაძენად. ამის შესაფერად გავანალიზებდით ძალებს ჯგუფის წევრებისაგანაც. ვისაც რა დარგში შეეძლო, იქ იმუშავებდა, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება აღარ დაგვცალდა. ბაქოში სრულიად შემთხვევით გაიგავს ჩვენი უმთავრესი ბინა, რომელიც გაჩირიკეს და აღმოაჩინეს მთელი ჩვენი საწყობი. ამ ბინაზე ჩხრეკის დროს მოუხდათ შეტაკება ჩვენი ჯგუფის ორ წევრს, რომლებიც იმ დროს ბინაზე იმყოფებოდნენ. ესენი იყვნენ ამხანაგები ვანო ინკვარელი (სტეპკო) და თომა ჩუბინიძე. პირველი ხანგრძლივი სროლის შემდეგ მოკლული და დასახირებული იქნა. მეორე დასჭრეს და დაიჭირეს. ამხანაგი სტეპკო თუმცა ითვლებოდა ჩვენი ჯგუფის წევრად. მაგრამ ის არ ყოფილა სისტემატიურად ამ ნიადაგზე მუშაობის მომხრე, მხოლოდ ამბობდა: ერთ დიდ და სერიოზულ საქმეში მივიღებ მონაწილეობას და შემდეგ სხვა დარგში გადავალ საშუალოდო. მისი სიკვდილის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მას თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რა პირობებშიც არ უნდა ჩავარდნილიყო, წინააღმდეგობა გაენია. „იარაღს უსიკვდილოდ არავის დავანებებო“, - იძახდა მუდამ. ზოგჯერ ამ კითხვაზე კამათის დროს ვეტყობით, რომ შესაძლებელია ზოგიერთ პირობებში რევოლუციონერმა ჩააბაროს იარაღი და თითონაც ჩააბრდეს მტერსა-თქვა, მაგრამ ასეთი საქციელის სასტიკი წინააღმდეგე იყო. მართლაც, სისწორით დაიცვა თავისი შეხედულება ამ კითხვაზე. რომ მას წინააღმდეგობა არ გაენია, ის, აღბად, დღესაც ცოცხალი იქნებოდა: ციხიდან შეიძლებოდა მისი ვანთავისუფლება, ანდა სასჯელის მოხდა, რადგან ის ძლიერ ახალგაზრდა იყო. მისი სიკვდილი შემდეგ პირობებში მოხდა: საათის

ც. ს. ზ.

10 იქნებოდა, როდესაც ბინაზე მივიდნენ გასაჩხრეკად. ორივენი: აშხ. თომა და სტეპკო ჩაის სვამდნენ. ოთახში ისე შესულიყვნენ პოლიციელები, რომ ვერც კი შეემჩნიათ. როდესაც პოლიციელებმა პასპორტი მოსთხოვეს, ის მაშინვე წამოდგა და ვითომ პასპორტის მოსაძებნად გაეცენა განჯინისკენ. პასპორტის მაგივრად ამოიღო რევოლვერი, რომელიც იქვე ჰქონდა შენახული და სროლა აუტყია. ორი პოლიციელი იქვე მოჰკლა. ამავე დროს თომა გადის მეორე ოთახში. წინ მას გადაეღობნენ. თომაც სროლით გავიდა ოთახში, რომელიც იმ ოთახის გვერდზე იყო, საიდანაც სტეპკო პოლიციელებს შესვლისთანავე თომას თავში დაჰკრეს რევოლვერი და წაიქვა. აღმოჩნდა, რომ ოთახი, საითკენაც თომა მიინჯდა, წინააღმდეგ დაეკავებოთ პოლიციელებს. როცა თომა დასჭრეს და დაიჭირეს, პოლიციელებს გაუადვილდა მოსაზღვრე ოთახიდან სტეპკოს მიპაროდნენ და გვერდიდან სროლა აუტყიათ. ასეც მოხდა. სტეპკო მოკლულ იქნა სწორედ იმ ოთახიდან, რომელშიაც თომა აპირებდა გასვლას და სტეპკოს გვერდით გამაგრებას. ნახ. საათის სროლის შემდეგ, როდესაც სტეპკო მოჰკლეს და თომა დაიჭირეს, — ბინა გაჩხრიკეს და ყველაფერი აღმოაჩინეს. თუმცა ჯგუფს ფიზიკურად ორი კაცის მეტი არ მოჰკლებია, მაგრამ ტყენიკურად ჯგუფი ძლიერ დაზარალდა. საჭირო შეიქნა ტყენიკური მზადების ხელ-ახალი დანყება. ამასთან ერთად, უკანასკნელმა ჩხრეკამ ზოგიერთი ძაფები ჩაუგდო ხელში მოთავრებულ, რომლის საშუალებით შეუძლია დანარჩენი ამხანაგების დაჭერა. ახლო მომავალში მაინც ჩვენი ჯგუფის სამხედრო მდგომარეობის გამოსწორება ძნელი იყო. ამიტომ გადავწყვიტეთ განსაკუთრებით მე ციკვადი ამ აზრს), დროებით ჯგუფი დაგვეშალა და სხვა და სხვა რაიონებში (ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ქიათურაში) გავგვეშა ამხანაგები სამუშაოდ. თუმცა ბევრი იყვნენ იმის მომხრე, რომ შური გვეძია და სხვა, მაგრამ ჩემი წინადადება გავიდა. მხოლოდ დაეტოვეთ ხუთი კაცისგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც დაჭერილი თომასთვის ყურადღება უნდა მიექცია და დარჩენილი იარაღისთვის და ქონებისთვის მოეკლათ. ამ ჯგუფში შედიოდა ვანო კალანდაძე, დათკო ჭიაბეროვი, ილიკო ჭაჭიაშვილი, აშაკო სამანიშვილი. დანარჩენნი ყველანი ტფილისს გავამზავურეთ. თომასთან, დაჭერის მეორე დღესვე, დილით კავშირი გავაბით. ნეროლი მივსწავე და პასუხიც მივიღე. ვხნერდი ყოჩაღათ ყოფილიყო და დახმარების იმედი ჰქონებოდა. პოლიცია ყველა ჩვენგანს გამწარებულ დაექნებოდა, განსაკუთრებით მე, რადგან ჩემი ნიშნები აქტონდათ, კიდევ შვად შეღებვა დამკრებდა თმისა, ბოლოს იძულებული ვიყავით ბაქო მიგვეტოვებინა და დროებით ტფილისისათვის შეგვეკუთარებინა თავი. ტფილისში ჩამოველით ჩვენ, ხუთნიც.

გადავთვალე იქნებოდა კასსა და შიგ აღარაფერი აღმოჩნდა. უფროდ კი შეუძლებელი იყო ვინმესთვის რაიმე დახმარების აღმოჩენა. განსაკუთრებით გვაწუხებდა თომას ციხეში ყოფნა, რომელსაც სულ ცოტა ხანში სიკვდილით დასჯა მოელოდა. გადავწყვიტეთ, ერთი მსუბუქი „ექსი“ კიდევ მოგვეყვინო სადმე. გავბით კავშირი. ვავიჯეთ, რომ მანგლისის ფოსტა დილით კავშირის გზით გადაიდა. მცველები 6 კაცი ახლდა. ჩვენ გავამზადეთ შვიდი კაცი. შვეიზრალდით მათურებით და ბომბებით. ტფილისიდან 6-7 ვერსტზე იყო პატარა დუქანი. ნაშუაღამევის 2 საათზე გავედით ვერიდან; შეუვადეთ აღმართს, გადავედით ფინიკულიორზე და გათენისბა დაუქანთან მივედით. იქ მე, ვანო კალანდაძე და ილიკო ჭაჭიაშვილი დუქანში შევედით. ჩვენი როლი იყო პირველად შევხედროდი და ყუმბარებით აგვეფეთებინა ცხენები. დანარჩენნი წინ და უკან ჩასაფრდნენ შემთხვევით გადარჩენილ მცველების თავიდან მოსაპოვებლად. მოქნიდან ხან ერთი გამოდგოდა, ხან მეორე ცნობის მოსატანად, — მოდიოდა ფოსტა თუ არა. დუქანში, როგორც მგზავრები, ისე ვიყავით. ბოლოს ვანო შემოვიდა და ჩაგვჩურჩულა: „მოდიო“. სამივენი გარეთ გამოვედით. მოვამზადეთ ყუმბარები. შუა გზაზე ვდგევარ. შევხედეთ, მოდის თითქმის ჭყენით ოთხცხენიანი ფოსტა. პირველად ვანოს უნდა ესროლა, თუ იმას გადარჩებოდა, შემდეგ მე და მე თუ გადარჩებოდა, შემდეგ ილიკოს. ესროლა ვანომ. ყუმბარა ასცადა და გვერდზე გასცა. ჩემი და ილიკოს ყუმბარა თითქმის ერთ და იმავე დროს მოხვდა ცხენებს, ზედი-ზედ გასცა, ორივე ცხენი პირ-აღმა გახეთქილი დასცა ძირს. მცველები ხრამში გადაყარა ყუმბარის სიძლიერემ. ცხენისანი ჩაფრები გადაფანტნენ და ხრამიდან დაეზუნყეს სროლა, მაგრამ როდესაც ზევიდან დაეზუნყით სროლა და ერთი მათგანი მოეკალით, დანარჩენებმა იარაღი განდოყარეს. ჩვენც ხმა არ გავცივია. სუთი წუთის განმავლობაში საქმე დავამთავრეთ. მცველების განიარაღების შემდეგ, რაც იყო ფული, ნავილეთ. აღმოჩნდა 21 ათასი. საქმის გათავებისას შეუვადექით ფუნქციონირის აღმართს. შემთხვევით ყაზახები ნამოგვეწყდნენ. აგვიტყეს საშინელი სროლა და გამოგვედევნენ ცხენებით. ცხენები იმ აღმართში არ გამოადგათ, ფეხ და ფეხ მოგვსდევნენ და თან გვესვრიან. ერთი ამხანაგი, კოლია ბრეგვაძე, აყად იყო და აღმართში სირბილი ვერ შესძლო. ამიტომ დიდი წინააღმდეგობის ხანების შემდეგ მოკლულ იქნა. მეორე, დ. ჭიაბეროვი ფეხის თითში გაიკანრა. ეს იმ დროს, როცა აღმართი თითქმის ავირბინეთ. სროლა ყაზახების მხრით არ წყდებოდა, მაგრამ ამ დროს გვიშველა ნისლმა, რომელიც ისე სულად მოედო მთას, რომ ორი ფეხის ნაბიჯზე ერთმანეთს ვედარ ვარჩევდით, დათკომ ხევიმ ჩაუსვია და ფუნქციონირის ძირთან გავიდა თითქმის, მა-

გრამ დაუშვა შეცდომა და ქალაქს აღარ შეაფარა თავი. დარჩა ხვეში. საათის თორმეტზე იპოვეს და დაიჭირეს. ზედ არაფერი აღმოაჩნდა. მოესწრო დამალვა. ეჭვით მაინც დააპატიმრეს და 20 წლის კატორგა მოსაჯეს (სიკვდილით დასჯა შეუცვალეს 20 წელზე). ორიოლის ციხეში გარდაიცვალა. დანარჩენები ყველა უფენლად გადაარჩა. ჩამოვიდით გორაზე. ტანისამოსი გამოვიცვალე და გავსწიეთ ვოლონის პროსპექტზე სასივრთოდ.

ორი კვირის შემდეგ მე ბაქოში გავემზავრე ამხ. თომას გასანთავისუფლებლად. თან ათი ათასი მანეთი ბაქოს ორგანიზაციას წაუღე და გადავეცი ამხ. შაუმანს. ბაქოს ორგანიზაცია ძლიერ კრიტიკულ მდგომარეობაში იყო ფინანსოურად და სულზე მივუსწარი. რამდენიმე ათასი თომასთვის გადავდევეთ.

ბაქოში მეორეთ ჩასვლაზე დამხვდა თომას წერილი, რომელიც მატყობინებდა, რომ ციხის ერთი ზედამხედველი, რომელსაც მისი კამერა აბარია და ამავე დროს გარეთ გამოსასვლელ მეკარეთ ითვლება, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს და შეიძლება დაგვთანხმდეს დახმარების განუწახუო. გვარი მისი აღარ მახსოვს. სახელი კი ილია ჰქვიოდა. საჭირო იყო მასთან მოლაპარაკება. გავივე მისი ბინა. ენახე სახლში და ვუთხარი, რომ მასთან სალაპარაკო მაქვს და როდის ექნებოდა თავისუფალი დრო. მან დღე და დრო დამინიშნა. პირველი მოლაპარაკება მარტო მე გავმართე. დანიშნულ ადგილას როცა მივდიოდი, ჟურ „რაზედკამ“ გავაგზავნე. ხომ არაფერი მოიყვანა თქვა, რადგან პირველ ნახებზევე გაუგებინე, რომ მე მაისურაძის (თომას ყალბი გვარი იყო) ამხანაგ ვარ თქვა. „რაზედკამ“ ცნობა მომიტანა, რომ ახლო-მახლო არაფერ სჩანსო. ერთი საათი განგებ მაინც დაეგვიანე. როცა შევხედი პირდაპირ გავუტყდი და ასე უთხარი: მე სოც.-დემ. ბოლშევიკების სახელით გელაპარაკები, შენ მუშა ან გლეხი იქნები უთუოდ, ჩვენ ამათი ინტერესების დამცველები ვართ. ბევრი ამხანაგი ციხეში ლტბა მუშრო მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, მაგრამ იმათ, ვისაც დიდი სასჯელი არ მოეღოს, ჩვენ მხოლოდ ციხეში ვუნებთ დახმარებას, მაგრამ არიან ისეთები, რომლებსაც დღეს თუ ხვალ სიკვდილი მოელოთ, ამათ შეგვლა საჭირო, ასეთია დღეს მაისურაძე, შენ დღეს შეგიძლია მისი სიკვდილისაგან დახსნა და დახმარება უნდა გავცინიო, რითაც კი შეიძლება, მაისურაძე უნდა გამოიყვანო ციხიდან“-თქვა.

„ძალიან ძნელი საქმა“ - მოკლეთ მიპასუხა.

„ძნელი რომ არ იყოს, მაშინ თქვენი დახმარებაც არ იქნებოდა საჭირო, შენ ის მიიხარო, - გავვინე თუ არა დახმარებას და სიძნელეზე შემდეგ ვილაპარაკოთ“-მეთქი, მიუგო მე.

„მიიღე ჩემგან პატიოსანი სიტყვა, თუ კი რაიმე შემიძლება, მასწავლე და ყოველგვარ დახმარებას გაგანუე“- მითხრა მან.

მე ვუპასუხე, რომ ამ საათში ძნელია გეგმის მოცემა, მე გავეცნობი ციხის პირობებს, მდგომარეობას და შემდეგ მოგელაპარაკები-თქვა. მანამდის შენც იფიქრე და შენი გეგმა წარმომიდგინე-თქვა. ერთმანეთს დავშორიდათ.

სანამ მას მეორეჯერ ენახავდი, - იძულებული ვიყავი მეფიქრა, თომას აზრც გამეგო და გეგმა ისე შემედგინა. ამ მიზნით თომას შეუვთავაღე დანერვილებით გადმოეცა თავისი მოსაზრება გაქცევის შესახებ ილიას დახმარებით. თომამ რამოდენიმე გეგმა გადმომცა.

მეორეჯერ ილიასთან ამხ. ბუღელ წავიყვანე, რომ მასზე კიდევ მეტი შთაბეჭდილება მოგვეხდინა. ბუღელმ თავისებურად, მჭერმეტყველურად დაუწყო ლაპარაკი და ილია თითქმის ანათო თომას განთავისუფლების სურვილით. ეხლა ილია თითქმის ჩვენ ხელშია: რასაც ვეცყვი, იმას აასრულებს.

ერთი თვის შემდეგ ილიას ეს საქმე უკვე თავის საქმედ მიანდა. მესამე შეხვედრაზე ილიამ მითხრა: მოგკეცები და ამ საქმეს გავაქეთებო, მხოლოდ გეგმა რომეცითო. წარუდგინე თომას გადმოცემული გეგმები, მაგრამ ილიას არ მოეწონა არც ერთი. შევამტყვე, რომ უნდოდა გაქცევა ისე მომხდარიყო, რომ თითონ არ ჩავარდნილიყო. ეს, რასაკვირველია, ყველას უნდა, მაგრამ ილია განსაკუთრებულ ყურადღებას ამათ აქცევდა. ამისათვის კი საჭირო იყო ისე მოგვეწყო, რომ გაქცევა ილიას მორიგების დროს მომხდარიყო. მხოლოდ ფორმალურად ისე მოგვეწყო, რომ ვითომ გაქცევა მეორე მორიგის დროს მოხდა, რადგან ის - მეორე მორიგე - ყოვლად საძაგელი ადამიანი იყო, რომელიც ძლიერ სასტიკად ეყვრობოდა პოლიტიკურებს. გვინდოდა ორი კურდღელი დაგვეჭირა: თურმე ეგვც შესაძლებელი ყოფილა!.. გეგმა თეორიაში უკვე მზად იყო. მხოლოდ საჭირო იყო ციხის ზოგიერთი პირობების გაგება. მე რამოდენიმე კითხვა დავუსვი ილიას. პასუხის მიღების შემდეგ გავაცანი გეგმა მას მოწონდა, მხოლოდ ეჭვი გამოსთქვა, ვერ გავატარებთო. გეგმა შემდეგში მდგომარეობდა: თომას კამერა ციხის კანტორის გვერდზე იყო (ბალიოვის ციხის), განსაკუთრებულ კამერაში განსაკუთრებული მცველები და შიგ კამერაში ჯაშუშო, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმას თვალყურს ადევნებდა. ყოველ დილით, საათის 6-7 ტუსალების გადათვლა ხდებოდა. თომას უნდა მოეხერხებია ისე, რომ ყოველ თვლის დროს ის საპირფარეოში ყოფილიყო. ამიტომ თომას მთელი თვის განმავლობაში საფალარათო წამალი უნდა ესეა, რომ კუჭი მართლაც ამოღებული ქონებოდა ადმინისტრაციის შესახებდათ. მე ადმინისტრაციის სისულელებზე მეჭირა კურსი. ვფიქრობდი, რომ როდესაც ერთხელ-ორხელ და მრავალჯერ თომა დათვლის დროს კამერაში არ დახვდება და საპირფარეოში ნახავენ, - შემდეგ



საპირფარეშოს გაუსინჯავათაც ჩანიშნავენ თომას ციხეში ყოფნას. სწორედ ამაში ეპარებოდა ილიას ეჭვი. ადმინისტრაცია ვალდებულია ტუსალი თვალთ ნახოს, ისე არ ჩანიშნავენო. მე ვუპრეტებოდი – ვსინჯოთ და თუ არაფერი გამოვა, შემდეგ სხვანიორად ვიმოქმედებთ თქვა.

შეუდექით ამ გეგმის განხორციელებას. თომამ მიიღო პირველი საფლარათო და ჩვენი ილიას მორიგეობის დროს კამერაში არ აღმოჩნდა. ილიას გაუჯავრდნენ, რატომ დათვლამდის გაუშვიო. ილიამ აუხსნა, რომ ავად არისო.

შემდეგ თომამ სთხოვა უფროსს, რომ ავამყოფობის გამო (მუცელი აქვს აშლილი) ნება მიეცათ ზედამხედველებისთვის დღითი დაუბრკოლებლივ გაეშვათ საპირფარეშოში. უფროსმა ნება დართო. ამნაირად ერთჯერ მოვიდნენ დასათვლელად, თომამ კამერაში არაა, მონახა – საპირფარეშოშია. მეორეჯერ, შესამეჯერ; ასე გაგრძელდა ორ კვირას. შემდეგ კი მინახეს თავი ძებნას. ისე შეეჩვიე ამ მდგომარეობას, რომ საპირფარეშოს აღარ ნახულობდნენ. მოვიდოდნენ კამერაში – ვერ პოულობდნენ და იტყოდნენ, – ალბათ, საპირფარეშოშია და გაუსინჯავად ნიშნავდენ – „არისო“. მართლაც, მთელი თვის განმავლობაში ნიშნავდენ უნახავად და თომამ ციხეში იყო. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ თომამ დიდი ნდობა მოიპოვა ადმინისტრაციაში თავის სიძინჯით. ეხლა ხელს გვიშლიდა ბორკილები. საჭირო იყო ბორკილები როგორმე მოგვეშორებია. ვცადებთ ლეგალური გზით. თომამ დაასწერა განცხადება გუბერნატორთან, რომელშიაც სწერდა, რომ ამა და ამ კანონის ძალით გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსალის ბორკილებში ყოლი არ შეიძლებაო. აქ პოლიტიკურმა ტუსალებმაკ მოითხოვეს ამავე მიზეზით ბორკილების ახსნა, მაგრამ არაფერი გავიდა. გუბერნატორმა თომას განცხადებაზე დაანერა, რომ მას ამა და კანონის ამა და ამ განმარტების ძალით შეუძლია მძიმე დამნაშავენი ბორკილებში ამყოფოს და გამოუგზავნა უკან განცხადება. მეტი გზა არ იყო, ბორკილები ვინტეზით უნდა დაგვეშაბებინა. ბორკილების რგოლის შემაერთებელი „ზაკლიოკა“ (заклипка) მთლიანია, საჭირო იყო, რომ მისი ზომა, მოდელი, თომას გარეთ გამოეზავნა. თომამ მოდელი გამოვიგზავნა. ჩვენ იმ ზომაზე ვინტეზიანი „ზაკლიოკა“ გავაკეთეთ და გავუგზავნეთ თომას. თომას ბორკილების გატეხა უნდა მოეხერხებია და მთლიანის მაგივრად ვინტეზიანი „ზაკლიოკა“ გაეკეთებია. ძნელი საქმე იყო ციხეში ბორკილის გატეხა, მაგრამ სხვა გზა არ იყო! როგორც იყო, თომამ ილიას მორიგეობის დროს ციხის სახელოსნოში მოახერხა შესვლა. იქ ბორკილები გასტეხა, მთლიანი „ზაკლიოკები“ ვინტეზიანით შესვალა, ბორკილები ისევ გაკეთა. უბრალო თვალთ შეტყობა ყოვლად შეუძლებელია, თუ ვინმემ არ გაგცა და არ უთხრა ბორკილები

ასე და ასე არის გაკეთებული. ასე ეს დაბრკოლებაც მოვიცილეთ. ეხლა დარჩა მოსაპირებელი კიდევ ერთი დაბრკოლება – ეს იმ ჯაშუშის თავიდან მოცილება, რომელიც კამერაში უზის თმას. დადავწყვიტეთ მისი მონახვა. გავუგზავნეთ სტრიხინა. თომამ მას ლიმონადში დაალევიებდა, მაგრამ, საუბედუროთ, დოზა ცოტა გამოგდა: არ მოკლა, მხოლოდ სიკვდილს კი მოიყენა. სამი-ოთხი დღე არც გონება და არც ზეცმრევის არაქათი არ ჰქონია. თვით აქტი ამნაირად უნდა მომხდარიყო; დღე გამომშვებით ილიას მორიგეობა უნევდა ღამის თორმეტი საათიდან დღის 7 საათამდის, ე. ი. ტუსალების დათვლამდის, როგორც ციხეში ეძახიან „პოვერკამდე“. აი, სწორედ ამ დროს უნდა გამოეყენა ციხედან ილიას თომამ, ყველაფერი მზათაა. სხვათა შორის და ყოველ შემთხვევისათვის თომას გავუგზავნეთ ზედამხედველის ფორმის ქუდი და ხალათი (ზაფხული იყო). დაენიშნეთ მე და ილიამ გამოსვლის ღამე. მგონი 17 თუ 21 ივლისი იყო. მე თომას ვუცდიდი იქვე ახლოს სახალხო სახლში მს. ბესარიონ შენგელიასთან. იქ უნდა მოსულიყო თომამ. მხოლოდ უკანასკნელად, სანამ გაქცევა მოხდებოდა, საჭირო იყო თომას პირადად ნახვა ციხეში ჩემ მიერ. მე მის საქმეზე თითონ მეძებდა მთავრობა. შევიდოდი თავი კარგად და დაგვეწყვიტე მისი ციხეში ნახვა; საქმე ასე მოვანყვე: ციხეში ამ დროს იჯდა ამხ. სიმონ ჟღენტი, რომელიც პოლიტიკურების მამასახლისად ითვლებოდა და თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდა ციხის ყველა კუთხეში. სიმონს მივსწერე, რომ მის ვითომ და დასთან ერთად შევიდოდი სანახავად, მხოლოდ მას ჩემთან ნახვა უნდა მოეწყო იმ „კარდორში“, სადაც თომამ გაივილიდა, როდესაც ის საპირფარეშოში წავიდოდა. წაგიყვანე ფუტუვ დგებუბის ქალი (მამინე ჩვენი ამხანაგი იყო). ეს ქალი ვითომ სიმონის დაა ანდა მისი ნათესავი. სიმონმა ჩვენი ნახვა სწორედ იმ კარდორში მოაწყო, სადაც თომამ გაივილიდა. შევედით ციხეში. ნერეთელის პასპორტი მაქვს. ვდგევართ კარდორში და ვემუსაიფებთ სიმონს. თავზე თვით ციხის უფროსი და უფროსი ზედამხედველი გვადგია. ილიამ იცოდა რაში იყო საქმე. ხელად გაულო კარნი და საპირფარეშოში გაუშვა თომამ. თომამ ჩამოიარა, მაგრამ ხმა არ გამცა, მხოლოდ სიმონს, როგორც მამასახლისს, ხელი ჩამოართვა. ჩავლის შემდეგ სიმონს შევეკითხო – თუ ვინ იყო ის ტუსალი – რუსულად, უფროსის გასაგებად, მანაც აიხსნა – ვინც იყო და თან მითხრა უფროსისვე გასაგებად, როცა უკან დაბრუნდებო, გაგაცნობო. უკან ჩამოვლის დროს ვითომდა გამაცნო. მთელი გეგმა, რომელიც გაქცევის ღამე უნდა შესრულიყო, თომას ქართულის დადავცი, მხოლოდ ისე, რომ თითქო სიმონს ველაპარაკებოდი; პასუხიც მივიღე თომასაგან, მხოლოდ ისე, თითქო სიმონს ველაპარაკებოდა.

როცა დავამთავრეთ საუბარი, გამოგვემყვიდობა და წავიდა. ჩვენ კიდევ ვილაპარაკეთ რამოდენიმე წუთის და წავედით. სწორედ ამ ნახვის მეორე თუ მესამე დღეს მოხდა გაქცევა. დანიშნულ ღამეს ილია მივიდა სამორიგეთო. ილია ცოტა ხუმარა კაცი იყო და ყველა ზედამხედველები – ღამით მორიგეები – მის გარშემო იყრიდნენ თავს და მას- ლათობდნენ. ამ ღამეს კი მათი თავიდან მოშორება იყო საჭირო. ილიამაც მოახერხა ეს. მან თავი მოიმთვრალა და როცა ზედამხედველები შეიკრიბნენ მის გარშემო, დაუნყო გინება და დაერია კარებს გასაღებებით. ზედამხედველებმა სთქვეს: ჩვენი ილია დღეს ხასიათზე არ არისო და მოშორდნენ – ყველა თავ-თავის ალაგას წავი-წამოვიდა. ალაყაფის კარებს გარეთ ქუჩაში იდგა ჯარისკაცი, დარაჯი და ერთი „გორილოვი“, ეს უკანასკნელი თომას დაქტრის შემდეგ იყო მიმატებული. ეგვეც თავიდან უნდა მოეშორებინა. მისცა ილიამ მას სამი მანეთი და შეეხვეწა წადი ერთი ბოთლი არაყი მოიტანეო. არაყი 40 კ. ლირდა. დანარჩენი შენი იყოსო. ყველა ამ თადარიგის შემდეგ ილია მივიდა თომას კარებთან და ნიშანი მისცა რომზადებულიყო. თომამ საბანძოვე შეიძრო ვინტებიანი ბორკილები, ჩაიცვა ზედამხედველის ხალათი, ჩექმები, ქუდი დაიხურა, ბორკილები ხელ-სახოცში შეკრა და ელოდებოდა მეორე ნიშანს, გამოსვლის ნიშანს.

ილია ხელ-შეორედ გამოჩნდა და კარები გააღო – შემდეგ ნიშანი მისცა კამერიდან გამოსვლისა. თომამ წამოიდა და კარები თან მივიდა. კარები გაიღო. ილიამ ჯერ თომა იქვე ციხის კანტარეზში შეიყვანა და დააჯიხნა, თან უთხრა: ბორკილები მაგვიდაზე დატოვეო. გამოვიდა და კარიდორები დაათვალიერა. ყველაფერი რიგზეა. არავინ არ ჭაჭანებს. მიბრუნდა და უკან გამოყოფა აჩნდა. თან ისე მოდიოდა ილია, რომ თომას ფარავდა წინიდან – არავის დაენახა, რომ შემთხვევით ვინმე შეჩვენებოდა. ალაყაფის მოსახვევ კორიდორში თომა წინ გაუშვა და თითონ უკან მოეფარა. ალაყაფის კარებთან მივიდნენ. გააღო კარები. ილიამ ჯერ დაათვალიერა ქუჩა. არავინაა, ჯარის კაცის მეტი. მოუბრუნდა და უთხრა: „აბა გასწი“-ო, თომაც გამოვიდა დინჯათ. ილია მიბრუნდა და ბორკილები საპირფარეოში ჩააგდო. მე სახალხო სახლში საათი ხელში მიჭირავს. შესრულდა ოთხი საათი და თომაც შემოვიდა. გადავხვებით ერთმანეთს. გავპარსეთ ჩვენ თითონ, წინდაწინ დამზადებული ტანისამოსი ჩავაცვიოთ, პასპორტი მივეციოთ, რომელიც იქვე გაიხეობრა, ტროსტით ხელში, გავუდექით რკინის გზის სადგურისაკენ. ექვს საათზე ჩქარი მატარებელი მოდიოდა ტფილისში. გზაში ეტლში ჩავვეციეთ. სიხარულისაგან ეტლს ვვღარ ვგრძნობდი, ასე მეგონა ვყრიწავდი. სადგურზე მივიდით. პირველი კლასის ბუფეტში დავტოვე. მე ბილეთი ვიყიდე. მატარებელი

დაიძრა და მეორე დღეს დილით ბაკურიანში ამოვეყვით თავი. ბაქოს ბაილოვის ციხიდან, სასწრაფოს მოლოდინიდან, ბაკურიანის „დაჩაზე“ წამოსკუბდა აზხ. თომა. სხვათა შორის, აზხ. თომამ თან გამოიტანა გუბერნატორის მიერ წარწერილი განცხადება ბორკილების მოხსნის შესახებ. ეს განცხადება ბუქსოს დავუტოვეთ, რომელსაც ბუდუსთვის გადაეცა. ბუდუს წაეკითხა, გადაებრუნებია, გაეკეთებინა ზედ შემდეგი წარწერა: „ჩვენი რევოლუციონური კანონის ამა და ამ სტატიის ძალით (წაწვევილი იყო რალაც სტატიები) უფლება გვაქვს არა თუ ბორკილები ავიხსნათ, არამედ სულ გავიქვეთ ციხიდან“-ო. და ასეთი წარწერით გავგზავნა ბაქოს გუბერნატორისათვის. გუბერნატორის მიერ, წაეკითხა თავის წარწერა, სადაც ის ამბობდა, რომ უფლება აქვს ასეთი და ასეთი განმარტებებით გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსალი ბორკილები ვიყოლიოთ და ქვევით ბუდუს წარწერა. შემდეგ გავიგეთ, რომ გუბერნატორს ეთქვა: რალაზე დამცინიან ეს უსინდისოებიო.

მეორე დღეს თორმეტ საათამდე თომას წასვლა არ გავუგათი. დილის შვიდ საათზე ჩვეულებრივად მივიდა ადმინისტრაცია დასათვლელად. მორიგე ილია. სწორედ უნდა ჩააბაროს მორიგეობა და ტუსალები მეორე ზედამხედველს, რომელიც პირდაპირ მხეცია პოლიტიკურებისათვის. კრიტიკული მომენტია. ან გადარჩება ილია, ან დაიჭერენ. შევიდნენ კამერაში, თომა ამ არის. მეორე ზედამხედველმა და ციხის უფროსის თანაშემწემ ერთად წამოიძახეს: „ალბათ, საპირფარეოშია“ – და დანიშნეს „არისო“. მაშ, ილია თავისუფალია. მან სრულად ჩააბარა ტუსალები მეორე მოვიგეს. გადასცა გასაღებები და წავიდა სახლში დასაძინებლად. თორმეტ საათზე „მოზრანდა“ პოლიცემისტერი. ეს უკანასკნელი თომას დაქტრის შემდეგ ყოველ დღე 12 საათზე მოდიოდა და ნახულობდა თომას პირადათ. ეწინააღმდეგარ გაიქცესო. ალბად, ცნობები ჰქონდა. ჩვეულებისამებრ გამოიძახა თომა. მოკითხეს კამერაში, – არაა, აბა საპირფარეოში იქნებო, დაიძახეს. მივიდნენ იქვე, არაა. შეიქნა საშინელი აურზაური. გაჩხრიკეს მთელი ციხე. არსად სჩანს. ირტყეს თავში, მაგრამ გვიანდა იყო. დაუძახეს ზედამხედველს და ციხის უფროსის თანაშემწეს. ეკითხებიან დილით დათვლის დროს იყო თუ არაო. ორივე ერთმანდა უპასუბეს: „კი ბატონო“. რა გზა ქონდათ. ეთქვათ არ იყოო, მაშ, რალაზე დასწერეს იყოო. გამოდის, რომ ილიას შემდეგ გაქცეულა. მაშ, ესენია დამამავე. ორივეს დიდი ნდობა ქონდათ. ძნელი იყო მათზე ფიქრი, მაგრამ დაჭერთ მაინც დაიჭირეს. ბოლოს ზედამხედველმა სთქვა, რომ მას დათვლის დროს თვითონ არ უნახავს და აუხსნა რაშიც იყო საქმე და როგორ ნიშნავდნენ მის ციხეში ყოფნას. აქ ეჭვი ილიაზედაც აიღეს. დაიჭირეს ილია, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ გაუშვეს, რადგან ის არ გატყ-

ც. ს. კ. დ.



## ჩაპას პირველი თავმჯდომარის მოგონებები

და და ისე ყოველი მხრით ფორმალურად მართალი იყო. პირიქით, ფორმალურად მეორე მორიგეა დამნაშავე. ბოლოს იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ დარწმუნდნენ სანაგვე „იაშისკ“ გაცევაო. დაიჭირეს სანაგვე და ორი „გოროდოვოი“, რომელიც მენაგვეს აცოლვდა „იმ დღეს“. აქაც არაფერი გამოუყვადათ. ამწარიად, მთავრობისთვის საიდუმლოებით დარჩა მოცული, თუ როგორ გაიტყა ციხიდან თომა. ილია უკანასკნელამდის ბაქოში მსახურებდა საავადმყოფოში და შემდეგ მისი აღარაფერი ვიცო. მთელი სიმძიმე ამ ილიას შენახვისა და მოვლის ამხ. ბუდუს დაანვა კისერზე.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თომას გაქცევამ არა თუ მუშებზე, არამედ უზარალო მოქალაქეებზეც და განსაკუთრებით იმიტომ, რომ მთელმა ბაქომ იცოდა მისი ჩაჯარდნის ისტორია, სიმძიმე მისი სასჯელისა და თან გაქცევაც დაჭერის შემდეგ 2 თვეში მოხდა.

ეს იყო 1908 წლის ზაფხულზე. ამის შემდეგ 1909 წლის თებერვლამდის ჩვენი ჯგუფი მიწუმებული იყო და ყველა სხვა და სხვა რაიონში პარტიულ მუშაობას ეწეოდა. მე ტფილისში ვმუშაობდი. ეს ის დრო იყო, როდესაც თითქმის არავითარი არა-ლევალური მუშაობა არ იყო ამიერ-კავკასიაში ბაქოს გარდა, ტფილისშიც არალევალურად თუ მუშაობდნენ რაიმეს, სიძე ბოლშევიკები. მენშევიკები გატყვებული იყვნენ მხოლოდ სახელმწიფო დუმიით და თავიანთი ლევალური განუთით. 1909 წლიდან მუშაობა ცოტათი გამოიცოცხლდა, მხოლოდ მატერიალურად ფრაქცია ძლიერ შეინაროვებული იყო. მე კიდევ მოუყვარე ჩვენი ჯგუფის რამოდენიმე წევრს თავი და განვიზარაზეთ გორის ხაზინის ქვეშ ხერხელის გაკეთება. სხვა გზით საქმის გაკეთება ძნელი იყო, რადგან ჯგუფის საუკეთესო წევრები დაჭერილ იქმნენ 1908 წელს ზოგი ტფილისში და ზოგიც სხვაგან. ყველაზე უკეთესები ტფილისში დაიჭირეს: ვანო კალანდაძე, ელისე ლომინაძე, ილიკო ჭაჭიაშვილი, კაკიაშვილი და სხვები. ყველა პასუხისგებამი მისცეს 102 სტატიის ძალით, კატორღა მიუსაჯეს და გაგზავნილ იქნენ სარატოვის ციხეში. კალანდაძე სარატოვის ციხეში გარდაიცვალა, ელისე ლომინაძემ გაათავა კატორღა და გადასახლება, ჩამოვიდა და სახლში გარდაიცვალა. ილიკო ჭაჭიაშვილი მეტეხში გარდაიცვალა ყურის ანთებით. ჩამოთვლილი ამხანაგები ლომბები იყვნენ ბოლშევიკური ფრაქციისა. იმათ თავდადებას, გულადობას, გულწრფელობას, რევოლუციონურ ცეცხლს საზღვარი არ ჰქონდა. იშვიათი არიან, იშვიათად შეხვდებით ასეთ რევოლუციონერებს. მათი დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო. ჩვენ ბევრი ვეცადეთ მათი ციხიდან დასხანა, მაგრამ ვერ შევსძლენო. ხალსრის უქონლობის გამო. როგორც იყო, საზღვარ გარეთიდან მივიღეთ

5-7 ათასი მანეთი „ვერიოდლების“ წრისგან მათ გასანათავისუფლებლად, მაგრამ გვიანდა იყო.

ამიტომ იყო, რომ უფრო ადვილად გასაკეთებელ საქმეს მოვიკიდეთ ხელი. ხერხელის სამეჯლებით გვიწოდდა ნაველია გორის ხაზინა, მაგრამ უკანასკნელ დღეს, როდესაც თვით კასას მივადექით, იქ გაგვიგეს და ჩავარდა ხერხელი. დაიჭირეს 4 ამხანაგი, მათ შორის თომაც. ეს იყო ჩვენი ჯგუფის უკანასკნელი მოქმედება. რადგან ტფილისში ვიყავი წამოსული რაღაც ტენიკური საქმეების გასაკეთებლად, განსაკუთრებით კასის გასაჭერელ იარაღებისათვის, მე გადავრჩი.

სხვათა შორის მაგონდება ერთი ამბავი. გორში ჩაჯარდნილი ამხანაგები მეტი წაწილი ყალბი პასპორტებით იყვნენ. ორ ამხანაგს მ. ხუტულაშვილს და ამბაკო სამანიშვილს ჰქონდა ერთი და იგივე პასპორტი ვიღაც ფოთელი ეზეკია კახიანის. ერთი პასპორტით ამხ. ხუტულაშვილი ჩაჯარდა გორში, იმავე პასპორტით – ამხ. ამბაკო სამანიშვილი ტფილისში. რაღაც პასპორტები ერთნაირი გამოდგა, ამბაკოც მიაკრეს გორის საქმეს და გაგზავნეს გორში. პირველის განთავისუფლება უძალოდ არ შეიძლებოდა, მეორესი კი შეიძლებოდა ხრიკებით. გამოვიჩინე შემდეგი თავხედობა. ნაველ გორში და შევედი იმ გამოძიებელთან, რომელიც ამ საქმეს აწარმოებდა. მხედველობაში მისაღებია ის, რომ ამ საქმეზე მე თითონ მექმედებდი. ვითინც თავად წერეთლის პასპორტი მაქვს. გამოძიებელმა ამხედ-დამხედა და შემეკითხა, რისთვის მივსულვარ. მე ვუთხარი, რომ კახიანის საქმეზე, რომელიც ტფილისიდან არის გამოგზავნილი თქვა. ის ჩემი ბიძაშვილია, მაგ საქმეში არაფერი დამნაშავე არ არის და გთხოვთ გაუშვათ. „როგორ თუ არა დამნაშავე, – მისი პასპორტი ერთ-ერთ ნამდვილ მონაწილეს აღმოაჩნდაო“, მიუხარა მან.

მე ვუპასუხე, რომ თქვენ რომ ხვალ ტფილისში ჩამოხვიდეთ, თქვენი პასპორტიც ყალბი გამოდგება, რადგან დღეს გაცხებულია ყალბი პასპორტებით ყველაფერი თქვა. მე კი ვიცო, რომ ჩემს ნათესავს ნამდვილი პასპორტი აქვს. მე თითონ ავუღელ ქუთაისის სამმართველოში თქვა. ორივე პასპორტი კი ჩემი ხელით არის დანერგული. კიდევ ამხედ-დამხედა. ვილაკას მიმამზავებსა. „მე თქვენ ნიშნების კაცს ვეცებ ამ საქმეზეო“, მითხარა.

იმედი მაქვს მე არ ვიქნები თქვა ვუპასუხე. ამ დროს შემოვიდა გორელი წერეთელი და გადამეხვია. წინდანი იყო მოწყობილი, რომ უნდა შემოსულიყო ყოველ გვარ ეჭვების გასაქრობად, რადგან იმ გამოძიებელის კარგი მეგობარი იყო. წერეთელმაც ბანი დამანია. თუ რამე შეიძლება, დაემხარო, უთხარა გამომძიებელს. გამომძიებელმა მითხარა, რომ ამის შენდევ მას არაფერი აქვს ჩემი ნათესავის კახიანის განთავისუფლების წინადადება. მხოლოდ



შეიძლება მაზრის უფროსმა არ გაუშვას და ადმინისტრატულად დაიჭიროსო. ისევე მუშუბნება გამომძიებელი. თქვენ განათავისუფლეთ და იმასთან მე განაწილო საქმეს"-თქვა ვუთხარი. იქვე დავანერინე განათავისუფლების ქაღალდი. ჩავიდე ჯიბეში და გავსწიე ციხეში. ციხის უფროსმა მაზრის უფროსს დაუძახა, მაზრის უფროსმა უთხრა: დროებით დააკავეთო. მე მაზრის უფროსთან წავედი. დიდის მორიდებით მიმიღო, როცა უთხარი ჩემი ვიზიტის მიზეზი. მან მითხრა, რომ ფოთში აღმოჩნდა კიდევ ვიღაც კახიანი და იქიდან დეპუტას ველოდები, რომ გავივით, რომელია ნამდვილი კახიანი - თქვენი ნათესავი თუ ის, რომელიც ფოთში არისო.

მე, ცოტა არ იყოს, ტანში ამზრინა, მაგრამ ვუპასუხე, რომ დეპუტის მოსვლამდის დავიცდი და როცა თქვენ დარწმუნდებით ჩემი ნათესავის სიმართლეში, გაუშვით და თან წაეყვან მეთქი. „დიდის სიამოვნებითო," მიპასუხა.

გამოველი თუ არა, მაშინვე სადგურს მივაშურე და სატვირთო მატარებლით ტფილისს გამოვსწიე. საქმე უკვე ცუდად იყო, რალი ფოთამდის მივიდა საქმე, მაგრამ თავი მაინც არ მიმინებებია ციხისთვის. მომაგონდა, რომ ჩვენ გვყავდა ერთი ამხანაგი ნიკიფორე ცინცაძე, რომელიც ჯარიდან იყო გაქცეული და შემდეგ შინაური მდგომარეობის გამო თავი დაიხრჩო მტკვარში, მხოლოდ მისი გვამი არ უნახავთ. მოვიხლომე ამბაკოს (კახიანის) აქ ნიკიფორეთ გასაღება. თუ გავიდოდა ხრიკი, მაშინ ჯარისკაცად გაგზავნიდნენ, სხვა არაფერი იქნებოდა. ვიცოდი ნიკიფორეს ძმის სახელი (მეონი შერმანდი ერქვა). ავიღე და დავსწერე პატარა ბარათი შემდეგი შინაარსის: „ქვირფასო ძმაო ნიკიფორე! მოგიკითხავ ძმურის სიყვარულით. სხვა, ძმაო, რატომ იღუპავ თავს ამ ციხეში ფლონით. შენი გულსათვის ჩვენც არა გვაქვს მოსვენება. შენი დახრჩობა მაინც არავის სჯერა. დედა შენი და მამაშენი შენი ჯავრით კვდებიან. თუ შენ კიდევ დიდხანს იქნები ციხეში - ორივე, დედაც და მამაც მოკვდება შენი ჯავრით. შეიცოდე მოხუცებული დედაშმა (არც კი ვიცოდი დედ-მამა ჰყავდა თუ არა). გამოტყდი ვინცა ხარ, სთქვი, რომ ნიკიფორე ცინცაძე ხარ და რა იქნება, - სალდათად გაგაგზავნიან. თუ არ მოგეწონოს სალდათობა, მერე ტაიქეცი. ისე რა გიჭირს, იმსახურე და მერე ჩამოხვალ სახლში თავისუფლად. გაახარე შენი დედ-მამა.

შენი კეთილი მსურველი ძმა შ. ც ი ნ ც ა ძ ე.  
რიცხვი...

ეს წერილი გავაგზავნე ციხეში გორში ფრიად კონსპირატულად მხოლოდ ციხეში მივსწივარ, რომ როგორმე ეს წერილი ჩაეკლო ადმინისტრაციას ხელში შემთხვევით. ციხეში კახიანს და სხვა ამხანაგებს მიჩინილი ჰყავდათ ერთი ჯაშუში ციხის უფროსის მიერ. ჩვენებმა ეს იცოდნენ, მაგრამ ვითომ მაინც

დიდის ნდობით ეპყრობოდნენ მას. ამ ჯაშუშს ჩაუგდეს ხელში ეს წერილი. მხოლოდ ისე კი, რომ მას ეგონა, თითონ დაიჭირა წერილი. ჯაშუშმა სიხარულით წერილი ციხის უფროსს მიუბრუნებია. წერილიც ისე იყო დამჭიმებული რომ არალეგალურიც ეტყობოდა. ციხის უფროსს ძლიერ გაეხარა, რადგან ეგონა, ვითომ გაიგო ვინც იყო კახიანი. მაზრის უფროსს გაეგებინა. იმასაც ძლიერ გაეხარა, მან მაშინვე მიიბრუნა ციხეში და გამოიძახა კახიანი.

ეკითხება: „გვითხარი ვინ ხარ, ჩვენ ვიცით მაინც, მაგრამ შენ თუ იტყვი, უკეთესიაო“.

ამბაკო უპასუხებს განგებ: „მე, ბატონო, კახიანი ვარო“.

„არა, შენ ნიკიფორე ცინცაძე ხარ, სალდათობიდან გაქცეული“ - გაჯავრებით უპასუხებს ის.

ამბაკო განგებ კიდევ უარს ეუბნება და შემდეგ ერთი საათის ლაპარაკის ვითომ გამოტყდა და ეუბნება: „კი ვარ ნიკიფორე ცინცაძეო“.

მაზრის უფროსი სწერს სიხარულით ჩვენებს და ბოლოს პირდება, რომ ახალ-განვეულ ჯარისკაცებთან გააგზავნის სამსახურში.

მაგრამ მაზრის უფროსი ფორმის გულსათვის მაინც დეპუტას გზავნის ნიკიფორე ცინცაძის სოფელში - არის თუ არა ასეთი კაციო. იმ მაზრის ბოქაული იბარებს სოფლის მამასახლისს დეპუტის გამო და ეკითხება ასეთი გვარისკაცი თუ ემალებოდა სამხედრო სამსახურსო. მამასახლისი უპასუხებს, რომ კი ემალებოდა, ბატონო, მაგრამ ის კაცი დაიხრჩოვო.

ბოქაული უყვირის მამასახლისს: „შენ მალავ დეზერტირს, ცემირში ამოგაყოფინებ თავსო“ - და გაუგზავნა დეპუტა გორის მაზრის უფროსს, რომ სწორედ ეს არის ნიკიფორე ცინცაძეო. ამ დროს, მართლაც, ახალ განვეულ ჯარისკაცებს აგზავნიდნენ რუსეთში ბათუმში. ჩვენი ამბაკოც მათთან ერთად გაგზავნეს ბათუმში, საიდანაც ჩასვლის მეორე დღეს ჩამოვიდა ტფილისში. ჯარისკაცებს სრულიად თავისუფლად აგზავნიდნენ და გაქცევაც ადვილი იყო.

1911 წელს აპრილში მეორედ დამიჭირეს სრულიად შემთხვევით. ორი კვირის შემდეგ გამიშვეს. საქმე იმაში იყო, რომ არც ერთ საქმეში და არც პარტიულ მუშაობაში მე ჩემი ნამდვილი სახელით არ ვმუშაობდი. ყოველგან კოტეს მეძახდნენ. როცა დამიჭერდნენ, მაშინ ჩემს სახელ და გვარს ვამბობდი. თუ ყალბ პასპორტებს მიპოვნიდნენ და მეკითხებოდნენ, მაშინ ვუპასუხებდი, რომ გადასახლებული ვიყავი და მიტოვ ვიმალეობოდი თქვა, მხოლოდ თუ უპასპორტოდ მიჭერდნენ, - მაშინ ჩემს გვარს და სახელს ვუუბნებოდი. აქ სწორედ უპასპორტოდ დამიჭირეს. ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი - ალიპი ცინცაძე. არქივი, ალბათ, არ მონახეს, გულში კი შემინოდა, რაიმე სხვა საქმე არ გამოჩენილიყო:

ც. ს. ჯ.

გამოველ აპრილის ბოლო რიცხვებში და ამ დროს მივიღე წერილი ამხ. კამოსაგან დახალციხეში შემდეგი შინაარსის: „შენ არ გგეგონოს, რომ მე მართლა გიყვარ. თავს ვიგეჟიანებდი აქამდე. მეტის ატანა აღარ შემიძლია. თუ შეგიძლიათ გამანათავისუფლებო, თორემ, სულ ერთია, მოვეკვებით“, მეც შევეუდღეე მის განთავისუფლების საქმის მონაწილას. მე მაშინ ბუდეოსთან ვცხოვრობდი.

კამო იჯდა ტფილისის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, როგორც გიჟი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი და ტფილისელი საუკეთესო ფსიქიატრები ამტკიცებდნენ, რომ კამო გიჟი იყო და სამისი მონაწილესაც აძლევდნენ მას, – მთავრობას მაინც არ სჯეროდა კამოს სიგიჟე და ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის თავისუფლებას არ აძლევდა მას. თუმცა კამო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჰყავდათ, მაგრამ მისთვის სპეციალური სადარბაზო იყო გამოყოფილი. იჯდა მეორე სართულში. – სპეციალურ კამერაში საავადმყოფოს გარედან, მტკვრის პირას, სდარაჯობდა ორი პოლიციელი. ერთიც კარებიდან. მხოლოდ, საბედნიეროდ, დარაჯობს მხოლოდ ღამით აყენებდნენ. დღისით მხოლოდ შესასვლელ კარებთან სდარაჯობდნენ. ჩვენც უნდა გვესარგებლდა ასეთი მდგომარეობით. გაქცევა დღისით უნდა მომხდარიყო.

საავადმყოფოში მსახურობდა ერთი ზედამხედველი, გვარად ბრიტინი, ახალგაზრდა, ჯარში გასწავეი ყმანელი. პოლიტიკური მომზადება სრულებით არ ჰქონდა, მხოლოდ ბუნებით პროტესტანტი იყო. თვითმპყრობელობა და საზოგადოებრივი წესები სძულდა, ვერ ურიგდებოდა ჩავგრას და უსამართლობას. მისი ასეთი სულიერი განწყობილებით ვისარგებლეთ და წინადადება მივეცით დაგვემარებოდა კამოს განთავისუფლებაში. ჯერ კიდევ საავადმყოფოში მოელაპარაკა მას კამო. მან თანხმობა განაცხადა. შემდეგ მე გავიცანი და დავწერილობით მოველაპარაკე. გაცნობადის რამდენჯერმე გამოვეცადე – ვმომხდით პროფკატორი არ გამომდგარიყო. როდესაც დავრწმუნდით მის გულწრფელობაში, შემდეგ უფრო გაბედულად და თავამად ველაპარაკებოდით და ვნახულობდით. კამო მისთან კამოს დის არუსიკის საშუალებით მქონდა. საჭირო იყო ამერიკული ფოლადის ხერხები, რომ ფანჯრის რკინები გადაგვეხრხა; თოკი, რომ მეორე სართულიდან ძირს ჩამოშვებულიყო და ბორკილების დამზადება წინდანი ისე, რომ გაქცევის დროს ადვილად მოეშორებინა ფეხებიდან. გიჟად ცნობილი ადამიანი ბორკილებში იჯდა!! ამაზე შორს აღარ წავა მთავრობის სისაძაგლე. ბორკილების შეშავებულ რგოლის ვინტის შესაძლებელი „ზაკლიპები“ გავაკეთებინეთ გარეთ. მოდელი კამოსაგან მივიღე ბრიტინის საშუალებით. ხერხები და თოკი ვიყიდეთ. ჯერ ხერხები გავუზავენ, რომ

ბორკილი გაეხერხა და ვინტებით გაეკეთებინა. თან ფანჯრის რკინები უნდა გაეხერხა. როცა ბორკილები და ფანჯარა მზათ იყო, გავუზავენ თოკი და თან დღეც დავინიშეთ. თუ არ მავენწყვედა, 15 აგვისტოს უნდა გამოსულიყო. საჭირო იყო ამასთან ერთად ზოგი მოსამსახურეების დაძინება. ამ მიზნით გავუზავენთ მორფით შეზავებული ლავაშები, მაგრამ დიხს ცოტა იყო და არ იმოქმედა. გეგმა ასეთი იყო;

დღის 10 საათზე მე უნდა მივსულიყავი ვერის ხიდთან და მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან, საიდანაც კარგად ჩანდებოდა მისი კამარა, ნიშანი მიმეცა გამოსვლის მიხედვით, როდესაც იქ ახლო-მახლო არავინ იქნებოდა, რომ ვინმეს შემთხვევით თვალი არ მოეკრა. ჩემი ნიშნის მიცემის შემდეგ ის უნდა გამოსულიყო საპირფარეოში, ე. ი. იქ, სადაც გაჭრილი იყო რკინის ფანჯრები ხლართები... იქიდან თოკით ძირს უნდა დაშვებულიყო. საავადმყოფო მტკვრის მარცხენა ნაპირზეა. ძირს ჩამოშვების შემდეგ ის უნდა შემოსულიყო მტკვრის ერთ ტოტში, წყალში და გამოსულიყო პატარა კუნძულზე, რომელიც მდინარე მტკვარს ორად ყოფდა ხიდის ქვეშ. კუნძულიდან, რომელიც „ნაბერეჩი“ ჰქონიდან იწყებოდა, გამოსულიყო ისევ წყალში „ნობერეჩზე“. იქ მე დაგვეხუროდი და წავეყვანიდი და წინ დამზადებულ ბინაზე. წყლის სიმაღლე უნდებამდე იყო. გაზომილი გექონდა წინადადეგ. ჯერ ვფიქრობდით, გვეშოვნა ნავი, რომლითაც ვორონცოვის ხიდამდე წავიდოდით, იქიდან კი ველოსიპედით ბინაზე წავიდოდით. ასეთი სურვილი ჰქონდა თით კამოს. მაგრამ მე პირველი ვარჩიე, რადგან წყალი დაბალი იყო, ფეხით გასვლა ნაჩვენებ ადგილამდის ადვილი იყო. ამას გავადა კონსპირაცია უკეთ ინახებოდა; არც მიწავე გაიგებდა და არც ველოსიპედის მოქირავებელი. თან ისიც მივიღე მუდგველობაში, სამი წლის ციხეში ნაყოფი, ფიზიკურად ძალზე დასუსტებული ვერ შესძლებდა ველოსიპედით გასაჯაროება.

15 აგვისტოს, დღის 10 საათზე გავღე დანიშნულ ადგილას. საქმე ფრიად კონსპირატულად იყო მოწყობილი. იცოდა მხოლოდ ამხანაგმა ბუდეომ.

როცა ბინიდან გავდე, იმ დროს მგონი ილიკო მეგლაძე (ვარდინი) იყო ჩვენთან ბინაზე. არც იმან იცოდა არაფერი. დანიშნული ადგილიდან პირველი ნიშანი ვაჩვენე. ეს ნიშნავდა, რომ კამო უნდა მომზადებულიყო და თვალყური ედევნებია მეორე ნიშნისათვის. შემთხვევით რამოხუროდი უსაქმოდ მოხეტიალენი მოვიდა და იწყეს დენინობა მტკვრის ნაპირზე. ველოდები მათ წასვლას. როგორც იყო, წავიდნენ. ის იყო ცხვირსახოცს მოვიკიდე ხელი და უნდა მეჩინებია გამოსვლა – გამოჩნდა ვიწარცხე მოქალაქე ძაღლი და დაუწყა ბანაობა და წასვლა იქვე წყალში, საიდანაც ნიშანი უნდა მიმეცა. ველოდები – არ მიდის. გავიდა ნახევარი საათი, ერთი


საათი. განაგრძობს იქ ყოფნას, ეჭვი შეემპარა. ვფიქრობდი, იქნება გაიგეს და საიდუმლო აგენტია, რომ ასე ხანგრძლივად ათამაშებს და აბანავებს ძალღს-თქო. ამ მოლოდინში გაიარა მგონი სერგო ორჯონიკიძემ, რომელიც რუსეთიდან იყო იმ დროს ჩამოსული პარტიულ საქმეებზე, მკითხა რას აკეთებო, აღარ მახსოვს, - ვუთხარი რაში იყო საქმე თუ არა. მხოლოდ ის დიდი ხანი აღარ დარჩენილა და წავიდა. წასვლის ხანს ხუმრობით მითხრა: „შენ აქ კაი საქმეზე არ იქნებიო“. გავიდა კიდევ ერთი საათი და, როგორც იყო, წავიდა ის მოქალაქე თავისი ძაღლით. თითქმის 2-ნახევარი საათი აბანავა ძაღლი. გულზე ვსკდებოდი, რამდენჯერმე ვიფიქრე წყალში გადავაგდებ-თქვა.

პირველი საათი იყო. გვიანდებოდა. მაგრამ თითქმის არას დროს არ იყო ის ადგილები თავისუფალი ხალხისაგან. ხან ერთი ჯგუფი გაისეირნებდა, ხან მეორე. ბოლოს აღარ ვათხოვე ყური იმათ იქ ყოფნას და მივეცი ნიშანი: სამჯერ ცხვირსახოცი დავუქნიე. ვუცდი თოკის გადმოშვებას. 5 წუთის შემდეგ გადმოეშვა თოკი. თვალის დახამხამებაში თითონაც დაეშვა თოკზე, მაგრამ ორი საუენი დაეშვა თუ არა, თოკი განწყდა და მიწაზე დაეცა. საკვირველი იყო. თოკი მე თვითონ ვიყიდე. გავიზიჯე.

მე დამიმაგრა: 4 ნახ. ფუთს ვინონიდი. ის კი მგონი მაშინ 2 ნახ. ფუთიც არ იქნებოდა წონით. ალბად, თოკი გაიხეხა რამეზე და ვეღარ გაუძლო. გული აძგერდა, ხომ არაფერი დაუშავდა თქვა. მაგრამ სწრაფად ადგა და წყლისაკენ გამოსწია. ხელში ხელსახოცში გამოკრული ბორკილები ეჭირა, რომელიც მდინარეში ჩააგდო. გამოვიდა კუნძულზე. იქიდან ვერის ხიდის ქვეშ, ისევ წყალში გავიდა და „ნაბერეუნზე“ უნდა გასულიყო. აქ მე მოუსწარი მარჯვნივ ნაპირიდან ვერის ხილით. ნაპირი ცოტა მაღალი იყო და ვერ ამოვიდა თავისით. გავუნოდე ხელი და მაღლა ამოვიყვანე. მისთვის მოსახურავი მქონდა, რომელიც მე მეხურა. მოვიძვრე და იმას მოვახურე. თავზე ჩემი ქუდი დავახურე. მე კი ჯიბეში მქონდა ჩემთვის მეორე ქუდი. გამოვდევი მკლავში ხელი და წავიყვანე „ნაბერეუნით“. გავედი დიდი-მთავრის ქუჩაზე, იქიდან მიხეილის შესახვევით მიხეილის (პლეხანოვის) პროსპექტით გავედი. იქ ეტლში ჩავსვი და ავჭალის (ჩერქეზოვის) ქუჩით ბინაზე მივიყვანე ამხ. გაგლოევთან. მხოლოდ ავჭალის ქუჩაზე ეტლი გავუშვით და ტრამვაით ორი გაჩერება გავიარეთ. ეს იმიტომ, რომ მაძებარი ძაღლებისთვის კვალი დაგვებნია.

### გაგრძელება იქნება





# ალექს გაბელაია

## უსათყურო ვეკუიბი

●  
 მე გადავეცი სხეული მიწას,  
 ამიერიდან სხვაგან გავათევ.  
 სხეული,  
 ჩემთან რომელიც იწვა,  
 დასანანია, რომ ვერ გავათებე.  
 დასანანია,  
 ვერ მოგანიჭე  
 ვერც სიხარული, ვერც გულის სითბო.  
 ბედნიერების ოქროს კარიბჭე  
 არც ყოფილიყოს  
 მიწაზე, თითქოს!

●  
 გზა გაცორვილა ხეობაში,  
 როგორც იქედნე.  
 ხშირდება ფლატე,  
 ჩამოქანდა თანაც ქანობი.  
 შესდექი, წამით დახანდი და  
 მიმოიხედე  
 გზა ირგვლივეთში იკარგება  
 თანდათანობით...

ლანდები წვანან...  
 მოიმწურა ირგვლივ მიდამო.  
 ჩრდილს იფანისას  
 შეელეკა ჩრდილი კოპიტის.  
 სისულელეა,  
 პილიგრიმმა ახლა იდავო,  
 რომ იქ არ გინდა,  
 ეს შარა და  
 ეს გზა რომ მიდის...

დახანდი მანც!..  
 გასუდრულა ირგვლივ წკვარამი,  
 ღრანტეში თრუსო მიჩხრიალებს –  
 კამკამა, სუფთა.  
 გულს დასწოლია წკვარამივით  
 უამი ვარამი,  
 ჩაუამებულა გზაც  
 მავალი საკუთარ სულთან...

●  
 მო, შევისვენოთ  
 და აქ ჩამოვსხდეთ.  
 სული მოვიტყვათ, მოვიხსნათ ბარგი.  
 რაც იყო დღემდე,  
 მოაქვამომდე,  
 გადავივიწყოთ ცუდიც და კარგიც;  
 რომ გვიღალატა,  
 ვისაც კი ვენდეთ,  
 რომ გული ახლა არსად მიგვერჩის,  
 რომ ჯოჯოხეთში  
 გვეძინა დღემდე  
 და გაგვალვიძეს ამ საგაყეთში...

.....  
 მო,  
 აქ ჩამოვსხდეთ,  
 მოვიხსნათ ტვირთი –  
 უკანასკნელი ფუთა იმედის.  
 გზაც და სამზეოც  
 გავლიეთ თითქმის  
 უამგასაყართან, აჰა, მივედით!..

●  
 ყიამეთია.  
 მივალთ მარტონი,  
 არც მეგზური ჩანს –  
 გზათა პატრონი.  
 მივებეტებით ასე ყრუები,

უენონი და  
უსინათლონი.  
ვინ გვეტყვის,  
გზები საით მიდიან? –  
დუმს სამისნოც და  
დიდი პითიაც  
და არც კი ვუნყით, ეს ყველაფერი  
განწონილი თუ შემთხვევითია!..  
.....  
ყიამეთია.  
მივალთ მარტონი...

●  
არა ჩანს ირგვლივ მიწიერი,  
არცა ციერი.  
არცა ჩანგის ხმა მიმოსმის  
ამოდ რხეული.  
გადაბინდულა ესე დაბნი –  
თვალსანიერი –  
დაისის მზეში და დუმლში  
გამოხვეული.  
წამოქცეულა კომპის ჩრდილი...  
ჩინარის ძირი  
გამოფიტულა უსახელო დღეების რიგით.  
დუმს უკაცური და ურვილი  
მდინარის პირი,  
ამ უნაყოფო მიწდვრების და  
ბორცვების იქით...

●  
მაინც ამ ცას და საგოდებელს  
ვარ ჩახვეული,  
თუმცაღა ჟამი მონეულა –  
ჟამი დათმობის.  
ახლაც ამ ჭაობს მივქვითინებ  
ყანჩა ეული,  
ჟამგასაყართან  
დაბნისა და ამ უდაბნობის.  
ვინც იყო ჩემთვის ძვირფასი და  
რაც იყო წმიდა,  
გამქრალა ყველა,  
გაკრეფილან საღამოს ბინდად...  
ახლა რა მინდა? –  
უსიერი სიჩუმე მხოლოდ, –  
ბიამანის და უდაბურის  
სიმშვიდე მინდა...



●  
 მწუხრი ადგება გზას უტყვევანის,  
 მი და მოს ვერანს  
 ხამს მინურები.  
 უამიც, ამოად ნასუფევიარი,  
 შა, ილევის და  
 შა, ინურების...

შა,  
 უკანასკნელს ავდივარ ფერდობს,  
 ვჭვრეტ უწიერს და  
 ადგილს ღრანტოვანს,  
 თითქმის მასთან ვარ,  
 ოდესღაც,  
 ერთდროს  
 თვალუხმიერი ვინც აქ დამტოვა!..

●  
 რა ამოა ეს ფუსფუსი  
 შლეგი ხანმდევის, -  
 ვინაც ინამა  
 ამა სოფლის ცრუ სიდიადე.  
 ჭიშკართან ჯერაც ვერმისული  
 ხედავ, ღამდების,  
 შარასაც მწუხრი ფეხაკრეფა  
 მოაწყვდიადებს.

დღეებმა,  
 როგორც კრილოსნის ბრჭყვიალა  
 ასხმამ,  
 ამ ჭიშკრის მიღმა ჩაიარა -  
 ვარდობამ ასმა,  
 მაინც ვერ შეძელ  
 ამ უბადრუკ და შემოლობილ  
 ეზოს შამბიან ბილიკიდან  
 შარაზე გასვლა.

●  
 ვითარცა რკილი  
 კედარის ფიცარს,  
 ფიქრი ეულად დარჩენილს მღრღნიდა.  
 რაოდენ ტკივილს ინახავს  
 მინა  
 უჟამო უამში გაჩენის დღიდან,  
 მაგრამ,  
 უფალო,  
 აქ მოსვლა მაინც  
 რაღაცა იყო,  
 რაღაცად ღირდა...

●  
 უსაგნო სევდით,  
 შებინდების აპათიებით  
 დაღლილმა სულმა განაცხადა:  
 „კმარა მისნობა!“  
 და დღეც –  
 უსაზღვრო ოცნებებით ნაპატივები  
 არარაობად მიითვალა  
 მარადისობამ...

●  
 გადმოხვენილო,  
 გადმოსული არარაისით,  
 დღეო,  
 სამზეოს ნუ იჩემებ,  
 ნუ სადაურობ.  
 უსათაურო იყო შენი  
 სისხლის აისი,  
 ვიცი,  
 დაისიც რომ იქნება  
 უსათაურო!..

●  
 ჰა,  
 უფსკრულებით სევდიანი მღერის აბადონ.  
 თრთის მაგნოლია  
 და წყვიდადის მობლანტო მწუთხი.  
 ბრმა ბედისწერამ  
 მოსვლიდანვე ვალად დამადო  
 ნუთისოფელში გალუული  
 ყოველი ნუთი...

●  
 მიმოსიუდრა...  
 მიჩუმათდა გზაზე ფეხისხმა.  
 ჩქამი ფოთლებში შეიყუჟა...  
 ხმა არსაისით...  
 ხედავ?  
 ეს ვარდი აყვავებას ველარ ეღირსა,  
 ჰა,  
 მერამდენე ინურება თუმცა მაისი.

მზად ვარ, წავიდე...  
 მივალ ეტლში შესხმად ჰუნების.  
 პა, მერამდენედ შემეცვალა  
 დღესაც გუნება.  
 შორეთს გაისმის მშობლიური  
 მესა ბუნების,  
 ვაგლახ,  
 ან იგი ჩემს სულს აღარ ესალბუნება...  
 თუ ერთადერთი სამშობლოა  
 ეს დედამინა –  
 ამ სამყაროში  
 შემოსილი შავი ღრუბლებით, –  
 მაშინ,  
 უფალო, მაპატიე, ღმერთო, დამიცავ,  
 ყველა ზეციურ პასუხთაგან  
 ვთავისუფლდები...

ვან ვეი,  
 ძმაო,  
 მომიკითხე ძვირფასი ლი ბო.  
 შელენილი მაქვს მეც სულის ბჭე,  
 კარიც და ლიბოც.  
 წუთისოფელში მეც თქვენსავით  
 ბევრი ვენამე  
 აჰა,  
 ან უკვე თავთუხივით გადამლენავენ,  
 მანამდე ლექსით უნდა დავთვრე...  
 მთიბავმა თიბოს  
 წუთისოფელი  
 უნდობარი და ბასრი ცელით  
 ძმაო,  
 ვან ვეი,  
 ამაღამვე ვენვიოთ ლი ბოს  
 მწუხარი ლექსით,  
 ჭიქა ღვინით  
 და წყვილი ცრემლით!



# ტაულ ჩილაჩავა



## ბედი

რა უცნაური ბედია,  
ელჩი ვარ მე უკრაინის  
და იურმალის ნაძვებქვეშ  
ქართულად ვთარგმნი რაინისს.

თითქოს ვილაცამ გამრიყა  
ერის ერთგულთა რიგიდან  
და ჩემი ქვეყნის სანახებს  
ველაციცები რიგიდან.

ზოგჯერ მგონია, საწუხარს  
ნივილით მიმხელს თოლია.  
ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე  
ჩემი ტკივილის ზოლია.

მამულო, ჩემში ბიბინებ  
მთებით, ველებით, კორდებით.  
მეგონა, გიახლოვდები,  
მე კი სულ უფრო გმორდები.

## მე უფნი თავი ვის ჩავაბარო?

გარდა სიშორის და სიმარტოვის,  
 მე არაფერი არ მედარდება.  
 სითბო მზის სხივის, სუსხი ქარ-თოვის –  
 სუყველაფერი წარსულს ბარდება.

კლავენ ერთმანეთს, წვავენ ქალაქებს  
 და ბოლოს მაინც ზავი მყარდება.  
 ციხესიმაგრეც, სოფლის ალაგეც –  
 სუყველაფერი წარსულს ბარდება.

მიმოიხედავ: კლდე გაბზარულა,  
 ბალი ქცეულა ეკალბარდებად.  
 წელთა ზოზინი, დღეთა მარულა –  
 სუყველაფერი წარსულს ბარდება.

ჩემო სიცოცხლევე, ჩემო იმედო,  
 ჩემო ცხადო და ჩემო ზღაპარო,  
 შენ სანარსულოდ ვით გაგიმეტო,  
 მე შენი თავი ვის ჩავაბარო?

## პატრიოტები

გათენებამდე ილხინეს,  
 გათენებამდე სვეს,  
 ქება შეასხეს ილბალს,  
 ქება შეასხეს სვეს,  
 სამშობლოს გაუმარჯოსო –  
 მზის ამოსვლისას თქვეს,  
 მერე მთელი დღე ეძინათ,  
 სულ ეს იყო და ეს!

## ნაცარქმია.

სინჯა ტაიჭი და სინჯა რაში,  
 ჭინკა ჩაამწყვდია სინჯარაში.  
 ტყაშმაფას აკოცა,  
 ოჩოკოჩს დაეჭიდა,  
 უნდოდა, ჩლიქებზე  
 ნალები დაეჭედა.  
 ბობოქარ ზღვას პეშვით  
 დაღევე დაუპირა,  
 ახვინებდა, თითქოს  
 გრიგალმა დაუბერა.  
 ცდილობდა ზეცამდე  
 კოშკების აგებას,

დევეების მოძებნას  
 და გაჩანაგებას.  
 ვიფიქრეთ – ცოტენა,  
 შლეგი შავლეგია,  
 აღმოჩნდა ყვარყვარე  
 და ნაცარქექია.

## გასეირნება „გაზელით“, ანუ გარდაბნის გასეირნება

– ...არაბი ხარ?

– იეზიდი!

ანა კალანდაძე

ორღობეში ტალახს ასჯერ გაზელილს  
 მიაპობს და მითუხთუხებს გაზელი.

რა ხანია, იგი გასცდა გარდაბანს,  
 ვილა ეტყვის მას ქარების გარდა ბანს?

მძლოლი – შავი, ვით არაბი ლაზელი,  
 ლექსიც უცხო – შიქასტა თუ ლაზელი.

წინ სივრცეა ლომების ნათათარი.  
 – მითხარ, მძლოლო, არაბი ხარ? – თათარი!

## ასკეტი ასი

გამოქცევისხარ ას როზგს და  
 თავზე აღმართულ ას კეტს.  
 დამსგავსებისხარ განდგილს,  
 სხვაგვარად რომ ვთქვათ – ასკეტს.  
 ასი იყავ და მიმართავ  
 კვლავაც ილეთებს ასურს,  
 თუმცა სულ უფრო მაგონებ  
 იმ წმინდა მამას – ასურს,  
 რომელიც დარშიც, ავდარშიც  
 არ შელეგია იმედს  
 და საღვთო სახლად უცვნია  
 ტაძარიცა და მღვიმეც.  
 შენ მოთმინებას ნიადაგ  
 სიკეთის გამო ცდილობ,  
 ჭირშიაც გამობრძმედილო,  
 ლხინშიაც გამოცდილო.  
 შენ უფალს სწირავ ზვარაკს და  
 ისარს მიზანში ასობ.  
 სადაც ეგების – ასკეტობ,  
 სადაც ეგების – ასობ!



## გოდორი

*ოთარ ჭილაძეს*

ვისი სამშობლოც დასაბამით არის გოდორი,  
მას არც ლიახვი ენაღვლება, აღარც კოდორი.

მას თვით სატანამ, თვით სატანამ, ალბათ, უქო დრო  
და ჩააგონა: სანყალია კაცი უგოდრო.

მე უკვე მრავალ სასახლეში ვხედავ ნაგოდრალს  
და ვხვდები, მისი ბინადარნი რამ გააკოტრა.

## ტკბილქართული სონეტი

აბასთუმანი, აბედათი, დვირი, დმანისი,  
დიკლო, დიდგორი, დიხაზურგა, როშკა, კლდეკარი,  
სვირი, სუჯუნა, სართიჭალა, ზენი, ზეკარი,  
ზანა, ზუგდიდი, ზენობანი, კურზუ, კრწანისი,

თაბორი, თაგო, თარიგონი და თამარისი,  
ურბნისი, ურთა, უშაფათი, ოხვამეკარი,  
ბაში, ბარლები, ბალმარანი, ბაბალეკარი,  
აფშო, აშენდა, არაშენდა, არბო, აბისი,

თბილისი, თეზი, თეძმისხევი, თხინა, თაია,  
რუხი, მარტვილი, ჭითაწყარი, ხეთა, ალერტი,  
გრემი, იყალთო, ბახტრიონი და ალავერდი,

დიოსკურია, ვანი, გოჯი და ქუთაია,  
გაუნყინარი, გახომელა, თორსა, თონეთი  
და, ჰა, ყველაზე ტკბილქართული ჩემი სონეტი!

## ის ელოდება განმკითხველს...

გაყოფილია სოფელი, კუპრი ჩაუდის შუაში,  
იქ შარშან ერთმა დიაცმა შავი ეშმაკი შუა შინ.

ყვებიან, კუპრის ლელეში ფეხმძიმეს უბანავია,  
ნაპირთან ნავი რომ მოჩანს, ის თურმე კუბო-ნავია.

ემმას მშობელი სოფელმა შავ მესერს იქით გარიყა,  
აკვანთან უხმოდ მჯდომარეს მოამბედ მარტო ქარი ჰყავს.

ის ელოდება განმკითხველს უფლის ფარმუზარადიანს...  
გალმა – დ. თუთაშხიაა, გამოლმა – მ. ზარანდია.

## ლივადია. სტალინის სავარძელი

ლივადიაში, სადაც ახლა მუზეუმია,  
 შეეფუთები უცაბედად წარსულის ლანდებს.  
 ყოფილა დრო და აქ ქართველსაც უზეიმია,  
 როდესაც იგი მასპინძლობდა მსოფლიო გრანდებს.

მის სავარძელში მე ჩავვუქი უცნაურ რიდით  
 და, სანამ ჩემი მეგობარი სურათს მიღებდა,  
 შემიბყრო თრთოლამ, მღელვარება ვიგრძენი დიდი,  
 მეგონა, გიდი ჩემს აქ ყოფნას ათარილებდა.

კულისებიდან შორეული მომესმა ჩქამი  
 და მიკვირს, მიკვირს, მანდ წუთითაც როგორ გაძელი.  
 ის სავარძელი იყო, როგორც ელექტროსკამი,  
 სამოცი წელი არ შეცვლილა ის სავარძელი.

## ასესხეთ სიყვარული რუსეთს!

წავიდა ანდრეი, წავიდა ბელა, –  
 მგოსნები, რომლებსაც ვუყვარდით ჩვენ.  
 ქარო დეკემბრისავ, შენ რაზე სტვენ?  
 წავიდნენ მგოსნები... რუსეთში ბნელა!

ვინც ზღვა გაგვიცვალა წყალდამშრალ რუხე,  
 როგორღა ვიგულვოთ მეგობრად, ძმად!  
 წავიდნენ მგოსნები, არ დარჩათ მათ  
 მემკვიდრე... ასესხეთ სიყვარული რუსეთს!

## ალაშარა

*„ალაშარა“ აფხა ზურად  
 სინათლეს ნიშნავს.*

მე ვარ უბედური მოწმე,  
 როგორ წაიშალა შარა  
 იქით, სადაც დღე და ღამე  
 კიაფობდა ალაშარა.

ბევრმა ფიქრში იგი კიდევ  
 აილორა, ალაშარა,  
 მაგრამ უკუნეთში დარჩა,  
 არ გაბრწყინდა ალაშარა.

ბასტიონზე ელავს ცეცხლი –  
 ალკვიმატა, ალაშარა  
 და დაჭრილი გული კვნესის:  
 „ალაშარა, ალაშარა!“

### ბანჟორება

როცა აფხაზი მიხვდება,  
რომ დაიმონა რუსმა,  
ინატრებს, მაგრამ კუბოსთვის  
ველარ იშოვის ღურსმანს.

როცა აფხაზი შეიგნებს,  
რომ უორგულა ქართველს,  
ბუდეში მკვდარი იქნება  
მისი ობოლი მართვე.


როცა აფხაზი ვერ ნახავს  
აფხაზურ ტექსტთა მკითხველს,  
იტირებს, მაგრამ საცრემლო  
აღარ ექნება სითხე.

ც.ს.ა.ი.





მასალები საქართველოს ნაფიქციო ისტორიისთვის



# აჩილ გატსიაშვილი

## ჩემი თაობის წუთისოფალი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეექმნა ჩვენს ეკლესიას, ვიდრე ეს ცარიზმის დროს იყო. მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც მოხდა თბილისის უნივერსიტეტის საერთო კრებაზე, რომელსაც მე ვესწრებოდი. კრებაზე მაშინდელმა რექტორმა ვაშაყმაძემ გაილაშქრა ი. ჯავახიშვილის წინააღმდეგ და მაგალითისთვის მოიყვანა ის ინციდენტი, რომელიც წარმოიშვა ი. ჯავახიშვილსა და მაშინდელ სასწავლო ნაწილის პრორექტორ, ახლად გამომცხვარ „პროფესორ“ თავზარაშვილს შორის. თავზარაშვილის შენიშვნაზე, რომ ი. ჯავახიშვილს ისტორიის პროგრამიდან ამოეღო საეკლესიო მწერლობის საკითხები, ი. ჯავახიშვილს სიტყვა მოეჭრა თავზარაშვილისათვის და ეთქვა: „ჯერ თქვენ საქართველოს ისტორია ჩააბარეთ და მერე მეკამათეთ თუ რა დაეტოვოთ პროგრამაში და რა ამოვიღოთო“, ამდგარიყო და წამოსულიყო. ამაზე ვაშაყმაძეს კრებაზე განეცხადებინა დასაშვებია პროფესორმა პროფესორს და ისიც პრორექტორს ასეთი სიტყვებით მიმართოსო? მე დავიბარე ი. ჯავახიშვილი და საყვედური გამოეთქვი მისი ქვეყის შესახებ, რაზედაც ი. ჯავახიშვილმა მიპასუხა: „მე ბოღმის გიდი,

არ ვიციოდი თუ თავზარაშვილი პროფესორი გახლდათ, მე მეგონა, ის იყო დანიშნაურებული მუშა“.

ჯერ კიდევ ამბროსის კათალიკოსობის დროს წესად იყო შემოღებული, რომ თბილისის მღვდლებს რიგრიგობით ქადაგებას ათქმევინებდნენ სიონში როცა კათალიკოსი იყო მწირველი. ქადაგების დღის შესახებ მღვდელს რამდენიმე ხნით ადრე ატყობინებდნენ. ეს ინერციით პირველ ხანებში გაგრძელდა კალისტრატეს კათალიკოსობის დროსაც, თუმცა საბჭოთა წყობილების უამს ქადაგების ტექსტი წინასწარ შეთანხმებული უნდა ყოფილიყო... მამასთვის მოუთხოვიათ ისეთი ქადაგების გადამონებაც კი, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წლისთავს ეძღვნებოდა. ქვემოთ გთავაზობთ ამ ქადაგების სრულ ვარიანტს, რომელიც მამას სიონში ი. ჭავჭავაძის მოკვლის დღესთან დაკავშირებით, 35 წლის თავზედ კვირა დღეს 31 აგვისტოს 1942 წ. წარმოუთქვამს.

ამ ქადაგების ისტორია ასეთია: პირველად იგი წარმოსთქვა მამამ 1907 წელს ილია ჭავჭავაძის მოკვლის მე-40 დღეს, როცა მამა სხვა მღვდლებთან ერთად თანამწირველი იყო ქვაშვეთის ეკლესიაში. მაშინ წირვასა და პანაშვიდს ესწრებოდა ქართველ ინტელიგენციასთან ერთად მწერალი ანტონ ფურ-

ცელაძეც. მას მამას სიტყვა მოსწონებოდა და ქაიხოსრო ქავთარაძისათვის (სოციალ-ფედერალისტი, გაზეთი „სახალხო გაზეთის“ რეპორტიორი) დაევალებინა ამ სიტყვის მამისათვის გამოერთმევა და მისთვის გადაცემა ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე თქმული სიტყვების დასაბეჭდად განკუთვნილ კრებულში შესატანად. ქაიხოსრო ქავთარაძე ქვისლი იყო დეკანოზ იოსებ ბერიძისა, რომელიც მამასთან ერთად მსახურობდა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში და მამასთან ერთად ერთ ეზოში და ერთ სახლში ცხოვრობდა. ქაიხოსრო ქავთარაძეს ეს დავალება გადაეცა შესასრულებლად იოსებ ბერიძისათვის, რომელსაც დაეწიებოდა მისი შესრულება, ასე რომ ამ ქადაგების დაბეჭდვა ვერ განხორციელდა.

აი ეს ქადაგებაც:

### სიტყვა

*თქმული მღვდელ დავით ზაქარია ძე გარსიაშვილის მიერ ქადაგების წმ. გიორგის ეკლესიაში მე-40 დღეს დღიდან ილიას წამებისა. 1907 წელი.*

*იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად.*

*სოფელსა შინა იყო, ... და სოფელმან იგი ვერ იცნა.*

*თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არა შეინყნარეს.*

*/იოანე 1,9,10,11/*

ამ სიტყვებით, ძმანო ქართველნო – ამერ-იმერნო, დიდებული მოციქული და მხარობელი იოანე ღვთისმეტყველი გულისხმობს კაცთა ნათესავის მხსნელს და მაცხოვარს იესო ქრისტეს; გვაუწყებს მის ღვაწლს ქვეყნისათვის და, ბოლოს, აგვიჩვენს ენით გამოუთქმელ მის უბედურ ამ ქვეყნიურ ზვედრს. ხალხთა ისტორია გვასწავლის, თუ რა პირობებში იშვა ხორციელად იესო ნაზარეტელი ბეთლემსა ურასტანისასა. იესო ქრისტეს დაბადების წინა ხანა წარმართთა ხალხთა საზოგადოთ და ისრაელთა კერძოდ ბნელი იყო. ბნელი იყო როგორც პოლიტიკურის და საზოგადოებრივის, ისე სარწმუნოებრივისა და ზნეობრივის მხრივ. ნაცვლად სიმართლისა, ღირსებისა და ყოველი ადამიანის პიროვნების დაცვისა, უსამართლობას, დამცირებას და პიროვნების შელახვას ჰქონდა ღრმად გადგმული ფესვი. იმ დროის წარმართთა საუკეთესო პირნი ნათლად ჰხედდნენ და ჰგრძნობდნენ, რომ ამ გვარი მდგომარეობა კაცთა არანორმალურია, და რომ საჭირო იყო მათი თავის დაღწევა ამ არა

სასიხარულო და არა სასურველ მდგომარეობისგან. მაგრამ, მათი აზრით, ამ დიადი საქმისათვის კაცობრიობა უძლური იყო. ამისათვის, ამტკიცებდნენ ისინი, საჭირო იყო ზესთა-ბუნებითი ღვთაებრივი შემწეობა. და აი ურიათა შორის, მართლაც ზესთა-ბუნებითად იშვა მხსნელი სოფლისა, – ნათელი ჭეშმარიტი, – იესო. მიზანი მისი შობისა იყო: განათლებას ქვეყნად დაბადებულისა ყოველი კაცისა. ამ მიზნით აღჭურვილმა იესომ იწყო ცხოვრება კაცთა შორის ურიათა ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებში და კიდერთ-კიდე შვენიდა სიტყვასა და ნათელსა ჭეშმარიტსა ხალხთა გასანათლებლად. აიყვინთ თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ /მათე V, 48./, გაისმოდა ძლიერად მქუხარე ხმა ქრისტესი და მით კაცობრიობას უსახავდა ამ ქვეყნად ცხოვრების უშაღლეს იდეალს. ჰქადაგებდა მშვიდობას და კაცთა შორის სათნობას, ძმობას, ერთობას და ურთიერთ შორის უდიდეს სიყვარულს. „მშვიდობასა დაგიტევებ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მოგცემ თქვენ...“ /იოანე XIV, 27./... ამით ჰსცნონ ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთ-არს“ /იოანე XIII, 35./... ესე არს მცენება ჩემი, რათა იყვარებოდეთ ურთიერთ არს, ვითარცა მე შევიყვარენ თქვენ. – უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დაჰსცდეს მეგობართა თვისთა თვის. /XV, 12, 13 იოანე./ მშვიდობა და ამგვარი სიყვარულია, ძმანო ქართველნო, ქვა-კუთხედი ამ ქვეყნად კაცთა ბედნიერებისა და წინმსწავლელობისა. და აი უფროსი და უმაგალითო სიყვარული ქრისტესი კაცობრიობისადმი! დიდებული მოძღვარი კაცთამდი სიყვარულისათვის ჯვარს-აცვეს – მტრობამ, სიძულვილმა, შურმა, უფიცობამ, გამცემლობამ, ვერცხლის მოყვარეობამ... და ესე საზიზღრობა მით უფრო სავაღალო და სავაგლახო იყო, რომ ღვთაებრივი მოძღვარი ქრისტე იესო „თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არა შეინყნარეს.“ ე.ი. ხორციელად ურიათა შორის შობილი მსოფლიო მქადაგებელი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა იესო ურიებმავე არ დაინდეს, არ შეინყნარეს... ლახვრითა გვერდსა უგმირეს. ასეთი საზიზღრობა ჩაიძინეს ურიათა, რომელთათვის იესო ხშირად იტყოდა: არა ვიდრე მოვლინებულნი ვარ გარნა ცხოვართა მათ წარწყმედილთა სახლისა ისრაელისა“ /მათე XV, 24./. პოი, უფიცობავ, სიბნელეც და უმადურობავ! ფართო იყო ასპარეზი თქვენი თარეშობისა ქვეყანასა ზედ მცხოვრებ კაცთა შორის ფამსა იესოს დაბადებისა და მის ტანჯვა-წამებათა! –

აი რა აზრები გავაცხებნა, ძმანო, დიდებულ ილიას მონამებრივმა სიკვდილმა. დაეს მცორმოცე დღვა მისი ვერაგულად წამებისა, მაგრამ ზემონათქვამი

აზრები მაინც უფრო და უფრო თავს გვევლებიან და არ გვმორდებიან. გავიხსენით ხანა საქართველოს ცხოვრებისა წარსული მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ე.ი. დღიდან საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთებისა იმ დრომდე, სანამ წამებული ილია სამშობლო ასპარეზზე გამოვიდოდა სამოქმედო, და ჩვენ დაერწმუნებდით სხენებული დროის დიდ მსგავსებაში იესო ქრისტეს დაბადების წინა დროსთან. ილიას დაბადების და სამოძღვროდ გამოსვლის დროს იგივე უსამართლობა, ძალმომრეობა, დამცირება და პიროვნების შლახება იყო საქართველოში გამეფებული, რაიცა ქვეყნად ქრისტეს დაბადების წინა დროს. დაუმატლოთ ამას ბატონ-ყმობის დიდი გამხრწნელი ზეგავლენაცა, რაც ისედაც უფერულ ცხოვრებას ჩვენის ხალხისას უფრო უფერულად და აუტანელადა ჰხდოდა. აი ამისთანა გასაჭირ დროს, მაშინდელ საუკეთესო ქართველთა აზრით, საჭირო იყო გამოჩენილიყო ქართველთა შორის დიდი ბუნების და ნებისყოფის ადამიანი, ახალი დროის იარაღით, – სწავლით – აღჭურვილი, ყოველ მხრივ განათლებული, რომელიც შესძლებდა ქართველი ერისათვის ახალი ცხოვრების შექმნას, უცალი და ეკლასი გზის გაკაფვას. ასრულდა ასეთი ნატივრა. მესამოცი წლები დასაწყისის მოველინა საქართველოს დიდი ილია, ვითარცა მაცხოვარი იესო და მისნი დიდებულნი მოციქულნი ქვეყნიერობას. საქართველოს და მისი ძეთა საკეთილდევოდ ილია, ვითარცა მოციქულნი, საზრდოთა ჰმარობს ქრისტესა მცნებას; ჰქადაგობს კაცთა სხეარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, თანასწორობას; გვასწავლის შრომის მოყვარეობას და უნარიანობას „მომავლისათვის ბედთანა ბრძოლას;“ სიტყვით, თუ საქმით, თუ მწერლობით თანამომძეთ შთაგვაგონებს და გვიწერგავს გულში ჭეშმარიტებისადმი, სიყვარულს და უხვად ჰყენდა ჩვენს შორის განათლებასა. საკმაო იყო მხოლოდ ხილვა მისი ნათელი სახისა, ანუ სხენება მისი სახეილისა და უმაღლე ზემორე ჩამოთვლილ თვისებებით ჩვენი აღჭურვა და შეიარაღება. გულად მებრძოლი და შეუპოვარი მოქალაქე იყო **ილია** თავისი ერის ინტერესების დაცვის საქმეში. ჭეშმარიტად ღვანლი ილიასი დიდია წინაშე საქართველოსა და მისი ერისა. კალამი ჩვენი უძღურია ამ ღვანლის დაფასებისათვის. ვიტყვით მხოლოდ მოკლედ, რომ მისი ღვანლი და მოქმედებანი სავენით შეთანხმებულია სახარების შინაარსთან და დიდებულ გალიეველთა მეთევზურთა ტანჯვათა და შრომათთან. და აი ამგვარი კაცი „თვისთა თანა მოვლინებული, თვისთა არა შეინყნარეს“. საქართველოს წარსულმა ცხოვრებამ, შინაურმა თუ გარეულმა, შექმნა მრავალერცხოვანი გუნდი მოწამეთა. ფართოა საქარ-

თველოს ეროვნული სამსხვერპლო წინაშე ღვთისა და, აპა, ეს ერთი გვამიც წარჩინებულ ქართველთაგანიცა მსხვერპლად შეინრა ღმერთმან ჯვარცმულმან ქართველი ერის ხელახლად აღორძინებისა და განდიდებისათვის. ილიაც ხომ, სხვა, ქართველი ერისათვის თავდადებულთა მსგავსად, ამას შესთხოვდა ღმერთს.

*„.....ღმერთო, ღმერთო!  
გთხოვ, მინყალო, შემობრლო,  
რაც ვადაშნა, განკითხვის დღეს  
მადლად მე არ ჩამითვალო.  
მე არა ვთხოვ, – მანდ წამება  
აქ წამებით შემიმცირო,  
მე ვთხოვ, – სისხლი აქ დაღვრილი  
ჩემი სხვისთვის შეინრო.  
ღმერთო, ღმერთო!.. თვალ-წინ მიდგა  
დიდ ტანჯული მე ძე შენი...  
ვით მით ყველა, ისეც ჩემით  
ერი ჩემი დაიხსენი“.*

*/ღმიჭირი თავდადებულებიდან XXVI./*

ძაძებით მოსილნო, დაოლებულნი ძმანო ქართველნო! აღარა გეყავს ილია – მამა – ქობაგი. უკვე სამუხარო უცქტის წინაშე ვდგევართ, რასაც ვეღარსად წაუვალთ. ტანჯულ ილიას თქმისამებრ:

*„მას წულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდითო ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსკეთ მომავალი ხალხს...“*

ოუდას მიერ გულ-დასერილნო და ლახვარ-ნაკრავნი ქართლოსიანნი!

*აქ არის ჩვენი მალალი  
დანიშნულება და საღმერთი ვალი!*

თვითელმა ჩვენგანმა გულის ფიცარზედ და-ვინერთო ღვანლი ილიასი, პირნათლად აღვასრულით მცნებანი მისნი და მით საშველიშვილოდ უქვედავყოთ სახელი მისი. ამინ“.

ოციან წლებში მამა მსახურობდა მღვდლად წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში იმ ადგილას, სადაც ეხლა ვერის კიოვის პარკია. ჩეკადან განათავისუფლების შემდეგ მან შეადგინა გადაგება თემაზე; არა კაც ჰკლა, და ამისათვის გამოიყენა ფოლკლორული მასალა. ამ ქადაგებას იგი წარმოსთქვამდა ეკლესიაში ყოველწლიურად და მის წარმოქმნას უკავშირდება დახვერტების დღეებს 1924 წლის 30,31 აგვისტოს



და 1 სექტემბერს. ამავე დროს იხდოდა პანაშვიდს დახვრტილთა მოსახსენებლად. კიროვის პარკის გამწვანებისა და ამით გამოწვეული წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა და სასაფლაოს დანგრევის შემდეგ, მამა გადაყვანილი იყო სიონის ტაძარში მღვდლად კათალიკოს კალისტრატეს მიერ. სიონის ტაძარში გადასვლის შემდეგ, პირველ შემთხვევისათანავე, დახვრტიების წლის თავზე, მამამ სიონში წირვის დროს წარმოსთქვა ჩვეულებისამებრ ზემოაღნიშნული ქადაგება თემაზე: „არა კაც ჰკლა.“

მე თავს ნებას მივცემ ეს ქადაგებაც მოვიყვანო აქ.

**სიტყვა**

*თქმული დეკანოზ დავით ზაქარაის ძე გარსიაშვილის მიერ სიონის ტაძარში კვირას 5 სექტემბერს 1926 წ.*

შემოდგომის დასაწყისია, საყვარელო! ეს დრო გაზაფხულის მაისის სადარია. იგი მაისისავით ღვთის მიერ შექმნილ ბუნების სილამაზის, სიმშვენიერის და უხვი სიმდიდრის მარჯვენებელი და გამომხატველია. ამ დროს მზის სითბო იმგვარად ზომიერია, რა გვარადც საჭიროა დედამიწის მრავალფეროვან მოსავლის მოწიფებისა და მოკრეფისათვის. მზე თავის სხივებს დიად სამყაროს უხვად აფრქვევს, ათბობს და აშუქებს მასზედ მცხოვრებთა სამოქმედო გამოსანჯევად და ასამორავებლად. იგი, პოეტის თქმით, „ცას სიხარულს ფენს და ქვეყანასა შეენებას“. ეს თემა თქმული და გამომრკვევი ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალღონისა, მისი ნლიური სარწოს ავლადიდებისა. იგია ღმრთის ქმნილებათა გულში სიამოვნებისა და ემყოფილების აღმძვრელი; შემდგენელია ზამთრის, გაზაფხულის და ზაფხულის ოფლით ნამოქმედარის, ნაშრომ-ნადგავის საერთო ჯამისა ქვეყანასა ზედა მცხოვრებთა. ამ თვალსაზრისით შემოდგომის დასაწყისს შესარის ყოველი დედამიწის არსი, სიცოცხლის დიდი მდომნი. საერთოთ კი, მთელი წლის განმავლობაში ლამაზი, კარგი და საუცხოვო სახილველია ღმრთის მიერ შექმნილი ქვეყნიური ბუნება, საყვარელო! თვით ღმერთმაც ემყოფილება განიცადა იხილა რა თვის მიერ შექმნილი ხილული ქვეყნის მშენება. აი რა სწერიან წინასწარმეტყველის მოსეს წიგნის „- დაბადების“ - პირველ თავშივე: „და იხილნა ღმერთმან ყოველნი რაოდენნი ქმნა, და აპა, კეთილ ფრიად“. (დაბ. 1.31.). გინდაც ბუნების სიმშვენიერის საუცხოვო აღწერილობის განცდა? აპა ამისი ნიმუში პოეტურნი ნიჭითა და ღრმა რწმენით დაწერილი გრიგოლ ორბელიანის მიერ:

„ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შელება,  
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შეენება!  
აენთნენ ცეცხლის ალუბრივ შორს გაბნულნი  
ღრუბელნი;  
ცა მშვენიერობს, ნათდება... მასა შეუნატრით  
მიბლენენი!  
ოპ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მთიანებული;  
დაჩუმიდით... ყური მოუგდეთ... არ გესმით,  
ჰგალობს მულბული?...  
ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მის  
ფერ-უფთავალვ შეენებას,  
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით პადავ  
ცხოვრებას!“

ასეთ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მოაზროვნე ადამიანზე სიმშვენიერე ბუნებისა, ასეთ ლოგიკურ დასკვნამდე მიჰყავს მას იგი გრიგოლ ორბელიანი-სავით. აი რად არის კაცი მდომი სიცოცხლისა, აი რისთვის უნდა მას ამქვეყნად ხანგრძლივად ყოფნა. ბუნების ნიაღში დაბადებული კაცი, ბუნების გვირგვინად აღიარებული და ნოდებული, ბუნებას თვისება, ბუნებას მჭიდროდ უკავშირდება. მოუხედავად დიდ დუხტორისა და ცხოვრების პირობების მიერ მიყენებულ მრავალგვარი გაჭირვებისა, იგი მაინც მონატრულია სიცოცხლისა, მას მინც, ემძიმება ბუნებასთან დაშორება, ეზარება სიკვდილი, სძავს იგი, ეშინიან მისი მოახლოვებისა. მიაქციეთ ყურადღება პირველი კაცის ადამის საქციელს სამოთხეში შემდეგ მისი დაცემისა და დიდ სულიერ განცდის ამოკითხავით მის ღვთისადმი პასუხიდან: „და უწოდა უფალმან ღმერთმან ადამს და პრქვა მას: ადამ, სადა ხარ? და მან თქვა: ხმისა შენისა მესმა მავლისა შორის სამოთხესა, და შემეშინა რამეთუ შიშველ ვარ და დავიმაღე“ (დაბ. III, 9.10.). ვის დეამალა შეშინებული ადამი? ამის დასაპასუხოთ ყური ვათხოვთ ისეგ დაბეჭდება: „და ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და პრქვა: ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ქამით სჭამოთ. ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან და რომელსა დღესა უკვე მჭამოთ მისგან, სიკვდილით მოკვდეთ“. (დაბ. II,16-17.). აი რას დეამალა ადამი. სიკვდილით მოკვდიმას და ამ სასჯელის დამწესებელ ღმერთს. შეეცადა სიკვდილის თავიდან აცილებას. ღვთის შეკითხვაზე: „ვინ გითხრა შენ რამეთუ შიშველ ხარ, უკეთუ არა ხისგან, რომლისა გამცენ შენ, მისგან ხოლო არა ჭამა, და მისგან ჭამე? თქვა ადამ: დედაკაცი, რომელი მომეც ჩემთანა, მან მომცა მე ხისა მისგან, და ვსჭამე“ (დაბ. III.11-12.). ადამი რომ არ მომკვდარიყო, სიკვდილით რომ არ დასჯილიყო, ბრალს იყრის თავიდან, დანაშაულობარ არ კისრულობს, მთელს სიმძიმეს

ც. ს. ა. რ.

თვისი დაცემისას დედაკაცს მიაკუთვნებს. დედა-  
კაცი რას სჩადის? ტვირთულობს იგი დანაშაულის  
სიმძიმეს ღვთისა და ადამის წინაშე? არა. იგიც,  
სიკვდილის თავიდან აცდენის მდომი, ბრალდებუ-  
ლად არა სთვლის თავსა; თვის და ადამის დაცემის  
მიზეზად გველს აძლევს სამართალში. „და ჰრქვა  
უფალმან ღმერთმან დედაკაცსა: რაი ესე ჰყავ? და  
თქვა დედაკაცმან: გველმან მაცოფუნა მე და ვჭამე“ /  
დაბ. III.13./, და ასე, საყვარელნი, ქვეყნის დაბადე-  
ბიდანვე პირველნი კაცნიც, ბუნების უზომო სიყვა-  
რულით, სიკვდილს გაურბიან, ემალებიან, დანაშაუ-  
ლობას არ კისრულობენ, შექმნილ მდგომარეობიდან  
გამოსავლად ეძებენ; და ყველა ეს ჩაიდინეს არა სხვა  
რამიმე მოსაზრებით, მხოლოდ ამ ქვეყნად სიცო-  
ცხლის ნდომით, სიკვდილის შიშით, მისი თავიდან  
ასაცილებლად, „ხე ცხოვრებისა საშუალ სამოთხეში“  
მდგომელის ნაყოფით ხელახლა სარგებლობის გან-  
გრძობისათვის, რათა კვლავ მუდმივ ეცხოვრათ, არ  
მომკვდარიყვნენ. და განა მარტო კაცს სწყურიან სი-  
ცოცხლე ამქვეყნად? განა მარტო კაცია ბუნებასთან  
შეთვისებული, მჭიდროდ შეთვითხორცებული? განა  
მარტო მას ეძიებება, ეზარება სიკვდილი, ბუნებას-  
თან კავშირის განწყევტა, თვისი არსებობის მოსპობა  
და მინად და მტერად ქცევა? პირობეები? მფრინ-  
ველი? მწერები? მცენარეები და სხვანი და სხვანი  
ამ ქვეყნის ქმნილებანი? გადაშალეთ დიდი ილიას  
„გლახის ნაამბობი“ და გულდასმით, ფიზიკური ყუ-  
რადლებით ნაიკითხეთ პირველ თავშივე მონადირის  
მიერ სასიკვდილოთ დაჭრილი ირმის უკანასკნელი  
საყვადღური – ჩივილი მონადირისადმი მიმართული:  
„ირემმა დააპირა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრი-  
ა, და ირემი, აქამდის ცოცხალი, თავისუფალი და  
ლალი, გაირთხო იმ ბალახებზედ, რომლის კალთა-  
შიაც პირველად აახილა თვალს, რომ მიესალმოს  
ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დაეხუჭა, რომ  
სამუდამოდ გამოესალმოს. ისინი იყვნენ ამის აკვნად  
და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ. უნდა მწახოთ  
ის ამაცი, თავისუფალი ნადირი, რა რიგად უდრტვი-  
ნილად და მშვიდადა ეკვება; მაგრამ ყოველთვის მის  
ცრემლ-მორღვეთ თვალეში თუ აღმომიკითხავს: ჩემო  
მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად  
შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოსა და მშვიდსა, ამ  
ღვთის მოუნდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი  
მეჭირა?.. ეს სიტყვები აღონებდნენ გულს“. უეჭველია,  
თქვენი გულნიც ბევრჯერ შემოერთებულან ამ გვარი  
და ამაზე უარესი სურათების ხილვით, ნაკითხვით თუ  
მოსმენით... – დაუბრუნდეთ საღმრთო წერილს. დღი-  
დან ადამის მიერ ღვთის მცნების დარღვევისა ადამისა  
და კაცობრიობის მიძიმე ხედვრად სიკვდილი შეიქმნა.  
„და ჰრქვა უფალმან ღმერთმან ადამს: რამეთუ ისმინე

ხმა ცოლისა შენისა, და სჯამე ხისგან, რომლისა ვხმ-  
ცენ შენ მისი ხოლო არა ჭამა და მისგან ჭამე... ოფლო-  
თა პირისა შენისათა შტამდე პურსა შენსა, ვიდრე  
მიქცევამდე შენდა მინად, რომლისაგან მიღებულ  
იქმენ, რამეთუ მინა ხარ, და მინადაც მიიქცე“ /დაბ.  
III.17-19./, და ესრეთ, საყვარელნი, ადამის დროიდან  
კაცი, სხეულით ბუნებრივით მინისაგან შობილი,  
ბოლოს ბუნებრივადვე ხორციელად კვებად და ისევე  
მინას უბრუნდება მინადვე გადასაცეკვად. ასეთია  
ღვთის უცვალებელი განჩინება. **მამ კაცი, როგორც  
ღვთის დანაბადი, ღვთისავე განჩინებით უნდა კვდ-  
ბოდეს** ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა,  
მფლობელისა ცხოველთა კაცთა ზედა. ღვთის ხელ-  
შია სიცოცხლე და არსებობა ქვეყნიერობისა და მი-  
სივე უფლების ფარგლებშია კაცის სიკვდილ-სიცო-  
ცხლე. გარეშე ღვთისა ამ უფლებით სარგებლობა  
არავისია. კაცთაგანი, მიმთვისებელი ამ უფლებისა,  
დიდი პასუხისმგებელია ღვთისა წინაშე. ღმერთს  
რომ კაცის გვაში სისხლი ჩაუწვეთებია, უმაღვე  
სასწორზედ დაუდვია და აუწონია იგი, ფსადაუდე-  
ვლად აღუიარებია, და ისეთი ძლიერი, ჭქვა-ქუხი-  
ლის მსგავსი ხმა ჩაუნაწავს-ჩაუტანებია შიგ, რომ,  
როცა კი იძულებით ახმაურდება, დედამინის პირი-  
დან ცამდის, ღმერთამდის, ღლადებს უუძლიერე-  
სის ხმით ძალმომრეობის, უსამართლობის და უღ-  
მერთობის აღსანიშნავად. აი დაბადების მე-4 თავი  
რას მოგვითხრობს ამგვარ მკვლელობის შესახებ. და  
ჰრქვა კაინ აბელის მიმართ ძმისა თვისისა: განვი-  
დედ ზოგად ველად; და იყო ყოფისა მათსა ველსა.  
აღდგა კაინ აბელის ზედა ძმისა თვისისა და მოკლა  
იგი. და თქვა უფალმან ღმერთმან კაინის მიმართ:  
სადა არს აბელ, ძმა შენი? და თქვა: არა უწყა; ნუ  
მცველი ძმისა ჩემისა ვარ მე? და თქვა უფალმან:  
რაი ესე ჰყავ? რამეთუ ხმაი სისხლისა ძმისა შენისა  
ღლადებს ჩემდამი ქვეყანი? /დაბ. IV.8-10./, აი რა  
გვარი ხმისაა სისხლი მოძმისა. და ასეთი ხმა მოძ-  
მის სისხლისა არა ოდეს არ ჩუმდება, საყვარელნი,  
საშვილიშვილოდ საუკუნოებს გადაეცემის. კაინის  
მიერ დაღვრილი ძმის აბელის სისხლი დღესაც ისევე  
ძლიერად, ჭქვა-ქუხილის ხმით, ცამდის ღლადებს,  
არა ჩუმდება, არც გაჩუმდება, ვიდრე ქვეყნიერობა  
იარსებებს. ასე ძნელია, და მძიმე და საპასუხისმგე-  
ბლო მოძმის სისხლის დაღვრა წინაშე ღვთისა, სა-  
ზოგადოებისა და საკუთარის სინიდიისა. ამისათვის  
ძველი აღთქმის სჯულის მდებელება მოხე წინასწარ-  
მეტყველბა ბუნებულ და მათ სახით კაცობრიობას  
მისცა მცნებათ: „არა კაც ჰკლა; ხოლო რომელ-  
მან მოჰკლას, თანმდებ არს სასჯელისა...“ ახალ  
აღთქმის სჯულმდებელი მაცხოვარი იესო ქრისტე  
კი ბრძანებს: არა თუ კაცის კვლა დაუშვებელია,

„მე გეტყვი თქვენ: რამეთუ რომელი განურისხნეს ძმსა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქევას ძმსა თვისსა: რაკა, ანუ თავცარიელი-სულელი, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსჯელს; და რომელმან ჰრქევას ძმსა თვისსა: ცოფ, - ანუ უტკუო-უაზრო, - თანამდებ არს იგი გენიასა ცეცხლისასა“ /მათ.V,21-22./. ქრისტეს მცნებით, საყვარელნი, არამტეთ კაცის კვლა არ შეიძლება, კაცის უბრალო სიტყვითაც შეურაცხყოფა დიდ პასუხსაგებია. რად არის დიდ ცოდად, დიდ დანაშაულად აღიარებული კაცის კვლა? ერთხელ კიდევ მოუსმინით მოსე წინასწარმეტყველს. იგი სწერს დასმულ კითხვის საპასუხოთ შემდეგს: „და თქვა ღმერთმან: ექმნეთ კაცი ხატად და მზგავსად ჩვენდა; და მთავრობდეს იგი თვეზთა ზღვისათა, და მფორნველთა ცისათა, და პიროტყვითა, და მხეტითა, და ყოველსა ქვეყანასა, და ყოველთა ქვენარმაველთა ქვეყანასა ზედა. და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისსა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი. და აკურთხა იგინი ღმერთმან, მეტყველმან. აღორძინდით და გამრავლდით, და აღატყუთ ქვეყანა და ეუფლენით მას...“ /დაბ.,1,26-28./. ამ დაბადების ამონაწერიდან სჩანს, რომ კაცი სულით ხატებაა, მსგავსებაა ღვთისა; უკვდავი არსებაა; გვირგვინი და მეფეა ბუნებისა; იგი ქვეყანაზე საცხოვრებლად, ქვეყნის სამფლობელოდ ღმერთს დაულოცნია, უკურთხებია. ასეთი უფლების წართმევა მხოლოდ ღმერთს, უფლების მპოძებელს, შეუძლიან და სხვა არავის.

კაცი სხეულითაც დიდი ღირსებისაა. დიდებული მოციქული სწერს კორინთელთა: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღვთისანი ხართ, და სული ღვთისა დამკვიდრებულ არს თქვენ შორის“ /კორ. III,16./. კაცის სხეული, პავლეს სწავლით, ღვთის ტაძარი ყოფილა, სულის წმიდის სადგურად, საცხოვრებელ ბინად განჩინებული შემოქმედის ღვთის მიერ. თუ რა ცოდავს მოიპოქმედებს ასეთი ღირსების სხეულის მკვლელობა, დამრღვევი და დამფუშველ-მოშპობი და რა სასჯელს უნდა მოელოდეს იგი ამის გამო, საპასუხოთ ამისა განაგრძობს პავლე მოციქული კორინთელთადმი ეპისტოლეში: „რომელმან ტაძარი ღვთისა


განხრნას, ანუ დაარღვიოს, დაფუშოს, მოკლას, განხრნეს იგიცა ღმერთმან, რამეთუ ტაძარი ღვთისა წმიდა არს, რომელი ეგე ხართ თქვენ“ /კორ. III,17./.

მამ გულის ხმას შინა შთავარდი და სიკვდილამდე მასში იმყოფებოდე, კაცო, მოყვასო ჩემო! ხატება და მსგავსება ხარ ღვთისა სულით, სხეულით კი ტაძარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა; შეიგნე საფუძვლიანად შენი ამ ქვეყნად მცირე ხნით მყოფობის უამს დიდი მოვალეობა და მაღალი დანიშნულება. მტკიცედ დაიცევი ძველი და ახალ აღთქმათა დიდი მცნება: „არა კაც ჰკლა“. აცადე კაცს, მოძმესა და მოყვასსა შენსა, ბუნების კანონების ფარგლებში ღვთის განგებით მოვლინებულს, ბუნებრივად და ღვთისავე ბრძანებით მიცვალოს ამირ ქვეყნით, შეასრულებინე მას თვისი ამ ქვეყნად მოვლინების მიზანი და დანიშნულება. გამჩენელ ღმერთს უბოძებია შენთვის ჭკუა-გონება, თვალთა - ხედავა, ყურთა - სმენა, ვრცელი მინდორი გულად ნოდებული კეთილი თესლის დასათესად და ასეთივე ნაყოფის გამოსალგებად და ხელნი და ფერხნი არა ბოროტთა, არამედ კეთილთა საქმეთა მოსაქმედებლად. იყვე ნით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ /მათ.V.48./, გვისახავს ქრისტე მიზნად, და ამ მიზანს ვერ მივწვდებით, უკეთუ კაცის - მოძმის სიცოცხლეს სათუთად არ მოვეპყრობით.

შემოდგომის დასაწყისი ბუნებით ლამაზი და მშვენიერი წმ. ეკლესიამ ლამაზი, მშვენიერი და ღრმა შინაარსის საეკლესიო დღესასწაულებით შეამკო, რომელნიც მოაგონებენ კაცს მის მოვალეობას და დანიშნულებას. ღვთისა, კაცისა და საკუთარი სინდისის წინაშე, მამ წუ გაურბი ეკლესიას, მოყვასო ჩემო, იქონიე მასათა კავშირი, ყური ათხოვე მის სწავლა-მოძღვრებას; დიდი საუნჯეა მის წიგნთა შინა დაფარული შენი გონების ასამაღლებლად, ცივი გულის გასათობად, ზნეობრივად შენ განსაბანად, განსაწმენდათ - გასაფაქიზებლად და სულიერ უკეთურებათა მოსასპობად; და ჰპოებ გზას, რომელიც მიგიყვანს ამა ქვეყნის ცხოვრების ჭეშმარიტ მიზნის კარამდე. „რომელსაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ. ამინ“.

დასასრული  
დაიბეჭდა მნიშვნელოვანი შემოკლებით





# იტაკლი ციგტაშვილი

## ცაბაურთაში

აჰა, ესნრები  
ვალმობდილი სოფლის პანაშვიდს.  
აჰა, ნახულობ  
გარდასულის დამლელ ზმანებებს...  
ფუძის სული ჰქრის  
ამქვეყნიდან იმ ქვეყანაში,  
ცაბაურთაში  
ბოლო მცხოვრებს ასაფლავებენ.

## წუხელ გესიზმრა

წუხელ გესიზმრა გარდასულის და  
მერმისის ღამე, რომ მოვა ხვალ-ზეგ...  
ლოცულობ, სიტყვას ამბობ გულითადს  
ქარის და წვიმის და თოვლის კვალზე.  
ციხური დაჩნდა და ნისლის ფთილა  
ნაღმა-უკულმა დაბორილობს...  
არ შეყოვნდები, მომსვლელო დილაჯ,  
თავისას იტყვი, დროო ტიალო!

●  
 მოიხადე სახადი –  
 ამ დღის ავადმყოფობა.  
 საფიქრალი დახვეწა,  
 სისხლი მიაქვს ობობას.  
 მოგიყოლებს ოდითგან  
 თანხმობით თუ უარით  
 უამი უამის შობილი,  
 უამისივე სტუმარი.  
 გიმასპინძლა საწუთრომ,  
 დაგილოცა მდგმურობა.  
 ახლა ყოველისმცნობელი  
 ტოვებ აქაურობას.

## მეზობლების ლექსი

მინის გამო იჩხუბეთ და  
 ერთურთს რა არ უძახეთ...  
 ვერ შეირგეთ მართლის წილი,  
 ვერც მოახტით ლურჯა ცხენს.  
 უმძრახობით გააკვირვეთ  
 ორლობეში ჯუჯა ხე.  
 ბოლოს მინა შეგაროებთ  
 მარადიულ უმძრახებს.

## ნია ლულელი და ღვერათ ჩონქარა

ჯამს ცლიდა ღვერათ ჩონქარა,  
 ყანს ცლიდა ნია ლულელი,  
 საამო იყო იმათთვის  
 უიბიტაურის სურნელი.  
 მხენელ-მთესველნი და პურადნი  
 და თავის დროში მგოსანნიც –  
 ესენი იყვნენ, თუ იყვნენ,  
 კაფიით სუფრის მმოსავნი.  
 ხატ-სალოცავთა რწმენით და  
 ხატ-სალოცავთა ლოცვებით  
 გადავლეს გადასავალი  
 მთებზე და ლექსზე ოცნებით.  
 ნავიდნენ წყალნი... ქვიშანი  
 მოჩანან უანგისფერადა.  
 მე მომაქვს ხსოვნის ტაბლაზე  
 პირთამდე სავსე ხელადა.

●  
 ზამთრისპირის ხანზე  
 ამ სოფელში უკმარს  
 რას მოიმკი ხვალ-ზეგ,  
 რა დატოვე უკან.  
 ფეხაკრეფით მოდის  
 ხანმოკლე დღის ბინდი,  
 შენ რომ მოუხმობდი,  
 ა ის სთველიც მიდის.  
 და ბურუსში ყვინთავს  
 სანიერი მკრთალი,  
 იღებება ყვითლად  
 შენი ეზო-კარიც.  
 მარტოობის სევდამ  
 დაიბუდა ახლოს...  
 ვინლა გადმოგხედავს,  
 ობლად მდგარო სახლო!

## გულის მხარეში

გულის მხარეში ტკივილი გამსჭვალავს,  
 არ ცხრება ჟრჟოლა ლავინის, მუხლის.  
 თანდათანობით გერთმევა ძალა,  
 უფროვე – როცა ჩამოდის მწუსრი...  
 იმარცვლებიან შავ-თეთრად დღენი,  
 სამსალის წრიალს ბოლო არ უჩანს...  
 ბებერ ძარღვებში მიმოდის სენი,  
 სენს უვნებელი ვინ გადაურჩა?  
 ვერ ეგუები დაბინდულ სოფელს,  
 ვერ ურიგდები მრუმე არეალს.  
 მაინც ზენარის ზარები ხმობენ  
 და გულისგულში მაინც დარია.





# ზაზა ბიბილაშვილი

## ასე იცინა

დაგლლის ტანის დივანზე და ლოყის მკლავზე შემოდება, გარეთ გახვალ, ნახავ, შენი შემოდგომა გელოდება -

ისევ ისევ ფერყვითელი, სუნსველი და გემომწიფე, ფეხქვეშ ისევ დაძინილი ნოხის ნაფლეთს შემოგიფენს -

ნიავექარში სადარბაზოს ღია კარში შემოხვეტილს, და გგონია, გარეთ იყავ - სახლში ახლა შემოხვედი -

სადაც შენი სული ფეხზლობს ან ფეხზელი ძილით სძინავს, შემოსულხარ რაკი შარშან, იმის წინ და წინის წინაც,

შენი დარდის ეკალ-ბარდით, შენი ომით, შენი ნდომით, და ამანაც შეგიფარა, თანაც - მთელი შემოდგომით...

გული აგიჩუყდება და მოგივა და შეგიხტება - ასე იცის შემოდგომამ - შეგიჩვევს და შენი ხდება.

მაგრამ განა მარტო მაგან - ყინვის ეტლით ნასერი ცის ზამთარმა და ზაფხულმა და გაზაფხულმაც ასე იცის.

ასე იცის ამ ქვეყანამ, სათნოა თუ მურდალია, თავის პანოს, ხვატით დამწვარს თუ ყინულის სუდარიანს,

პროზის მსუყე საფლობებს თუ პოეზიის მიმქრალ ტონებს შეგაჩვევს და შეგიჩვევს და მერე უცებ მიგატოვებს.

●  
ისევ ჩართო  
მზემ  
აისის ვიდეო,

მთვარეს უთხრა,  
ჩადი –  
ამოვიდეო,

თუმცა მერე  
ესეც აღარ აცალა –

ლამის ჯამი  
მთვარიანად  
დაცალა.

### გამოცხადება

თითქოს სულაც არ არსებობდე,  
ამდენ ფოთოლს ქარი ბერტყავდეს,  
ამდენ თმას – ნლები,  
ტაძრის შენება ტაძრობანას თამაში იყოს,  
იქ სიარული – შესვენება  
მობეზრებულ ცოდვათა შორის...

მაგრამ მე გიცნობ.

მე დავინახე მინისძვრისას  
სხვების თვალებში და ჩემს გულში.

მე დავინახე, როგორი ხარ:  
დიადი და ძღვევამოსილი –  
როგორც ხავსი,  
სასონარკვეთის მდინარეში  
უკაცური და უდაბური ნაპირიდან  
ჩაკიდებული.

### სოფელი

აღს უღიმვამოდ ღუმელი ლოდნის.  
კენჭ ლაშზე ნათლის ეღვრება ლელმა.  
იქვე გაშლილი სიმინდი შრება  
და აჩრდილების ჩამჭკნარი ჩვრები.  
თითქოს მთავარი აქამდე უთქვამთ:  
ხვრინვარეული მოისმის სუნთქვა –

მიძინებული კაცის დუმილი.

და ამ დუმილსაც ლოლნის ლუმელი.

თუ დაიხია სიბნელის ლაფმა –

ბოლოს და ბოლოს აანთეს ლამპა,

ელამი თვალი აუხამხამეს

და შეარკინეს მარხარ ლამეს –

ყოველი საგნის ბინდიან სურათს

მყრალი მუცლიდან გამოიწურავს.

სანოლი, ძონძით თავდახუნძლული.

მაგიდის რიფი ანდა კუნძული.

ზედ – ნივრის კბილი და ნივრის კბილა

ხახვის თავი და... მურაბის ქილა.

და იქვე – წიგნი – სიტყვების კევერი –

ჯეიმს ჯოისი თუ ოუ ჰენრი.

რაფაზე ჭკნება ალოეს ლანდი.

რაფაზე ლამე მოყონავს ბლანტი.

და თუმცა ჭარბობს სიბნელის ლაფი,

მაინც ამყლავნებს პარპალი ლამპის:

ოთახი – ყოფის პატარა პეშვი –

თვლემს უქალობის ლუნლულა მტვერში.

და ისევ, თითქოს ყოველი უთქვამთ:

ხვრინვარეული მოისმის სუნთქვა –

მიძინებული კაცის დუმილი.

ლამეს უღონოდ ლოლნის ლუმელი.



# გიორგი ჭელიკაუძე

## ხევისურეთს

გილალატე და გაგნირე, გულით ძნელ ამოსაღებო,  
ობლებ ვართ უერცხვისოდა, „ვია“-ს მემრ დასაძახებო.  
მე ბარი მედედინაცვლა, მე – შენ, შენ – მე განაღლებო.  
შენი მლოცველი მეკვლე ვარ, კარს კრძალვით შემოვალბო.  
ყრმობას ფეხშიშვლის ნათელი სამშობლოს იალაღებო,  
რად მხედებით მოქუფრულები, გეუცხოვებით, ლაღებო?  
კბოღებო და კორღებო ნაკადულ-ნაქამანდრებო,  
ნარმტაცო სიმალღებო – საჯიხვეთ თავ-გუმბათებო,  
აკენიდან წრიაგებამდე თვალშედგმით დასანახებო.  
ცის ბოძო, კიდეგანაო, ღმერთების ნაქანდაკებო,  
იერზვიადო, მეხების სპირალით ნასვირანგებო.  
სინდაურავ და სახარე\* – ლურჯი ლაფარდის ჭაღებო.  
ტანთელი მიცუს ციხეო, ზისცვრის დულაბით ნაგებო.  
მსოფლიოს ციხეთ-ციხეო მომხედურთვან ვერანაღებო.  
შულნაუგებო, შატილო, ბეგენგორივით\* საქებო.  
ქალუნდაურის ნამუსო, ძალიკას ნაჯანსაღებო.  
ბნელ ღამეე, ბაბურაულის დაშნაით ნაჩახჩახებო,  
შენ, ჩემო თემის კარიბჭეე, ცქიოტო ქავის თაღებო,  
დავლათიანი გაგაის უტყუერად ნაგუშაგებო.  
ქარჩათ ბუბაის დალალო, ჩაჩქანში ნატუსაღებო.

\* კიდეგანა, სინდაურა, სახარე – მწვერვალებია ხევსურეთში.  
\* ბეგენგორი – ადგილია, სადაც ხევსურეთის დასამორჩილებლად ასულ ზურაბ ერისთავს, ხევსურებმა მამულა ქალუნდაურის ხელმძღვანელობით თითქმის მთელი ლაშქარი დაუხოცეს.

ტკივნეზავ - სულის ნამღებო, კივლებავ - გულის ამკლებო.  
ნინას „კალდემის“ წივლებავ ლაშქრისად ოცის მამკლებო.  
ხმალ-მახვილ, მავჯა-მარჯვენო, ურჯულოს ყანად მამკლებო.

მელოდი, სულის სამყოფოვ, მართლადამც დამელოდები.  
შენს მკერდზემც ამოვბორცვდები, შენს ფერხითი გადავსწორდები!  
მამლერე შენი სიმალლე, ხომ მინც ლექსად მგონდები.  
მათქმე, რომ ძველს გაუსწრებ, არამცთუ გაუსწორდები.  
მისალონე და გამხარჯე, მომანანიე ცოდვები.  
მოვედ და განანილების მერე ნელ-ნელა ვგროვდები.  
გუნებაგამოცვლილები პირქუშად დგანან გორ-მთები.  
ჭერმოხდილ ჭერხით ყორეებს ბუ დაჰქვითინებს მგოდები.  
მოშლილა სათოფურები მრავალგზის განათოფები.  
აქით სიკვდილის პირითა იფურთხებოდნენ თოფები...  
ისმოდა ხეიბარ პაპის ჟრუანტლიანი ლოცვები.  
სატკენი შედარებაა, სანყენი, გასაოცები -  
მანმიდართ სამამაცოსა დაუბამთ ფერმის ძროხები.  
რიოშით შეძრწუნებული ამხდარა ანგელოზები.  
გადაფარულა შამბითა პატრონცოცხალი ქოხები.  
ლამისმთეველთა მალალბან არ წკრიალებენ დროშები.  
ყელს შესდნობით სამოსი - ქალწულთა ხელსახოცები.  
მეც ბრალიანთა რიცხვის ვარ, ვუმზერ და სულით ვლონდები.  
ვითამ რა საზლაურია? მიუნვდომს გავსაგონდები.  
ქვეყნად ჰყავდა კი ან რატომ აუხდა ავთ ნალოცები?  
მტრისგან ძლეულს და დარბეულს ღგავ ნასოფლარი სოფლები!  
მთიელი უმთოდ - უმშობლო, მთა - უშვილებო მშობლები.  
ასე ვართ, მთაო, მე და შენ უერთმანეთოდ ობლები...

*აჭაქია. 1983 წელი.*

*მოგვანოდა  
ბაბუა ალუდაურმა*



# ლადო ვილასთნია

## პართლელი ყასაბი

აბა, მეტი სად უნდა გვერბინა, როცა ბაზრის, დახლებითა და დუდუნით მოარული ხალხით გადაჭედო, ვინრო ქუჩაზე გავიზარდეთ. საითაც გაიხედავდი, ყველგან ათასნაირი სასუსნავი იდო, დრო კიდე არეული. ფულზე ყველაფერი იყიდებოდა: პოლიცია, ნამალი, იარაღი, თავისუფლება.

ახლა რომ ვფიქრობ, ჩვენი უბანი ყოველთვის წააგავდა „ბრონქსული ისტორიის“ მთავარ ადგილს, საპარკომახეროები, ვაჭრები, ავტობუსისა და „მარშრუტკების“ მძღოლები, მაგარი, ჩვენებურად, ქართულად „ძველი“ ან „კაი“ ბიჭები და, რა თქმა უნდა, ჩვენ, პატარა, ცამეტი-თოთხმეტი წლის ბავშვები, სულელები, ცნობისმოყვარეები, დაუნდობლები, ყველაფერში რომ ვცდილობდით დიდებისთვის მიგვებაძა. – ჩაცვაში, ქცევაში, უესტეში, სიარულში, ლაპარაკში. ერთი ეგეთი კახელი „ვზროსლი“ ძმა (მაშინ მაგრად მოდაში იყო ეგ ტერმინი) გვყავდა და მისი მიბაძვით ჩვენმა, თბილისში დაბადებულმა და აქვე გავზრდილმა ძმაცაცმა კახურ კილოზე დაიწყო გინება – ბოლოოზი შვილი ვიყოოოოო.

არ დამავიწყდება, ზამთარი იყო, ბიჭები წინა ეზოში ვისხდით, მგლის ხროვასავით ერთად შეგროვილები, და ჩვენთვის ვდუდუნებდით, ზოგი დანით ჩიჩქნიდა ხის მერქანს, ზოგი ჩაცუცქული

ამულამებდა ახალ გადაფურთხებას, წინა ორი დიდი კბილის ლარიდან გადანიტებას, ზოგი ფეხბურთზე ლაპარაკობდა და ამ დროს ეზოში „ვზროსლები“ შემოვიდნენ, ოთხნი იყვნენ: ბესო, ზოზი, მუტრუკა და გელა. ეტყობა, რალაც საქმე გავჭრათ, ანუ მოეპარათ ან დაეყანალებინათ და ფული ეშოვათ. ახალთახალი ტყავის პილოტკები ეცვათ, ზოზის მწვანე ბენვის კენგოლი მოეგდო თავზე, ბესოს ოქროს ძენკვი და ჯვარი დაეკიდა კისერზე, ახლად ნაყიდი ფეხსაცმელები მზეზე უბრწყინავდათ.

წამით ყველანი გავრუმდით. საკუთარ, უფრო სწორად, მშობლების მიერ რის ვაი-ვაგლახით შეძენილ, შეკონინებულ, ქრელაჭრულა ტანსაცმელს დაეხედეთ, ცუდად ანყოზილ მოზაიკასავით რომ შემოგვტყმასწოდა ტანზე.

– აუ, ნახე, რა ზმანები არიან, – თქვა ბოლოს ბებერომ.

ვზროსლები ფულს ბაზრიდან, ძირითადად გამოძალვით, შოულობდნენ. დააცხრებოდნენ ხოლმე რომელიმე ვაჭარს, დააშინებდნენ და წაართმევდნენ. იმათაც ეშინოდათ და აძლევდნენ. საერთოდ, ეგ ყაჩაღობაც მთლიანად შიმზე იყო ანყოზილი, იერარქიულ კიბესავით დაყოფილი და სულ მაღლა და მაღლა მიდიოდა და დღემდე მიდის. ჩვენ ზო-



ზისი გვეშინოდა იმიტომ, რომ ყველაზე დაუნდობელი იყო; ზოზის, - ბესოსი, ბესოს - მუტრუკასი და გელასი, ამ ოთხივეს კიდევ ცალთვალასი, თანაც გასროლილი თოფივით, მაგრამ ცალთვალა ბაზარში არ დაქროდა ფულის გამოსასადლე. საერთოდ, იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ჩვენს ქუჩაზე, მაგრამ, თუ გამოვილიდა, ეს ოთხივე ფეხზე ადგომით და პირზე კოცნით ესალმებოდა. არ მახსოვს, ცალთვალა დამრულიყოს მათკენ, სულ ესენი მიდიოდნენ, დანახავდნენ, წამოდგებოდნენ, მიუახლოვდებოდნენ, რიგრიგობით ჩამოართმევდნენ ხელს და გადაეკოცინდნენ.

მაგრამ ბაზარში გლეხებს კი მაგრად ეშინოდათ ამ ოთხეულის. ჩვენში ვზროსლებზე ყველაზე მეტი ისტორია ბებერომ იცოდა, მუნანნიესთან ძმაკაცობა და ის უყვებოდა ხოლმე. მუნანნიე ამ ოთხეულის შაბნების ძმაკაცი, ოღონდ ძალიან წყნარი და მორიდებული კაცი იყო (ამ მაგარ ბიჭებს ხომ იდეაფიქსივით, თუ, რა ვიცი, რა დავარქვა, აქეთ ორი რამ, ეკლესია, ანუ დღერთი და ნესიერ ხალხთან ძმაკაცობა), ტოტალიზატორში თუ დახერდა ერთ-ორ ბილეთს, თორემ ისე მისი ხნამადალი ნათქვამი არავის ახსოვდა. ყველაზე ახლოს კი ვზროსლებთან ყვავი იყო. პირველი, იმიტომ, რომ მოშკიანხავი არავინ ჰყავდა, მთელი დღეები ქუჩაში ეგლო და, მეორე, ყვავის მაგარი ხელი ჰქონდა, ისე კონტრატურად შექმლო დახლიდან რამე აენახნა, რომ ვერავინ შეამჩნევდა.

ჩემთვის ბაზარი ყველაზე ლამაზი ზაფხულშია, როდესაც ბალი, მარწყვი, ალუჩა, ვაშლი, ატამი ნიონი, ყვითელი, მწვანე და მუქ სისხლისფერ მთებად დახვევებულა ხის ჩაშვებულ დახლებზე, ჰაერში კი ხილის, ყვავილების, ზოსტნეულის სურნელი დგას.

ჰოდა, ერთ ეგეთ ზაფხულის დღეს ვდგავარ ქუჩაში მარტო და აქეთ-იქით მოსრიად, თხელ კაბებში გამოწყობილ გოგონებს ვაყოლებ თვალს, როდესაც ყვავიმ და ზოზიმ გამოიარეს.

- რას აკეთებ აქ, შე ჩემვა? - მკითხა ყვავიმ.

- რაღი, არაფერს, - ვუპასუხე მე.

- წამო, ბაზარში მივდივართ, ხარკი უნდა ავერიოთ, აქ მინც ტყუილად ხარ, - ხელით თავისკენ მიხმო ზოზიმ და მეც გავყვი.

შევედით ბაზარში. წინ ზოზი მიდის, უკან მე და ყვავი მივდევთ. ჩამოიარა ზოზიმ ყველა დახლი. მის დანახავზე გამყიდველებს სახეზე წააღაღდევი ღიმილი უჩნდებოდათ, ჯერ ერთმანეთს მოიკითხავდნენ (ალბათ, ეტრექტისთვის), მერე კი ვაჭარი ფულს ჩათვლიდა და ზოზიც სხვა დახლისკენ მიდიოდა.

იმ დღეს ყველა დახლი ჩამოვიარეთ, ერთის გარდა. რკინის შავ მოლულულ კაუჭებზე ხორცის დიდი ნაჭრები ეკიდა, ხოლო ქვის რძეული დახლის შიგნი უზარმაზარი, შავტუხა ყასაბი იდგა. სქელი შავი წარბების ქვემოდან დიდი თვალები მოუჩანდა, უზარ-

მაზარი, ღონიერი ხელები მშვიდად გადაეჯვარებინებინა მკერდზე, შავ უღვაშს აცმაცუნებდა და ასე ათვლიერებდა ხალხს. რუხი წინასფრის ქვეშ აქა-იქ სისხლის ლაქებშეპარული თეთრი „მაიკა“ ეცვა, რომელიც ელასტრაციით შემოჭრილია ცვება მხერგებზე და დიდ, ქონშემოვლებულ, გრუხა სხეულზე.

- აი, ეს გამოგვრჩა, - ვუთხარი ზოზის, რადგან ჩავთვალე, რომ დააციწყდა.

ზოზიმ ყასაბს გახედა.

- ეგ არა, - თქვა და წავიდა.

გამიკვირდა და უფრო ყურადღებით დავაკვირდი ყასაბს. ორმოცს გადაცილებული იქნებოდა, მაგრამ ერთი ჭალარაც არ ერია თმაში. დიდი, ყვითელი, მეჩხერი კბილები ჰქონდა და ყველაფერი, მკაცრი და ბოხი ხმით დანწყებული, მორიგით კისრითა და ყბის გამოწეული დიდი კუნთებით დამთავრებული, სამინეოდ ძალაზე და ხისტ, პირდაპირ ხასიათზე მიგანიშნებდა.

უბანში მიბრუნებულმა ეგ ამბავი ბებეროს მოუყვი.

- ნეტავი, ვინ არი ეგეთი? - დაინტერესდა ეგრევე, - მუნანნიეს უნდა ვკითხო.

- უეჭველი ეცოდინება, - დავეთანხმე მეც. მუნანნიემ ხომ (მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არასოდეს ერევა ეგეთ ამბებში) ყველა ქუჩური ისტორია ზემიზნად იცის.

- ააა, ევეეე?! - გაეღიმა მუნანნიეს, - კანეშნა, არ მივიღოდა, ორი თავი ხო არ აქვს! ეგ ქართლელი ყასაბია, ციხეშიც იჯდა ცოტა ხანი, მკვლელობაზე. ზაალაზე გაგვიცია რამე?

- არა, - ვთქვი მე.

- მე კი, - თქვა ბებერომ.

- ეგ იყო, ვინც იყო. ეხლა ამით რო უყურებ (ზოზიმ და ბიჭებს გულსხმობდა), ესენი რა არიან იმასთან შედარებით? სულ ავტომატით დადიოდა, ქურდიც ყავს დაცხრილული, ფეხზე ეკიდა ყველაფერი. ზოზისაც კლავდა ერთხელ. მაგარი ისტორიაა. ოღონდ ზოზისთან არ წამოგვცდი. გადმომდგარა ერთ დიღასაც ეს ზაალა ბალკონზე. ცოტა მთვარალია, ეგ კიდევ მთვარალი ხო საერთოდ, მტრისას, ისეთი ხდებოდა. ჰოდა, ბალკონზეა, ქვემოთ კიდევ ქუჩაში ზოზი და თავის ვიღაც ბრატები დგანან, ჩამოიარა ზაალას ცოლამ. ლამაზი ქალი იყო. გააყოლეს ამითაც თვალი. დაინახა ეს ზაალამ, ჩავიდა ქვემოთ, მიადგა ამით და ეკითხება: შა, გვევათ ის წეღან რომ გაიარა? ამ საცოდავებმა კიდევ თურმე არ იციან, რო ცოლამ და კი, მიატყანავდა კაციო, ვითომ მეფედუპროჩიმ უპასუხა ზოზიმ. დავაი, გამომყვით, აბა, ყველაო, უთხრა ზაალამ, ჩაიყვანა თავის პადავლი და უუბნება, მე ეხლა სახლში ავალ და, აქედან რომელიმემ ფეხი რომ მოიცვალოთ, იცოდეთ დედას მოგიტყნავითო და წავიდა. წარმოიდგინე, როგორ ეშინიათ ამით რო, ტიპი არ არის, იციან,

# პროზა


უეჭველი იარაღზე ავიდა და უეჭველი დახოცავს და მაინც ადგილიდან ფეხს ვერ იცვლიან, არ კი არა, – ვერ იცვლიან. ბოლოს ერთ ჭკვიანს უთქვამს: აქ ბნელა. მოდით, ბოლოში გავიდეთ, ძირს დავწვეთ, იქნებ ვერ დაგვინახოს და შეგვეშვასო. ჩამოვიდა ზაალა, მხარზე ავტომატი აქვს გადაკიდებული და იგინება: სადა ხართ, თქვენი დედა მოვტყან, ხმა ამიღეთო და, ის-ის არი, უნდა მიუშვას ყველაფერს, რო ჩამოვარდა პადვალში მაგისი ძმა. ეტყობა, ზევით ვილაცამ უთხრა, რაც მოხდა, ეცა ავტომატში და ზევით აანევირა, ბავშვები არ დახოცოო და მთელმა ორქრედმა თავზე გადაუარათ. იმ კედელში დღემდე რვა ტყვიაა ჩარჩენილი.

– მერე? – ვკითხე მე.

– რა მერე, – სიცილს ველარ იკავებდა მუნანნიე, – დაიძინა ზაალამ, გაიღვიძა და არც ახსოვდა არაფერი, ესენი კიდე რისი ხმის ამომღებები იყვნენ. წარმოიდგინე, რანაირი კაცი იყო და ეგ მიადგა ერთხელ მაგ მეხორცეს თუ ყასაბს, ხორცი მაიტაო. იმან აუნონა, შეუხვია და ფული მოთხოვა. ზაალა ესლაც ახსოვთ ბაზარში და მაშინ ხო საერთოდ. რა ფული, ხო იცი ვინ ვარო, უკითხავს, იმას კიდე უპასუხია, მამა ღმერთი რო იყო, უფასოდ რად უნდა

გაგატანო ჩემი დაკლული საქონელიო. კაიო, უთხრა ზაალამ და წამოვიდა. ეგ ერთი ხუთი წლის ამბავია, მაშინ ეგ მეხორცე სხვაგან, ბაზრის ბოლოში მაგარი მიყრუებული ადგილია, იქ იდგა და ერთ საღამოსაც დაეცნენ ზაალა და მაგისი ბრადი, ორივე ავტომატებით, დავაი, რაც გაქვს გააძრეო. დახრილა ეს ყასაბი, დახლქვეშ შეუცურებია ხელი, ვითომ ფული უნდა ამოიღოს, დაუთრევია ნაჯახი და უცებ ამ ზაალას თავში... ერთი დარტყმით ადგილზე მოკლა, ორად გაუჩეხა. მეორეს შეეშინდა, გაიქცა, მაგრამ აზრზე ხარ, ტო, გაეკიდა, დაენია და ბეჭებში ჩაარტყა ორჯერ. მაგის გამო მისცეს ოთხი წელი, თორემ ზაალას გამო თავდაცვა ჩავთვლებოდა. იჯდა ციხეში. ეს ზაალას ბრატები კი გაიძახოდნენ რალაცებს, მაგრამ იქ ხო ვერაფერი უქნეს, მერე გამოვიდა ეს ყასაბი და შუა ბაზარში ჩადგა და აქაც ვერაფერი დააკლეს. არი იმის მერე წყნარად, პროსტა, არავინ ეკარება, იციან, რა დაცენტრილიცაა. – დაამთავრა მუნანნიემ.

უცებ წარმოვიდგინე: უზარმაზარი, შავულუვაშიანი და რუხნინსაფრიანი ტიპი მომდევს სისხლიანი ნაჯახით ხელში. ვინ მიეკარება ეგეთს, მუნანნიეს თქმისა არ იყოს – ვისა აქვს ორი თავი?



# თეიმურაზ ღვიაშვილი

## „და უნეს წინაშე ვდგავარ ტიტველი“

(გივი ალხაზიშვილის მრობტიკულ-სამკსალური ლირიკა)

მე ვიტყვი სათქმელს, ვამხელ - მდარეა,  
რასაც ასალებს ლექსად ჭიჭიკო...  
გ. ალხაზიშვილი

ერთ უსათაურო ლექსში („გამახსენდება ღიმილი შენი“) გივი ალხაზიშვილი ქალთან მინავლულ ურთიერთობას გადმოსცემს. ნუკრისთვალეობა პარტნიორი, უნინ რომ უთანაგრძნობდა და, მეტი რომ არ ვთქვა, ღიმილს აფრქვევდა, ახლა „საოცრად გულგრილი“ უწევს გვერდით, ხოლო მამრის ალერსიანი „ცდები“ გულისდამწყვეტად არაეფექტურია:

*ჩემი გვარიდან აწვდილი ხაზი -  
ალივით ანთებს შენს მაცდურ მღვიმეს,  
წინათ მღეროდი სხვანაირ ხმაზე  
და მაგებებდი სხვანაირ ღიმილს...*

გასაგებია, მოცემულ სიტუაციაში „სხვანაირი“ ანუ „იმნაირი“ სიმღერა და ღიმილი გამქრალა, მაგრამ რა არის ეს „გვარიდან აწვდილი ხაზი“ - გენეალოგიური შტო? თუმცა ამკარად სექსუალურ სცენაში გენეალოგიურ შტოს რა ხელი აქვს?

ჩაუღრმავდები ტექსტს, დაფიქრდები და მერეღა მიხვდები, რომ აქ მახვილგონივრული ეტიმოლო-

გიური მიგნებაა, პოეტურ-სექსუალურად აღქმული და გააზრებული.

ვის შეიძლება ჰქონდეს „გვარიდან აწვდილი ხაზი“, რომელიც „ალ-ივით ანთებს“ ქალის „მაცდურ მღვიმეს“, თუ არა ალ-ხაზი-შვილი!

ლირიკაში პოეტს და ლირიკულ სუბიექტს ისედაც ხშირად აიგივებენ, ხოლო, როდესაც ავტორი ანაგრამულადაც აფიქსირებს ამ იგივეობას, ეს დამატებითი საბუთია ვიფიქროთ, რომ ლირიკული სუბიექტი მისი ლირიკული ეგოა, რომელიც, როგორც თანდათანობით გამოჩნდება, უშუალოდ და აქტიურად მონაწილეობს მდებრობითი სექსის წარმომადგენელთა „მღვიმეების“, „მალაროების“, „ხეობების“, „ღრუების“, „ვიწროების“ და ა.შ. ალივით ანთება-განათებაში ანუ სექსიფიკაციაში.

ალხაზიშვილის ეროტიკულ-სექსუალური ლირიკა ერთ სასერიო თავისებურებას ამჟღავნებს: საკუთარ ხორციელ სურვილებს და ვნებათა აზვირთებას ავტორი გვავნდის ეკვივოკური, ორაზროვანი მანერით, რაც

ერთი თავი მონოგრაფიისა „ჰერმეტიული პოეტის პორტრეტი ინტერიერში“.



თავად მას, როგორც ჩანს, პოეტური ბისემანტიკურობა ჰგონია. თუ გსურთ ამოიცინოთ, რას ნიშნავს, რას გულისხმობს რეალურ პლანში ალხაზიშვილის „მეტაფორისტკა“ და „სიმბოლოები“, ამ თავისებურების გათვალისწინება მოგიწევთ, რათა საგვარეულო სიამაყე - „გვარიდან ანდელი ხაზი“ ანუ „ალ-ხაზი“, რომელიც „მღვიმეს“ ანთებს, ელხაზში არ აგერიოთ, სექსუალური აქტი კი ქვეყნის ელექტროფიციერებაში განუთლ გარჯად არ მიუთვალოთ.

დაუბრუნდეთ ლექსს, რომლის ბოლო სტროფი ახალ, ოპერატულ ცნობას გვანვდის მოქმედების ადგილიდან:

*დღეს უმარტივეს ვიხსენებ გამას,  
ვეძებ კლავიშებს, ვეროიბი ჩემთვის,  
რომ შენი სისხლის ჩაქურალი ღამე  
განათდეს ჩემი მკლავების დენითი.*

ანთებით-განათებითი საშუაოები, განხორციელებული „გვარხაზით“ და „მკლავების დენითი,“ (მშვენიერი რითმა: ჩემთვის - დენითი), როგორც ვხედავთ, ფაქიზ მწემონიკურ-მუსიკალურ ხელ-გარჯილობასთან არის დანჯილდეული („ვიხსენებ გამას, ვეძებ კლავიშებს“) და... აქ ალხაზიშვილის ეროტიკულ-სექსუალური ლირიკის მეორე, გამორჩეული თავისებურებაც უნდა დავიმასხვოროთ: ინტიმურ პარტიწიორთან ურთიერთობის მომენტებში, განსაკუთრებით კულმინაციისკენ, ავტორის ლირიკული ეგო, როგორც წესი, მუსიკალური ტერმინებით, დინჯად ინყებს აზროვნებას და მეტყველებას! სექსუალური ცხოვრების პერიპეტები, საკუთარიც და სხვისიც, ამ ავტორთან გაუთიშავია მუსიკალური გარდათქმისა და შეფასებებისგან. აი, მრავალთაგან ერთი მაგალითი:

*ქალებს, ვისთანაც ღამე გაჰყავდათ  
და ჩაძირულებს მსუბუქ მკლავებში  
ეჩვენებოდათ, სისხლი აყვავდა,  
შეხებისგან რომ თითოდა კლავიშო.*

„მკლავები - კლავიშო“ ალხაზიშვილის სექსლირიკის პაროდი, რომლის გახმინებისას ხან სისხლი ყვავის, ხან „სისხლის ღამე“ ნათება, უფრო ხშირად კი ბევრად პიკანტური ამბები გადაგვემულება თვალწინ.

რადგან ალხაზიშვილის სექსუალური ტექსტების ეკვივოკურ-მუსიკალური სტილისტიკა ჩვენთვის უკვე ცნობილია, ბოლომდე გავერკვეთ, ხა ხდება გავრილებულ გრანობაზე მგლოვარ ამ უსათაური ლექსში.

მამრი, რომელიც უკუჰაჰკამირის სრული უქონლობის ვითარებაში ალ-ხაზით“ თვითნებობდა „მღვიმეში,“ ახლა უკვე „კლავიშებს“ ეძებს და ვერაფრით მიმხვდარა, რომ „უმარტივესი გამების“ გახსენებით მუსიკა არ იწერება. ხაზანდელი „ჰაინსტი“ ამოდ იქადნის „სისხლის ჩაქურალი ღამის“ განათებას „მკლავების დენითი“, ჩავლილი სიყვარულის ელეგიად ჩაფურე-

ბული ლექსი კი უფრო ძალადობის აქტს ემსგავსებთ, რადგან მამრობითი პარტიწიორი, მისივე აღიარებით, თვითმიზნურად თამაშობს („ვერთობი ჩემთვის“), ანუ სენსორული ადგილების მექანიკური გალიზიანებით აწვალებს ქალს.

წვალებს ვერც ჩვენ ავცდებით, თუ ალხაზიშვილის ეკვივოკურ-მუსიკალურ ოპუსებს გავშიფრავთ, სამაგიეროდ, მისი ლირიკული ეგოს ეროტიკულ-სექსუალურ „ოდისეას“ უკეთ მივადევნებთ თვალს და გპირდებით, რომ ეს „მოგზაურობა“ არამც და არამც მოხანყენი არ იქნება.

ყველაფერი მორცხვი და გამოუცდელი ლირიკული ეგოს (მაშინ მას სიმონი ერეკა) გასეირნებით დაიწყო. „იმ“ საქმეში გამობრმედელი ქალი ყმანვილის უმანკოებით ტკებება („არაა აზრზე“), პოეტური სულის სიმონი კი „ნაივის ელექ-სის“ მექებარ ბანივანს გულში ტიცინის სტრიქონებით „ამკობს“: „ქალი ქალია, დიდხანს უქმროდ რამ არიონა, /გათხოვდება და იშოვის თავის მალამოს“. ვაჟს, ეტყობა, ამ დროს, „ქალის მალამომ“ შეახსენა თავი, რადგან ქალი საქმის ცოდნით მიუთამაშებს წინ განვრთილი, ჯანმრთელ თეძოებს და სიმონიც ციტატას აშკარად მღელვარებისა გამო ამახინჯებს.

რაც მოხდა, კედელიდან მომხდარა, როცა „ნაზმა არსებამ“ თრიონლა-ხენეშით უბისკენ გააქანა სიმონის ხელი - დაიბადა მშვენიერი მხატვრული შედარება, რომელიც ზუსტად და ხელშეახებდა გადმოცემს მამრის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას:

*ასე ღივდება ალბათ მარცვალი,  
როცა ხნულიდან აღმოცენდება.*

ნაპერწკლიდან ცეცხლი ავიზიზდება, მარცვლიდან „ლივი“ ამოიზრდება, რომელიც პოეტის ლირიკული ეგოს დაეჟაკცებასთან ერთად „ნერგად“ გადაიქცევა („რაც აღმოცენდა ჩემში ნერგივით, /ახლაც სიმა ვარ იმ ენერგის“), საბოლოოდ კი საგვარეულო სიამაყის - „გვარიდან ანდელი ხაზის“ სტატუსს შეიძენს!

მოდი, აღვზნებულ ქალ-ვაჟს, ავტორივით, საწოდოთახში ნუ შევევებით - იმედი, სიმონის „გადივებული მარცვალი“ თავს არ შეირცხვენს „გამოცდილი და თანაც ნასწავლი“ დიაკის ხელმძღვანელობით! ჩემი მზრთი მზოლოდ იმას გავანდობთ, რომ ლირიკული ეგოს ცხოვრების ეს ღირსსახსოვარი ენიზოდი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და მისი პროზაული ვერსია შევიძლიათ ნაიკითხით ალხაზიშვილის მრავალმხრე ოდიოზურ დოკუმენტურ-მემუარულ წიგნში „მოშავალი წარსული“.

ალხაზიშვილის ლირიკული ეგო გზის დასაწყისში სხვა დროსაც გამხდარა „გამოცდილ მტაცებელთა“ მსხვერპლი. „ძველი ქალბატონი,“ რომელიც



კაცებს „ვენეზიანი ღიმილით“ და „ცრუ გახელებით“ იზიდავს, სრულიად ბანალურ პოზას ირჩევს უცადო ყმანვილის საცდუნებლად:

*ფებს ფებზე გადაიდებს ძველი ქალბატონი, რათა გაანათოს ოთახი მუხლებით, რომ ყმანვილის ნაართვას ზეცის კაბადონი და უფრო გადარიოს მიწიერ მუხტებით.*

ქალის მუხლებს ალხაზიშვილის ღირსებაში, საერთოდ, მაგაფიო სექსუალური დატვირთვა და ძალა აქვს. მგალითად, მიკროავტობუსში თეთრი მუხლები მოხუცებსაც კი „ჩამქრალ თვალებს უფლეთენ“ და ყმანვილს რას უზამენ? აქ, ამ ლექსში მუხლები ძლიერამოსილება, თანაც კოსმოპური მასშტაბით, – „ზეცის კაბადონისა“ და „მიწიერ მუხტების“ დრამატული დაპირისპირებით! – პოეტის მიერ სათავეშიგვა დაფიქსირებული, როგორც მომავალ სულიერ რყევათა, მეტიც – ტექტონიკურ ძვრათა მაცნე.

ლექსში განსაკუთრებით მომზიბლავია პოეტური სახისმეტყველება, ნასაზრდოები ფიზიკის ელემენტარული კურსით: სინათლის წყაროდ ქცეული მუხლები, ოთახს რომ ანათებს, „მუხტებს“ გზავნის ობიექტისკენ – ხდება მისი დამუხტვა! თუმცა ელექტრომონუსხვა ამით როდი მთავრდება – წინ მარადუცვლელი შედარება გველის – ამჯერად მაგნეტიზმის სფეროდან:

*როგორც მაგნიტმა რკინის ნამცეცი, ქალმა ყმანვილი ისე მიიზიდა.*

ჯერ – დამუხტვა (მუხლებით – მუხტებით), მერე – დამაგნიტება!

აქვს ამ „ფიზიკალურ ეროტიკას“ გაგრძელება? ამ ლექსში – არა, სხვაგან – კი.

ის, რაც დამუხტვა-დამაგნიტებას მოსდევს, კვლავაც ფიზიკური პროცესის – ხახუნის ანალოგიით აღინერება:

*და ცუცხლს, ხახუნის ძალით გაჩენილს, აღარ უფლავდა დიდხანს ჩაქრობა.*

არც ჩაქრება! ოღონდ ეგ არის, ინტიმური გამოცდლების პოეტური რებრუნენტაცია სულ მალე სულის ესთეტიზაციასთან ერთად ფიზიკის ელემენტარული კურსიდან მუსიკის ელემენტარული კურსისკენ გადაიხრება და არაერთი დაუფინყარი სექსუალურ-მუსიკალური სახეც „აუღერდება“.

ზემოთ ღიმილის გამოღვიძება-გააქტიურებასთან დაკავშირებით სულის ტექტონიკური ძვრები ვახსენე. ალხაზიშვილის ღირსეული ეგო პრიმიტივი სექსომანი როდია. მას ისე ღრმად აფიქრებს საკუთარ არსებაში ცისა („ზეცის კაბადონი“) და მიწის („მიწის მუხტები“), სულიერ-შემოქმედებით

და ხორციელ-ვიტალურ სანყისთა დაპირისპირება, რომ საკუთარი ვინაობაც ვერ გაურკვევია:

*ზოგჯერ თვითონაც არ ვიცი, ვინ ვარ, როცა საკუთარ სურვილს ვერევი, მე სხვა ვარ, როცა გავფურებ მყინვარს, და სულ სხვა, როცა ქალს ვეფერები.*

ასეა, მხოლოდ საკუთარი სურვილის მორევით, ანუ ნებელობის დაძაბვით ახერხებს ღირსეული სუბიექტი, მყინვარის ცქერისას ქალზე არ იფიქროს და ქალის მოფერებისას – მყინვარზე! მაგრამ როგორ მოიქცეს, თუ ნებელობის ჩაურევლად სურვილი სძლევს და მწვერვალის ძვრებისას – განღვლოლილ ფიქრებში! – ქალი ეზმანება, ალერსის დროს კი ამაღლებულზე ფიქრი შეუწინდება?!

ამ დანაყვლილ საკითხს ალხაზიშვილი ფილოსოფიურად მოუდგა – პასუხი იპოვა დროის საყოველთაო კანონში, რომელიც თავად „ამოაჩინა!“

არსებობს „არსად მიმავალი დრო“ – მარადისობა და ადამიანის ყოფითი, სადაგი დრო. მოხდება ხოლმე, როცა

*არსად მიმავალი დროიდან ზოგჯერ ამოიზრდება მომნუსხველი რიტმი – სიცოცხლისკენ რომ უბიძგებს ყველა უჯრედს.*

მაინც როგორ იბადება ეს „მომნუსხველი რიტმი“?

დროს ზოგჯერ ისე სწყურია სიცოცხლე, რომ ჩვენი ბაგეებით იწყებს ჩურჩულს და ჩვენს მკლავებს ასწავლის ხვევნას და ამ მაგიური რიტმიდან

ამოდის ყვაილი ალისფერი, როგორც ნიშანი იმისა, რომ დროს სწყურია იქცეს სხეულუბად და მათ მოძრაობაში დაიფინყოს, რომ იგი არსად მიედინება.

ვისაც ინტელექტუალურ უფსკრულებში გადამვება უყვარს, დაე, ბოლო შრეებამდე ჩაწყვეს ამ ძველისძველ, ცუდად გადამღერებულ „კონცეფციას“, მე კი მარტოვად ვიტყვი: თურმე ჩვენი ხორციელი სიამენი – რიტმული რხევანი, ამოზრდილი ალისფერი ყვაილითური, მთლად მარადისობის ფრიქციები ყოფილა! ამ საცოდავ, უცვლელ და უძრავ მარადისობას თურმე ჩვენი აჩურჩულებული ბაგეებით, ხვევნა-კონცით და მაგიურ-რიტმული ხვანცალით მოძრაობის ილუზიას ვუქმნით!

ერთი სიტყვით, სექსი მარადისობისთვის განუყოფი უანგარი ჰუმანიტარული დახმარებაა!

ამ „ფილოსოფიური კონცეფციიდან“ ალხაზიშვილის ღირსეულმა ეგომ გონივრული და სანუგეშო, ასე ვთქვათ, „ნეო-ტანტრისტიული“ დასკვნა გამოიტანა: თუ სექსი არსად მიმავალი დროიდან“ ამოზრდილი „მომნუსხველი რიტმია“, სულისა და ხორ-

ცის კონფლიქტში ლიბიდოს მოთხოვნისთვის კენ გადახრა ცოდევა კი არა, იქნებ, მადლიც არის. პა-ტარა ამბავია? – ამით, როგორც გვითხრეს, არსად-მედიწ მარადისობას მოძრაობის ილუზიას ვუქმნით. თუ როგორ ხდება ეს პრაქტიკაში, ერთი ლექსის მაგალითზე ვნახთ.



უკვე სექსში გამოვეცილ აღზაზიშვილის ლირიკულ ეგოს „სინანულის ნათებაშიც“ კი უჭირს თუნდაც უსუნო ყვეფების – ცრულიმილიანი ქალის გამკლავება (ლექსი „ლხინი“). მთელი არსებით, მეტაფიზიკური ჭერებით იგი ცის სიღრმეში იხედება („თვალებს მი-ჰყავდი სხვაგან – ცაში“), სათადარიგო, საცულულტო მზერა კი შვების ბორცვებისკენ გაურბის:

*რაზე ფიქრობდა დეკოლტეში ჩამძვრალი მზერა?!  
თეთრი მკლავები უფაქიზეს სურნელს რომ აკმევს,  
ველა მაცდუნებდნენ, რომ სისხლშიაც თავისი მზერა...*

„დეკოლტეს ღიმილს“ სხვა დროსაც მოუწუნხავს პოეტის თვალი. „დეკოლტეების ტექსტებიც“ ფსკერის ძირამდე წაუკითხავს, მაგრამ ამჯერად „დეკოლტეში ჩამძვრალი მზერა“ მორეფლექსიე ეგოს წინააღმდეგობას აწყობს. ბოლოს მაინც „სისხლის მზე“ ად-ნობს მყინვარისკენ თუ ცისკენ პოეტურ სწრაფვას და მამრი ქალის მკლავებს ეგორჩილება. მართალია, ეს სიამეში უსურვილო გადაშვებაა, ცოდევის შიშიც ახლავს, მაგრამ შიში რა სახსენებელია, როცა, ნებ-სით თუ უნებლიეთ, კოსმიურ მისიას ასრულებს და, „არსად მიმავალი დროის კარნახით“ გამხნეებული, „სიცოცხლისკენ... უბიძგებს ყველა უჯრედს?!“

ლექსის კულმინაციურ მომენტს შიშის კლანჭები-დან გაღწევა და მუსიკის სტიქიაში გადავარდნა ქმნის:

*მე შემეშინდა, რომ ცოდევისთვის დამსჯიან ალბათ,  
რადგან თანდათან მოცურავდი ქალის მკლავებში  
და კიდევ იქით, სადაც თართოდა შავი კლავიშო  
უკვე ნამდვილად და არა ყალბად.*

ესეც – მუსიკალურად ესთეტიზებული ინტერკურ-სი, თავდაუზოგავი ცურვა მკლავებში და მკლავებს „იქით“, სადაც ვნებიანად თრთის აღზაზიშვილის ცის-ფერი ყვავილი – „შავი კლავიში“.



მამრის სექსუალური თამაშები მუსიკალურად ეს-თეტიზებული კია, მაგრამ ზოგჯერ – არცთუ მთლად ორდინარული. ჩაგვხედით ლექსს „ანარეკლი“:

*შენი სხეულის ბნელ ანკლავებში  
ვცდილობ ჩაკეტულ კარის შეღებას,  
ყველა უჯრედი არის კლავიში,  
თავის ბგერა აქვს ყველა შეხებას...*

როგორ უნისონში ფერს აქ სექსი და მუსიკა!.. მაგრამ „ანკლავი“, პირდაპირი მნიშვნელობით, მოგესხებათ, ქვეყნის ტერიტორიაა, მისგან მთლიანად მოშორებული, ანუ მოქცეული სხვა სახელმწიფოს საზღვრებში. ახლა წარმოვიდგინოთ ქალის „სხეუ-ლის ანკლავები“ – მოკვეთილი ნაწილები, რომელთაც აღზაზიშვილის ლირიკული გმირი მისძალებია და თავ-დაუზოგავად ცდილობს „ჩაკეტულ კარის შეღებას“, ანუ თავადაც ხედებით, რას! ამასაც არ სჯერდება, ქალს ამბავს უყვება, შენი „ანკლავის“ უჯრედ-კლავიშები ბგერებს გამოსცემენო. გულზე ხელად დაიდეთ და თქვით, ვითომ გაგაკვირდებათ, მდებრობითმა არსებამ ეს ძალადუბანისტი მოძალადედ და ნამდვილ სექსუალურ მანიკად რომ მიიჩნიოს?!

ქალმა თავისი თვითონ იცოდეს, პირადად მე კი ლექსში სექსუალთოლოგიურზე მეტად პოე-ტიკური საკითხები მაინტერესებს. ცუდი რითმა არ არის „ანკლავებში – კლავიში“, მაგრამ აქ თითქოს რაღაც აკლია, თითქოს „კლავიში“ აშკარად ვილა-ცას თუ რაღაცას უხმობს! და აი, ისიც – საფირმო „კლავიში – მკლავებში“:

*ყველა უჯრედი არის კლავიში...  
ღამე სიმღერით დადის მკლავებში...*

სექსუალურ ანომალიას ვინ დაექებს, ძვირფასე-ბო, როდესაც აღზაზიშვილის მხატვრული ხელმძღ-ვანელობით რითმითა სამუქედო ფერს, კლავიშიც ბგერას გამოსცემს და ღამეც სიმღერით მიიჩნევს მკლავებში!



უსურვილო სექსის ყოველთვის მუსიკალური ექს-ტაზი – შავი კლავიშის თრთოლა და „იქით“ თავდა-ვინყებით გადავარდნა როდი ახლავს. მოყირჭებულ ქალთან წოლა ზოგჯერ ფანტასმაგიორიულ განცდა-საც ბადებს:

*არ შემიძლია, სიმართლე ვითხრა  
და შენთან ვნევარ, როგორც ლობესთან.*

„ჩიჭქასში“, მაგრამ მაინც თავისებურად უნი-კალური განცდა („შენთან ვნევარ, როგორც ლობეს-თან“) კვლავაც მუსიკალურად განიმარტება:

*ვეთამაშები ჩავარდნილ კლავიშს,  
მაგრამ თამაშიც უკვე მწყინდება.*

ნაცადი ხელი სარეცელზე მწყივ „კლავიშებს“ ექებს – ზოგჯერ უგრძობელს, ზოგჯერ – ათრ-თოლებულს, ხანაც ჩავარდნილ-ამორტიზებულს, მკითხველს კი გავიცნა იპყრობს, როგორ ვირ-ტუოზობით ახერხებს აღზაზიშვილი, ნაირფეროვან სექსუალურ სიტუაციებს და შეგრძნებებს ასეთი ზუსტი, მარჯვე შესატყვისობები მოუძებნოს კლავი-ბატურის მდგომარეობასთან ანალოგიით.



## II

ალხაზიშვილის პოეტური ხედვით, ადამიანები „წყვილდებიან დამალული ბგერების გასათავისუფლებლად... ლამის სივრცის გასაღრმავებლად,“ ამიტომაც მის ეროტიკულ-სექსუალურ ლირიკაში გათავისუფლებული შორისდებულების ბგერადობაც ხშირად ისმის და ლამის გამაღრმავებელი სექსუალური წამომღერებანიც, სექსუალური განცდის გაორკესტრების ხარისხით მე მაინც ავტორის ბოლოდროინდელ ერთ ლექსს გამოვარჩევდი კრებულიდან „ჩაბრუნებული მზერა“. ამ უსათაურო ლექსში („შებინდებისას“) აღწერილია „დრო ურთიერთშეხამებისა,“ „დრო ერთმანეთში დაკარგვის და პოვნა ერთობის“. სადაც „ურთიერთშეხამებაა,“ იქ მუსიკაც არის და ეროსის საიდებლად უღერს „ბგერები ალტის, საქსოფონის, უძველეს ებნის“. მუსიკალური აზროვნება გამოშახველობის მაქსიმუმს, როგორც წესი, ლექსის ფინალში აღწევს:

*ვტმუკავთ ორივე, ჩენით სავსე დრო იწელება,  
 ვიდრე ფერმატო სიახლოვით მოიცვლება.*

ფერმატა (Fermata), და არა „ფერმატო,“ მოცხსენებით, მუსიკალური ნიშანია, როცა შემსრულებელს შეუძლია სურვილსამებრ გააგრძელოს ბგერა ან პაუზა. პროზის მიყვარულებს, ალბათ, ეხსოვებათ გასული საუკუნის ბოლოს გახმაურებულ ნიკოლსონ ბეიკერის ამავე სახელწოდების ნაწარმოებში „ფერმატა“ მოთხრობილი ფანტასტიკური ამბავი სექსუალური ვნებებით აღსავსე ახალგაზრდა კაცისა, ინტერკუვისის დროსაც რომ შესწევდა დროის გახანგრძლივებისა და შეჩერების ძალა. ძირითად იდეათა რა სასწაულბერივი თანხვედრაა! განსხვავება ერთიან მხოლოდ, ალხაზიშვილი-ავტორი ამ უჩვეულო ტალანტს მუდმივად „ფერმატო“-დ მოიხსენიებს, ასე ვთქვათ, მოფერებით, შინაურულად. მართლაც, ტერმინოლოგიური სიზუსტე რა ბედენაა, როცა ასეთი სიყვარულია!

ახლა გამიფრთო ეს სექსუალურ-მუსიკალური შინაარსის „მეტაფორა“ – მოუცვლავი ფერმატო და ღირსეულად შეუფასეთ ავტორს „ფერმატოს“ ხანგრძლივობაც და სახის ორიგინალურობაც.

ვისაც გაგრძელებული „ფერმატოს“ გრძობად შინაარსში უფრო დეტალურად გარკვევა სურს, შეუძლია გაეცნოს ალხაზიშვილის ლექსს „ნუთები, ჩენით რომ იესება...“ – სიყვარულის „ვინროებით“ და მათი „ავსებით“, ნაპირე ქუჭრულტანაში სხვისი გატარებით და ამღერებელი ძარღვებით...

ყოველივე ეს, რასაკვირველია, მოუცვლავი „ფერმატოს“ პირობებში – გუნებისად განედილ ნუთებში, ურთიერთშეხამებისას ხდება!

მაინც რა არის ნუთისოფელი?! ალხაზიშვილის სექსუალუმიც ჩაიარა, სამაგიეროდ, მის ლირიკაში სექსუალურად მიაბიტი სიმონის ნაცვლად ბერისმნახველი მამრი გამოჩნდა. ეგ კია, „სიამეთა მრუშ ქაობში“ გამოვლილს ქალებისადმი, განსაკუთრებით – კოლეგა პოეტი ქალებისადმი, სიძულელი დასჩემდა. ნუ შევუდგებთ ამ გრძობის სიღრმისიული, არაცნობიერი მიზეზების ძიებას, ალხაზიშვილის „სიძულელის ესთეტიკის“ ძირითადი პრინციპი კი მართლაც გასაოცარია: ათვალუნებულ ქალებს იგი, როგორც წესი, სექსუალური ასპექტით ახასიათებს!

ჩავხედოთ ამკარად ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსს „ერთი დღის ქრონიკა, ანუ ლიტმუშაკის ჩივილი“:

*პოეტი ქალი შემოვიღის (კობტად აცვია),  
 – თუ ნაიკითხეთ ჩემი ლექსი „ვნება იღის“?  
 რა ვუპასუხო, აშკარაა სუბლიმაცია  
 და მხურვალეება შეუვსებელ სიცარიელის.*

ლიტმუშაკი, როგორც ვხედავთ, თავის უშუალო მოვალეობა – ლექსის შეფასებას თავს არიდებს და მოუკრეფავში – სექსუალური დიაგნოსტიკის სფეროში გადადის. უტაქტო გამოხდომის გადაფარვას იგი დემოგრაფიული დამაგოვით ცდილობს, თითქოს ლექსის, თუნდაც ცუდი ლექსის, წერა ნაყოფიერებას ხელს უშლიდეს ან ყოველ არამაქითებს უფლებას აძლევდეს, „შეუვსებელი სიცარიელის“ სითბური მდგომარეობა შეაფასოს. თავად ლიტმუშაკი საკუთარ წარმოდგენაში ვარსკვლავებს ეთამაშება:

*შენ სტრიკონებში მოლისფერი სიხასხასა  
 და უსასრულო სიღრმეების ათინათები...*

ასეა: ამისკენ – „სიხასხასე“ და „სიღრმეების ათინათები“, სხვასთან – „შეუვსებელი სიცარიელე“ და უნაყოფო „მხურვალეება“!

„შეუვსებელ სიცარიელეს“ ალხაზიშვილთან სხვა ინტიმური „მეტაფორაც“ უმშვენებს მხარს:

*მშენიერიო შენი ღალატო,  
 მშენიერიო შენი სიცრუე,  
 ის ასაზრდოებს ვნების ღალათი  
 შენი სხეულის ბნელ სივინროვეს.*

ვერა და ვერ ვხვდები, ქალის ორგულობა და სიცრუე მისგან ნალალატე-მოტყუებული კაცისთვის მშენიერი როგორაა, მაგრამ ეს „ბნელი სივინროვე,“ თანაც ნასაზრდოები „ვნების ღალათი“(!) მაინც ერთ რამედ აღირს – სად შეუღწევა მადიებელ ავტორს, როგორი რუღუნებით დაუდგენია „ბნელი სივინროვის“ მასაზრდოებელი წყარო!

ამ „ბნელ“ ადგილს – „სივინროვეს“ ალხაზიშვილი ერთ ბოლოდროინდელ ლექსშიც ვერ ელევა:

*სიყვარული კი ეახლება თავის ვინროებს  
და ყოველ ჯერზე ახალია.*

დასტურ: „ალ-ხაზით“ ანთებულ სიყვარულს რა  
„გზა ვინრო“ დაუდგება წინ!

● ალხაზიშვილი, უკვე ვთქვი, არ სწყალობს პოეტ  
ქალებს. ერთს, როგორც ვნახეთ, „შეუვსებელი  
სიცარიელე“ არ მოუნონა, მეორეს კი, აგერ, ამის  
საპირისპიროდ ამუნათებს:

*ეს ქალი საკუთარი სანწერტილების,  
აგზორცული ნკმუტუნის გამფეტქმებელია.*

თუ ნაგიკითხვით პოეზიაში ქალის შესახებ ამაზე  
უფრო ამაზრზუნე, ბინძური რამ! პოეტის სიტყვებია  
თუ გენიტალაიათა სანინსპექტორის დასკვნა?

ამ „ლექსში“ ალხაზიშვილი, როგორც პოეტი-სექს-  
პერტი, პოეზიის შეფასების იშვიათ ნიმუშსაც იძლევა:

*მისი სტრიქონები მზადაა წოლისთვის,  
იგი ხუნტრუცის და წყლის სიმბოზია.*

ავტორის აზრით, ეს სატირია, მაგრამ როგორია  
სიძულვილითა და შურისძიების მიზნით კოლეგა ქა-  
ლების პირადული, ინტიმური ცხოვრების სფეროში  
მოურიდებელი ჭკრეტა-ჭყიტინი, როგორც ეს ხდე-  
ბა, მაგალითად, „ი-ს“-ადმი მიძღვნილ ტექსტში?!  
ამ დაწვრილებით არის აღნუსხული, რამდენჯერ  
გამოიცვალა ადრესატმა „ქმარი თუ საქმრო, რო-  
გორც ნიხზავი“. ავტორმა ამ ქალის ავრტიკალური  
სურვილები? იცის და არც ახალგაზრდა კადრების  
მხედრულ წვრთნაში შეტანილ წვლილს უვიწყებს  
(„სიყრმე იტკინა ბეერმა ულყაყა“). და ბოლოს,  
გახდენის კონკრეტულ მეთოდსაც მოხაზავს კალ-  
მის ერთი მოსმით:

*შენ იშვიათად ნეზხარ გულაღმა,  
რადგან ბუნებით შენ ხარ მხედარი.*

ამას რომ „მხედრულს“ აყვედრის, სხვას ტრადი-  
ციული ზურგზე წოლის გამო არ ინდობს:

*ნეტავ, რად მინდა ასეთი დამა მე,  
რომელსაც პარკეტიც ზურგით უზნებია.*

არ გაინტერესებთ, ეს არამკითხვე მორალისტი,  
მინწყე პროფესიონალი სანტექნიკოსივით, სპელეო-  
ლოგივით, მყვინთავივით, მემალაროვესავით და ა.შ.  
ქალის „სანწერტილების“, „სიღრმეების“, „ფსკერის“,  
„მალარობის“ და ა.შ. „კვლევის“ რომ იწონებს თავს,  
თვითონ რას მოიხილავს ზნეობის მწვერვალებიდან?

აი, მიღებულია მუსიკალური გადანყვებულება  
– „ამაღლდეს ერთი ოქტავით“ და ამ სიმალღი-  
დან შეიმეცნოს, „რას დაქვებდა ქალის თვალებში“.

თურმე აქედანაც, ამ სათვალთვალ ზეესთიტიკუ-  
რი პუნქტიდანაც „იმას“ ხედავს, ისევე „ის“ მოჩანს  
– „ვნებათა მღვიმე ალუესებელი“ და განკაცებული  
„სიამის ნუთი“, რომელიც „მხურვალე წყვიდადს  
ზოგჯერ ანათებს“ („ექისმთლელი“).

ვითომ გამოდგება „მღვიმეების“ ეს გამნათე-  
ბელი, ყოველად უსახური და უხამსი გარითმულ-  
გაურითმავი სექსურზაცების ავტორი კოლეგების  
მამხილებლად და შემგონებლად?!

● ლექსში „N-ს“ ალხაზიშვილი კიდევ ერთ პოეტ  
ქალს უსწორებს ანგარიშს, იმას, ვინც გვიან ვასც-  
ნობია სიურრეალისტ ანრი ბრეტონის წიგნს, ხელო-  
ვნურ მეთაფორებს ქმნის და მიმიკრიამიც კი უნიჭია.

პოეტ ქალზე იერიში ნაცადი წერტილოვანი  
სექსდარტყმებით ხორციელდება. თითქოს უნიჭო  
მიმბაძელობა არ ეყოლობდა, ეს საბარალო პოეტისა,  
თურმე ნუ იტყვით და, „საკუთარ მღვიმეში ზის“  
და თან თავის სხეულს იქიდან აღწერს – „გით ცხე-  
დარს, გახრწნაში ჩარჩენილს“. ვინც უკვე უწყის,  
რას ნიშნავს ალხაზიშვილის ეროტიკულ-სექსუა-  
ლურ ქმნილებებში „მღვიმე“, არც ამ სტრიქონების  
გატება გაუჭირდება:

*ლექსით თუ გწყურია მღვიმის განათება  
და ცივ ოფლს გამოყოფს შუბლი – მაცივარი...*

როგორ მოგწონთ ლექსით განათებული „მღვიმე“  
– სად ათავსებს, სად უძებნის ადგილს ალხაზიშვილი  
კოლეგა პოეტი ქალის ლექსებს?! თანაც მართლა  
ელსამუშაოები რომ არ გვეგონოს, სუბლიმიაციასაც  
იქვე ასხენებს.

მე, როგორც ვერსიფიკაციის მკვლევარს, ავტო-  
რის უზადო ტექმომზადება მაკვირებს: პოეტესა კი  
გალანძლა, მაგრამ მარტივი „აცვია/სუბლიმიაცია“-დან  
რამსიგრძე – ექვსმარცვლიანი! – ნაბიჯი გადაუდგამს  
„ზე-ზე“ რითმისკენ: **შუბლი – მაცივარი/სუბლიმიაცი-  
ური...**

სექსუალურ მინიშნებათა ამონურვას არ  
ვესწარავვი, ის კი საინტერესოდ მეჩვენება, რა არის  
მიზეზი მამრი პოეტის გამძვინვარებისა:

*ხომ ჯობდა გადაგვედნო მე და შენ ის ლამე  
სისხლით ნაკარნახევ რიტმის გაჯიბრებით,  
როდესაც ნუთები ურუბრეტლს ისხამენ  
და ქრება რეალობის თვალები – ქაჯი ბრები.*

ხომ ხედავთ, პოეტესას მეტალურგიის სფეროში  
თანამშრომლობაზე უთქვამს უარი, მამრის სისხლის  
რიტმს და ურუანტელმოსხმულ ნუთებს ვერ უცდუნე-  
ბია, არც „მღვიმე“ დაუთმია და არც „რეალობის თვა-  
ლები“, იგივე „ქაჯი ბრები“ მოულოდლავს და – გამწარდა  
კაცი! ისე, საკუთარ „მღვიმეში“ ჯდომას და ლექსების

ჩხანას, მართლა და მართლა, ნოვატორ მეტალორგ-  
თან ჩაკონება და ლამის გადადნობა არ ურჩია?!

ალხაზიშვილის ლირიკული ეგოს გამძვინვარების  
მიზეზი, პროფესიულ კონკურენციასთან ერთად,  
მდებრთა მხრივ მოხშირებული უარიც რომ არის,  
ჩანს ლექსში „შტრიხები ერთი ქალის პორტრეტი-  
სათვის“, რომელიც უკარება ლამაზმანს ეძღვნება.  
ლექსი ასე იწყება:

*თითქოს ღრმა და მიმზიდველი,  
მშვენიერია და უკარება...*

რას ნიშნავს „თითქოს“, რატომ „თითქოს“? იმი-  
ტომ, რომ ეს მიმზიდველი არსება გარეგნულად  
თურმე ლივლივა, მბრწყინავ ზედაპირს კი ჰგავს,  
მაგრამ „სიღრმეებში“ წყალს იმღვრევს, თვალთმაქ-  
ცობს, ისე იქცევა,

*მარჯნისფერ ფსკერზე თითქოს ხომალდებს  
არასოდეს ჩაუშვიათ მძიმე ლუზები.*

ქალის თვალთმაქცური უკარებლობა ლირიკული  
ეგოს გაღიზიანებას იწვევს, ხოლო სავარაუდო უა-  
რყოფა – მბილებას!..

მხატვრული თვალსაზრისით ლექსში უთუოდ  
მნიშვნელოვანია სწრაფვა ეროტიკულ-სექსუალურ  
ნახისმეტყველების გაფერადებისკენ – უფრო  
„მადიდურ მღვიმეს“ და „ვნებათა მღვიმეს“ აქ ნა-  
ტურალისტურად, გინეკოლოგიური ხედვით აღქ-  
მული ფერნერული „მარჯნისფერი ფსკერი“ ცვლის!  
ისიც სათქმელია, რომ „გვარიდან ანვდები ხაზის“  
გვერდურ მღვიმეს“ უფრო შთამბეჭდავია და  
სოლიდური, მთლიანად წარმოსახული სურათი  
კი ჰიპერბოლურად მასშტაბური: ქალი-ოკეანე,  
რომლის მარჯნისფერ ფსკერზე ხომალდები მძიმე  
ლუზებს უშვებენ!

**მორალიტე:** კოლეგა ქალბატონებო და, საერ-  
თოდ, ბანოვანნი! ნუ გააგულისებთ, ნუ უარყოფთ  
ალხაზიშვილის ლირიკულ ეგოს, თორემ, ვისი ლუზა  
ვს მარჯნისფერ ფსკერს ხაზავდა, ერდოსა ზედა  
გაცხადებდა!

სხვათა შორის, ალხაზიშვილი საქულველ მამრ  
პერსონებსაც ქალებთან ნაცადი ხერხით უსწორდე-  
ბა – დახასიათებაში ჭარბად შემოაქვს ნეგატიური  
სექსუალური აქცენტები. მაგალითად, ფრთხილი,  
ეტიკეტის მოყვარული კაცის პორტრეტის ხატვისას  
უმაღ ჩნდება მისი ოჯახური ცხოვრების მამზილე-  
ბელი შტრიხი:

*„ჩემო ძვირფასო“-ს ეხახის ბოზ ცოლს –  
ჭროლათვალეუბა და მსუნავ ციკას.*

ამას მოსდევს ქმრის სრული სექსუალური ლუს-  
ტრაცია ცოლქმრული „კალენდრის“ გამომზეურებით:

*ანყობილი აქვს ცხოვრება კარგად,  
ეჭიბი ურჩევს, რომ დანებს ცოლთან  
ათ დღეში ერთხელ და დროს არ კარგავს –  
მიჩვეულია ათდღიან ბოლთან.*

პორტრეტის დამაგვირგვინებელია სექსის აქამდე  
უცნობი სახეობა – **ციფრებთან სექსი**, რომელსაც  
ათდღიან შუალედებში ეწევა ქმარი:

*რადგან ყოველგვარს აღმერთებს ბალანსს –  
ანუ ციფრებთან სექსობრივ კავშირს.*

იარონ ახლა ალხაზიშვილის მტრებმა – აქეთ  
ფსევდოუკარება აფხორცმა ქალებმა და იქით –  
მოცვედნო რესპექტაბელურმა ციფრების მსექსა-  
ვებმა: კაცი თან გულის ბუნარს ისუფთავებს, თან  
ეს პატარკაცური შურისძიებანი ლექსების თხზავდა  
და პოეტობადაც კი ეთვლება!

თავის ბოლო კრებულში ალხაზიშვილი, ტყბება  
რა საკუთარი ლიბიდოს სტაბილურობით, ხატოვნად  
და ლირიკული უშუალობით გავლენებს:

**ვერ დათმე ყოფა და გამოყოფა,  
თავის მღვიმით და მკერდის აივით.**

ერთ ვიზიონში ფოკუსირებული „მღვიმე“ და  
„მკერდის აივანი“, იმედია, კომენტარს არ საჭიროებს.  
ამ ფონზე „ყოფა და გამოყოფა“ უდავოდ **შეყოფა და  
გამოყოფა**, „მღვიმეში“ შესვლა-გამოსვლა, რასაკვირ-  
ველია! მე თუ მკითხავთ, ეს **ყოფა-გამოყოფა** კომიკურ  
ენობრივი ლაფსუსია, ეკვივოკური კალამბურების  
მოყვარული ავტორისთვის კი, უდავოდ, სექსის და  
ფილოსოფიის ზღვარზე პოეტურ-ენობრივი „თამაში“!

თავისთვის, პარტნიორისა და მკითხველის  
გარეშე, პოეტურად ხელცქვიტობს, თამაშობს რა!

ერთ ბოლოდრიონდელ ლექსში („ექსპრომიტი“)  
ავტორის ხნიერი, მაგრამ სურვილიაშუმქრალი ლირი-  
კული ეგო თვალებით ელამუნება მინდერიდან  
გამოპარულ, ქალაქს შემოხიზნულ „ველის შრო-  
მანს“, ანუ მარტივად – ლამაზ სოფელ გოგოს. ამ  
„ნაგულველ“ ბებერს ერთი სული აქვს, გარეთ დო-  
მინოს მოთამაშე უბნის უბუცესთა საბჭოს როდის  
ჩააბარებს ამ გოგოს დაპყრობის რაპორტს. ლექსი  
„ათვისებული“ ყვავილისადმი გრძნობიერი მიმარ-  
თვით ბოლოვდება:

*ველარ მოგწყვიტე თვალი, როცა თვითონ მოგწყვიტე,  
რადგან ელოდი მონყევტას და ადგილს დასაბნევს.*

„მონყევტა“, როგორც სექსუალური მეტაფორა,  
კაი მაგრად შეღაბული კია, მაგრამ რა ვნებანიობით



არის დატრიალებული - სამგზის გამეორებით! - ეს სიტყვა სტრიქონებში ან როგორი სინაზით და პოეტური მახვილგონიერებით არის მინიშნებული დასაბნევის დაბნევის აქტი!

ენა დამგრების იმის სრულად გადმოსაცემად, რა ცხოვრებაც გამოიარა შორეულ მწვერვალებზე მოკცნებე ქაბუკმა სქესთა ბრძოლის დაუნდობელ გზაზე, როგორ ჩაეფლო ქალთა ჩაბნელებული „მელომეტი“ გათბობა-განათებაზე მზრუნველი ალტრუისტი „სიამეთა მრუმე ქაბოში“, „ეაღებში და დამამში“. ქვემოთ მინდა აღზახიშვილის სახელ-განთქმულ „ქაცვიას დლიურზე“ შეეჩერდე, მით უმეტეს, რომ მხილებასა და ღვარძლზე საუბრის შემდეგ წინ მხიარული ამბები გველზე.

III

იყო ერთი ქაბუკი მწყემსი, მორწმუნე ქრისტიანი, სახელად ქაცვია. ერთელ ცხვარს რომ აძოვებდა, ჭალაში გოგო გაიცნო და გულიც შეუვარდა. წესისამებრ, მამას შუამავლები მიუგზავნა, ცოლის შერთვის ნებართვა სთხოვა. მამამ აქაჩალება არ ურჩია, მანამდე ცოდნა უნდა შეიძინო და შვილის წერტნას შეუდგა. ჯერ ყოფითზე ყოფითი სიბრძნის გაზიარებით დაიწყო, აუხსნა, რომ, თუ კაცს ბედნიერი ცხოვრება სწადია, წიღობას არ უნდა აპყვეს - ლამაზ და ორგულ ცოლს შეუხედავი და ერთგული გარდა ამეჯობინოს, შემდგომ კი ზობლის თხრობას შეუდგა და ბაბილონის გოდოლის ამბამდე მივიდა...

დავით გურამიშვილის პოემა „მხიარული ზაფხული“, რომელსაც „ქაცვია მწყემსსაც“ უწოდებენ, აქ წყდება. ძნელია წარმოიდგინო მეორე პერსონაჟი ქართული მწერლობიდან, რომელსაც ტექსტგარეთ ისეთი უბედობა დაჰყვა, როგორც ქაცვიას: ეს წერა-კითხვის უცოდინარი მწყემსი მერაბ ლალანიძემ თავის გამოკვლევაში ორი საუკუნის შემდგომი უცხოელი მოაზროვნეების ციტატებით აამეტყველა, ხოლო გივი აღზახიშვილმა ღრმადმორწმუნე გურამიშვილის პოემა „ქაცვია მწყემსი“ „ზნეობრივ კოდექსებზე მალამდგომ ნაწარმოებად“ გამოაცხადა.

ლალანიძის ოდიოზური ნაშრომის კრიტიკა შეგიძლიათ ნახოთ ჩემს წიგნში „ორნი ერთ ნაგში“, აღზახიშვილს კი იმთავითვე ავუხსენი: „დ. გურამიშვილის ნაწარმოები წნორედ რომ ქრისტიანული ზნეობის დამცველი, პრინციპულად დიდქტიკურ-მორალისტური ხასიათის პოემაა“-მეთქი!

მამინ რას წარმოვიდგენდი, აღზახიშვილზე ასე უცნაურად თუ იმოქმედებდა ჩემი კრიტიკული შენიშვნა! მართალია, მწყემსი ქაცვია მან თავდაპირველად თავის ლირიკაში ჩვეულ ჭალა-ნემოს გარემოში შემოიყვანა („აჩქამდა ნემო, მოდის სტუმარი, - / შენი ერთგული მწყემსი ქაცვია“), მაგრამ გავიდა წლები და გურამიშვილის ეს პერსონაჟი მან ზემორალურიდან ქვემორალურად ჩამოაჩვეთა! უფრო

არსებითი და თავშესაქცევი ისაა, რომ პოეტმა, რომელსაც იგივე მერაბ ლალანიძე და სხვებაც გურამიშვილის მიმდევრად მოისენიებენ, ეს ჩაიდინა პოემის ნაუკითხავად!

რატომ ნაუკითხავად?!

აღზახიშვილის სმენია, რომ გურამიშვილის პოემაში არის ფრივილური სცენები, მაგრამ დღემდე არ იცის, რომ ვაყის წიღობის გამო ქაცვზე ნაცით დაცემული ქალ-ვაყის ამბავი ქაცვიას კი არა, მის შობილებს შეეძებათ, ხოლო მას - ქაცვიას, ჯვარდნაწერი ქალ-ვაყის პირშმოს, დასაშვებად და ზნეობრივად მხოლოდ და მხოლოდ რჯულიერი, ქრისტიანული ქორწინება მიანიჩა და არა ღიქანი ჭალაში კოტრალი.

თხსულობა ნაუკითხვი რომ ჰქონდეს, განა ქუყადამჯდარი კაცი ან პოემა „ქაცვია მწყემსი“ დასახავდა „ზნეობრივ კოდექსებზე მალამდგომ ნაწარმოებად“, ან სულიან-ხორციანად ქრისტიან ქაცვიას აქცევდა თავისი უხამსი ციკლის - „ქაცვიას დლიურის“ ქვემორალურ პერსონაჟად?!

ვიდრე ამ ციკლზე საუბარს დავიწყებდე, დიდი „ქაცვლოვოს“ - ლალანიძის ერთ მოსაზრებას გავაცნობთ:

„ქართულ პოეზიაში გივი აღზახიშვილისათვის განსაკუთრებული საფიქარია დავით გურამიშვილის სახელი (მას პოეზიის მოყვარულთა წრეში საკმაოდ გახმაურებული ციკლიც კი ეკუთვნის: „ქაცვიას დლიურიდან“, გადაახილი გურამიშვილის პოემასთან, რომელსაც „მხიარული ზაფხული“ ანუ, სახალისოდ, „ქაცვია მწყემსი“ ეწოდება). ამდენად, მისთვის, როგორც გურამიშვილის დამფასებლისა და ამყოლისათვის, ბუნებრივია მინიერი ეროტიკის შესახებ, შერწყმა, შეწყობა სულიერ-რელიგიურ ზედსვლებთან“.

შევიწინა, რომ თავად ლალანიძეს გურამიშვილის პოემის მთავარი ეროტიკული სცენა - ნაცმი ეკლის შერქმა „რელიგიურად“ აქვს ინტერპრეტირებული, როგორც თეოფანია, ანუ უფლის გამოცხადება! ეტყოსა, ამ ზოლო დროს - იქნებ ჩემი კრიტიკული შენიშვნების გამოც! - მისი „ეზოთერიული ხედავ“ მეტსმეტადაც კი გამინიერებულა, თანაც იმდენად, რომ გურამიშვილის მსუბუქი, იუმორით შეფერილი ფრივილურობის დაკავშირება აღზახიშვილის ბინძურ, ყოველგვარი პოეტურობისგან განძარცულ „სექსუალურავისთან“ არ ეხამოშება.

ახლა ვნახოთ, მაინც როგორ ან საერთოდ თუ ახერხებს გურამიშვილის „დამფასებელი და ამყოლი“ აღზახიშვილი „ქაცვიას დლიურში“ მინიერი ეროტიკის შესახებ-შერწყობა-შეწყობას „სულიერ-რელიგიურ ზედსვლებთან“.

ყოველგვარი გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად ამთავითვე ვიტყვი, რომ განსახილველი ციკლის მთავარი პერსონაჟი, როგორც მოსალოდ-

ნელი იყო, კვლავაც ალბაზიშვილის სექსუალურ-ლირიკული ეგოა, რომლისთვისაც ავტორის, უმეტრებიანა გამო, ამჯერად ქაცვია დაურქმევია, ხოლო მისი „სექსუალური მისტიკრიების“ მუდმივი მონანილე, უძველესი პროფესიის დამახსოვრებელი მუშაკი – ლუსიან მონუათლავს. წლებს მანაც თავისი მიაქვს და ამ შეწყობილი დუეტთან აღარც ლუსია პირველი სიქორფისა და მამრიც, ავტორისავე სახელდებით, წამდელი „ბებერი სახედრის“.

ქალი პერსონაჟი ლუსი ავტორის ციკლის დასაწყისშივე ნაცნობი მეტაფორით შემოჰყავს – მას „უყვარს ფსკერზე შეხება ლუხის“ (გაიხსენეთ უკარება ქალბატონის „მარჯნისფერი ფსკერი“ და იქ ჩაშვებული „მძიმე ლუხები“), მაგრამ ახალ, მუსიკალურ-სექსუალურ „მეტაფორისტიკასაც“ შეაშველებს:

*მისი ხმა, როგორც სიმღერა რუსი –  
ეჭოა ვნებით გამთბარი ღრუსი.*

გამთბარი ღრუს სიმღერა მიმწყდარი არც არის და ქალის პორტრეტს ცოცხალი პლასტიკური შტრიხი ემატება – „მოხერხებულად გაიქნევს გავას“, თანაც პიკანტური საიდუმლოს გამხვლით, რომ გავის პატრონს არ აცვია ზაფხულში ტრუსი“. საერთოდ, გავის თემა მთელ ციკლს გასდევს და პროლოგშივეა აქცენტირებული ლუსის სექსტექნიკის დახასიათებისას:

*თუ შეიტყუა საწოლში მსხვერპლი –  
ჯანმრთელი გავით და მკერდით ტკეპნის.*

ლუსის პიროვნული არსი კონცენტრირებულია ერთ სიტყვაში, რომელიც ავტორის გულის გასახარად დაუყვია: „**კლე-პტომანი...**“ რადგან ეს უცხო სიტყვა ქურდობისადმი ავადმყოფურ მიდრეკილებას ნიშნავს, მისი „პოეტური ტრანსკრიფცია“ ზუსტად მიანიშნებს, რისი სიგჟეც სჭირს ლუსის.

ალბაზიშვილს ლუსის ნაყოფიერი სექსმოღაწეობის განმანათლებლური მხარეც არ რჩება აღუნუსხავი, სახელდობრ ის, თუ როგორ უკითხავს ქალი გაზონებშიშვებულ, ფიცხ „ხალი“ კლიენტებს შერკინება-შენიშობის წინ პიგიურული პროფილის „ეკოლექციებს“.

ასეთია ლუსი – ალბაზიშვილის „ქაცვიას დღიურის“ ქალი პერსონაჟი, მთლიანად ციკლი კი ლუსისა და „ბებერი სახედრის“ სექსუალური ურთიერთობის პერიპეტებს გადმოგვცემს მოგონებებისა თუ პირდაპირი რეპორტაჟის ფორმით. სიტყვიერი ოპუსები გაკეთილშობილებულია მუსიკალური ტერმინოლოგიით და შთავცავს კეთილშობილურივე სურვილით – უკვდავოს ქალი-ლეგენდა („დამპურებელი მშვიერი ერის“) და მასთან ერთად – „დღიურის“ ავტორიც!

ალბაზიშვილის შემოქმედების ანალიზი გვარწმუნებს, რომ მისი ლირიკული ეგო საკმაოდ პრეტენზიულია სექსპარტნიორის შერჩევისას. ქალი, ავტორისავე სიტყვით, მარტო ბოზი კი არა, ელემენტარული მუსიკალური განათლების მქონე მანაც უნდა იყოს, თორემ რას და რანაირად მიახვედრებს მასთან ინტერკურსზე მეოცნებე „ქაცვია“, როცა ჰპირდება:

*და ბოლოს გარჯა რომ დაგიფასო,  
წამოგამღერებ მუსიკალურად.*

ხომ შეიძლება, მუსიკალურად გაუთვითცნობიერებელ პარტნიორს სულაც ხარხარი აუტყდეს უადგილო დროს, როცა ფსევდო-ქაცვიას ამ „მუსიკათმცოდნეობით“ ტირადას მოისმენს:

*შენ ხარ ოქტავა დოს და დოს შუა  
და მე თუ არა, სხვა შეგასრულებს.*

ქალს რა „ნამიოკი“ უნდა, ეს თუ არა, სხვა გამოჩნდება, სხვა იაქტიურებს, მაგრამ... მუსიკა დაიკარგება! სხვებთან ეს პრიმიტიული თანაყოფის პროზაა, ჩვენს ვირტუოზ შემსრულებელთან კი მუსიკალური ამღერება შვიდ ბგერაში – სულ ერთ ოქტავაში („დოს და დოს შუა“)!

ლუსისთან პირველი სექსუალური პრელუდით – „ჯანმრთელ გავაზე“ შეხებით იწყება, ხოლო პოეტურ სტრიქონებში მრავალმნიშვნელოვნად პულსირებს სიტყვა „შესავალი“:

*მოუთათუნე ხელი გავაზე  
და შესავალი გავამარტივე.*

გავა – „ქაცვიას“ პირველი აღმგზნები და ლტოლვის საგანი ლექსებში დაფინებით მეორდება, მეორდება სხვადასხვა სახეობრივი ვარიანტით, მაგრამ მუდამ ამაღლებულის კატეგორიისთვის დამახასიათებელი გრანდიოზულობით: გავა „კიდობანია“, „თეთრი ფართობია“, ბოლოს კი – მთელი საკონცერტო დარბაზი! მარტაც დებიუტს („შესავალი გავამარტივე“) შორსშეღწევადაც, ღრმა მანვერი მოსდევს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილის დაფუძვლით:

*მე ვაღრმავებდი მარჯნის მალარუსს  
და მივიწვედი მხოლოდ იმ მხარეს...*

„იმ მხარეს“ გაგრძელებული „მუდამ ცინცხალი“ სიამის წამია, – გახსოვს თუ არა „ფერმატო“? – რომელიც მამრს ნეტარებით ამოათქმევინებს:

*იმდენი ბედმა შენც გავახაროს,  
რაც იმ ღამეში მე გავიხარე...*

პრელუდია და გაგრძელებული წამი იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ, საკმარისია, ლი-

რიკულდა სუბიექტმა მიერ ხნით, ორიოდე კვირით, ვერ ნახოს საყვარელი არსება და „მუსიკალური“ მოგონებები მოსვენებას უკარგავს:

*მწვანე სივრცე მდელითა,  
მზე აცხუნებს, კი არ ბუგავს,  
მომენტარა პრელუდია,  
მერე უსასრულო ფუგა.*

პრელუდია მომენტარაო, რომ ამბობს ახვანცაღლებული „ბებერი სახეადარი“, ადვილად მისახვედრია – გავაზე ხელის მოთათუნება მოსურვებია, „უსასრულო ფუგა“ კი, ალბათ, პარტიზორთან ერთად „თემის“ მრავალჯერადი კონტრაპუნქტული დაშუქებება სხვადასხვა ხმაზე მუსიკალური წამომდებლებით და „ჩახლართვებით“.

ფუგის მეტაფორა ლექსის ბოლო სტროფშიც მეორდება:

*კარგად ვიცი, რაა სწორი –  
წლების წინ თუ წლების უკან...  
გრამატიკას გადასწორის  
ჩვენი ჩახლართული ფუგა.*

მარტო ფუგა კი არა, ეს სტრიქონებიც ჩახლართულია, ოღონდ ამასობაში მეც გავინაფე გივი ალხაზიშვილის ორგანოზე ტექსტების კითხვაში და სექს-ფუგის შემსრულებლის გრამატიკული ნართაულების გაგებაც აღარ მიჭირს. ერთი სიტყვით, ფუგის ინიციატორმა გრამატიკული ნორმაც იცის, კარგად ერკვევა, რაა სწორი – წინ თუ უკან, მაგრამ გრამატიკას მოუკვდა პატრონი, როცა **წინ** – და **უკანაც**! – „ჩახლართული ფუგის“ პერსპექტივაა!

ასე ერთობა შეუბღალავი ზნეობის ტაბუკის – ქაცვიას ნიღაბქვეშ ალხაზიშვილის ლირიკული ეგო – ცრუქაცვია: დღაბუცობს, „თამაშობს“, ანუ ჩვეული უხამსობით იქცევს თავს, ავტორი კი, დარწმუნებული ვარ, ამ **წინ** და **უკან ჩახლართულ ფუგას** თანამედროვე ქართული ეროტიკული ლირიკის მიღწევადაც აფასებს.



მიადით, ერთი ლექსი-შედეგრიც ვნახოთ:

*აღარ მსვენებდა მზერა ალმაცერი,  
ბალიანი ტურნი... მკლავი ანაცერი...*

– არა, ეს ფაქიზი ეროტიკული სტრიქონებიც ალხაზიშვილისა არ გეგონოთ, შოთა ნიშნიანიძეს ეკუთვნის! „ქაცვიას დღიურის“ ავტორს მოეწონა და დააბინავა კიდეც ლექსში „ფიქრი მიკროავტობუსში მგზავრობისას“, რომელშიც ჩვეული ეკვივოკური მანერით გვიმხელს ხვაშიადს:

*მკლავზე რო უჩანს, ანაცერია,  
ბედი? რის ბედი, არ მანერია.*

...  
*იგივე ყოფა – ალმაცერია.  
და მაინც: ნეტავ, დამანერია!*

ხედავთ, რა ოსტატია ალხაზიშვილი? – ნიშნიანიძის სარიტომო წყვილს **ალმაცერი/ანაცერი** ბოლოში ასო-ბგერა ა მომუბატა, თანამედროადი სიტყვებიც „ოსტატურად“ დაამორიშორა ერთმანეთს, მაგრამ ეს ოხერი „ალმაცერი“ ვერაფრით მოარჯულა – „**ალმაცერ ყოფაში**“(!) ჩაიგდო თავი. ისე, ჩვენში რომ ითქვას, რატომ არ შეიძლება, ყოფა იყოს ალმაცერი, თუ „სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი“?!

ამჯერად მითვისება-ქურდობის ამბავი არ მაინტერესებს – ეს ცალკე საუბრის თემაა! მინდა ის გავიგო, რას ნიშნავს სტრიქონი: „ბედი? რის ბედი, არ მანერია“. რა არის ის – ალუზია აკაკის „მუხამბახისა“: „თავი ჩემო, ბედი არ გინერია“? თუ ასეა, მაშინ უნდა იყოს „არ მინერია“, მაგრამ მოკლე ტექსტში „არ მანერია“ ორგზის რომ მეორდება?!

ჩიხში შესულს და დაბნეულს აქ ძველი გამოცდილება დაემხმარა: ალხაზიშვილი ხომ კორექტურით (პილატელისტი / ჯილატელისტი; ამპუტირება / ამპუტირება) თამაშის და კალამბურულ-ეკვივოკური ორპროვინების ტრფიალია! ჰოდა, „იდუმალი“ ტექსტი უცვებ, ერთბაშად ვაცხადდა: რაც მე ბედის სამდრეო და ფილოსოფიური ელგია მეგონა, თურმე ფარგონში შეიზნული სექსუალური გოგება ყოფილა!

ზის მოწყენილი „ქაცვია“ მიკროავტობუსში, თვალიწინ უდგას „ოქტავა“ ქალი („დღოს და დღოს შუა“), ვინც მშრალად გამოისტუმრა, და მოთქვაშა: ჩემი ბედისა რა ვთქვი, ნახე, ამ ბოზმა – გამწარებულზე „ოქტავას“ ხომ არ იტყვია! – „არ მანერიაო...“ წელს კი იტკივებს „ხაზმოცარული“, მაგრამ მე მაინც ამ ჯიგატის ჯიუტი ოპტიმიზმი მხიბლავს, ქალის ორგანიზმის უარის მიუხედავად ოცნება რომ არ ტოვებს:

*რალაც ამტკივდა, ალბათ წელია.  
და მაინც: ნეტავ დამანერია!*

„არ მანერია“ – „დამანერია“ – აი, დრამატული განცდის ორი პოლუსი, რეალობისა და ოცნების შეჯახება, ასე ფილიგრანულად რეალიზებული „ბისმანტიკურ“ თამაშში!



უკვე ვიცი, რომ ქალის უკარებლობა და უარი ალხაზიშვილის ლირიკული ეგოს მრისხანებას იწვევს, რასაც სასჯელის სახით მამბლებელი სტრიქონები მოჰყვება. ამის ნიმუშია „ქაცვიას ციკლის“ ლექსი ინკონკრეტო ბანოვანისადმი – „N-ს“, რომელიც, ჩემი მოკრძალებული ვარაუდით, სამაგიეროს მიგებას ჰგავს იმ ქალისადმი, რომელმაც „არ ანერია“:



აღმოვაჩინე, შენ თვითონ ხარ  
პანდორას ყუთი,  
სანსლავე ასოებს,  
ძირითადად სარგებლობ ყ-თი.  
შენთვის ერთია ათჯერ შეიდი  
და ცხრაჯერ ხუთი,  
რუსულიც იცი,  
ძირითადად სარგებლობ ხ-თი.

შენ იცი ფასი ყავის ქაფის -  
რუსულად „პენ“-ის,  
მომხმარებელი კოსმეტიკის,  
აგრეთვე ფენის.

ვისაც კომპოზიციის რაიმე გაეგება, იცის, რომ ლექსისთვის ბოლო სტრიქონებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს - ძირითად სათქმელი ფინალში ითქმის. ამიტომ არც ღირს მცირე შენიშვნა რითმის ამიკი ავტორისადმი, რომ რუსულად ქაფს „პენი“ კი არა, „პენა“ ჰქვია; ნურც დასაწყისშივე დაყვედრებული ართმეტიკის არცოდნასა და ორალური სექსის სიყვარულში („სანსლავე ასოებს“, „სარგებლობ ყ-თი“, „სარგებლობ ხ-თი“) მხილვას მივუთვლით მთავარ ბრალდებად - რას არ იტყვის განზილებული კაცის ენა!.. ლექსის ფინალმა, თუ არ ვცდები, არმემდგარი, ჩაშლილი ინტერკურსის ნამდვილ მიზეზს მიავანებინა.

ალხაზიშვილის ლირიკული ეგო, ამ შემთხვევაში - „ქაცვია“, ე.წ. ფასიან სექსს არის ნაჩვევი - გაიხსენეთ ნებარების წუთებში ლუისისთვის შენაპირები საკაბე („ბრძანა: მიყიდ ოლინდ საკაბეს“) და ისიც, ეკულაციისთანავე რა პოეტურად „გადააგლო“ პარტნიორი: „მშვიდობით, ლუსი, შენი საკაბე / ავეისტოს ნათელს უნდა წაეართვა“. საეარაულოა, რომ „პოსლუს“ ნაჩვევი მამრი N-ს ადრე შეპირებული კოსმეტიკისა და „ფენის“ გარეშე მიადგა, უპირო კლიენტს კი კარი მიუხურეს. ლექსის ფინალში სწორედ გამოგდებული მამრის მთავარი მხილება გატანილი, ასოყლაპია ქალბატონ პანდორას ყუთის საშინელ ცოდვას - ანგარებთანობას ნიშნისმიგებით რომ „უბაზრებს“; შე კოსმეტიკისა და ფენის მომხმარებელი!

ქართულ პოეზიაში უსაფრთხო სექსის - პრეზერვატივ „სიკოს“ პირველი პროპაგანდისტ ტარიელ ჭანტურიაა. როგორც ჩანს, ამ პროპაგანდამ მის უახლოეს გარემოზე, კერძოდ გ. ალხაზიშვილზე, პოზიტურად იმოქმედა:

ბარის ბინდბუნდი,  
ქალი ვარდივით,  
ჯიბებში „სიკო“-ს  
პრეზერვატივი.

....  
ვზივარ, ვარშოვობ,  
ვწრუპავ კონიკას  
და თავი  
ფადიშაპი მვონია.

ბარში, ვარდივით ქალის გვერდზე, ტყიდან გამოყვანილი „ქაცვია“ ფადიშაპით გრძნობს თავს - ხუმრობაა? - ჯიბეში მეტრის მიერ ნაქები ფირმის პრეზერვატივი უდევს! - მერე კი ლუსისთან დარდიმანდულად ახსენებს „ლამის ძრავას“, შესათარეშებლად და დასალაშქრად ეზზადება და „შიდანვის“ ფანტასტიკურ მაჩვენებლამდე გაზრდასაც იქაღის:

ლუსის სიყვარულს ვთხოვ რიგგარეშედ,  
ერთჯერად ზვევნას, როგორც ჭიჭა-წყალს,  
მინდა ლუსიში შევითარეშო,  
გავაასკეცო ჩემი შიდაწვა.

ამას მოსდევს ქართული პოეზიისთვის უჩვეულო, „ექსტრიმში“ გადავარდნის ბოზოქარი სურათი - ლუსის სამზარეულოში დატრიალებული ნამდვილი ქარიშხალი:

ჩუმად ღლინებს და თლის კარტოფილს,  
თანა მავიდაზე გადასწარა,  
გამომიშვირა თეთრი ფართობი,  
გაიშრილა ჭრელმა ნიფაგმა.

...  
მავრამ უეცრად გატყდა გრაფინი,  
ამოყირავდა მერე მაგიდა,  
შემსინებული ძირს რომ დაეფრინდი,  
ეთქვი: ამ დედაკაცს რამ გადაშკიდა.

და როცა მსურდა შიშის ელდები  
როგორმე გარეთ გამომეყვანა,  
ამომჩხაოდა: ნუ შეხერდები,  
თუნდაც დაიქცეს მთელი ქვეყანა.

მიდი, განაგრძე, გემუდარები,  
ეს ჯამ-ჭურჭელი მიღირს არაფრად,  
ლუსის, მართლაცდა შეუდარებელს,  
ვერ დაეგდებდი ბუღის ანაბრად.

თუ სექსით თავგანწყობება, ასეთი უნდა! აბა, იმ „ერთ კაცს“ ხომ არ დემეგანება ეს კაცი-ძრავა, ვისზედაც ასე ქილიკობა:

ფრთხილად მიპყვება ცხოვრების რიტმებს,  
კვლავინდებურად აღმერთებს ბლანსს,  
დროგამომეებით შიმშლასაც ითმენს,  
ხშირად, ბუნებრივ სურვილსაც მალავს.

გურამიშვილის პერსონაჟი - ყვაე-ჩხიკვათა ჩხა-ვილით დამფრთხალი ქაცვიას მამა (და არა ქაცვია!) უიმედოდ ჩაიჭრა ღიჭიან ჭალაში, შეტევაზე გადა-

სული აღზაზიშვილის „ქაცვია“ კი არაფრად აგდებს ნივთებისა თუ საგნების მსხვერველა-გადაბრუნებას და ქალის დაყინებული თხოვნით, – ფრენა-ფრენაში! – საქმე ბოლომდე მიჰყავს!

სამარადისო დიდება მას, ვინც უცხო ტომის ბანოვანთან ეროვნული ღირსება გადაგვირჩინა!



ეროვნული ღირსება შემთხვევით არ მიხსენდება. სექსი აღზაზიშვილის ლირიკული ეგოსთვის მხოლოდ სექსი ხომ არ არის – ეს შუალედებში პოეზიაზე, სანუთროზე, ერსა და სამშობლოზე ფიქრის ჟამიცაა.

აი, ნეკს „ქაცვია“ ერთ-ერთ დაქირავებულ სექს-მუშაკთან, ბორცვებს ეაღერსება და პარალელურად განცდის პოეტურ ყალიბში დაუნჯებაზე ფიქრობს:

*იდუმლი და ბნელი ბორცვების  
მსურდა ჩამოქნა ცეცხლის ტაეპად.*

ინება კიდევ ერთი მგზნებარე ღამე, რომელიც „ხშირან მთვარის ქსოვილით ცდილობს გადენდებს“ (!). ამ „გადენდებულ ღამეში“ „ქაცვია“, ქალის უარსა და ჰოს შუა „ღამის ძრავას“ რომ ასვენებს, დროს უქმად როდი კარგავს, ვნების აღუვსებლობის საკაცობრიო პრობლემებზე ფიქრობს და საკუთარ დასკვნას ამის თაობაზე პარტნიორ ქალს „აუზისა“ თუ „ღრუს“ ავსება-აუვსებლობის ყოფით მაგალითზე განუმარტავს:

*შენ ხომ განუწყვეტლივ ივსები და  
მერე ისევ რჩები აუვსები.*

ახლა ორიოდე სიტყვა სექსთან შეზავებულ პატრიოტულ და რელიგიურ მოტივებზე. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ავტორი ლექსის დასაწყისშივე აღნიშნავს ხოლმე სექსპარტნიორის ეთნიკურ თუ ეროვნულ წარმომავლობას. მაგალითად:

*მერე რა ვუყვით, რომ არის რუსი,  
მშვენიერია პატარა ლუსი.*

„ქაცვია“ მამაკაცური ვნებათაღელვა მხოლოდ რუსს როდი მიემართება:

*ტყის სიახლოვეს სახლი დვას,  
კეპლით ცას ერთვის მუხარი,  
იქ მელიოდება გოგონა,  
ნათათრალ-ნაყალმუხარი.*

ეს „ნათათრალ-ნაყალმუხარი“ მაინც გარუსებულს უნდა გულისხმობდეს, რადგან გოგო ძალის გასასამზაგებლად „სამაგონს“ სთავაზობს ქართველ „მუყრინას“. სანამ „საქმეს“ შეუდგებოდეს, ლიბიდოსგან თვალზე ლიბრგადაკრული ქართველი პატრიოტი ლექსის ფინალში „ვაი, რა ბოძი ნაგვექცას“ ჰანგზედ ნაუგურამიშვილებს:

*ვაი, შენ ჩემო სამშობლოო,  
დედის და მამის ამაგო,  
ის თუ მიშველის, ვინც შემქმნა  
და არარასგან ამაგო.*

კარგია, ლექსი რომ ამ მთავრდება, თორემ, ცოტაც და, გაცუდდებოდა დედ-მამის ამაგი, უქმად გაიფლანგებოდა ქართული გენოფონდის წყარო „ნათათრალ-ნაყალმუხარ“ გოგონაზე და შემოქმედის ხსენებაც დაგვიანებული და ამაო იქნებოდა.



მოდით, ზემორე მოთქმა აღზაზიშვილის ლირიკულ ეგოს ეროვნული თვითშეგნების გამოვლენად ჩაეთვალოთ, ხოლო ლულისთან მრავალგზისი კოიტუსი – სამშობლოს დაუძინებელ მტერზე სისტემურ, თანამიმდევრულ შურისძიებად, ოღონდ ჩაგებდით ერთ ოპუსსაც, რომელიც „ქაცვიას დღიურში“ არ შედის, მაგრამ ხანდახმული ავტორის უდრეკ-უცვლელ, აღ-ნაზოვან პატრიოტულ მოზიციას გვიდასტურებს. ლექსს ჰქვია „დილის კონცერტი“, ქვესათაურად კი მიწერილი აქვს: „(ძველი ალბომი)“. ეს არის მოგონება, რომელიც ბზის კომპლისა და ბიჭვინთის ქალის ხსენებით მშობლიურ, დაკარგულ მინაზე წოსტაღვისთვის განგვანცობს. დიას, ლექსის ლირიკული სუბიექტი აფხაზეთზე ფიქრობს, ოღონდ ეს ფიქრი სანაპიროზე ხტიალს, შზის დამათრობელ სურნელს და იქ განცდილ მუსიკალურ „ნეტარყუსს“ უკავშირდება:

*თქვენ გკონდათ იმედი მომღერალ ხმოვნების  
და ერთხორც ქვეული ორივე თანხმონის,*

– ასე მიმართავს მოგონებაში ჩაძირული მამრი დაუწინყარ მდედრს, შემდეგ კი ინტერკურსის აღწერა ჩვეული მანერით მუსიკალურ „მეტაფორისტიკაში“ იფუთება, ანუ „სიმებიანთა ხაოები“ მსოფლიო ორკესტრში სასულე-ჩასაბერ ინსტრუმენტთა სოლოს უერთდება:

*და სიმებიანთა ბგერების ხაოებს  
ამრავლებს ზემი და საკრავებს სასულეს  
ჩაბრავს ბებერი სამყარო ზელახლა...*

აფხაზეთის, იმავე „მოკვეთილი კიდურის“ ტკივილი და ამ ტკივილში ლუზის ჩაშვება მუსიკალურად გაფორმებულ სექსუალურ ექსტაზს მოსდევს, რადგან... დაიკარგა ძვირფასი ტოპოსი – ადგილი აღზაზიშვილის ლირიკული ეგოს ეპოქალური სექსუალური გმირობისა.

არ გამაგონით ახლა, რომ ამ ლექსში სექსი და „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“ ერთმანეთისგან გათიშულია!



„ქაცვიას დღიური“ ლუსისადმი მიძღვნილი ლექსით გაიხსნა და ლუსისავე სიზმრის გადმოცემით იხურება. რა ესიზმრება „პატარა ლუსის“, „რომ არ აცვია ზაფხულში ტრუსი“? რა და – „შავი ხე“!

მე ციკლის ენაბლში მიღწეული თვალმუყუდგამი ესთეტიკური დონე მოცეკვს – ლიბიდოს სუბლიმირებული პოეტურ-მუსიკალური გარდასახვა:

*რა შავი იყო... შავი იყო ხე...  
ხის კენწეროებს, რტოთა სწორ ხაზებს  
და სიზმარს, სადაც ბევრი იხოზე,  
დღეს იმეორებს ბაზი ორგანზე,  
ცაში, გუბეში, ანუ ორგან მზე,  
ნიაიე ჩუმი და მოლასლასე  
და შენი ფიქრი მორიგ ორგანზე,  
ცის მოთენთვაზე და მზის ჩასვლაზე.*

სიზმარულ შავ ხეზე ხობიალის იმგვარი მუსიკალური აუღერება, რომელსაც თვით იოპან სებასტიან ბაზი ბაძავს („აღლეს იმეორებს ბაზი ორგანზე“) და ქალის „მუღმიე ორგანზე“ მედიტაციის ლამის ომონიმური, სამეგრადი რითმით გახმოვანება (ორგანზე/ორგან მზე/ორგანზე!) და, განა პოეტური სასწაული არ არის, რომდესაც სექსი, მუსიკა და პოეზია ერთობლივად, შეხმატკბილებულად ზეიმობს გამარჯვებას?!

ალბაზიშვილის სექსუალურ-პოეტურ-მუსიკალური გენიის ნაყოფს – „ქაცვიას დღიურს“ აპოთეოზად სწორედ ამ დონის შემოქმედებითი ორგია შეეფერებოდა!

ის, რაც აქამდე წაიკითხეთ, ორგანულია ალბაზიშვილის პიროვნებისა და პოეტური „ნიჭისთვის“, მაგრამ საკითხავი აი, ეს არის: ამ უხამსობებისა და სკაბრეზის მღერეე ნაკადს რა კავშირი აქვს ან „მხიარული ზაფხულის“ პერსონაჟ ქაცვიასთან, ან, მით უფრო, ჩვენი „რიფ-მაჩოს“ „განსაკუთრებულად საფიცარ“ (ლანანიქ) დავით გურამიშვილთან?!

როცა საქმე სხვებს შეეხება, ალბაზიშვილი ხმას იმალღებს „ზნეობრივის, ეთიკურის ხელალებით უარყოფის წინააღმდეგ“, მაგრამ რა არის „ქაცვიას დღიური“, – აქ მისივე სიტყვები უნდა დაეუბრონო! – თუ არა „ნებისმიერი სიშუმლის, საჩვენებელი დაწყვილების თუ საჯარო ონანიზმის დამკვიდრების მცდელობა, ორგანისა და ერექციის თაობაზე გაუთავებელი და უსაგნო ბუტური“?!

IV

ისედაც გრძელი წერილის დამთავრება აქ შეიძლება, მაგრამ ალბაზიშვილის სექსუალურად კოლორიტული სახეებიც გამოიმწევედა ითხოვენ ყურადღებას, მაგალითად:

კახა – „მექანიკურ სათამაშოსავით რომ ხტის ფულით დაქოქვის შემდეგ“!

მამრი, რომელიც „პრეზერვატივის პარამუტით დაეშვება იქ, სადაც არაერთხელ დაშვებულა“!

ჰიპერბოლიზმითა და ინტიმით ერთდროულად იქცევის ყურადღებას მეტაფორა „ქალი-სახლი“:

*მე რომ ვცხოვრობდი,  
შენ ხარ ის სახლი,  
და შენში ახლა უცხო ბინადრობს.*

არა, ეს სტრიქონები ყოფილ „ჟილპლომადს“ არ ეხება – ეს მონატრებული ქალის პოეტურ-ჰიპერბოლიური წარმოსახვაა „იმ“ პროცესში:

*აქამდე აღწევს ვრცელი ხმოვანი,  
შენი სუნთქვიდან ამოღწეული,  
შენსავით თბილი და ბუნდოვანი,  
სხეულის ბინდში გამოხვეული.*

ამ სტრიქონების აეტორი, უპირველესად, პოეტური სახეებით მოაზროვნე ლექსის მწერალია და მხოლოდ შემდეგ – მამრი: მისთვის მთავარია, დახატოს განცდა – გადმოსცეს ქალი-სახლის გრანდიოზული ორგანში, ხოლო მის დათნებულ ბუხარს რომ სხვა უჩუჩურებს და აგუზგუზებს, ეს უკვე ნაკლებად აღეკვება.

ალბაზიშვილის ლირიკაში არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც ვნებიანად გაილეგებს ქალის მკერდი, იგივე ბორცვები, რომელთაც, თუ გახსოვთ, „ცეცხლოვან ტაეპებად“ უპირებდა ჩამოქნას; აქ კი, ნახეთ, რა ფაქიზად ეროტიკული შედარებაა:

*შენი მკერდით ჰყვავის  
თეთრი იასამანი.*

ამ დამაბრმავებლად მშვენიერ სახეს მაინც მიწიერ შეფერილობას აძლევს ნიავის ცულლუტობა იასამნის უბეში. სულ სხვაა ფიზიოლოგიისგან განწმენდილი, პოეტის სულის ასტრალურ ნათელში აღმოცენებული ხილვა:

*დავუბრუნდები ლამულ გვირბას,  
რომელიც ალბათ გამოვივან დღეში,  
რომ შენი მკერდით ავსილი პეშვი  
მზედ მოვაჩვენო ღრუბლიან კვირას.*

„მკერდით ავსილ პეშვს“ ერთგვარი ნატურალიზმი კი ახლავს, მაგრამ, როცა პოეტი-დემიურგის ხელში, უფრო ზუსტად – პეშვში, მკერდი წამისყოფით მზედ გარდაისახება, იბადება არცთუ უკარება, ძუძუმზე სატრფოს მონუმენტური ხატება! ეს მიწიდან ცაში ატყორცნილი ეროტიზმია, მაგრამ ოდნავ, სულ ოდნავ ბუნდოვანია, რას გულისხმობს „ღრუბლიანი კვირა“, რომლის გასაცუცურაკებლადაც ალბაზიშვილმა კოსმიური ტრიუჟი წამოიწყა?!

ც.ს.კ.



ლექსი „ექოს ექო,“ რომლის თემა ძუძუ-მკერდის ქებაა, ბიბლიური „ქებათა ქების“ ცნობილი შედარებით არის შთაგონებული: „ორი ძუძუ შენი, ორი თიკანი“. სოლომონის შემდეგ რამ უნდა გაგაკვიროვოს კაცი, მაგრამ აღზახიშვილის ლექსში, გადაუჭარბებლად გეტყვით, იგავიშუნიშდომული, გამაოგნებელი მხატვრული პარალელია მიგნებული:

*ორი თიკანი მყავდა,  
თეთრი, ტყუპი თიკანი*

...

*თრობით, სურნელით  
ვერ სჯობნიდნენ ენოთეკანი.*

„ენოთეკა“, სალექსიკონო განმარტებით, ღვივნის ქარხანასთან მონყობილი საცავია, სადაც ბოთლებში ჩამოსხმული სხვადასხვა მარკის კოლექციები ინახება. ენოთეკა მარანი არაა, არც მათრობელაა და არც სურნელოვანი. კაცი რომ ძველი თუ ახალი სულამითის მკერდს თავდაცობილობითლებიან ამ საცავს შეადარებს, კაცი კი არა, მართლა „რიფ-მარჩა“: **თიკანი – ენოთეკანი...**

აღზახიშვილის ლექსიდან მოულოდნელად ისეთი ცნების სექსუალური დახასიათება შემოგანათებს, სულ რომ არ მოელი, მაგალითად, „ხედავ **წარსული**“:

*შენი წარსული ქცეულა ზეადად,  
ამძუნებული რომ აებუზე.*

ეს სტრიქონები უსათაურო ლექსიდან არის, აღზახიშვილის ლირიკული ეგოს აღსარებდან და ასე იწყება: „თითქოს ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ...“ ვრცელ განმარტებას არ ვაპირებ, უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ „ამძუნება“ ცხოველებზე ითქმის და სქესობრივ აღგზნებას, ახურებას ნიშნავს. რითი დამთავრდება „ხედავ წარსულისა“ და „ამძუნებული“ არმიყი, ძნელი გამოსაცნობი არაა, ადამიანმა კი ისე არ უნდა იცხოვროს, რომ ზეადად ქცეულ საკუთარ წარსულს, მხილების შიშით, **დუმისლის საფასურად**, მორჩილად აებუზოს!

აღზახიშვილმა შედარების ეფექტის ბოლომდე გააზრებით თბილისის დასამახსოვრებელი პოეტური ხატიც შექმნა:

*რამის ყოველთვის რაღაცას ადრიან,  
თბილისსაც, ამ მთების ლაგებში ამოჩრილს...*

თბილისი ასე ორიგინალურად ბარიდან არის დანახული. ავტორის მოძალეხულ პოეტურ იმპრესიებს სექსუალური შეფასებანი ახლავს: აგერ სეაგონა ხელოვნური ღიმილით და „ჩამქრალი თვალებით – ფრი-გიდულით“, იქით კი, სადაც ბოლომდე გამიშვლებული მდებდრობითი არსებანი არიან, –

*დეკოლტეების და მთვარისფერ მუხლების ტექსტებს ნაკითხულებს ფსკერი უჩანს.*

სწორედ „ქალის სხეულის შიშველი მთავრულის“ კითხვისას, ფემინურ გარემოცვაში ამოიზრდება თბილისის მასკულინური ხილვა, ხოლო, თუ რას ადარებს აღზახიშვილი „**მთების ლაგებში ამოჩრილ**“ თბილისს, წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა!



აღზახიშვილი ერთ ლექსში ანდერძით გეიტოვებს უნიკალურ დაკვირვებას ქალის შესახებ თუ როდის ენატრებათ ქალწულებს სიშობა:

*როდის დაიწყება ნეტავ ალოობა –  
ჰაერს რომ ამჩატებს სურნელი სათიბის,  
როცა ენატრებათ ქალწულებს ქალობა  
და რომ არ გადიან ზოზინა საათები.*

პოეტის რჩევა, იქნებ, პრაქტიკულ ღირებულებას არ იცოს მოკლებული: იგრძობთ თუ არა სათიბის სუნს, ალოობისას, გაგანია შრომის ფაშს, მიატოვეთ ყველაფერი, რადგან დამდგარა ხელსაყრელი დრო ლოდინით დაღალულ ქალწულთა განქალწულებისა! ადგილზე გამოძახებაც შეიძლება დეფლორაციაშიანატრებული მდებდრისა, გამოიძახეთ და ისევე უშეღავათოდ დადებგერეთ, როგორც ეს აღზახიშვილის ლექსშია:

*ერთმანეთს ვეძებდით, ვავსებდით, ვთიბავდით,  
ვანუნდით, ვკონავდით, ვკოცნიდით, ვცელავდით.*

ეს პროზაული სასოფლო-სამეურნეო სიტყვები – თიბვა, კონვა, ცელვა ნუ შეგაშინებთ, რადგან დანვენა-შევსება ისეთი ექსპრესიით და ინტენსივობით მიმდინარეობს, რომ ჭარმაგი ავტორის სსოვნასაც კი აფორიაქებს.

... და ეს ყველაფერი ალოობის ფაშს მომხდარა – „როცა ენატრებათ ქალწულებს ქალობა“!



აღზახიშვილის ბოლო კრებულში „ჩაბრუნებული მზერა“ არის მისი ლირიკული ეგოს სექსუალური ცხოვრების შემავაამებელი სტრიქონები:

*გაებუზრდი დღე-ღამით და მორიგეობით,  
ამ გახდა-ჩაკმით და  
მოპრძანდი-დაპრძანდით,  
ამ ქალის,  
იმ ქალის  
მორიგი ხეობით  
სიღრმეთა ძიებით და მგონი... დავბრძენდი.*

რაც ამ დაუდგრომელმა კახანოვამ „ხეობები“, „მღვიმეები“ და „მალაროები“ დალაშქრა და აითვისა, „ფსკერის“ სიღრმეებში ჩააღწია, „ვიწროებსა“ და „ღრუბებსაც“ ეწვია და აკრძალულ ადგილებში ტენიანობა და ტემპერატურა ზომა, გაბეზრდებოდა, აბა, რა იქნებოდა!

გამოცდილებას და ასაკს, მართლაც, სიბრძნე მოაქვს: დაგბრძნადიო, – გვეუბნება ადგილობრივი და გონივრული გადაწყვეტილებაც მოუღია. როგორც ლექსი „მორბენალი სტრიქონი“ გვამცნობს, გასაყიდად გამოტანილი ნივთების ვრცელ სიაში ასეთი ადგილიც არის:

*ვყიდი მარჯვენა თვალს, მარცხენასაც,  
 სხვა ორგანოებსაც, იმასაც...*

რადგან „იმასაც“ შეღვევია, იმედია, ამიერიდან მაინც აღარ შეგვანუხებს აღმოდებული „გვარიდან აწვდილი ხაზის“ – „ალ-ხაზის“ სექსუალური ოპუსები ლექსად – მდარე ეკვივოკური მინიშნებებით, „კლავიშებთან“ ცუდლუტობით, „საეჭვო ამღერებებით“ და გაჭიანურებული „ფერმატოთი!“

ერთში კი შეუძლებელია არ დაეთანხმო ალხაზიშვილს:

„პოეზია სწორედ მაშინ კვდება, როცა გამორჩეულობის უჩინო ათას სისულელეს ნამოაძახებინებს ავტორს, როცა თვალშისაცემია მისი ნაიდილი, როგორმე, რითიმე ყურადღება მიიპყროს, თუნდაც სიშიშვლით ან უხამსობით სხვათაგან გამოირჩეს“ (გალხაზიშვილი).

**P.S.**

გივი ალხაზიშვილი ერთგან წერს:

*შენ წაიკითხავ საშინელ ამბავს  
 სახიდან ნიღაბს რომ გადამაცლი.*

ნიღაბგადაცლილი კაცის „საშინელი ამბავი“ წაკითხულია და, ვფიქრობ, აღარც ისაა საორჭოფო, რაც ალხაზიშვილს გულისგულში, დიდი ხანია, აწვავს: ვინ არის იგი – „ვინმე პოეტი თუ ხელოსანი, / ლექსის მთხზველი თუ მკერავი წულის?“


**ალხაზიშვილი მოშაირეთა ამქრის რიგითი „ხელოსანია“ – შა და შა, რიგითი „ლექსების მთხზველი“, მაგრამ არამც და არამც – პოეტი!**

უხამსი, ვითომ თანამედროვე ფსევდოეროტიკითა და ე.წ. ფილოსოფიურ ლექსებში ნასხვისარი თემების, იდეების, სახეების დაუსრულებელი ვარიირებით პოეზია არ იქმნება. ალხაზიშვილის ლექსების დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით ბოლო ოცწლეულისა, ამზუურებს შემოქმედებითი იმპოტენციით გატანჯულ, პრიმიტიულ სულს, რომელიც მარადისობასა და არარსებულ „სიღრმეებზე“ მთქნარებამდე მოსაწყენ ლაილას ვერსიფიკაციული ფრიქციებით – „რიფ-მაჩიობით“ და „მიბგერწერებით“ ნიღბავს.

რით ვანუგეშო გაბზარულ ვარცლთან ჩამუხლული, დიდი პოეტური სტაჟის მქონე კოლეგა?! „ვირშების“ წერას ეგ აღარ მოიშლის, საკუთარი მომავალი კი, ნათელმზილველივით, ჩემზე ადრე განჭვრიტა:

**იჯექ, აგრძელე სიტყვების ხლართვა,  
 წურვის წურაფერს გადააბრალღე.**

# თლოგ გთლიაბე



აქ რჩებენ წმინდერ ჟიონს  
ინწყოფის მამაცყველ ჟელმთაქმნი

რამენზია

## სულთამარგაბელი წიგნი

1909 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში – „იოანე პეტრინონელი, XI-XII სს. ქართველი ნეოპლატონიკოსი“ – აკად. ნიკო მარი წერს: „X და XI საუკუნეებში ქართველები ფილოსოფიის სფეროში ინტერესდებოდნენ იმავე საკითხებით, რომლებთაც სასოობდნენ იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს პროგრესული აზრთამყრობელები (როგორც აღმოსავლეთში, ასევე – დასავლეთში), ოღონდ სხვათაგან, მაგალითად, ევროპელთაგან განსხვავებით, მაშინ ქართველნი სხვებზე ადრე ეხმანებოდნენ ფილოსოფიური აზროვნების ყველაზე უახლეს მიმდინარეობებს და თავისი დროისათვის სანიმუშოდ ყოველმხრივ მომზადებულნი მუშაკობდნენ უშუალოდ ბერძნული ორიგინალების ტექსტობრივი კრიტიკის განასერში“.

ამ რიგის კულტურის მოღვაწეთა შორის აკად. ნ. მარი წმ. ეფრემ მცირეს პირველხარისხოვანთა წრეს აკუთვნებს უშეღვათოდ. მრავალმხრივ განსწავლულ მნიგნობარ-მოღვაწედ ნარმოგვიჩნდება ეფრემ მცირე (მეცნიერ-კულტუროლოგი, თეოლოგი, მთარგმნელი, გრამატიკოსი, ლექსიკოლოგი, სახისმეტყველებითი ეგზეგეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი...) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. გიორგი ალიბეგაშვილის მონოგრაფიაშიც – „წმ. ეფრემ მცირე და ქრისტიანული კულტურის საკითხები“.

გიორგი ალიბეგაშვილის ზემოხსენებულ წიგნში სათანადო საისტორიო მასალების გამოწვლილითი მოხმობით ნარმოჩენილია წმ. ეფრემ მცირის პიროვნებისეული მომენტები, მაღალმეცნიერულ დონეზე მიმოხილულია მისი ორიგინალური თხზულებები („უნწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“, „ფსალმუნთა თარგმანება“, „მოსახსენებელი მცირე სვიმონისათვის ლოლოთეტისა“), აგრეთვე, ის არცთუ მცირერიცხოვანი ანდერძ-მინაწერი, კომენტარი, თანადართული წმ. ეფრემისეული ნათარგმნი ბიზანტიური ძეგლებისთვის; ასევე, კვალდაკვალ, მისასაღმებელი პროფესიული ძალისხმევით გამოკვლეულია ქართული ეკლესიის ისტორიისთვის ერთობ მიზანსწრაფული მონაცემები, სახისმეტყველებითი ეგზეგეტიკის ფუძემდებლური პრობლემები, პავიოგრაფიული მწერლობის ლიტერატურული პრინციპები... და ყველაფერ ამას უარესად კეთილსინდისიერად ზურგს უმაგრებს მირიადი სამეცნიერო ლიტერატურა (ქართველი და უცხოელი მკვლევარებისა).

ნიგნის მომცველ საკითხთა წრე ასეთია:

1. შესავალი;
2. ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხები;
3. ქრისტიანული სახისმეტყველების თეორიული პრინციპები;
4. მეტაფრასტიკის ისტორიიდან;



- 5. დასკვნები;
- 6. რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- 7. შენიშვნები, სქოლიოები და გამოყენებული ლიტერატურის სია.

ამთავითვე უნდა ითქვას (ყოველგვარი კოლეგიალური, პირადული თუ პროფესიული მომენტის გათვალისწინებით): ნაშრომი უცილობლად დასტურთა იმისა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის სამეცნიერო სკოლა, რომლის მამამთავრადაც აკად. კ. კეკელიძე მიიჩნევა, საბუნდევოდ, კვლავაც მოქმედებს და აგრძელებს თავის საუკეთესო ტრადიციებს. ეგვიპტარ წილსვლას, თითქოსდა დითირამბულს, ვფიქრობთ, არაფერ აღიქვამს მავანი მეცნიერის (ამვერად გ. ალიბეგაშვილის) მიმართ რეცენზენტის პიროვნულ კეთილგანწყობად...

წმ. ეფრემის ბიოგრაფიული ცნობები მწირია. ზოგი წყაროს მიხედვით, იგი კარიჭისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელია. კ. კეკელიძის ფრთხილი ვარაუდით, ეფრემი სუმბატ დავითის ძის თხოვრებაში მოხსენიებული ვაჟე კარიჭის ძის ვაჟად მოიაზრება. ბიზანტიაში მისი დამკვიდრება, როგორც ჩანს, დაკავშირებული უნდა იყოს იმ ისტორიულ ავბედით ფაქტთან, რასაც ქართველ დიდებულთა იძულებით გადასახლება სახელდება; კერძოდ, ბიზანტიის ხელი-სუფუძლია წრეები „მოშობილელი“ დაპირებებით აიძულებდნენ იბერიის მკვიდრთ, დაეტოვებინათ საკუთარი სამოსახლოები და კეისრის სამეფო კარზე მოეძიათ „უკეთესი“ სამსახურებრივ-ყოფითი ადგილები...

სავარაუდოდ, ეფრემის თავდაპირველი ადგილსამყოფელი, განსასწავლი ბუნქტი საძიებელია წმ. გიორგის სახელობის მონასტერთან არსებულ მანგანის აკადემიაში, სადაც მან მიიღო ბერძნული განათლება; შემდგომ კი ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე გადასულა სამოღვაწეოდ, რადგან ათონის მთაზე იმ დროისთვის ქართველ-ბერძენთა ურთიერთობა დაძაბული იყო, რაც, საფიქრებელია, შემოქმედებითი საქმიანობისთვის არასასურველ გარემოს ქმნიდა. წმ. ეფრემ მცირის პირველ სულიერ მოძღვარ-მასწავლებლებად მიჩნეულნი არიან საბა სულას ძე თუხარელი და ეფრემ დიდი ოშკელი, რომელთაც, ჩანს, მოწაფე ეფრემი აზიარეს საკუთარი ლიტერატურული სკოლის საღვთისმეტყველო ლიტერატურულ ტრადიციებს, მთარგმნელობით პრინციპებს...

საბა თუხარელისა და ეფრემ ოშკელის მიღმა წმ. ეფრემ მცირე თავის მოძღვრად მოიხსენიებს, აგრეთვე, იოანე ფარაკნელს, ხოლო წმ. დიონისე არქიმპაგალის თხოვრებებზე დართულ ანდრძ-მინანერში ეფრემი თანამდგომ-მოძღვრებად ასახელებს ანტონ ტბელსა და ბერ კვირიკე ალექსანდრიელს, რომელთა „მოღვაწეობითა და ზრუნვითაც“ მოხერხდა ამ თხოვრებების ქართულად გადმოღება.

აღსანიშნავია, წმ. ეფრემ მცირეს მწიგნობრულ-შემოქმედებითი ურთიერთობა არ ჰქონია ათონზე მოღვაწე წმ. ექვთიმესა და წმ. გიორგისთან, მაგრამ იგი არაერთგზის ამბობს, რომ ამ წმინდა მამათა „მონაფობი დაუცავს“ თავისი ლიტერატურული საქმიანობისას, შეუთვისებია მათეული მთარგმნელობითი პრინციპები...

დამავიწყებელია და არგუმენტირებულია გ. ალიბეგაშვილის თვალთახედა ეფრემის იოანე პეტრინის მონაფეობის ვერსიის მიმართ. იგი წერს: „...სავლულებელია, რომ წმ. ეფრემ მცირის განცხადებაში, - „იოანე სამღრთოდ ფილოსოფოსი და ხორციელად ღრამატიკოსი იყო მოძღვარ და ძალმენე ჩემდაო,“ - იგულისხმება ეფრემისა და იოანე პეტრინის ურთიერთთანამშრომლობის გარკვეული ეპიზოდი... ეფრემმა ბერული თავმდაბლობით გამოხატა საკუთარ ანდრძში იოანე პეტრინის „ძალმენეობა“ და შემოქმედებითი თანადგამა...“

დავით აღმაშენებლის მემატიანის რწმუნებით, საქართველოში დაბრუნდნენ „მთარგმანებელნი წიგნთანი ეფრემ მცირე, და თეოფილე, და არსენ იყალთოელი და იოვანე ტაიჭის ძე...“

ავტორის მართებული დასკვნით, ეფრემ მცირის პიროვნებაში, ვითარცა შემოქმედში, მთელი სისავესით აისახა ეროვნული ტრადიციების ძირითადი არსი, კულტუროლოგიური და ლიტერატურული ტრადიციები, პატრიოტული მისწრაფებები და იდეალები...

ქართული ქრისტიანული კულტურისთვის მრავალმხრივ უმნიშვნელოვანესია წმ. ეფრემ მცირის თხოვრება „უნყებები მიზეხსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოისვენებს“. ეს არ არის მხოლოდა ლიტერატურული ქმნილება: აქ თავმოყრილია პარადიგმული მოდელები, რეალურად მომხდარი ისტორიული მოვლენები, სხვადასხვა რიგისა და მიმართების ფაქტები, რის საფუძველზეც მოგვეწოდება ქართულ ქრისტიანულ პარადიგმატიკაში სახე-იდეებად ჩამოქნილი, სიმბოლური დატვირთვის მქონე ზოგადქართველური პრობლემა-საკითხები. მართებულადაა შენიშნული, რომ „ერთი და იგივე მოდელი შეიძლება განვიხილოთ როგორც ქრისტოლოგიური, ასევე კულტურულ-ისტორიული და ლიტერატურული კუთხით...“ ქართული ეკლესიის ისტორიის პრობლემის კვლევა თითქმის შეუძლებელია ეფრემ მცირის „უნყებთან“ თვინიერ, ამრიგად, დაბეჯითებით უნდა ითქვას: ეს თხოვრება თავისებური მატიანეცაა, მხატვრული ძეგლიც, პატრიოტული თვითშეგნების მართებულად წარმართვისა და ქართველთა შინაგანი მოთხოვნილებების დასაბუთებულად წარმოქმნი, სულთამარგებელი წიგნი.

უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობთ, სათქმელია ის, რომ ეფრემ მცირისეული პრინციპები მისი ეპოქის

ც. ს. ჯ.

უაღრესად თანადროულია და, ამასთანავე, ჩვენი დროის თანმიმდევრულ თაყვანს მშობლიურად მიიღობს, შემოქმედებით-ისტორიული თვალსაზრისითა და საქართველოს კულტურულ-ისტორიული განასხივით – მარადიულიც კი...

მონოგრაფიის ავტორს მკვეთრად, მიზანსწრაფულად და, რაც უმთავრესია, უაღრესად ზუსტად გამოუყვეთავს ის მასაზრდოებელი ტენდენციები ქართველ მწერალთა ნააზრევებსა, რომელნიც იმდროინდელმა ისტორიულ-კულტურულმა მოვლენებმა განაპირობა;

1. „დამარხულ არს ენა ქართული...“ (იოანე ზოსიმე); „რამეთუ მას დიდად ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩვენი“ (გიორგი მცირე);
2. „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენიცა, შორიელთა ამით მკვიდრთა“ (იოანე საბანისძე);
3. „ქართული ფრიალდ ქუეყანაი აღირაცხების...“ (გიორგი მწერელი);
4. „რაჟამს წინასწარმეტყველებისაგებ დავითისასა ყოველსა ქუეყანასასა განხდა ხმა მათი...“ (ეფრემ მცირე); „წმიდათა მოციქულთა განაილუებულნი ვართ და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს...“ (გიორგი მცირე);
5. „დედა ღვთისაიჯა სურვიელ იყო და მეცადინებდა წარსულად ქადაგებდა ძისა ღვთიებისა და გულის თქმით ნადიერ იყო აღმოსავალით კერძო მათ წარმოსვლად შესაბამისათვის სახელისა მისისა ...“ (ნიკოლოზ გულაბერისძე);
6. ბატარაონები არიან „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად ნოდებული“ ხელმწიფეები (გიორგი მწერელი); „უნუებამში“ აქცენტორებული ზოგიერთი საკითხი, საქართველოს ეკლესიის ისტორიისთვის ერთობ ყურადსაღებო, წინა პლანზე წარმოჩინდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეროვნული თვითშეგნების სათანადო ამალგებისა და, მეორე მხრივ, ბიზანტიელთა ქედმაღლური მხედველობის ქართველთა მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულებისა გამო, თანაც დროულად, საბუთიანად...

ეფრემ მცირე, ვითარცა მრავალმხრივ განსწავლული, საგულისხმო, ნაყოფიერად ირჯება ქრისტიანული წერილობითი კულტურის სფეროში – ეგზეტიკაში, ერთ უაღრესად რთულ და ნიშანდებულ დარგში. ამ უანრში ეფრემ მცირე ღირსეულად აგრძელებს წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმიდელების ლიტერატურულ საქმიანობას.

გ. ჩვენებავილი მხედველობის არედა არ ტოვებს ჩვენი დიდი წინაპრის სათანადო ნაკვალევს ამ სფეროში: „ეფრემ მცირემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეპისტოლეთა კომენტარების თარგმ-

ნას და გადმოაქართულა წმ. იოანე ოქროპირის განმარტებანი. ესაა „თარგმანებაი სამოციქულოსა“ და სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მიჩნეულია ეფრემ მცირის შრომად, რომელიც დანერგა იოანე ოქროპირის, გერმანოსის, ბასილი დიდის, იოანე დამასკელისა და სხვათა კომენტარების გამოყენებით“.

ძველი მწერლობის ამ უანრიდან სპეციალური მსჯელობა ეთმობა წმ. ეფრემის მიერ შედგენილ თუ ნათარგმნ თხზულებებს: 1. „თარგმანებაი ფსალმუნთაი“ (ე. წ. „დავითნის“ კატენები, შემქმნელი ათანასე და კირილე ალექსანდრიელის, ბასილი დიდის, ევსუქი იერუსალიმელის, ასტური ამასიელისა და იოანე ოქროპირის კომენტარების საფუძველზე); 2. თარგმანი – გრიგოლ საკირველთოშოქმედის „მეტაფრასი ეკლესიასტისა“ და ასევე თარგმანი გრიგოლ ღვთისმეტყველის „მეტაფრასი ეზეკიელისა“. სარეცენზიო წიგნის ავტორის მახვილგონიერ და ყურადღებთან მზერასა თუ კვლევის კეთილსინდისიერ მანერას არ გამოჰპარვია ამ უანრისთვის დამახასიათებელი ერთი ნიშანდობლივი მომენტის აღნიშვნაც, სახელდობრ ის, რომ „მეტაფრაზად“ სახელდებოდა ხოლმე, აგრეთვე, ეგზეტიკური „გარდათქმანიც...“

ეგვევ ითქმის ავტორისეულ იმ მსჯელობა-განსჯაზე, რაც ეტება წმ. ეფრემ მცირის მთარგმნელობით პრინციპებს, სიძნელებებს, წინააღმდეგობებს, ესევეთარ პროცესში რომ წარმოშობება. გვითვალისწინებს თვალსაზრისს წმ. ეფრემ მცირისას, რომელიც უანრს ნავედა ბერძენული წიგნის შესახებ: „უფსკრული ღრმა არის და იგივე და ერთი სიტყვაი მრავალსა პირსა აღიარებს...“ ასევე გვითვალსაჩინობს ჩვენი დიდი წინაპრის დაკვირვებას შესახებ იმისა, რომ ჩვენ მთარგმნელს უნდა ხელწინფებოდეს „ხედიწინეთი რაბამობაი ბერძენთა და ქართველთა ენებისა“.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის არცთუ ზედმეტი იქნება სრულიად პიროვნების, მართალია, ამჟერად მხოლოდ რეცენზიებისეული და, ამდენად, კრძობილითი ნიუანსის აღნიშვნაც: ავტორისეული (გ. ალიბეგაშვილის) პროფესიონალიზმი, განსწავლულობა, კრიტიციზმის მისასაღმებელი უნარი, მსჯელობა-დასკვნის საბუთიანობა, წერის კულტურა, მკვლევრისეული კეთილსინდისიერება, მათთვისელი ლიტერატურულ-ისტორიული პოზიცია (ყოველგვარ „ურაპატრიოტიზმს“ მოკლებული!) მთელი სისასიით, ვიმეორებთ, ჩვენი აზრით, მუდავნდება წიგნის თავში: „ქრისტიანული სახისმეტყველების თეორიული პრინციპები“. ცხადია, ეს იოტისოდენადც არ გულისხმობს, რომ წიგნის – „წმ. ეფრემ მცირე და ქრისტიანული კულტურის საკითხები“ – სხვა თავები ნაკლები პროფესიონალიზმით არის აღბეჭდილი..

და კიდევ – ვფიქრობთ, სრულიად უსაფუძვლო და პროფესიონალიზმის ჩვენში უჯერ კიდევ დამკვიდრებული მოსაზრება შესახებ იმისა, რომ, თუკი მაგანი

რცენიზა-გამოხმაურებას აქვეყნებს თანამშრომელ-კოლეგის (თუნდაც ყოფილის), ახლობლის ნაშრომის ირგვლივ, თანაც კეთილხიანობით, ეს თითქოსდა „უბრუნულია“, არცთუ მთლად „სასურველია...“

„ლირიკულ ნიაღვრებს“ შევეშვათ და, როგორც ჩვენი დიდი მესიტყვენი გვაძმუნათებდნენ თხრობისას, ისე გავისარჯოთ... როგორადაც მოუკერძოებელნი, „მკაცრნი“ იყვნენ ენის, წერის მანერის, სტილის დაცვის საკითხებში იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე...

მეტაფრასტიკის, ვითარცა ლიტერატურული მიმდინარეობის, ვთქვათ ასე: – ლიტერატურული „სტილის“, პრინციპის შესახებ თეორიული მასალა ჩვენს მეცნიერებში უხვად იპოვების და, მიუხედავად ამ რეალობისა, გიორგი ალიბეგაშვილი აქაც, თავისი ნაშრომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილშიც, ოდენ კეთილსინდისიერ, განსწავლულ „კომპილატორად“ კი არ ნარმოჩნდება, არამედ იმგვარ მკვლევრად, რომელიც სათანადო სირთულეებს პატიოსნად, შემართებით მიახლებდა და ფრიად ნარმატივითაც ართმევს თავს ურთულესი პრობლემატიკის თავისებურად დაძლევა-გადაჭრას: სრულად და ყოველმხრივ ითვალისწინებს თავის „ხილულ“ თუ „უხილავ“ მასწავლებლებს, აანალიზებს მათ ნაშრომებს, კრიტიკულად უდავებდა ამა თუ იმ მოსაზრება-ვარაუდს, დელიკატურად, მისთვის წესად ქცეული „წერილობითი ეთიკისა“ თუ „მეცნიერული ეტიკეტის“ კვალობაზე გამოთქვამს დასაბუთებულ შენიშვნებს, გვთავაზობს საკუთარ (თითქმის ყოველთვის გასაზიარებელ) მოსაზრებებს... ერთი სიტყვით, კვლავ და კვლავ, საბედნიეროდ, თვალსაწიერზე წარმოგვესახება საქმის, პრობლემატიკის, ეპოქის, გამომწვევ მიზეზ-გარემოებათა ღრმად მცოდნე სპეციალისტად, ისეთ მამიებლად, რომელიც იმთავითვე შეიარაღებულია, წინასწარ, ყოველმხრივ განმჭვრეტელია მოსალოდნელი სირთულეებისა მიმართ... მედიეისტიკა, აპრიორი, ცნობილია, ყველაზე მეტად მკაცრად, დაუნდობლად, ვიტყვოდით, სასტიკადაც კი ვერ იღუებს ოდნავ დილეთანტიზმს, ზერელე განსწავლულობას, ფსევდომეცნიერულ „ფართოფურობას“, შეღავათებს...

გონივრულად, საჭიროებისამებრ მოიხმობს გ. ალიბეგაშვილი წმ. ეფრემის იმ დაკვირვებას, რომლის კვალობაზეც სემიონ ლოლითეტიმა „მცირედ-მცირედი საკითხავები“ შექმნა „საეკლესიო თხრობათაგან“, ერთი მხრივ, და „ხრონოლოგიათაგან“, მეორე მხრივ. მართებულიადაა შენიშნული მკვლევრის მიერ, რომ „ამ დროს მისთვის მთავარი იყო არა ვრცელი ნაწარმოებების დაწერა, რომლებიც „ცრუთა და საეჭუელითა“ იქნებოდა სავსე, არამედ მცირე მოცულობის თხზულებებისა, რომლებიც მკითხველს მიანდებდა „უეჭველსა და ჭეშმარიტ“ ცნობებს.

წმ. ეფრემ მცირის მართებული დასკვნით, მეტაფრასტიკის „მამამთავარმა“ სემიონ ლოლითეტიმა მოგვანოდა „სიტყვისა და აზრის სინთეზი“. ამ ქმედებასთან უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ „რიტორიკული განგრძობებისა“ და „ფილოსოფოსებრივი განგრძობების“ არსი, ქრისტოლოგიური წარმოდგენებიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლები დოზით ერთურთის შემავსებელი შემოქმედებითი პროცესია, რადგანაც რიტორიკაც და ფილოსოფიაც ისე ძალუმადაა ტექსტის მხატვრულ ქსოვილში შენივთებული, რამდენადაც მათთვის ნიშანდობლივი „განგრძობანი“ და „შემოკლებანი“ ლეთაებრივი სიბრძნის მომცველი არიან, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა მეტაფრასტიკის ფორმალურ-ფანრობრივ სიახლეებს.

გიორგი ალიბეგაშვილის მონოგრაფია – „წმ. ეფრემ მცირე და ქრისტიანული კულტურის საკითხები“ – ისევე, ვითარცა ჰაგიოგრაფიული რომელიმე კონკრეტული თხზულება ჩვენითვის, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, იხილება სინკრეტული ხასიათის – ლიტერატურულ-ისტორიულ-საღვთისმსახურ და, იმავდროულად, ზოგადგამაცნობიერებელ ძეგლად. საგულისხმო და სავარაუდოა ამ წიგნის მკითხველთა ფართო წრე – სპეციალისტ-მედიეისტები, ლევისმსახურნი, ქართული ქრისტიანული კულტურის მუშაკნი, სტუდენტები, ფილოსოფოსები...

ისე, სხვათა შორის, საინტერესოა: სპეციალისტთა მიღმა კითხულობენ კი ჩვენში დღეს ამგვარ წიგნებს? რეცენიზაზე ზომ ილუზიაც არა გვაქვს.





# ცდმას სცფტნზ ვლიოცი

## სიმაბლო ჰომეზიის სიდიადისა

ნობელის პრემიის მიღებისას გამართულ ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვა

როდესაც იმაზე ვფიქრობდი, რას გეტყვოდი  
ამ საღამოს, გადავწყვიტე, უბრალოდ გამომეხატა  
მადლიერება იმ უმაღლესი ჯილდოსთვის, რომლის  
ღირსადაც ჩამთვალა შედეგების აკადემიამ. ჩანა-  
ფიქრის სისრულეში მოყვანა არც ისე მარტივი აღ-  
მოჩნდა: ჩემი საქმიანობა სიტყვებთან არის დაკავ-  
შირებული, მაგრამ ამჯერად მათ უარი მითხრეს,  
დამმორჩილებოდნენ, ხოლო უბრალოდ იმის აღ-  
ნიშვნა, შეგნებული მაქვს, რომ მივიღე უმაღლესი  
საერთაშორისო პრემია, რაზეც ყოველი მწერალი  
ოცნებობს, ნიშნავდა იმის თქმას, რაც ისედაც  
ყველამ კარგად იცის. იმის გამოცხადება, რომ ამ  
პრემიის ღირსი არა ვარ, - ნიშნავს, ეჭვი შევი-  
ტანო აკადემიის კომპეტენტურობაში; რომ შევქო  
აკადემია - ნიშნავს, რომ მე, როგორც ლიტერა-  
ტურის კრიტიკოსი, ვეთანხმები ჩემთვის, როგორც  
პოეტისთვის, ამ პრემიის მინიჭების სამართლია-  
ნობას. ამიტომაც მინდა, დაგარწმუნოთ, როგორც  
კი გავიგე, რომ მომენიჭა ნობელის პრემია, განვი-  
ცადე სიხარულისა და სიამაყის შერეული გრძობა,  
რომელიც ასეთ მომენტში სავესებო ბუნებრივია,  
და უხერხულობა იმის გამო, რომ უეცრად საზოგა-

დობის ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ნობე-  
ლის პრემია რომ ყოფილიყო ზუსტად ისეთი, რო-  
გორიც სხვა პრემიები, ოღონდ გაცილებით მაღალი  
ღონის, შეიძლება, მადლიერების გამოსახატავად  
კიდევ მეცადა საჭირო სიტყვების მოძიება, მაგრამ,  
რადგანაც ის სხვა ჯილდოებისგან სწორედ საკუთა-  
რი არსით განსხვავდება, ენაში არ მეგულება ჩემი  
გრძნობების გამოსახატავად საჭირო სიტყვები.  
ამდენად, ვალდებული ვარ, ეს გრძნობები არა-  
პირდაპირი გზით გამოვხატო და შემოგთავაზოთ,  
საკუთარი ინტერპრეტაცია თუ რას ნიშნავს ლიტე-  
რატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატო-  
ბა. თუკი ეს იქნებოდა უბრალო აღიარება მწერ-  
ლის დამსახურების ან იმ ფაქტისა, რომ ავტორის  
რეპუტაციამ გადალახა მშობლიური ქვეყნისა და  
მშობლიური ენის საზღვრები, მაშინ შეგვეძლო,  
გვემტკიცებინა, რომ საეჭვოა, ერთ-ერთი ჩვენგა-  
ნი უფრო მეტად, იყოს ამ პრემიის ღირსი, ვიდრე  
დანარჩენები. მაგრამ მე ნობელის პრემიაში ვხედავ  
რალაც უფრო მეტს. ის მე მაგონებს ერთი კაცის  
არჩენვებს, რომელიც დროდადრო თითქოს განგე-  
ბის ძალით ხან ერთი ერიდან ირჩევა, ხანაც მეორე-

დან, რათა შესარულოს განსაკუთრებული როლი და იქცეს განსაკუთრებულ სიმბოლოდ. ტარდება ცერემონიანი და ადამიანს მოულოდნელად ეკისრება მოვალეობები, რომლებსაც ადრე არ ასრულებდა. ამიტომ საქმე სულაც არ ეხება იმას, იგი ნამდვილად რჩეულია თუ არა, მთავარია, შეუძლია თუ არა მას, თავი გაართვას დაკისრებულ ვალდებულებებს; შეუძლია თუ არა, გახდეს ნარმომადგენელი – რა თქმა უნდა, ადამიანური ძალების შესაბამისად – რაღაც უფრო მნიშვნელოვანის, ვიდრე მისი საკუთარი შემოქმედებაა.

ტრადიციულად, პოეზია მიიჩნევა ხელოვნების ყველაზე „რეგიონულ“ დარგად. მხატვრობით, სკულპტურით, არქიტექტურით, მუსიკით შეიძლება დატკბეს ნებისმიერი ადამიანი, ვინც ხედავს და ვისაც ესმის. მაგრამ ენა, განსაკუთრებით კი პოეზიის ენა, – სულ სხვა შემთხვევაა. შეიძლება, მოგვეჩვენოს კიდევ, რომ პოეზია უფრო მეტად ამორებს ადამიანებს, ვიდრე აერთიანებს. მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ, თუკი ენა წარმოშობს ბარიერებს, სწორედაც რომ პოეზია უწყობს ხელს ამ ბარიერების გადალახვას. დატკბე პოეზიით, რომელიც უცხო ენაზეა დაწერილი, ნიშნავს, დატკბე იმ ხალხის ვაგებით, ვისაც ეს ენა ეკუთვნის, ვაგებით, რომელსაც სხვა გზით ვერ მივაღწევთ. უნდა დაგვიქრდეთ ევროპული პოეზიის ისტორიაზე და გავისხენოთ ის უზარმაზარი გავლენა, რომელსაც პოეზია, შექმნილი ერთ ენაზე, ახდენდა სხვა ენებზე; დაგვიქრდეთ იმაზე, რომ ყველა დიდ პოეტს აქვს უცხოენოვანი პოეტების გადაუხდელი ვალი; იმის მტკიცებაც კი დასაშვებია, რომ ნებისმიერი ქვეყნის პოეზია შეიძლება დაკნინდეს და დაიღუპოს, რომ არ საზრდოობდეს სხვა ქვეყნების პოეზიით. როდესაც პოეტი მიმართავს საკუთარ ხალხს,

მის ხმაში ყლერს იმ უცხოენოვანი პოეტების ხმები, რომლებმაც მასზე გავლენა მოახდინეს. ამავე დროს, თავად ის ესაუბრება თავი ქვეყნების ახალგაზრდა პოეტებს, რომლებიც სხვის ერს გადასცემენ მისი შეხედულებისა და მისი ერის სულიკვეთების რაღაც ნაწილს. ერთი მხრივ, მისი გავლენით სხვა პოეტებზე, მეორე მხრივ – თარგმანით, რომელიც, რა თქმა უნდა, ავტორის თანაშემოქმედებას უნდა წარმოადგენდეს, და ნაწილობრივ საკუთარი ქვეყნის მკითხველის მეშვეობით, რომლებიც არ არიან პოეტები, ლექსის ავტორი ხელს უწყობს ერებს შორის ურთიერთგაგებას.

ნებისმიერი პოეტის შემოქმედებაში, რა თქმა უნდა, ბევრი ისეთი რამ უნდა იყოს, რაც განსაკუთრებით იმათკენ არის მიმართული, ვინც ცხოვრობს მის ირგვლივ და ლაპარაკობს მის ენაზე. მიუხედავად ამისა, უსაფუძვლოდ არ შექმნილა გაგება – „ევროპული პოეზია“ და თვით „პოეზია“ კი. მე მეჩვენება, რომ პოეზიის წყალობით სხვადასხვა ქვეყნის ხალხები, რომლებიც განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობენ – თუნდაც ამა თუ იმ ქვეყანაში ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ – იძენენ ურთიერთგაგებას, რომელიც, რაოდენ ცალმხრივიც უნდა იყოს, ერთობ მნიშვნელოვანია. პრემიას ლიტერატურის დარგში, რომელსაც ანიჭებენ პოეტს, მივიჩნევ, პირველ რიგში, დადასტურებად თეზისისა პოეზიის ზენაციონალური ღირებულების შესახებ. ამ თეზისის მხარდასაჭერად სხვადასხვა ადამიანებს შორის დროდადრო აუცილებელია პოეტის გამოყოფა – და აი, მე ვგდავარ თქვენს წინაშე, მაგრამ არა საკუთარი დამსახურების გამო, არამედ როგორც სიმბოლო – რა თქმა უნდა, დროებითი, – პოეზიის სიდიადისა.

ინგლისურიდან თარგმნა  
გვანცა ჯობაჯაძე



 **თიბისი ბანკი**  
**T B C B A N K**

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

 **ლიბერთი ბანკი**  
**LIBERTY BANK**

 **PSP №1**



**შარკავენტო გათამაშება!!!**


**იმაგობრა „ცისკართან“ და აიხდინა ოცნება!**

მიმდინარე წელს „ცისკრის“ თორმეტი ნომერი გამოვია. იგი ტრადიციულად მოგაწვდით მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, ამასთან, გთავაზობთ საგზურს იერუსალიმში.

თუ გინდათ, 2012 წელს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას შეხვდეთ ჯერის მონასტერში, მაცხოვრის საფლავზე, და საკუთარი თვალით იხილოთ სასწაული – ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა, გამოინერეთ, შეიძინეთ „ცისკრის“ ყველა ნომერი, მოიძიეთ გარეკანის შესაშვ გვერდზე მონიშნული ასოები, შეაგროვეთ ყურნალის სახელწოდების შემადგენელი შვიდივე ასო (ც-ი-ს-კ-ა-რ-ი) და აიხდინეთ ოცნება – თქვენი მეგობარი „ცისკრის“ მეოხებით და საპატრიარქოს თანადგომით, საკრალური შვიდი ასოს წყალობით უფასოდ იმოგზაურეთ წმინდა მინაზე.



# ახალი ზეგნები



## ხელმოწერითა საყურადღებო!!!

ხელმოწერების გასაფორმებლად დაუკავშირდით ქვემოთ ჩამოთვლილ გამაგრებლებებს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

„პრესტექსპრესი“-962 311; „მაცნე“-341 070; „საქპრესა“-518 518; 515 905

შპს „ელვა.ჯი“ ტელ: 38-26-73; 38-26-74

ინდივიდუალური ხელმოწერის გაფორმება ასევე შესაძლებელია უშუალოდ „ვისკრის“ რედაქციაში მისამართზე: თბილისი, ათონელის (ხიდის) ქ. 29/1 დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ რედაქციაში: 98-36-43; 899188093

ISSN 0132-6023



9 770132 602007 >